პირველი კოლეგია

არსებითი

ს ხ დ ო მ ი ს ო ქ მ ი

№1/752 ბათუმი, 2017 წლის 22 მარტი

კოლეგიის შემადგენლობა:

1. ლალი ფაფიაშვილი - სხდომის თავმჯდომარე;
2. გიორგი კვერენჩხილაძე - წევრი; (მომხსენებელი მოსამართლე)
3. მაია კოპალეიშვილი - წევრი;
4. მერაბ ტურავა - წევრი;

სხდომის მდივანი - მარიამ ბარამიძე.

საქმის დასახელება: ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

2017 წლის 22 მარტს 11 საათზე გაიხსნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის სხდომა.

სხდომა გახსნა კოლეგიის თავმჯდომარემ ლალი ფაფიაშვილმა.

დავის საგანს წარმოადგენს: „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის სიტყვების: „დაუშვებელია სახელმწიფო საინფორმაციო ფონდებში შეტანილი ინფორმაციის გაცემა სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირზე, ინფორმაციის მესაკუთრის თანხმობის გარეშე“ კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტთან და 41-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

ლ.ფაფიაშვილი:“მოგესალმებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგია განიხილავს №752 ნომრით რეგისტრირებულ კონსტიტუციურ სარჩელს. საქმის

დასახელება: ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. დავის საგანს წარმოადგენს: „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის სიტყვების: „დაუშვებელია სახელმწიფო საინფორმაციო ფონდებში შეტანილი ინფორმაციის გაცემა სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირზე, ინფორმაციის მესაკუთრის თანხმობის გარეშე“ კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტთან და 41-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. საქმეს განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგია შემდეგი შემადგენლობით:ლალი ფაფიაშვილი გახლავართ მე სხდომის თავმჯდომარე, ჩემგან მარჯვნივ ბატონი მერაბ ტურავა, ჩემგან მარცხნივ ბატონი გიორგი კვერენჩხილაძე იმავდროულად მომხსენებელი მოსამართლე აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით და ქალბატონი მაია კოპალეიშვილი. სხდომის მდივანი მარიამ ბარამიძე. სხდომის მდივანს ვთხოვ სასამართლოს აცნობოს მხარეთა გამოცხადების შესახებ“.

მ.ბარამიძე:“მოგესალმებით, პროცესზე გამოცხადდნენ მოსარჩელე ნინო გუჯარაიძე და მოსარჩელის წარმომადგენელი ირმა მახათაძე. ასევე მოპასუხე მხარის წარმომადგენლები ქრისტინე კუპრავა და გიორგი ჩიფჩიური“.

ლ.ფაფიაშვილი:“მხარეებს ხომ არ გაქვთ აცილება სასამართლოს შემადგენლობის ან სხდომის მდივნის მიმართ“?

ნ.გუჯარაიძე:“არა“.

ქ.კუპრავა:“არა“.

ლ.ფაფიაშვილი:“მხარეებს შეგახსენებთ თქვენს უფლებებს და მოვალეობებს, რაც მონიჭებული გაქვთ საქართველოს კანონმდებლობით საკონსტიტუციო სასამართლოში სამართალწარმოების ფარგლებში. ““საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის და „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სამართალწარმოების მონაწილეებს: თანაბარი უფლებები გაქვთ, გაეცნოთ საქმის მასალებს, გააკეთოთ მათგან ამონაწერები, გადაიღოთ ასლები წარმოადგინოთ მტკიცებულებები, დაუსვათ კითხვები ერთმანეთს, მოწმეებსა და ექსპერტებს, თუკი მოგვიანებით ჩათვლით საჭიროდ მათ მონაწილეობას; მიმართოთ შუამდგომლობით საკონსტიტუციო სასამართლოს, მისცეთ მას წერილობითი ან ზეპირი ახსნა-განმარტება; წარმოადგინოთ თქვენი დასკვნები, გამოთქვათ მოსაზრებები, სასამართლო განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე; უარყოთ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები; გამოხვიდეთ დასკვნითი სიტყვით. მოსარჩელეს იმავდროულად კიდევ ერთხელ შევახსენებ, რომ უფლება აქვს შეამციროს სარჩელის მოცულობა, უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე. სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმა იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის წარმოების შეწყვეტას. მოპასუხე მხარეს დამატებით განვუმარტავთ, რომ უფლებამოსილია საკონსტიტუციო სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე მთლიანად ან ნაწილობრივ ცნოს სარჩელი, მოპასუხის მიერ სარჩელის

ცნობა არ იწვევს იმავდროულად საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას. საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილენი მოვალენი ხართ, კეთილსინდისიერად გამოიყენოთ თქვენი უფლებები. საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წინასწარი შეცნობით ყალბი ცნობების მიწოდება, იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. ამ ეტაპზე მხარეებს ხომ არ გაქვთ შუამდგომლობა დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის თაობაზე, აგრეთვე მოწმის და ექსპერტის პროცესზე დაბარების შესახებ“?

ნ.გუჯარაიძე:“არა“.

გ.ჩიფჩიური:“არა“.

*ლ.ფაფიაშვილი:“*დღევანდელი სასამართლო პროცესი ღიაა. სასამართლო თავისი ინიციატივით არ თვლის მიზანშეწონილად სხდომის დახურვას, მაგრამ მხარეებს უფლება გაქვთ სრულად ან ნაწილობრივად მოითხოვოთ სხდომის დახურვა. ხომ არ გაქვთ შუამდგომლობა დახურვის თაობაზე“?

ნ.გუჯარაიძე:“არა“.

გ.ჩუფჩიური:“არა“.

ლ.ფაფიაშვილი:“გახსნილად ვაცხადებ 752-ე ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განხილვის სხდომას. მომხსენებელ მოსამართლეს ბატონ გიორგის ვთხოვ სასამართლოს წარმოუდგინოს მოხსენება აღნიშნინულ სარჩელთან დაკავშირებით“.

გ.კვერენჩხილაძე:“მოგესალმებით. წარმოგიდგენთ მოხსენებას 752-ე ნომრით რეგისტრირებულ კონსტიტუციურ სარჩელთან დაკავშირებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 6 მაისს კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის №752) მიმართა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივამ“. კონსტიტუციური სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოს პირველ კოლეგიას არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად გადაეცა 2016 წლის 9 მაისს. საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის განმწესრიგებელი სხდომა, ზეპირი მოსმენის გარეშე გაიმართა 2016 წლის 14 დეკემბერს.

№752 კონსტიტუციური სარჩელში საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის საფუძვლად მითითებულია: საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი,, „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნტი, 31-ე მუხლი, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნტი, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი, მე-10 მუხლის პირველი პუნქტი, მე-15 და მე-16 მუხლები.

დავის საგანს წარმოადგენს: „წიაის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის სიტყვების „დაუშვებელია სახელმწიფო საინფორმაციო ფონდებში შეტანილი ინფორმაციის გაცემა სხვა

იურიდიულ და ფიზიკურ პირზე ინფორმაციის მესაკუთრის თანხმობის გარეშე“ კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტთან და 41-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის ჩემს მიერ წაკითხული სიტყვები არღვევს გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაცნობის უფლებას, რადგან შეზღუდულია გასაჩივრებულ ნორმაში მითითებული ინფორმაციის მიღება მესაკუთრის თანხმობის გარეშე. კონსტიტუციურ სარჩელში აღნიშნულია, რომ „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებულიინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის მე-2 მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნტის თანახმად, გარემოსდაცვითი ინფორმაცია გულისხმობს წერილობითი, აუდიოვიზუალური, ელექტრონული ან ნებისმიერი სხვა მატერიალური ფორმით მიწოდებულ ყველა ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: ჰაერი და ატმოსფერო, წყალი, ნიადაგი, მიწა, ლანდშაფტი და ბუნებრივი ობიექტები, ბიოლოგიური მრავალფეროვნება და მისი კომპონენტები, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები და ამ ელემენტების ურთიერთქმედება. აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, ინფორმაცია წიაღისა და წიაღისეულის შესახებ მიეკუთვნება გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას. შესაბამისად, მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად უნდა იქნეს ცნობილი.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სადავო ნორმის შეჩერების თაობაზე“.

ლ.ფაფიაშვილი:“მადლობა ბატონო გიორგი. მოსარჩელე მხარეს ვთხოვ წარმოადგინოს ახსნა-განმარტება“.

ი.მახათაძე:“მოგესალმებით. როგორც უკვე მომხსენებელმა მოსამართლემ აღნიშნა საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ 2016 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით მიიღო „მწვანე ალტერნატივას“ №752 კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. სასარჩელო მოთხოვნა შეეხება „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის სიტყვებს, რომ „დაუშვებელია სახელმწიფო საინფორმაციო ფონდებში შეტანილი ინფორმაციის გაცემა სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირზე ინფორმაციის მესაკუთრის თანხმობის გარეშე“ კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტთან და 41-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. წარმოგიდგენთ აღნიშნული სარჩელის დასაბუთებას და საფუძვლიანობის შესახებ ჩვენს მოსაზრებებს. წარმოდგენილ საკონსტიტუციო სარჩელს მთლიანად ვეთანხმებით და მხარს ვუჭერთ იმ ნაწილში, რომელშიც მიღებულია ჩვენი სასარჩელო მოთხოვნა. მწვანე ალტერნატივა გახლავთ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული

პირი არასამთავრობო ორგანიზაცია, ჩვენ თავდაპირველად გესაუბრებით რატომ არის ის სარჩელის აღძვრაზე უფლებამოსილი პირი, რაც უკვე გაზიარებულია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, იმდენად რამდენადაც ჩვენი კონსტიტუციური სარჩელი მიღებულია“.

გ.კვერენჩხილაძე:“უკაცრავად ქ-ნო ირმა, ეს განმწესრიგებლის ფორმტაია, მიღებულია უკვე ეს სარჩელი განსახილველად და იქნებ ასეთ დეტალებს არ შევეხოთ, რაც განმწესრიგებლის ფორმატში განიხილება“.

ლ.ფაფიაშვილი:“ შეგახსენებთ, არსებითი განხილვის სხდომაზე თქვენ სასამართლოს უნდა განუმარტოთ, სადავო ნორმით კონსტიტუციური უფლების არათანაზომიერი შეზღუდვა რაში გამოიხატება“.

ნ.გუჯარაიძე:“უკაცრავად, მაშინ მე გავაგრძელებ საუბარის და მოგვიანებით დაამატებს ჩვენი წარმომადგენელი კიდევ პოზიციას“.

ლ.ფაფიაშვილი:“კი ბატონო“.

ნ.გუჯარაიძე:“მე გახლავართ ნინო გუჯარაიძე. პირველ რიგში ყურადღებას გავამახვილებ რატომ არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ასეთი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. მინერალური რესურსების მოპოვება, გადამუშავება გარემოს დაცვითი თვალსაზრისით არის ყველაზე დესტრუქციული საქმიანობა. ეს აღიარებულია არა მარტო საქართველოს მასშტაბით, არამედ მსოფლიოს მასშტაბით. ეს განსაკუთრებით ხაზგასმულია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს არაერთ დოკუმენტში, მათ შორის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტში, რომელიც მზადდება გარემოს შესახებ ინფორმაციის მომზადებისათვის. ეს არის ეროვნული მოხსენება გარემოს მდგომარეობის შესახებ. შემიძლია წავიკითხო ეს ჩანაწერი, რომელიც არის მოცემული აი ამ ეროვნულ მოხსენებაში. „მინერალური რესურსების მოპოვება, გადამუშავება და დამუშავება მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათის, თუმცა აუცილებელია გარემოზე იმ სერიოზული ზემოქმედების გათვალისწინება, რაც ამ პროცესებს თან ახლავს. დღესდღეისობით საქართველოში სამთო მოპოვებითი მრეწველობა გარემოსთის პოტენციურად ერთ-ერთ ყველაზე საშიშ საქმიანობას წარმოადგენს, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ნიადაგის, წყლების, ზედაპირული და მიწი ქვეშა და ჰაერის მნიშვნელოვანი დაბინძურება. შესაბამისად, უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს მიმდებარე ტერიტორიის მოსახლეობაზე. გარემოზე მინერალური რესურსების მოპოვების ზემოქმედების შეფასებისას გასათვალისწინებელია, რომ მყარი მინერალური რესურსების თითოეულ სახეს აქვს მოპოვებისა და გადამუშავებისთვის მისთვის დამახასიათებელი თავისებურება. გარემოს დაცვითი პრობლემატიკაც განსხვავებულია თითოეული მათგანისთვის“. ეს არის გარემოს მდგომარეობის შესახებ ანგარიში, რომელიც მოიცავს 2010-2013 წლებს, მომზადებული ყველა უწყების მონაწილეობით და დამტკიცებული გარემოს დაცვის მინისტრის ბრძანებით. სამწუხაროდ მხოლოდ ახლახანს გამოიცა, მიუხედავად იმისა, რომ 2010 და 2013 წლებს

მოიცავს. გარდა ამისა იგივე ასეთ მასშტაბურ ზემოქმედებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ წიაღით სარგებლობის უფლება გაიცემა ლიცენზიით. ლიცენცია არის უფლების მიმნიჭებელი წიაღით სარგებლობისას და შესაბამისად ლიცენზიებისა და ნებართვების კანონის მე-2 მუხლს დავეყრდნობი, როდესაც საქმიანობის ან ქმედების სახელმწიფო რეგულირება ლიცენზიით ან ნებართვით ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეს საქმიანობა ან ქმედება უშუალოდ უკავშირდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებულ საფრთხეს, ან სახელმწიფო საზოგადოებრივი ინტერესის სფეროებს. სახელმწიფო რეგულირება მხოლოდ ხორციელდება მაშინ თუ ლიცენზიით ან ნებართვის გაცემით რეალურად შესაძლებელია აღნიშნული საფრთხის შემცირება ან სახელმწიფო საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინება და ამ მუხლის საფუძველზე საქმიანობის რეგულირების ძირითადი პრინციპებია: ადამიანის სიცოცლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა; ადამიანის საცხოვრებელი და კულტურული გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა; სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა. ანუ, ლიცენზირება სწორედ ამ ყველაფრის უზრუნველყოფისთვის ხდება. როდესაც ვსაუბრობთ საინფორმაციო ფონდებში შეტანილი ინფორმაციის შესახებ, ალბათ მნიშვნელოვანია ვიმსჯელოთ იმის შესახებ თუ რა ტიპის ინფორმაცია არის ამ ფონდებში დაცული. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის თანახმად ეს ფონდები მოიცავს ასეთი ტიპის ინფორმაციის შენახვას: წიაღის შესწავლის სამუშაოები; წიაღისეული საბადოები, მისი მარაგები და რესურსები; მიწის ქვეშა ნაგებობათა მშენებლობა და ექსპულატაცია, (ამაში იგულისხმება მაღაროების მშენებლობა და ექსპლუატაცია და მასთან დაკავშირებული საკითხებ); აგრეთვე წიაღის უბნების გამოყენება, რაც არ არის დაკავშირებული წიაღისეულის მოპოვებასთან, ექვემდებარება წიაღის ერთიან ფონდში აღრიცხვას. ასევე ფონდი აწარმოებს ყველა წიაღით მოსარგებლის კადასტრს და სასარგებლო წიაღისეულის ბალანსს. აქ შედის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელის დაკავშირებულია წიაღით სარგებლობასთან. ყველა ლიცენზია გაცემული დღიდან ამ კანონის ამოქმედებისა, მასთან დაკავშირებული ტექნიკური თუ არატექნიკური თუ ინფორმაცია, შესწავლები, ანგარიშები ლიცენზიის პირობების შესრულებასთან დაკავშირებით და ა.შ. თუ შევაჯამებთ და დავუკვირდებით მაგალითად რას გულისხმობს ზოგადად სახელმწიფო მართვა წიაღით სარგებლობისას. სახელმწიფო მართვა გულისხმობს წიაღით სარგებლობის აღრიცხვას, ლიცენზირებას, კონტროლს და ზედამხევდელობას. სულ 4 ასპექტია და ამ ოთხივე ასპქტის შესახებ ინფორმაცია თავმყორილია საინფორმაციო გეოლოგიურ ფონდებში. აქედან საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია მხოლოდ ორი ტიპის ინფორმაცია. ეს არის გაცემული ლიზენცია, რომელშიც ბევრი არაფერი წერია რეალურად. იმიტომ, რომ სწორედ მარაგების დადგენის შემდეგ ხდება დეტალების დაზუსტება. ლიცენზიით ამ იურიდიულ პირს აქვს უფლება მოიპოვოს წიაღი, ამა და ამ ტერიტორიაზე ჯამურად ამ რაოდენობით. ეს არის მოკლედ ლიცენზიაში რაც წერია და შემდეგში უკვე შეიძლება ასევე ამ ფონდებში იყოს დაცული, თუმცა როგორც წესი არ არის ხოლმე ასე,

ზედამხედველობის სამსახურის მიერ მომზადებული შემოწმების ანგარიშები და ოქმები. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ რა ტემპით ხდება ასეთი ლიცენზიანტების შემოწმება, მაგალითად გასულ წესლ სულ გაცემული 3500 ლიცენზიიდან შემოწმებული იყო 100 გეგმიური და 17 შერჩევითი ლიცენზია. რეალურად შემოწმება ძალიან სიმბოლურ ხასიათს ატარებს. ამიტომ, უამრავი ლიცენზიაა, რომლის შესახებ შემოწმების დოკუმენტი საერთოდ არ არსებობს. იმიტომ, რომ დღიდან გაცემისა საერთოდ არ შემოწმებული. ამით იმის თქმა მინდა, რომ ფაქტიურად საინფორმაციო ფონდებში, რომელშიც ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა ჩვენთვის არის შეზღუდული არის სრული ინფორმაცია სასარგებლო წიაღისეულის სახელმწიფო მართვის შესახებ. ლიცენზიასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია ძალიან მცირედი გამონაკლისით“.

გ.კვერენჩხილაძე:“იქნება სახელმწიფო საინფორმაციო ფონდებთან დაკავშირებით უფრო დეტალურად აგვიხსნათ რასთან გვაქვს საქმე? იმიტომ, რომ კანონისმიერი ჩანაწერის ეს „სახელმწიფო საინფორმაციო ფონდები“, რა იგულისხმება აქ“?

ლ.ფაფიაშვილი:“ინფორმაცია, რომლიც თქვენ ჩამოთვალეთ (ის 4 პუნქტი), ამ ოთხი პუნქტის მიღმა კიდევ რაიმე ინფორმაცია ინახება საინფორმაციო ბანკებში? მაგალითად, რადიოაქტიული გამოსხივებების შესახებ, ატმოსფეროს დაბინძურების შესახებ, მოპოვებისას გამოყენებული ტექნიკური პარამეტრების შესახებ, რა სახის წიაღისეულია, რა მოცულობით შეიძლება იქნას მოპოვებული და როგორი არის მარაგი და ა.შ. ესეც ?“?

მ.კოპალეიშვილი:“მეც დავამატებ და ალბათ მოპასუხე მხარემაც უნდა წარმოადგინოს ამაზე მოსაზრება, პირველ რიგში ეს საკანონმდებლო ორგანოს ეხება, მაგრამ მოსარჩელესაც ვკითხავ. სადავო ნორმაში მითითებულ ჩანაწერს „საინფორმაციო ფონდები“ ტერმინთა დონეზე თავად წიაღის შესახებ კანონი არ განსაზღვრავს. რა იგულისხმება ამ „საინფორმაციო ფონდებში“ და სამინისტროს ხომ არ აქვს რაიმე ინსტრუქცია ამაზე მიღებული ეს „საინფორმაციო ფონდი“ როგორ ფორმირდება? რა მონაცემებს უნდა მოიცავდეს? რა შედის, ვინ განსაზღვრავს რა შედის და რა არ შედის ამ ფონდებში? ანუ მისი რეგულირება რა პრინციპებით ხდება თუ არის თქვენთვის ცნობილი, რომ გვითხრათ? მოპასუხემაც წამოადგინოს თავისი მოსაზრება, „საინფორმაციო“ ფონდს, რომ წერდა კანონმდებელი რას გულისხმობდა ამ ცნების ქვეშ? რა შედის ამ საინფორმაციო ფონდში და ვინ განსაზღვრავს ამას, რომ სანფორმაციო ფონდში დაცული ინფორმაცია არ უნდა იქნას გაცემული“?

ნ.გუჯარაიძე:“ფიზიკურად ასეთი დაწესებულება თუ ორგანო, ორმელიც ამ საქმიანობას აწარმოებს არ არსებობს. გარემოს ეროვნულ სააგენტოს ევალება აი ამ ფონდის წარმოება. ძირითადად გამოიხატება იმაში, რომ ეს არის ინფორმციის შეგროვება, წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება. სტრუქტურული ფორმა როგორც ასეთი არ აქვს“.

მ.კოპალეიშვილი:"აკუმულირებულია სადმე თუ ყველა ოთახში შეიძლება იდოს ასეთი ინფორმაცია და როდესაც დაჭირდებათ მოიპოვებენ? თუ სადღაც ელექტრონულად ეს აღრიცხულია"?

გ.კვერენჩხილაძე:"რა უნდა იყოს დაცული ამ სახელმწიფო საინფორმაციო ფონდებში? რა პერიოდულობით, რა ხანგრძლივობით? რა არ უნდა იყოს დაცული, გაცემის წესი როგორია? თან არის არა „ფონდი", არამედ „ფონდები". ვისთან არის, რა რეგულაციაა"?

მ.კოპალეიშვილი:"თქვენ აი ამ საინფორმაციო ფონდებში, გარდა იმისა რომ საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრული არ არის და თქვენი საუბრიდანაც ჩანს, რომ ეს ზოგადად გულისხმობს რაღაც ინფორმაციას, რომელიც ერთი კონკრეტული წიაღის შესახებ ერთ თანამშრომელთან შეიძლება იყოს. მათ შრის იმ კონკრეტულ ლიზენციასთან მიმართებით სხვადასხვა სეგმენტები საერთოდ შეიძლება სხვადასხვა თანამშრომლებთან იდოს და საჭიროების შემთხვევაში ამის მოკრება ხდება. ეს გასაგებია უკვე ჩანს და მოპასუხე მხარესაც ვთხოვ წარმოადგინოს კანონმდებლის ნება რა იყოს, როდესაც ამას აყალიბებდა და ავალდებულებდა თუ არა ეს ჩანაწერის შესაბამის კომპეტენტურ უწყებას, რომ შესაბამისი ფონდი მართლაც ოფიციალურად შეექმნა შესაბამისი ოფოციალური რეგულირებით, როდესაც მათ შორის თუკი საინფორმაციო ფონდში ათავსებ რაღაცას, შემდგ შემზღუდველ რეგულაციას ადგენს და ამბობს,რ ომ ამ ფონდში არსებული აღარ გაიცემა, მაშნ საჭირო იყო თუ არა ამ ფონდის კონკრეტული ქცევის წესის გაწერა რეგულაციის დონეზე? ორივე მხარეს ეხება ეს კითხვა, მოსარჩელეს სარჩელში პრაქტიკაც აქვს მოყვანილი და ყოფილა თუ არა ასეთი შემთხვევა, რომ საინფორმაციო ფონდში ამა თუ იმ ინფორმაციის მოხვედრა აპრიორი გულისხმობს დახურულობას? იქ ხომ შეიძლება გონივრულ ფარგლებში გამოცალკევებადი სახით იყოს რაღაც ისეთი, რაც იქ აპრიორი საჯაროა და ვერანაირად ვერ ვიფიქრებთ, რომ ის შეიძლება იქნას დახურული. ფონდში ასეთი ჩანაწერი, რაც აქ არის განაპირობებს თუ არა იმავდროულად, რომ ამ ე.წ. „საინფორმაციო ფონდში" მოხვდება თუ არა, ეს ავტომატურად მთელი ინფორმაციის დახურვას გულისხმობს, რაც იქ მოხვდება? თუ ყოფილა პრაქტიკაში შემთხვევა, რომ ამ ფონდიდან რაღაც ნაწილი გაცემული და რაღაც ნაწილზე უთქვიათ, რომ აი ამას ვერ გავცემთ იმიტომ, რომ საკუთრებაა".

ნ.გუჯარაიძე:"ჩვენ გვქონდა ასეთი გამოცდილება, როდესაც მოვითხოვეთ კომპანია „არემჯის" ლიცენზიის პირობების შესრულების ანგარიში. არ მოგვცეს ეს ანგარიში და გვქონდა სასამართლო დავა. ორ წელიწად ნახევარი გრძელდებოდა ეს სასამართლო დავა, სააპელაციო სასამართლომ დაავალა სამინისტროს გამოეცალკევებინა გარემოს დაცვითი ინფორმაცია. სასამართლო განხილვის პერიოდში გამოჩნდა ასეთი სურათი, რომ ლიცენზიანტი ცდილობდა გარკვეული კომერციული ღირებულების მონაცემების დაფარვას. შესაძლოა მის ინტერესში არ ყოფილიყო მთლიანად დოკუმენტის დაფარვა, იმიტომ რომ ეს უკვე სასამართლომდე მივიდა, თორემ მანამდე ისიც არ იყო თანახმა, რომ დოკუმენტი გასაჯაროვებულიყო. ამ ორ წელიწად ნახევარიანი დავის შემდეგ შედგა ასეთი შეხვედრა და

გადმოგვცეს ეს ფურცელ-ფურცელ, უბრალოდ რაღაც ადგილები დაფარეს. ფაქტიურად სულ ორი მონაცემი იყო დაფარული. იმიტომ, რომ მისთვისაც სამი წლის შემდეგ უკვე ის დოკუმენტი არ შეიცავდა კომერციული ღირებულების მონაცემებს“.

მ.კოპალეიშვილი:“თქვენ ფიქრობთ, რომ საინფორმაციო ფონდში მოხვედრილი ინფორმაცია ნაწილი გონუვრულ ფარგლებში უნდა გამოცალკევდეს და გასაჯაროვდეს, მაგრამ ნარჩენი აუცილებლად კომერციული საიდუმლოების მატარებელია“?

ნ.გუჯარაიძე:“იქნება იქ აუცილებლად მონაცემები, რომელიც პირსითვის შესაძლოა კომერციული ღირებულების იყოს. ვთქვათ მოსაპოვებელი წიაღის მოსაპოვებელი რაოდენობა. ანუ რაც რიცხვებთან არის დაკავშირებული ოდენობები შესაძლოა გახდეს ლიცენზიანტისთვის კომერციული ღირებულების. თუმცა, ესეც ლიცენზიით ღიაა საბოლოო ჯამში“.

მ.კოპალეიშვილი:“კომერციული საიდუმლოების ბუნებაზე მინდა გკითხოთ, როდესაც საკითხი ეხება 29-ე მუხლით გათვალისწინებულ რეგულაციას, ანუ ის რაც სახელმწიფო საკუთრებაა. ეს სახელმწიფო საკუთრება რაც არის და ლიცენზიის ფარგლებში დროებით გადაცემული არის კერძო სუბიეტქზე, სახელმწიფო საკუთრება შეიძლება იყოს კომერციული საიდუმლოების მატარებელი ამ კონკრეტული პისათვის? სახელმწიფო საკუთრება წიაღის შესახებ, სახელმწიფო ფლობს რაღაც კონკრეტულ ინფრომაციას, რომ ამ ოდენობის წიაღი გააჩნია“.

ნ.გუჯარაიძე:“გაცემის მომენტში არავითარ შემთხვევაში. როდესაც უკვე მოპოვებაზეა საუბარი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ვთქვათ აქვს 1000 ტონის მოპოვების ნებართვა, მაგრამ ამ ეტპაზე ერთი თვის განმავლობაში მოპოვებული აქვს ვთქვათ არა სამასი, როგორც ეს გათვალისწინებული იყო, ვერ მოახერხა ამდენის მოპოვება და ნაკლები მოიპოვა და ეს შესაძლოა მის კონკურენტუნარიანობას ზღუდავდეს. ანუ როდესაც საუბარია უკვე მოპოვებული რესურსის, როდესაც საუბარია ანგარიშებზე წიაღით სარგებლობის პროცესში, ჯამური მონაცემი რა თქმა უნდა ვერ იქნება დაფარული“.

მ.კოპალეიშვილი:“თქვენი მოთხოვნის მოცულობა რა არის? 29-ე მუხლით გათვალისწინებული რეგულაციით, რომ გადაწყვიტეთ გაგესაჩივრებინათ თქვენი მოთხოვნის მოცულობა რა არის ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ? რას ითხოვთ ხოლმე, რომელიც თქვენ მიგაჩნიათ, რომ ყველა შემთხვევაში უნდა გადმოგეცეთ, რა მიგაჩნიათ თქვენ, რომ უნდა გადმოგეცეთ 29-ე მუხლის ფარგლებში? თუ 29-ე მუხლიდან გასულია ის რაც თქვენ უნდა გადმოგეცეთ და 29-ე მუხლი გზღუდავთ“?

ნ.გუჯარაიძე:“ეს არის ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება კონკრეტული ლიცენზიით სარგებლობისას გარემოზე და ადამიანებზე ზემომქედებას. ანუ, ჩვენს ინტერესში არ შედის კონკრეტული რესურსის მოპოვების ოდენობა“.

ლ.ფაფიაშვილი:"უკაცრავად დავაზუსტოთ, ახსნა-განმარტებისას თქვენ აპელირება გაკეთეთ სულ სხვა საკითხებზე. იქ ჩამოთვალეთ და მიუთითეთ ნორმა, რომელიც ითვალისწინებდა არა გარემოზე ზემოქმედების ეფექტს მოსახლეობისთვის, რასაც პირდაპირი ბმა შეიძლება ჯანმრთელობასთან ჰქონდეს, არამედ მათ შორის წიაღისეულის მოცულობასთან მიმართებით. ამიტომ დავსვით კითხვა- საინფორმაციო ფონდებში რა ინახება? და რა ინფორმაცია გჭირდებათ - მაინცდამაინც ის, თუ რამდენის მოპოვების უფლება აქვს კონკრეტულ ლიცენზიანტს? თუ რა ტექნიკური საშუალებები უნდა იქნას გამოყენებული, როგორია გავლენა და ა.შ."?

ნ.გუჯარაიძე:"ფონდებში არ არის დაცული მხოლოდ რაოდენობა და მხოლოდ აგებულობა. აქ არის დაცული ინფორმაცია, რომელიც განპირობებულია ზუსტად აი ამ აგებულებიდან და რაოდენობიდან გამომდინარე გარემოს ზემოქმედებას ასახავს. იქ არ არის კონკრეტული მშრალი ჩანაწერი, რომ აგებულება არის ასეთი და რაოდენობა არის ასეთი. მარაგის დამტკიცების შესახებ დოკუმენტი არის საკმაოდ ვრცელი და მარაგის დამტკიცების მიზანი არის სწორედ ის, რომ საბჭომ, რომელიც განიხილავს აი ამ მარაგების შესახებ დოკუმენტს განსაზღვროს რა არის რაციონალური, რა არის ოპტიმალური დონე რამდენად შეიძლება კონკრეტული საბადო იქნას ათვისებული. რა ტექნიკური შესაძლებლობებით და ა.შ.".

ლ.ფაფიაშვილი:"ამის განსაზღვრის მიზანი რა არის? ის, რომ ბუნებრივი რესურსების გამოყენების მართვა განხორციელდეს? თუ ასეთი ინფორმაციის მიზანი არის მათ შორის გარემოზე ზემოქმედების ღონისძიებების განხორციელება"?

ნ.გუჯარაიძე:"რაციონალური მართვა თავისთავად გულისხმობს, რომ გარემოზე ზემოქმედება უნდა იყოს მინიმუმამდე დაყვანილი".

ლ.ფაფიაშვილი:"რაციონალურ მართვასა და გარემოზე ზემოქმედებას შორის ასეთი პირდაპირი კავშირი საიდან ჩნდება? საიდან ხედავთ, რომ ეს არის პირდაპირი კავშირი? თუ იქ არ არის მითითება ტექნიკურ პარამეტრებზე, ექსპერტებზე, მეთოდოლოგიაზე, გამწმენდ ფილტრებთან დაკავშირებით და ა.შ".

ნ.გუჯარაიძე:"არის საუბარი ზუსტად ამას ვამბობ".

ლ.ფაფიაშვილი:"ჩვენც ამას გეკითხებით, რომ დეტალურად იქნებ გვითხრათ რა ინფორმაცია არის დაცული და რა ინფორმაციას ითხოვთ თქვენ? გამოდის, რომ თქვენთვის მნიშვნელოვანი არის მხოლოდ და მხოლოდ ის ინფორმაცია თუ საერთო მარაგებიდან გამომდინარე კონკრეტულ ლიცენზიანტს რა რაოდენობის წიაღისეულის მოპოვების შესაძლებლობა აქვს? და ამ მოპოვების შესრულების გეგმა რამდენად არის დაცული"?

მ.ტურავა:"რა მიზნის იღწევას ცდილობთ საბოლოოდ"?

გ.კვერენჩხილაძე:"სამი ინსტანცია გაიარეთ საერთო სასამართლოში, იქ რა იყო თქვენი მოთხოვნები აი ამ კონტექსტში? თან ისიც აგვიხსენით ეს „სახელმწიფო საინფორმაციო ფონდები" რა არის"?

ნ.გუჯარაიძე:"სახელმწიფო საინფორმაციო ფონდი ფიზიკურად არ არსებობს. ეს არის სააგენტოში დაცული ინფორმაცია. არ არსებობს მისი შედგენის წესი, არ არსებობს მასში ინფორმაციის შეტანის წესი. დაცავ შემოიფარგლება იმით, რომ 29-ე მუხლს იშველიებენ და გვეუბნებიან, რომ აქ შესული ინფორმაცია არ არის ჩვენთვის ხელმისაწვდომი. მაგრამ სად შესული ეს გაუგებარია".

ლ.ფაფიაშვილი:"თუ ხელმისაწვდომი არ არის ეს გასაგებია, მაგრამ რა ინფორმაცია უნდა იყოს აღრიცხული ეს არის სადმე რეგულირებული, გარდა წიაღის შესახებ კანონის"?

ნ.გუჯარაიძე:"არა ამის გარდა სხვაგან არ არის. ზოგადია და ძალიან ბევრი ინფორმაციის ზოგადში მოქცევის საშუალებას იძლევა. ანუ ეს არის კადასტრი, ბალანსი, ეს არის ლიცენზიის შესრულების ანგარიშების და თავისთავად ლიცენზიები. ცოტა უფრო გავშლი საკითხს, საბჭოთა პერიოდში სახელმწიფო თავად სწავლობდა წიაღს. ფაქტიურად დღეს გაცემული ლიცენზიების უმეტესობა ეყრდნობა ინფორმაციას, რომელიც სახელმწიფომ თვითონ შექმნა და ეს ინფორმაცია საჯაროა. ეს არ არის საზოგადოებისთვის დაფარული, მაგრამ საბჭოთა პერიოდის დასრულების შემდეგ სახელმწიფოს რადგან აღარ გააჩნდა რესურსები წიაღის თავად შესწავლისთის, გადაწყვიტა რომ ლიცენზიანს მისცეს ამის შესაძლებლობა, რომ თავისი სახსრებით შეისწავლოს ეს ინფორმაცია. რადგან ლიცენზიანტზე გადავიდა ეს ვალდებულება, თითქოსდა ამიტომ სახელმწიფომ ერთგვარი დაცვის მექანიზმები შეიმუშავა აიმისთის, რომ ლიცენზიანტი რადგან საკუთარ თანხას ხარჯავდა გარკვეულად ეს ინფორმაცია დაიხურა. სასამართლო განხილვაზე მაგალითად ლიცენზიანტმა თქვა, რომ შეიძლება იქ წარმოდგენილი ინფორმაცია არ იყოს კომერციული ღირებულების, მაგრამ მას შეუძლია ამ დოკუმენტის გაყიდვა. ეს სასამართლოს გადაწყვეტილებაშიც წერია, რომ ეს დოკუმენტი თვითონ არის ვაჭრობის საგანი. მაგრამ, რეალურად ამ დოკუმენტს არ აქვს არანაირი ღირებულება ლიცენზიის გარეშე. თუკი არ ფლობ წიაღით სარგებლობის უფლებას არანაირი ღირებულება ამ დოკუმენტს შენთვის არ აქვს. ამიტომ, ამ დოკუმენტის გასაჯაროებით ჩვენ არ ვთვლით, რომ ამ დოკუმენტის კომერციული ღირებულება ეცემა. იმიტომ, რომ თუკი ლიცენზიას ყიდი ლიცენზიასთან ერთად ყიდი ამ დოკუმენტსაც. ამიტომ არ მგონია, რომ კომერციული ღირებულება იკარგება ამ დოკუმენტის. თუმცა ამასთანავე ამ დოკუმენტში ასახულია ის ინფორმაცია, რომელსაც წესით სახელმწიფო თავად უნდა ადგენდეს".

მ.კოპალეიშვილი:"უკაცრავად ქ-ნო ნინო უნდა მოგცეთ მიმართულება. ასეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ თქვენ საკუთარ თავს ეწინააღმდეგებით და რა კუთხით. ერთი მხრივ ამბობთ, რომ კომერციული საიდუმლოების მატარებელია ეს ინფორმაცია და კომერციული

საიდუმლოების მატარებელი თუა იცავს მას კონსტიტუცია და იცავს მოქმედი კანონმდებლობა. ამდენად, თქვენ როდესაც ამბობთ, რომ კი ამ ინფორმაციაში არის კომერციული საიდუმლოება, ე.ი. მაშინ რაზე ვდაობთ? თუკი თქვენ თვითონაც მიგაჩნიათ, რომ ის რაც იქ არის კომერციული საიდუმლოება ამას იცავს პირველ რიგში კონსტიტუცია და პირდაპირ ამბობს 41-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელზეც თქვენ მიუთითებთ და იგივეს ამბობთ სხვა პარალელური კანონმდებლობა".

ლ.ფაფიაშვილი:"უკაცრავად ქ-ნო მაია ჩაგეჭრებით, მოსარჩელე მხარეს მინდა ვუთხრა, რომ რადგან პირველად იმყოფებით საკონსტიტუციო სასამართლოში შეიძლება ზოგიერთ კითხვებზე პასუხები ახლავე არ გქონდეთ. ამიტომ მოინიშნეთ ეს კითხვები და შეგიძლიათ თქვენს მარწმუნებელთან შეთანხმებით და პოზიციის შეჯერების შემდეგ, შესვენების შემდეგ გვიპასუხოთ ან მოგვიანებით წერილობით გამოგვიგზავნოთ".

ნ.გუჯარაიძე:"გასაგებია".

მ.კოპალეიშვილი:"კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუქნტიდან უნდა გამოვიდეთ. თქვენ ამბობთ, რომ ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს დმგომარეობის შესახებ. 41-ე მუხლი გვეუბნება, რომ საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებშ მასზე არსებულ ინფორმაციას, ესეც უნდა გვითხრათ 41-ე მუხლის რომელ ნაწილთან მიმართებით აყალიბებთ თქვენ მოთხოვნას? და იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. თქვენ მიგაჩნიათ, რომ ეს ამ კონკრეტულ საინფორმაციო ფონდებში თავმოყრილი ინფორმაცია მიუხედავად იმისა, რომ ის მოიპოვა რომელიღაც კერძო ლიცენზიანტმა. ორი მიმართულებით მინდა კითხვის დავსვა, ერთი თქვენს ლოგიკას, რომ დავეყრდნო თქვენ ამბობთ, რომ იქ მაინცდამაინც კომერციული საიდუმლოებაა და კომერციულ საიდუმლოებას კონსტიტუციის 41-ე მუხლი იცავს და ამბობს, რომ ოფიციალური დოკუმენტი შეიძლება იყოს, მაგრამ კომერციული თუა დაცულია. მეორე, თქვენ მიგაჩნიათ, რომ კომერციული საიდუმლოებაც უნდა გაიხსნას 37-ე მუხლის მე-5 პუქნტის ფარგლებში? თუკი გარემომცველი გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია იმდენად საჯარო მომეტებული ინტერესია, რომ შეიძლება ეს გახდეს კომერციული საიდუმლოების გახსნის საფუძველი? მომეტებული საჯარო ინეტერესის დროს შეიძლება სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციაც გაიხსნას, ოღონდ იმას დასაბუთება სჭირდება. თქვენ ამას ასე უყურებთ? თუ იქ არის ისეთი ინფორმაცია, რომელიც თქვენ აი ამ გარემომცველი გარემოს შესახებ გაძლევთ და უნდა გქონდეთ და ღია უნდა იყოს და ის იმავდროულად არ წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას? და ვერც იქნება ვერავის კომერციული საიდუმლოება? თუ ეს ყველაფერი ერთობლიობაში გაქვთ? ეს უნდა გვითხრათ ახლა თქვენ. თუ იქ გონივრულ ფარგლებში გამოცალკევებადი სახით უნდა იყოს წარმოდგენილი და იქ მართლაც შეიძლება რაღაც კომერციული იყოს. მაგალითად რამდენის რესურსი დავხარჯე კონკრეტული წიაღის

მოპოვებაზე. რა რესურსი დავხარჯე, იმ კონკრეტული წიაღის მოპოვების შედეგად რა დავგეგმე, ეკონომიკური გათვლა რამდენი მაქვს და რას მივიღებ. მაგრამ სხვა ისეთი საკითხები კიდევ რასაც თქვენ ამბობთ, რამდენად შესაბამისი ტექნიკა გამოვიყენე, იმდენად დაზიანდა არ დაზიანდა ქანები და ა.შ. ეს საკითხები უნდა ჩამოაყალიბოთ თქვენ, რაც თქვენი მოთხოვნის ფარგლებში ჯდება და რაც არ დააზიანებს სხვის ინტერესებს და სახელმწიფო ინტერესებს"?

ნ.გუჯარაიძე:"გასაგებია, რა თქმა უნდა ეს არის ინფორმაცია, რომელიც არის გარემოს შესახებ ინფორმაცია. ვინაიდან შეიცავს თუნდაც ინფორმაციას წიაღის აგებულების, რაოდენობის და ა.შ. ეს არის გარემო, გარემოს ნაწილია და უპირობოდ ეს არის გარემოს შესახებ ინფორმაცია და რა თქმა უნდა კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 ნაწილი არის პირდაპირ ამ ინფორმაციის მატარებელი. ამავდროულად ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ ასეთ დოკუმენტებში იყოს გარკვეული ტიპის კომერციული ღირებულების მონაცემები შეტანილი. თუმცა ამავდროულად ჩვენ ვიცით, რომ კომერციული ღირებულების ინფორმაციის გასაიდუმლოების წესი არსებობს. ის აუცილებლად უნდა გამოცალკევდეს დანარჩენი საჯარო ინტერესის მქონე ინფორმაციისგან და დაცული იყოს, როგორც კომერციული ინფორმაციის მფლობელის ინტერესი ასევე საჯარო ინტერესი. ჩვენ შეგვიძლია რადიკალურად ვთქვათ, რომ ეს არის გარემოს დაცვის შესახებ ინფორმაცია და უნდა იყოს ხელმისაწვდომი, თუმცა დიდი ხანია უკვე ამ საკითხთან დაკავშირებით ვიბრძვით და ვხვდებით, რომ იქ შეიძლება იყოს გარკვეული მონაცემები, რომლებიც არის კომერციული ღირებულების და უნდა იყოს გამოცალკევებული. არა მთლიანად ეს სფერო დახურული და მითუმეტეს გეოლოგიური ფონდი, რომელიც უამრავ ინფორმაციას შეიცავს, არამედ თვითონ დაადგინოს რა არის მისთვის კომერციული ღირებულების და არა საჯარო უწყებამ ტოტალურად გაასაიდუმლოოს მთლიანად სახელმწიფო მართვასთან დაკავშირებული მთლიანი ინფორმაცია, როგორც ეს ხდება ამ შემთხვევაში, არამედ იყოს გამოყენებული კომერციული ღირებულების კონკრეტული დაფარვის წესი. რომელიც თავისთავად გულისხმობს იმას, რომ საჯარო ინტერესიც დაცული იქნება და მისი ინტერესიც. მაგრამ, მთელი აი ამ დავის განმავლობაში ჩვენ იმას ვერ მივაღწიეთ, რომ სამინისტროს ეთქვა, რომ ეს არის კომერციული ღირებულების ინფორმაცია და ამიტომ არის დაფარული. ისინი ამბობენ, რომ ეს არის კანონით დადგენილი ნორმა. ეს არ გულისმობს არც სახელმწიფო, არც კომერციულ, არც პერსონალურ ინფორმაცია, ეს არის განსხვავებული შემთხვევა, რომელიც გულისხმობს რომ ყველა ინფორმაცია რაც ამ ფონდში შედის, რომელშიც არ ვიცით რა შედის, მაგრამ ზოგადი ინფორმაციიდან ყველაფრის შეტანა შეიძლება, პირდაპირ არის ჩანაწერი წიაღის სარგებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, ლიცენზიანტმა უნდა წარადგინოს იქ. რაც ლიზენციის ფარგლებში შეიქმნება ლიცენზიანტის მიერ ყველაფერი უნდა იყოს ამ ფონდში შეტანილი".

გ.კვერენჩხილაძე:"სად არის ჩანაწერი"?

ნ.გუჯარაიძე:"ეს ჩანაწერი არის „წიაღის შესახებ" კანონის 25-ე მუხლში".

გ.კვერენჩხილაძე:"არა მგონია ეს ჩანაწერი მთლად ეგ იყოს თქვენ რასაც ამბობთ".

ნ.გუჯარაიძე:"იმავდროულად წიაღის ყველა მოსარგებლე ვალდებულია წიაღის შესახებ მათ ხელთ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია უსასყიდლოდ გადასცეს წიაღის შესახებ ერთიან სახელმწიფო ფონდს. აი ამ ჩანაწერით ხელმძღვანელობენ და ყველა ინფორმაცია, რომელიც არსებობს, რომელიც კანონით უნდა შეიქმნას და არის კანონის მოთხოვნის შესრულების შესახებ ინფორმაცია, ეს არის გარემოს დაცვითი ინფორმაცია, რომლიე გასაიდუმლოება არის დაუშვებელი".

გ.კვერენჩხილაძე:"ქ-ნო ნინო თქვენ რასაც ამბობთ ამას მე ვერ ვკითხულობ 25-ე მუხლში".

ნ.გუჯარაიძე:"25-ე მუხლში საუბარია ბალანსზე და ბალანსი არის ფონდის ნაწილი".

გ.კვერენჩხილაძე:"ეს სადიან ვიცით"?

ნ.გუჯარაიძე:"ეს ვიცით 23-ე მუხლის თანახმად. 23-ე მუხლში აღწერილია ფონდებში რა შედის. ეს არის ობიექტების კადასტრი და სასარგებლო წიაღისეულის ბალანსი. ბალანსი კი უკვე მოიცავს ამას".

გ.კვერენჩხილაძე:"თქვენ კითხულობთ 23-ე მუხლს, სადაც საუბარია წიაღის შესახებ ერთიან სახელმწიფო ფონდზე. სადავო ნორმაში თქვენ რაც გაქვთ გასაჩივრებული საუბარია სახელმწიფო საინფორმაციო ფონდებზე. ეს წიაღის სახელმწიფო ფონდი ის საინფორმაციო ფონდია"?

ნ.გუჯარაიძე:"დიახ".

გ.კვერენჩხილაძე:"ეს თქვენი ლოგიკაა თუ კანონმდებელი გაძლევთ ამის თქმის საშუალებას"?

ნ.გუჯარაიძე:"სხვა განმარტება არ არსებობს და სამინისტრო ასე ხელმძღვანელობს".

ლ.ფაფიაშვილი:"ქრისტინე, იქნებ მოინიშნოთ და მოგვიანებით გვიპასუხოთ რა არის ეს საინფორმაციო ფონდები და მეორეს მხრივ რა ინფორმაცია იქნება შიგნით დაცული? როგორი არის მენეჯმენტი? დახურული, ღია, აღრიცხვიანობა, ვადა და ა.შ. რეგულირდება თუ არა? ასევე, სადავო ნორმა მოიცავს მხოლოდ და მხოლოდ იმას,რ აზეც აკეთებს აპელირებას მოსარჩელე? რა ოდენობა, ლიცენზიით გათვალისწინებული ოდენობები და ა.შ. თუ ამის მიღმა სხვა რაღაც შეიძლება იქნას დანახული"?

გ.კვერენჩხილაძე:"წიაღის სახელმწიფო ფონდი ის საინფორმაციო ფონდია, რაც სადავო ნორმაშია თუ არა"?

ნ.გუჯარაიძე:"მოვინიშნავ მაშინ ამ ყველაფერ და მოგვიანებით გიპასუხებთ. სიტყვაში განსხვავება არის ნამდვილად, თუმცა ფიზიკურად სხვა ფონდი არ არსებობს".

მ.კოპალეიშვილი:"ანუ სახელმწიფო ფონდი და საინფორმაციო ფონდი ერთი და იგივეა სამინისტროს განმარტებით"?

ნ.გუჯარაიძე:"დიახ".

გ.კვერენჩხილაძე:"მაშინ იქნებ გვითხრათ წიაღის ერთიანი სახელმწიფო ფონდის რაიმე რეგულაცია ნორმატიულ დონეზე არსებობს"?

ნ.გუჯარაიძე:"არ არსებობს. ეს არის ერთადერთი ჩანაწერი წიაღის შესახებ კანონში, რომელიც არსად სხვაგან არ მოიხსენიება".

მ.ტურავა:"ამ სახელმწიფო საინფორმაციო ფონდებში შეიძლება განსაკუთრებული ინფორმაცია შეიტანება და არა ყოველგვარი ინფორმაცია და ამ ინფორმაციის გაცემაზე არის სპეციალურად განსაკუთრებული წესი დადგენილი. არც სხვა ნორმატიული აქტი არ არსებობს,რ ომელიც ამ ნორმას ახსნა-განმარტებას უკეთებს"?

ნ.გუჯარაიძე:"არა".

მ.ტურავა:"უბრალოდ აიღეს და თქვეს, რომ ეს არის სახელმწიფო საინფორმაციო ფონდი და რაც უნდათ იმ ინფორმაციას ამ ფონდში შეიტანენ და ამის გაცემაზე ხდება უარის თქმა? თუ კონკრეტულად ნორმატიული აქტით, მინისტრის აქტის დონეზე თუნდაც ეს საკითხი არსად არ არის დაკონკრეტებული ხომ"?

ნ.გუჯარაიძე:"არა. არც ერთ სხვა აქტში არა თუ რეგულირება ფონდიც კი მოხსენიებული არ არის. გარდა ამისა თვითონ სიტყვა „ფონდი" არსად სხვაგან არ ფიგურირებს".

ლ.ფაფიაშვილი:"კარგით გასაგებია ქ-ნო ნინო. დაასრულეთ ახსნა-განმარტება, თუ დამატებითი კითხვები გვექნება დავსვამთ კითხვა-პასუხის რეჟიმში".

ი.მახათაძე:"მოპასუხე მხარის შემდეგ ჩვენ რაიმეს დამატების საშუალება გვექნება"?

ლ.ფაფიაშვილი:"რეგლამენტის მიხედვით ახლა ვიმყოფებით ახსნა-განმარტების ეტაპზე, შემდეგ უნდა მოვუსმინოთ მოპასუხე მხარეს. შემდეგ დაისმება კითხვები. ახლა დაასრულეთ თქვენ რისი თქმაც გნებავთ სასამართლოსთვის. შემდეგ მოვუსმენთ მოპასუხე მხარეს და ამის შემდეგ გადავალთ კითხვა-პასუხის ეტაპზე. თუკი თქვენ დამატებით რაიმე ინფორმაციის მოწოდება მოგესურვებათ თქვენ ამის შესაძლებლობა გაქვთ. სასამართლოს კითხვების შემდეგ მხარეებს გექნებათ ერთმანეთთან კითხვის დასმის შესაძლებლობა და სხდომა დასრულდება დასკვნითი სიტყვებით. დასკვნით სიტყვებში თქვენ შეგეძლებათ შეაჯამოთ თქვენი საბოლოო პოზიციები".

ნ.გუჯარაიძე:"გასაგებია. ერთადერთი მინდა კიდევ გავამახვილო ყურადღება იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ფონდებში დაცულია არამარტო მარაგის დადგენასთან დაკავშირებული დოკუმენტები და მთლიანად ეს პროცესი, მათ შორის საბჭოს რომელიც

კოლეგიური ორგანოა და მისი სხდომები ასევე არის დახურული. დახურულია ამ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ფორმდება შესაბამისი ოქმის სახით. აი ამ ოქმიდან ამონარიდი არის უკვე კონკრეტული ლიცენზიანტის გადაწყვეტილება, რომელიც მინისტრის ბრძანებით გადასცემენ უკვე ლიცენზიანტს. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანი არის ის, რომ დახურულია ლიცენზიით სარგებლობის შესახებ ანგარიშები. ეს არის ჩვენთვის განსაკუთრებული ღირებულების მქონე დოკუმენტი, ვინაიდან საზოგადოებრივი ზედამხედველობის არანაირ ბერკეტს აღარ გვიტოვებს ასეთი ინფორმაციის დახურვა. გარდა ამისა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასეთი ინფრომაციის ფლობა თვითონ ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რომელიც უშუალოდ ზემოქმედების ქვეშ არიან ამ წიაღით სარგებლობისას, მათ უნდა იცოდნენ ამ კონკრეტული დოკუმენტებით რა ვალდებულებები აქვს დაკისრებული. ლიცენზიაში კონკრეტული ვალდებულებები არ არის გაწერილი. იქ წერია, რომ უნდა იქნას კანონით დადგენილი მოთხოვნები შესრულებული. შემდეგში კი ბალანსის დამტკიცების დროს ხდება კონკრეტული საკითხების გათვალისწინება. თუ მაღაროა ასაშენებელი სად უნდა აშენდეს, როგორ უნდა აშენდეს, როგორ უნდა მხოდეს მისი ექსპლუატაცია. თუკი ღია კარიერული წესით უნდა იქნას მოპოვებული რა ტექნიკის გამოყენებით და ა.შ. ზუსტად ბალანსის დამტკიცების ეტაპზე ხდება ასეთი ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა და კონკრეტული ვალდებულებების გადაწერა. ამიტომ, ასეთი ინფორმაციის დახურვა საზოგადოებისთვის, რომელიც უშუალოდ ზემოქმედების ქვეშ არის ამ ლიცენზიით სარგებლობის დროს არის წარმოუდგენელი. ამის თქმა მინდა, რომ ფაქტიურად დახურულია როგორც გაცემის შემდგომი პროცესი და ბალანსის დამტკიცების, ასევე უკვე ანგარიშგების პროცესი. ამიტომ გამოდის, რომ სახელმწიფო მართვის მთელი სისტემა არის ტოტალურად დახურული“.

მ.ტურავა:“რაზეც თქვენ საუბრობთ, ტერმინი „ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ“ როგორც ღია ინფორმაცია, ეს კონსტიტუციური ტერმინი კონკრეტულად რას ნიშნავს ეს არ არის არსად კანონმდებლობაში და ნორმატიულ აქტებში გაწერილი“?

ნ.გუჯარაიძე:“კი როგორ არა. გარემოს შესახებ კანონში შევიდა ცვლილება ზუსტად აი ამ პერიოდში, როდესაც ჩვენ სარჩელი შემოვიტანეთ მას შემდეგ. კანონით განიმარტა თვითონ გარემო, რომელიც არის ბუნებრივი გარემოსა და ადამიანის მიერ სახეცვლილი გარემოს ერთობლიობა, რომელიც მოიცავს ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ ცოცხალ და არაცოცხალ, შენარჩუნებულ და ადამიანის მიერ სახეცვლილ ბუნებრივ ელემენტებს, ბუნებრივ და ანთროპოგენულ ლანდშაფტებს“.

მ.კოპალეიშვილი:“თქვენ აქედან იდენტიფიცირებას აკეთებთ, რომ რაც ამ ცნებაში არის აღნიშნული ეს ნიშნავს, რომ იმავდროულად გარემოს ეხება და უნდა იყოს ღია“?

ნ.გუჯარაიძე:“დიახ. მანამდე მხოლოდ ორჰუსის კონვენციის განმარტებას ვეყრდნობოდით, თუმცა ამჟამად უკვე კანონითაც არის ეს განმარტებული. ვთვლით, რომ აი ამ განმარყებაში

სრულად ექცევა წიაღის შესახებ ინფორმაცია და მოგეხსენებათ, რომ სახელმწიფო რეგულირება წიაღთან მიმართებაში დაკავშირებულია მხოლოდ ლიცენზირებასთან. აქ სხვა დონეზე წიაღის მართვა არ ხორციელდება და წიაღის შესახებ კანონშიც ამაზე არის მითითებული, რომ ეს არის ლიცენზირება, აღრიცხვა, რომელიც გულისხმოფს ინფორმაციის ფონდებში შეტანას და კონტროლი. ამიტომ გამოდის, რომ ფაქტიურად მთელი სახელმწიფო მართვის შესახებ ინფორმაცია, რომელიც თავს იყრის აი ამ ფონდებში არის ლიცენზიანტის საკუთრება და ამის გამო არის დაფარული საზოგადოებისათვის".

ლ.ფაფიაშვილი: "მადლობა. ქ-ნო ირმა თქვენ ხომ არ გსურთ რაიმეს დამატება"?

ი.მახათაძე:"ამ ეტაპზე არა".

ლ.ფაფაიშვილი:"მოპასუხე მხარეს ვთხოვთ წარმოადგინოს ახსნა-განმარტება".

გ.ჩიფჩიური:"მოგესალმებით, მე გახლავართ გიორგი ჩიფჩიური და წარმოგიდგენთ საქართველოს პარლამენტის პოზიციას №752 კონსტიტუციურ სარჩელთან დაკავშრებით. სანამ ახსნა-განმარტებას დავიწყებ პროცედურასთან დაკავშირებით მოგახსენებთ, ჯერ წარმოვადგენ ახსნა-განმარტებას და შემდეგ გაგცემთ პასუხს იმ მონიშნულ კითხვებზე, რომლებიც უკვე დაისვა სასამართლოს მიერ ჩვენს მიმართ".

ლ.ფაფიაშვილი:"თქვენ შეგიძლიათ დააინტეგრიროთ, კითხვებზე ყურადღებას გამახვილებინებთ იმიტომ, რომ ახსნა-განმარტების ფორმატში პირდაპირ გვიპასუხოთ. კითხვა-პასუხის რეჟიმი არა არის მაინცდამაინც აუცილებელი, ამიტომ თუ დააინტეგრირებთ შეიძლება უკეთესიც იყოს".

გ.ჩიფჩიური:"გასაგებია, თუმცა ამ კუთხით უფრო ორიენტირებული ვიქნებით სასარჩელო მოთხოვნის შესახებ ინფორმაციის მოწოდებაზე.

საქართველოს პარლამენტი არ ცნობს N752 სარჩელს, უფრო სწორედ იმ სასარჩელო მოთხოვნასაც, რომელიც შემორჩა ამ სარჩელიდან და თუ რატომ, ამას განვითარებულ მსჯელობაში მოგახსენებთ:

ვინაიდან N752 კონსტიტუციურ სარჩელში, დავის საგანს წარმოადგენს „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის სიტყვების - ***„დაუშვებელია სახელმწიფო საინფორმაციო ფონდებში შეტანილი ინფორმაციის გაცემა სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირზე ინფორმაციის მესაკუთრის თანხმობის გარეშე"*** კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტთან და 41-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, წარმოდგენილ არგუმენტაციაში თავდაპირველად გაანალიზებული იქნება გასაჩივრებული ჩანაწერი და შემდგომ მისი მიმართება ძირითადი კანონის 37-ე მუხლის მეხუთე და 41-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

1. **გასაჩივრებული ნორმატიული ჩანაწერის ანალიზი**

“წიაღის შესახებ” საქართველოს კანონის 29-ე მუხლის გასაჩივრებული ჩანაწერი **შეუძლებელია** განვიხილოთ “წიაღის შესახებ” კანონის 29-ე მუხლის მთლიანი ჩანაწერისგან განყენებულად. მისი არსებობის რაციონალურობის გასაანალიზებლად აუცილებელია ის შეფასდეს მთლიან ნორმასთან კონტექსტში და მხოლოდ ამის შემდგომ განისაზღვროს, თუ რატომ არის აუცილებელი, 29-ე მუხლით დაცული, **კონკრეტული სახის** ინფორმაციის გაცემამდე, მისი მესაკუთრის თანხმობა, რა სამართალურთიერთობას წარმოშობს ეს ჩანაწერი და თავისი არსით, რომელი სამართლებრივი სიკეთის დაცვას ემსახურება.

გასაჩივრებული ნორმატიული ჩანაწერი, პირველ რიგში უნდა განიმარტოს ნორმის “სისტემური განმარტების” მეთოდით. კერძოდ, განისაზღროს ის სამართლებრივი სივრცე, რომელშიც ნორმაა ჩამოყალიბებული და **აგრეთვე,** უნდა განისაზღვროს იმ სამართლებრივი ღირებულებების ერთობლიობა, რომლებიც გავლენას ახდენენ ნორმის შინაარსზე.

გასაჩივრებული ნორმატიული წინადება წარმოადგენს “წიაღის შესახებ” საქართველოს კანონის 29-ე მუხლის ნაწილს და ამავე მუხლთან ერთად მოქცეულია წიაღის შესახებ კანონის იმ თავში, რომლის სახელწოდებაცაა “სახელმწიფო მართვა” და ამაზე მოსარჩელე მხარემაც გააკეთა აპელირება. “წიაღის შესახებ” კანონის ამ თავში შემავალი ნორმები ადგენენ სახელმწიფოს პასუხისმგებლობას წიაღის დამუშავებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებში. სახელმწიფოს ერთ-ერთ ასეთ **სამართლებრივ პასუხისმგებლობას** კი გასაჩივრებული 29-ე მუხლის საფუძველზე, წარმოადგენს წიაღის დამმუშავებლისათვის **საკუთრების უფლების დაცვის** მყარი **გარანტიების** შექმნა, რაც არსებით კავშირში იქნება წიაღის დამმუშავებლის **მატერიალურ სარგებელთან.** რატომ მაინცდამაინც მატერიალურ სარგებელთან, - პირველ რიგში იმიტომ, რომ, წიაღი, მატერიალური კუთხით სარგებლის მიღების მიზნით მოიპოვება და მის მისაღებად გაწეულ **მძიმე შრომას** ალტრუისტულ და უანგარო საწყისებზე არავინ ახორციელებს. დღეს არსებული დისკურსი ნამდვილად არარაციონალური იქნება, თუ პროცესის მიმდინარეობისას ჩვენ, მცირე ხნით მაინც, **დავივიწყებთ** წიაღის დამუშავების გარდაუვალ და აუცილებელ საწყისს - **დამმუშავებლის მატერიალურ ინტერესს.**

წიაღის დამუშავების მატერიალური ინტერესი, კანონმდებლობის თანახმად, ვლინდება, ერთი მხრივ, წიაღის პირადი მოხმარების მიზნით დამუშავებაში, მეორე მხრივ, კი წიაღის დამუშავებით ეკონომიკური სარგებლის მიღებაში. გასაჩივრებული ჩანაწერი მიმართულია წიაღის, **ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით,** დამმუშავებლის ინტერესების დაცვისკენ, ვინაიდან ვინც პირადი მოხმარების მიზნით ამუშავებს წიაღს, მას წიაღის მარაგებისა და რესურსების შესახებ სრული ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება არ სჭირდება.

აქედან გამომდინარე, შემთხვევითი არ არის, რომ გასაჩივრებული ჩანაწერი სწორედ “წიაღის შესახებ” კანონის ხსენებულ მე-3 თავში მდებარეობს და გარდა ინფორმაციის მესაკუთრის კანონიერი უფლებების დაცვისა, აგრეთვე ქმნის მოპოვებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმს **თავად სახელმწიფოს** მხრიდან ჩარევის შემთხვევაშიც. კერძოდ, გასაჩივრებული

მუხლით, ასევე, დაცულია ის ინფორმაცია, რომელიც სახელმწიფოს გადაეცა ამავე კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის ჩანაწერის საფუძველზე.

"3. წიაღით ყველა მოსარგებლე ვალდებულია წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია გადასცეს ლიცენზიის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. იმავდროულად, წიაღით ყველა მოსარგებლე ვალდებულია წიაღის შესახებ მათ ხელთ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია უსასყიდლოდ გადასცეს წიაღის შესახებ ერთიან სახელმწიფო ფონდს."

ანუ სახელმწიფოს ამის შესახებ ინფორმაცია აქვს, საჯარო ინტერესი ამ მხრივ დაკმაყოფილებულია. ამასობაში გამოიკვეთა ნორმის განმარტების ტელეოლოგიური ნიშნებიც. გასაჩივრებული ჩანაწერის მიზანია ავტომატურად დაიცვას, წიაღის გეოლოგიური აგებულების, წიაღისეულის მარაგებისა და რესურსების, საბადოს დამუშავების სამთო-ტექნიკური პირობებისა და წიაღთან დაკავშირებული სხვა თვისებებისა ან პარამეტრების შესახებ არსებული **მხოლოდ ის ინფორმაცია,** რომელიც დაკავშირებულია მისი მომპოვებლის მიერ ხარჯების გაღებასთან, რადგან ეს ინფორმაცია არის არამატერიალური ქონებრივი სიკეთე მისი მომპოვებლისთვის, დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით. ამ ინფორმაციის განკარგვა, როგორც, მაგალითად, ნებისმიერი სხვა სახის ქონების, შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ მის მესაკუთრეს.

გასაჩივრებული ნორმით დაცული ინფორმაცია გარდა იმისა, რომ, როგორც ასეთი, სამყაროში ობიექტურად არ არსებობს და მისი მოპოვება მხოლოდ გარკვეული ხარჯების გაღების შემდგომ არის შესაძლებელი, ეს იმავდროულად წარმოადგენს კომერციულად ღირებულ ინფორმაციას და როგორც **ქონებრივი ღირებულების მქონე არამატერიალური ქონებრივი სიკეთე,** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლის საფუძველზე, **არის კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი,** რაზეც დამატებით, გასაჩივრებული ნორმის, ობიექტური მიზეზების გამო, დღეს არგანსახილველი ჩანაწერიც მიუთითებს, კერძოდ: (ციტირებ) *"შეიძლება წიაღისა და წიაღისეულის შესახებ გეოლოგიური ან სხვა სახის ინფორმაციის გაყიდვა ან შესყიდვა."* ეს ამავე მუხლის ის ჩანაწერია, რომელიც საოქმო ჩანაწერის მიხედვით დღეს არ განიხილება.

შუალედური დასკვნის სახით, უნდა აღინიშნოს, რომ თანხის გაღებით მოპოვებული, ბუნებაში **უფასოდ არარსებული** ინფორმაციის მიმართ, არსებობს მისი შემქმნელის უფლებრივი მდგომარეობის რეჟიმი, რასაც საკონსტიტუციო სასამართლო ვერ უარყოფს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული ნორმის გაუქმება და ამ ნორმით დაცული ინფორმაციის, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან გაცემის შესაძლებლობაზე დაყრდნობა, **კომერციულ ღირებულებას გამოაცლის სასყიდლით მოპოვებულ ინფორმაციას**, რაც გამოიწვევს **გაუმართლებელ ჩარევას,** აღნიშნული

ინფორმაციის მოსაპოვებლად, **ფულადი სახსრების გამღები** პირის კონსტიტუციურ, უფრო კონკრეტულად კი საკუთრების უფლების ჩარევაში.

აღნიშნული მსჯელობით მივდივართ იმის შეფასებამდე, თუ რატომ არის აუცილებელი ინფორმაციის მესაკუთრის წინასწარი თანხმობა, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ამ ინფორმაციის გაცემამდე.

აქვე ხაზგასასმელია, რომ წიაღის დამმუშავებლის მიერ მოპოვებული ინფორმაცია არ არის დაფარული სახელმწიფოსგან. წიაღის ინფორმაციის შესახებ საჯარო ინტერესები დაცულია, ვინაიდან "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის საფუძველზე წიაღთან დაკავშირებული ინფორმაციის მომპოვებელი, ვალდებულია ეს ინფორმაცია გააცნოს ლიცენზიის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. აგრეთვე, ეს ინფორმაცია უსასყიდლოდ უნდა გადასცეს წიაღის შესახებ ერთიან სახელმწიფო ფონდს.

ამ კონტექსტში საზოგადოების ინტერესი დაკმაყოფილებულია - მოპოვებული ინფორმაცია გადაცემულია ხელისუფლებაში საზოგადოების ლეგიტიმური წარმომადგენლებისთვის - ერთი მხრივ, ლიცენზიის გამცემი ორგანოს და მეორე მხრივ, წიაღის შესახებ ერთიანი სახელმწიფო ფონდისთვის.

მოსარჩელის მხრიდან აპელირება, რომ საჭირო არ არის ინფორმაციის ავტომატურად დაცვის მექანიზმი და აღნიშნული ინფორმაციის თითოეულ მომპოვებელს, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად აქვს უფლება კომერციულ საიდუმლოებად აქციოს ეს ინფორმაცია, ინფორმაციის შემქმნელისთვის ქმნის **სახელმწიფოსთან ურთიერთობის** დამატებით ფორმალურ ბარიერს. გასაჩივრებული ნორმა ინფორმაციის შემქმნელის მაღალი ლეგიტიმური ინტერესიდან გამომდინარე იცავს საკუთრების უფლებას მატერიალურად ღირებულ ქონებაზე და ქმნის სამართლებრივი უსაფრთხოების სტანდარტს, რომელიც თავისთავად გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს ზოგადი და საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ჩარჩო-პრინციპიდან.

რაც შეეხება იმის შეფასებას, თუ რატომ არის წიაღთან დაკავშირებული ინფორმაცია მისი მომპოვებლის კომერციული საქმიანობისთვის მნიშვნელოვანი და რატომ არ უნდა მოხდეს მისი გაცემა მისი მესაკუთრისგან დაუკითხავად, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ წიაღის მარაგების, რესურსებისა და პარამეტრების მონაცემების საფუძველზე, წიაღის დამმუშავებელი პირი შეიმუშავებს კონკრეტულ **ბიზნეს-გეგმას** ყოველ კონკრეტულ ურთიერთობაში და **ბიზნეს-გრაფიკს,** რომელიც მისი კომპანიის სტრატეგიული საქმიანობის განუყოფელი ნაწილია და ისეთივე კონფიდენციალურია, როგორც ამავე ინფორმაციაში შემავალი ცნობები წიაღის სამთო-ტექნიკური დამუშავების მეთოდების შესახებ.

ამრიგად, გასაჩივრებულ ნორმის ლეგიტიმური საჯარო მიზანია, შექმნას კონერციულად ღირებული ინფორმაციის მესაკუთრისთვის საკურების უფლების დაცვის გონივრული

მექანიზმი. ნორმით განსაზღვრული მოქმედებები გამოსადეგია დასახული მიზნის მისაღწევად და წარმოადგენს, დამატებითი ბარიერების შექმნის გარეშე არსებულ, მიზნის მიღწევის ყველაზე მარტივ მსუბუქ და ერთადერთ თანაზომიერ საშუალებას. დაცულია ურთიერთმიმართება მიზნის მიღწევის დადგენილ მექანიზმსა და დაცული სიკეთისათვის სამართლებრივი უსაფრთხოების გარანტიების შექმნას შორის.

მოცემული არგუმენტაციისა და მსჯელობის საფუძველზე, ობიეტურად უნდა შეფასდეს სარჩელი დაუსაბუთებლად და მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში მსჯელობისას, (1)მხედველობაში უნდა იყოს მიღებული როგორც, **კომერციულად ღირებული,** ინფორმაციის **მომპოვებლის** კონსტიტუციით აღიარებული და დაცული უფლებები, აგრეთვე, (2) **თავიდან უნდა იყოს აცილებული** ინფორმაციის მომპოვებლისთვის დამატებითი და სრულიად ფორმალური საკანონმდებლო ბარიერების შექმნა (3) უნდა გამოირიცხოს ასევე საკანონმდებლო "თეთრი ლაქების" წარმოშობა, რომლებსაც აღნიშნული ნომის გაუქმება გამოიწვევს, უფრო კონკრეტულად კი, სარჩელის დაკმაყოფილება მოახდენს საკუთრების უფლების დაცვის იმ მექანიზმის დერეგულირებას, რომელიც კომერციულად ღირებულ ინფორმაციას ავტომატურად დაცულს ხდის და ინფორმაციის მომპოვებელის მიერ გაწეული ხარჯების თანაზომიერ დაცვას ემსახურება, გარდა დროისა და ენერგიისა, რომელიც საჭიროა ამ ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ქცევისთვის.

რაც შეეხება აღნიშნული ნორმების მიმართებას საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველ და 37-ე მუხლის მე-5 პუნქტებთან მიმართებით, განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარ ე29-ე მუხლში დაცული ინფორმაცია არ წარმოადგეს საჯარო ინფორმაცია. თავისი არსით ის არის კერძო ინფორმაცია, რომელიც გადაცემული აქვს საჯარო ორგანოს, მკაფიოდ განსაზღვრული პირობებით. 41-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესბეულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო პრფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. 41-ე მუხლით დაცული უფლების სუბიექტები არიან საქართველოს მოქალაქეები, ხოლო ამ უფლებით დაცულ სიკეთეს წარმოადგენს ერთი მხრივ საქართველოს მოქალეებზე სახელმწიფო დაწესებულებაში არსებული ინფორმაცია და მეორე მხრივ სახელმწიფო დაწესებულებაში არსებული ოფიციალური დოკუმენტები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას. აღნიშნული მუხლით დაცულ ობიექტებს მხოლოდ ამ კონტექტსში რა კუთხითაც მოსარჩელე უკავშირებს 29-ე მუხლში გაწერილ ინფორმაციას, არ წარმოადგენს ამ მუხლით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს. რაც შეეხება საქართველოს კონსტიტუციით დაცულ 37-ე მუხლს ეს მუხლი იცავს თითოეული ადამიანისთვის უმნიშვნელოვანეს და ღირებულ სიკეთეს. ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნას და ქმნის ჯანმრთელობის დაცვის სამართლებრივ გარანტიებს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის აბსოლუტური

უფლება და მასში ჩარევა შესაძლებელია ე.წ. შიდა კონსტიტუციური ზღვრის საშუალებით, როდესაც კონსტიტუციის სხვა უფლების საფუძველზე შესაძლებელია მოხდეს ჩარევა ამ უფლებით დაცულ სფეროში. მაგრამ, ამის საჭიროება რამდენად არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს გადასაწყვეტია. ამ მუხლში ტელეოლოგიური და სისტემური განმარტების საფუძველზე უნდა მოვიაზროთ, რომ 37-ე მუხლის მე-3 პუნქტით დაცულია ის ინფორმაცია, რომელიც უშუალო კავშირშია ადამიანის ჯანმრთელობასთან. ამის გათვალისწინებით აპელირებული ინფორმაცია კვლავ არ წარმოადგენს კონსტიტუციის 37-ე მუხლით მე-3 პუნქტით განსაზღვრულ საჯარო და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მესამე პირების მიერ მოთხოვნის შემთხვევაში აუცილებლად გასაცემ ინფორმაციას. რაც შეეხება კონკრეტულ შეკითხვებს გიპასუხებთ, ფონდები რომლის შესახებაც არის გაწერილი „წიაღის შესახებ“ კანონის 29-ე მუხლში რეგულირდება ამავე კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე. ციტირებას მოვახდენ:“წიაღის შესახებ ერთიან სახელმწიფო ფონდს შეაგდენს საქართველოს ტერიტორიაზე, მის კონტინენტურ შელფზე, ტერიტორიულ წყლებსა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში არსებული წიაღი“. რაც შეეხება ამ ფონდის არსებობას, სად არსებობს და სად გროვდება ეს ინფორმაცია. ამ ფონდის რეგულირება უნდა მოხდეს მთავრობის დადგენილებით, მაგრამ ჯერჯერობით მთავრობას ეს დადგენილება მიღებული არ აქვს და ეს ინფორმაცია დღესდღეობით თავმყორილია გარემოს ეროვნულ სააგენტოში, რომელიც ახდენს ამ ინფორმაციის თავმოყრას და დაცვას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. საკანონმდებლო ხელისუფლებას ეს კომპეტენცია გადაცემული აქვს აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის და ეს დარეგულირება ჯერჯერობით მთავრობის მიერ არ მომხდარა“.

მ.ტურავა:“თქვენ დარწმუნებული ხართ გიორგი, რომ მე-3 და 29-ე მუხლში ეს სიტყვები ერთი და იგივე მნიშვნელობით გამოიყენება? მე როგორც ვკითხულობ მე-3 მუხლი არის ის მატერიალური სივრცე, როგორიც არის ქვეყნის ტერიტორია, შიდა სახელმწიფოებრივი წყლები და ა.შ. 29-ე მუხლში კი ცოტა განსხვავებულად წერია, რომ სახელმწიფო საინფორმაციო ფონდებში შეტანილი ინფორმაცია. შინაარსობრივ განსხვავებას ვგულისხმობ“.

გ.ჩიფჩიური:“ამ შემთხვევაში ამ ფონდების შესახებ რეგულირება არის მხოლოდ 29-ე მუხლში“.

მ.კოპალეიშვილი:“ბატონო გიორგი სახელმწიფო ფონდი არის ერთიანი აღრიცხვა, რაც აღნიშნა ჩემმა კოლეგებმა, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს არა მხოლოდ წიაღს, შეიძლება სხვა ბუნებრივ რესურსებსაც, რომელიც არის ტერიტორულ წყლებში, ეკონომიკურ ზონებში თუ ა.შ. რაღაც პერიოდის განმავლობაშ სახელმწიფოს შეიძება იქ სახელმწიფო საიდომლების ნაწილის ჰქონდეს, მაგრამ ის არ არის მთლიანად დახურული სფერო. იმიტომ, რომ იმ ნაწილში ის ლიცენზიებს იძლევა და ნებართვებს გასცემს. ანუ იმ ნაწილში რაშიც გასცემს ე.ი. ასაჯაროებს“.

ლ.ფაფიაშვილი:"ქრისტინე, თქვენთან მექნება თხოვნა მოგვიანებით დასკვნით სიტყვაში იქნებ მიუბრუნდეთ ამ კითხვებს და განმარტოთ, რა განსხვავებაა ფონდებსა და სადავო ნორმას შორის? რა მოიაზრება ფონდებში? ამ ორ ნორმას შორის როგორი ურთიერთობა არსებობს? იდენტურია, როგორც აღნიშნა ბატონმა გიორგიმ თუ არის მათ შორის რაიმე სხვაობა?

მოგვიანებით დავუბრუნდებით მოპასუხე მხარეს კითხვებით. მოსარჩელე მხარესთან თუ აქვს ჩემს კოლეგებს კითხვები, შეგიძლიათ დაუსვათ".

გ.კვერენჩხილაძე:"ქ-ნო ნინო, 29-ე მუხლს ვიზუალურადაც რომ შევხედოთ, პირველ აბზაცში მოცემულია ინფორმაცია წიაღის აგებულების და ა.შ. რაც შეეხება ბოლოხ, მე-4 აბზაცს აქ საუბარია სახელმწიფო საინფორმაციო ფონდებში შეტანილ ინფორმაციაზე. იდენტურია ნორმის პირველ ნაწილში და ნორმის ბოლო ნაწილში არსებული ინფორმაციები? პირველ ნაწილში რა ინფორმაციაზეც არის საუბარი ამ ინფორმაციის შეტანაზეა საუბარი"?

ნ.გუჯარაიძე:"არა მარტო, ასეთი ინფორმაციაც რა თქმა უნდა არის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი რომელიც არის. როგორც აღვნიშნე ეს არის მთლიანად ბალანსი და არის ლიცენზიით შესრულების ანგარიშები".

გ.კვერენჩხილაძე:"რას ეყრდნობა თქვენი ამგვარი ლოგიკა"?

ნ.გუჯარაიძე:"წიაღის შესახებ კანონის განმარტებას, 23-ე მუხლის თანახმად. სახელმწიფო საინფორმაციო ფონდი არის ის რაშიც შედის ინფორმაცია. რაც მე-3 მუხლით არის განმარტებული ეს არის რესურსის ერთობლიობა. ასეთი ფონდი არსებობს მაგალითად, „ტყის ფონდი", „წიაღის ფონდი". აღრიცხული, ბალანსზე აყვანილი წიაღის ერთობლიობა არის მე-3 მუხლით დადგენილი. საინფორმაციო ფონდებზე საუბარი არის 23-ე მუხლში, რომელშიც არის ჩამოთვლილი რა სახის ინფორმაცია არის".

გ.კვერენჩხილაძე:"დიახ, თუმცა იქ საუბარია წიაღის ერთიან სახელმწიფო ფონდზე, 29-ე მუხლში საუბარია სახელმწიფო საინფორმაციო ფონდებზე".

ნ.გუჯარაიძე:"ცოტა იერარქიულად არის ამ მუხლებში დალაგებული, მაგალითად 23-ე მუხლში".

გ.კვერენჩხილაძე:"ამას ვამბობ, რომ არ არის იქ სახელმწიფო საინფორმაციო ფონდი, იქ არის წიაღის შესახებ ერთიანი სახელმწიფო ფონდი. აი ამას ვკითხულობ, რომ წიაღის შესახებ ერთიანი სახელმწიფო ფონდი ეს იგივეა, რაც თქვენს მიერ გასაჩივრებულ ნორმაში სახელმწიფო საინფორმაციო ფონდი".

ნ.გუჯარაიძე:"ჩვენთვის ასე არის ეს განმარტება მოწოდებული".

გ.კვერენჩხილაძე:"წიაღის შესახებ ერთიანი ფონდი შედის თქვენს მიერ გასაჩივრებულ წინადადებაში მითითებულ ერთიან საინფორმაციო ფონდში"?

ნ.გუჯარაიძე:"ამის ნაწილიც არის რა თქმა უნდა".

მ.კოპალეიშვილი:"ქ-ნო ნინო, 23-ე მუხლში აღნიშნული „სახელმწიფო ფონდი", ეს სახელმწიფო ფონდი იდენტური შინაარსის მატარებელია, რაც 29-ში წერია „საინფორმაციო ფონდი""?

ნ.გუჯარაიძე:"დიახ".

მ.კოპალეიშვილი:"კანონმდებელი ერთი და იგივე შინაარსისთვის ცნების მისანიჭებლად ორ სხვადასხვა ტერმინს იყენებს? ერთ შემთხვევაში 29-ე მუხლში საინფორმაციო ფონდს უწოდებს და მ23-ე მუხლში სახელმწიფო ფონდს? მოპასუხე მხარესაც ვთხოვ გააკეთოს ამაზე მოგვიანებით განმარტება".

ნ.გუჯარაიძე:"დიახ ასეა. ამ კანონში ბევრი ცდომილებაა ასეთი განმარტებითი. ძალიან ძველი კანონია".

გ.კვერენჩხილაძე:"თუ თქვენ ამბობთ, რომ წიაღის შესახებ ერთიანი სახელმწიფო ფონდი საინფორმაციო ფონდიც არის, მაშინ ბატონი მერაბისგან მოპასუხისადმი არც მთლად არასწორად იყო დასმული შეკითხვა. ეს წიაღის ერთიანი სახელმწიფო ფონდი მე-3 მუხლში განმარტებულია როგორც ოქრო, ნავთობი, გაზი. რაღაც ნივთიერებები და სახელმწიფოს საინფორმაციო ფონდში შეტანილი ინფორმაცია ეს არის"?

ნ.გუჯარაიძე:"23-ე მუხლის მე-2 პუნქტში წერია, რომ წიაღის შესახებ ერთიანი სახელმწიფო ფონდი აწარმოებ წიაღით სარგებლობის ყველა ობიექტის კადასტრს და სასარგებლო წიაღისეულის ბალანსს".

მ.კოპალეიშვილი:"უნდა მივცეთ ჩვენ დიფერენცირება ამ ცნებებს რაღაცნარიად. მოპასუხე მხარესაც მიმერათება ეს კითხვა, 29-ე მუხლის შინაარსი ავტონომიური შინაარსის მატარებელი ხომ არ არის? 29-ე მუხლი თავად ჩამოთვლის იმ ინფორმაციებს, რომელიც ინფორმაციული შინაარსის მატარებელიაა და შემდეგ ბოლო წინადადებაში ამბობს, რომ ეს ინფორმაცია მესაკუთრეს მეკუთვნის. 29-ე მუხლის პირველივე აბზაცი ჩამოთვლის, რომ ინფორმაცია წიაღის გეოლოგიური აგებულების, წიაღისეულის მარაგებისა და რესურსების და ა.შ. რასაც ჩამოთვლის ამბობს, რომ წარმოადგენს ამ სუბიექტის საკუთრებას. ხოლო ბოლო წინადადებაში შეჰყავს საინფორმაციო ფონდებში ეს ინფორმაცია. ანუ ეს საინფორმაციო ფონდი ხომ არ არის ის რაც 29-ე მუხლში არის მხოლოდ? ის სხვა ამბავია ადმინისტრირების დონეზე როგორ აკეთებს ამას კონკრეტული უწყება და როგორ ახდენს სწორ ადმინისტრირებას ამ ფონდების და სახელწოდებების და კონკრეტული სუბიექტები როდესაც მიმართავთ რას გეუბნებათ. მაგრამ, კანონმდებლის ნებიდან რომ ამოვიდეთ,

თავად ეს საინფორმაციო ფონდი აქვე ხომ არ არის მხოლდო 29-ე მუხლში? და ხომ არ გვეუბნება, რომ საინფორმაციო ფონდი არის ის, რაც 29-ე მუხლში ჩამონათვლის სახით არის და ეს ექცევა აი ამ საინფორმაციო ფონდში. არა ზოგადად ფაქტობრივი გარემოება რა წიაღისეულს ფლობს სახელმწიფო, ან რა მოცულობით ფლობს, არამედ ეს რასაც აკეთებს თავად ფიზიკური პირი. ინფორმაცია წიაღის გეოლოგიური აგებულების, ანუ რაც კვლევის შედეგად გაარკვია. წიაღისეულის მარაგების და რესურსების საბადოს დამშავების სამთო-ტექნიკუის პირობებისა და სხვა თვისებების ან პარამეტრების შესახებ წარმოადგენს ამ სუბიექტის საკუთრებას. შეიქმნა ეს ინფორმაცია, რომელიც კონკრეტული პირის მონაწილეობით შეიქმნა, მან დახარჯა სხვადასხვა რესურსი და ეს ინფორმაცია შემდეგ შეიტანა საინფორმაციო ფონდში. აი ამ საინფორმაციო ფონდში შედის მხოლოდ ეს ინფორმაცია, ასე არ შეიძება ეს რომ გაგებული იყოს“?

ნ.გუჯარაიძე:“პრაქტიკულად ასე არ ხდება. საინფორმაციო ფონდი ცალკე დამოუკიდებლად არ არსებობს“.

მ.კოპალეიშვილი:“გასაგებია, რომ არსებობს. თავად კანონმდებელი რას შეიძება მოიაზრებდეს ამ საინფორმცაიო ფონდში? მაინცდამაინც 23-ე მუხლში აღნიშნულ სახელმწიფო ფონდს ემთხვევა ეს მართლაც, როგორც თქვენ განგიმარტავთ სამინისტრო? მოპასუხესაც ჰქონდა მცდელობა იდენტურ ცნებებად წარმოედგინა ეს ორი ცნება. ეს მართლაც შეიძლება ასე ვიფიქროთ? 29-ე მუხლის საინფორმაციო ფონდი არის სახელმწიფო ფონდი? კანონმდებელი მართლაც ასე „მეამიტურად“ მოექცა ამ საკითხს, რომ სხვადასხვა ტერმინები გამოიყენა ერთი და იგივე შინაარსის გადმოსაცემად“?

ნ.გუჯარაიძე:“იყო ასეთი პრობლემა საინფორმაციო ფონდებთან დაკავშირებით წლების განმავლობაში. თავის დროზე იყო ჩანაწერი „საფინანსო ფონდები“ ჩანაწერი და დიდ გაურკვევლობას იწვევდა, რაც მალევე გასწორდა. ჩვენ რა შეხებაც გვქონია და ეს ზუსტად ემთხვევა იმ განმარტებას, რომელიც 23-ე მუხლში არის, ჩვენ გვაქვს ინფორმაციის მოპოვების პრობლემა მარაგებთან დაკავშირებული ინფორმაციის. მთელი დავა მიმდინარეობდა მარაგების კომისიის საქმიანობასთან“.

მ.კოპალეიშვილი:“მარაგებთან დაკავშირებულ ინფორმაციას არც დღეს არ გასცემენ“?

ნ.გუჯარაიძე:“არა“.

გ.კვერენჩხილაძე:“თქვენ საერთო სასამართლოში რა გაასაჩვრეთ და უარი რაზე გეთქვათ? კონკრეტულად რას ითხოვდით და რას ასაჩივრებდით“?

ნ.გუჯარაიძე:“ჩვენ ვითხოვდით მარაგების დათვლის კომისიის სხდომაზე განხილული დოკუმენტების გადმოცემას. ეს არის სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია, რომელსაც ბალანსზე აჰყავს ან ჩამოწერს საბადოს“.

გ.კვერენჩხილაძე:"ეს გასაგებია, მაგრამ თქვენ სასამართლოს რას თხოვდით"?

ნ.გუჯარაიძე:"ამას ვამბობ, ეს არის კომისიის მიერ განხილული დოკუმენტები და მიღებული გადაწყვეტილება".

მ.კოპალეიშვილი:"ქ-ნო ნინო უნდა დავაზუსტოთ თქვენი მოთხოვნის ფარგლები. ანუ თქვენ ითხოვდით მარაგების კომისიის მიერ დადგენილ დასკვნებს და ითხოვდით ასევე ბალანსთან დაკავშირებულ საკითხებს"?

ნ.გუჯარაიძე:"არა, განხილულ დოკუმენტებს და მიღებულ გადაწყვეტილებებს".

მ.კოპალეიშვილი:"თქვენ მიგაჩნიათ, რომ ეს საკითხები უნდა იყოს ღია და შესაბამისი უწყება გეუბნებოდათ 29-ე მუხლის მოშველიებით, რომ ეს არის საინფორმაციო ბანკში ავტომატურად შესული ინფორმაცია და ამიტომ არის დახურული, ხომ"?

ნ.გუჯარაიძე:"დიახ".

მ.კოპალეიშვილი:"მოპასუხე მხარესაც შეეხება ჩემი ეს კითხვა, 29-ე მუხლის ამბობს რა შედის საინფორმაციო ფონდში. საინფორმაციო ფონდში შედის ის, რაც ჩამონათვალია, რომელსაც აკეთებს ფიზიკური პირი. რაც შეეხება მარაგების კომისიას ქმნის სახელმწიფო ორგანო, რომელშიც მონაწილეობს სახელმწიფო ორგანოს მიერ შემქნილი კომისიის წევრები. ანუ ეს არის სახელმწიფოს საჯარო ინტერესი, რომ მარაგებთან დაკავშირებული საკითხები გაარკვიოს და შემდეგ ის შეიტანოს სწორედ 23-ე მუხლით გათვალისწინებულ სახელმწიფო ფონდში და მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ერთიან ფონდში. აქედან გამომდინარე, რამდენად მიგაჩნიათ თქვენ, რომ ეს შეიძლება იყოს ერთი და იგივე მუხლით საპასუხო საკითხი? როდესაც თქვენ ითხოვთ საჯარო ინფორმაციას, მარაგების კომისიის სხდომაზე რა საკითხები იყო განხილული და ამ საკითხებზე რა გადაწყვეტილება მიირეს და ვინ როგორი აზრი გამოთქვა და სახელმწიფომ რა გადაწყვეტილება მიიღო. ეს კომისია დამოუკიდებელი ორგანო ხომ არ არის, მისი გადაწყვეტილებები შემდეგ ქვეყნდება მინისტრის ხელმოწერით. აქედან გამომდინარე, ამ გადაწყვეტილებებს გრიფით საიდუმლო ადევს? საიდუმლოების რა კოდის მატარებელია ასეთი გადაწყვეტილებები? არის თუ არა ეს ის საკითხი, რომ თქვენ მაინცდამაინც 29-ე მუხლით უნდა გიპასუხოთ უწყებამ? ანუ 29-ე მუხლი შეეხება ერთი კონკრეტული ფიზიკური პირის ლიცენზიანტის მიერ წარმოებულ საკითხებს, რომელიც ინფორმაციის დონეზე არის გადამუშავებული შემდეგ და ამ დროს მარაგების კომისია არის საჯარო სამართლებრივი ფუნქცია კონკრეტული უწყების, რომელიც თავისი საჯარო სამართლებრივი ფუნქციის დასახმარებლად და უკეთესი რეალიზაციისთვის ქმნის კომისიას. ფორმდება შემდეგ ეს გადაწყვეტილება მინისტრის ხელმოწერით, თქვენ მიგაჩნიათ, რომ ეს ერთი და იგივე საკითხია, რაც 29-ე მუხლში ჩამონათვალია და რაც მარაგებშია?

მოპასუხე მხარეს მივმართავ, ეს არის თუ არა ერთი და იგივე ინფორმაცია და ერთი და იგივე პასუხებით უნდა მიდიოდეს თუ არა ეს საკითხები? როდესაც დაინტერესებული მხარე ითხოვს საჯარო ინფორმაციას ადმინისტრაციული ორგანოსაგან არის თუ არა ეს საჯარო ინფორმაცია? და თუ არ არის საჯარო ინფორმაცია საიდუმლოების რომელ სახეს განეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შექმნილი ინფორმაცია? ეს არის კი ის კომერციული ინფორმაცია, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27[1]-ე მუხლში არის? ადმინისტრაციულ ორგანოს შეიძლება ჰქონდეს თუ არა საკუთარი კომერციული საიდუმლოება და ეს რამდენად არის სხვისი კომერციული ინფორმაცია, რასაც ის იქ ამუშავებს? ეს არის თუ არა მარაგების კომისიის სხოდმაზე განსახილველი საკითხები, იმავდროულად 29-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციები "?

ნ.გუჯარაიძე:"ზანმარტებას გავაკეთებ სასამართლო გადაწყვეტილებაშიც არის აღნიშნული, როდესაც ჩვენ არ მოგვცეს ინფორმაცია, მივმართეთ ზუსტად აი ამ კითხით, რომ რა ტიპის ინფორმაცია არის ეს, რომელსაც ჩვენ არ გადმოგვცემენ. პასუხი იყო, რომ ეს იყო კანონით განსაზღვრული შემთხვევა და სწორედ ამიტომ არ გადმოგვეცემოდა ჩვენ ე ინფორმაცია. ზუსტად იმიტომ, რომ არ ვეთანხმებოდით ამას და შეუძლებელია სახელმწიფო უწყებათა შორის კომისიის მიერ შექმნილი დოკუმენტი, ანუ მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები, მათ მიერ გამოტანილი დასკვნა შეიძლება იყოს ლიცენზიანტის მიერ შექმნილი, მისაი ხარჯებით".

მ.კოპალეიშვილი:"ამ დღის წესრიგში შეიძლება შედიოდეს თავად ამ ლიცენზიანტის მიერ შექმნილი ინფორმაციის განხილვა? ამის საფუძველზე შეიძლება ხდებოდეს, რომ სახელმწიფო მსჯელობდეს იმ კონკრეტული პირის მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე მარაგში შეიყვანოს თუ არა"?

ნ.გუჯარაიძე:"დიახ, ზუსტად ეს არის".

მ.კოპალეიშვილი:"ანუ ლიცენზიას გასცემს სახელმწიფო ისე, რომ არ იცის იქ წიაღი არის თუ არა? და შემდეგ მსჯელობს რასაც ის დაამუშავებს შეიტანოს ეროვნულ ფონდში? მოპასუხე მხარესაც ვეკითხები, რეალურად ეს ასე ხდება? ანუ გაიცემა რაღაც არარსებულზე ლიცენზია, ამუშავებს შემდეგ ის კონკრეტული პირი და შეიძლება შემდეგ ან შეიტანონ ან არა? ვინ აკონტროლებს ამას"?

ნ.გუჯარაიძე:"ეს ორი შემთხვევაა, რასაც ეს კომისია განიხილავს ბალანსის ანგარიშებს. ეს არის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიები, ანუ ზუსტად იმ შემთხვევში როდესაც არ იცის სახელმწიფომ ზუსტად რა მარაგია ასეთ შემთხვევაში გაიცემა შესწავლა-მოპოვების ლიცენზი. შეისწავლის ლიცენზიანტი და მის მიერ შესწავლილის საფუძველზე ზუსტდება ბალანსი. ერთი არის ეს შემთხვევა და მეორე შემთხვევა არის, როდესაც მოპოვების დროს აღმოჩნდება, რომ იქ არის უფრო მეტი რესურსი ვიდრე ლიცენზიით მას აქვს მინიჭებული

მოპოვების უფლება. ამ შემთხვევაში კომისიამ უნდა იმსჯელოს რამდენად არის რაციონალური, რომ მისცეს დამატებით ასეთი რესურსის მოპოვების უფლება“.

მ.კოპალეიშვილი:“ანუ გამოდის, რომ მარაგების კომისიის სხდომაზე გადის კონკრეტული პირის მიერ მოპოვებული ინფორმაციის განხილვა. აქედან გამომდინარე, რადგანაც განხილვა ხდება და 29-ე მუხლი ამ ინფორმაციას იცავს, ამიტომ შესაბამისად კომისია რა გადაწყვეტილებასაც მიიღებს ეს ასევე უნდა იყოს დახურული“?

ნ.გუჯარაიძე:“დიახ, ლოგიკა ეს არის“.

მ.კოპალეიშვილი:“ამ კომისიაზე ყველა შემთხვევაში მხოლოდ ასეთი ინფორმაციები გადის, რაც კერძო პირმა 29-ე მუხლის ფარგლებში მოიპოვა“?

ნ.გუჯარაიძე:“ამ ინფორმაციაში გადის ბალანსთან დაკავშირებული ინფორმაცია მხოლოდ. ბალანსის შექმნისთვის, მაგრამ ბალანსის შესახებ ინფორმაციისთვის შემქნილი დოკუმენტი არის სრულად გარემოს დაცვიდან. გარემოს დაცვის შესახებ ინფორმაციაა სრულად. რამდენად არის იქ რესურსი და რამდენად არის უსაფრთხო ამ რესურსის მოპოვება“.

მ.კოპალეიშვილი:“მოსარჩელეს შეიძლება ამაზე ნაკლებად ჰქონდეს ინფორმაცია, მაგრამ მოპასუხე მხარეს უნდა ჰქონდეს. აი ამ მარაგების კომისიის სხდომებზე დღის წესრიგად გადის მხოლოდ ეს საკითხი რასაც ამბობს მოსარჩელე მხარე? ანუ კონკრეტულად 29-ე მუხლის ფარგლებში ფიზიკური პირის მიერ მოპოვებული ინფორმაცია, მისი დამუშავება ხდება და ამ დამუშავების შედეგად ხდება გადაწყვეტილების მიღება? თუ ამ კომისიის სხდომაზე მარაგების საკითხს რადგან ეხება სახელმწიფოში და სახელმწიფო საკუთრებას რადგან ეხება საკითხი, გადის თუ არა სხვა საკითხებიც, რომელიც არ არის დაკავშირებული 29-ე მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციასთან? ანუ კონკრეტული ფიზიკური პირის მიერ მოპოვებულ და დამუშავებულ ინფორმაციებთან“?

ნ.გუჯარაიძე:“მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის დებულება განსაზღვრავს რისთვის არსებობს ეს კომისია. თუ ნახავთ პირველი მუხლის მე-4 პუნქტს ეს არის კომისიის ამოცანა, ყველა სახის სასარგებლო წიაღისეულის (ნავთობის და გაზის გარდა) მარაგების გამოთვლისთვის მოპოვებული გეოლოგიური ინფორმაციის შემოწმება, მარაგების დამტკიცების და ჩამოწერის მიზნით დასკვნის შემუშავება და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრისათვის წარდგენა“.

გ.კვერენჩხილაძე:“ქ-ნო ნინო თუ შეიძლება დასკვნითი სიტყვისთვის აქცენტი გააკეთოთ 29-ე მუხლის თქვენს მიერ გასაჩივრებული ინფორმაცია რა მიმართებაშია იგივე 29-ე მუხლის პირველ პუნქტში ნახსენებ ინფორმაციასთან მიმართებით? ასევე, ხომ არ არის იმგვარი მიდგომა, რომ ეს ინფორმაცია რაც ჩამოთვლილია 29-ე მუხლში და ამ მუხლის დასახელებას, რომ მივაქციოთ ყურადღება, წიაღთან დაკავშირებული ინფორმაცია წამროადგენს იმ სუბიექტის საკუთრებას, რომლის სახსრებითაც არის იგი მოპოვებული. როგორ მიგაჩნიათ

თქვენ ნებისმიერ პირს უნდა ჰქონდეს უფასოდ, უსასყიდლოდ ამ ინფორმაციის გამოთხოვის უფლება? ეს არის საჯარო ინფორმაცია? წარმოიდგინეთ ასეთი შემთხვევა, თქვენ გააკეთეთ კვლევა, ეს კვლევა თანხებთან არის დაკავშირებული, გაქვთ ეს ინფორმაცია, წარადგინეთ და ვიღაცასთან აწარმოებთ მოლაპარაკებას ამ ინფორმაციის მიყიდვის თაობაზე და ამ დროს მიმართეთ თხოვნით, რომ მოგაწოდონ ეს ინფორმაცია. ამას რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს თუ თქვენ ამ ინფორმაციას აიღებთ? მოპასუხესაც მიემართება ეს კითხვა და ასევე მაინტერესებს, თქვენ როგორადაც დახატეთ სურათი, ეს იმას ხომ არ ნიშნავს რომ წიაღის თაობაზე ინფორმაციას საერთოდ ვერავინ ვერასოდეს ვერ მიიღებს? იქნებ 29-ე მუხლთან პარალელით დაგვიხასიათოთ წიაღის თაობაზე ინფორმაცია“?

მ.ტურავა:“ქ-ნო ნინო მე თქვენ გკითხეთ 37-ე მუხლის ტერმინოლოგიაზე, ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. მე მაინტერესებდა კანონმდებლობაში ამის ახსნა-განმარტება თუ არსებობდა და თქვენ მიმითითეთ გარემოს დაცვის შესახებ კანონის მე-4 მუხლზე. მე როგორც ვხედავ და როგორც კანონმდებელმა ეს გააკეთა იქ მოცემული არის გარემოს განმარტება და არა გარემოს მდგომარეობის შესახებ განმარტება. მოპასუხე მხარემ თავისი გამოსვლისას ასეთი რაღაც თქვა, რომ კონსტიტუციით კი არ წერია გარემოს შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, არამედ 37-ე მუხლის მე-5 პუნქტში წერია ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ, რომლის მიღება უნდა იყოს შესაძლებელი, ღია, არ უნდა იყოს დახურული. მაგრამ, ეს ეხება იმგვარ ინფორმაციას, რომელიც არის დაკავშირებული საზოგადოების, ადამიანების ჯანმრთელობასთან, სხვადასხვა საფრთხის წყაროების არსებობასთან და ა.შ. რაც შეეხება 29-ე მუხლს აქ არის მოცემული არა ის რაც წერია 37-ე მუხლში, არამედ იქ წერია რომ ეს არის ინფორმაცია, რომელიც არის კონკრეტული პიროვნების, ფიზიკური პირის, თუ იურიდიული პირის საკუთრება, რომელიც არ უნდა იყოს სხვა იურდიული პირებისთვის და ფიზიკური პირებისთვის გადაცემული. 37-ე მუხლში ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ და რაც მე-4 მუხლში არის მოცემული ტერმინთა განმარტებაში გარემოსთან დაკავშირებით, ამ ცნების იდენტური შინაარსი იგულისხმება ამაში? ის რაც ტელეოლოგიური განმარტება და სხვები დაასახლა ბატონმა გიორგიმ 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის წაკითხვისას, ამასთან დაკავშირებით მაინტერესებს თქვენი პოზიცია. მართლაც ასე შეზღუდულია 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის შინაარსი? თუ იგულისხმება ყველანაირი ინფორმაცია, რაც 29-მუხლში, 23-ე მუხლში და ა.შ. არის მოცემული? ბატონი გიორგი ამბობს, რომ კანონმდებლის ნება კონსტიტუციის დონეზე იყო, რომ საზოგადოებისთვის ყოფილიყო ხელმისაწვდომი მხოლოდ ჯანმრთელობისათვის და სხვაგვარი საფრთხის შემცველი ინფორმაციები გარემოს შესახებ და არა ყოველგვარი ინფორმაცია, რაც ჩამოთვლილია 23-ე და 29-ე მუხლებში“.

ნ.გუჯარაიძე:“დავიწყებ იმ მომენტიდან, როდესაც საუბარია ინფორმაციია საკუთრებაზე. ამ შემთხვევაში არა მგონია ეს სადავო იყოს, შეიძლება ის მისი თანხებით იყოს მოპოვებული. ზუსტად იდენტური მდგომარეობაა ტყით სარგებლობასთან დაკავშირებით, იქაც ხდება

შესწავლა წინასწარ. ეს არის კანონით დადგენილი მოთხოვნის შესრულება, კანონით დადგენილი ვალდებულებსი შესრულება. ეს მას ევალება და ეს არ არის მისი კეთილი ნებით შესრულებული დოკუმენტი. ეს არ არის ბიზნეს გეგმა. ეს არის არსებული მარაგის შესახებ ინფორმაცია, რომელიც უნდა გახდეს შემდგომში მოპოვების საფუძველი. ეს არის რის მოპოვების უფლება მაქვს, ამის შესახებ ინფორმაცია. რაც შეეხება გაყიდვის მომენტს, თქვენ აღნიშნეთ რომ შეიძლება მას გაყიდვა უნდოდეს, ამ ინფორმაციის გაყიდვა ლიცენზიის გარეშე არავისთვის ღირებული არ არის. თუკი არ გაქვს ლიცენზია ამ დოკუმენტის ფლობა პირს არაფერს არ აძლევს. ამიტომ ლიცენზიის ფასის დადება ყოველთვის ხდება ამ დოკუმენტთან ერთად. ამიტომ, ამ დოკუმენტის საჯაროობა არანაირად არ აგდებს ქვევით ლიცენზიის ფასს“.

გ.კვერენჩხილაძე:“შეიძლება ინფორმაცია მქონდეს, მე გადავიხადე რაღაც თანხა, ჩემს საკუთრებაში იყოს და სულ აარ ვაპირებდეს 5, 10, 15 წელი ლიცენზიის აღებას. არ შეიძლება ასეთი რამ“?

ნ.გუჯარაიძე:“არა. ეს არის შესწავლა-მოპოვების ლიცენზია. მარტო შესწავლისთის ლიცენზია არ არის. ეს არ არის იმისთვის, რომ ვიღაცამ ფული დახარჯოს იმისთვის რომ სახელმწიფოს ფუქნცია შეასრულა და მიყიდოს ვიღაცას ეს ინფორმაცია. ეს არის ლიცენზიაზე მიბმული ინფორმაცია, რომელსაც ღირებულება აქვს ლიცენზიასთან ერთად“.

მ.ტურავა:“პირმა, რომელმაც შეისწავლა და ამ შესწავლის შედეგად რამე ისეთი ინფორმაცია კი არ იკვეთება, რომელიც მომავალში ეკოლოგიურ კატასროფებს გამოიწვევს, ან ადამიანთა ჯანმრთელობის დაზიანებას და ამ ინფორმაციას კი არა მალავს, არამედ ინფორმაცია მოიპოვა გარკვეული რაოდენობების ეკონომიკური, კომერციული პერსპექტივების შესახებ. მას არ უნდა იგივე კომერციული მიზნებიდან გამომდინარე, რომ ეს ინფორმაცია იყოს საყოველთაოდ ცნობილი. შეიძლება თვითონ რაღაც ინვესტიციებს და გზებს ეძებს იმისათვის, რომ ეკონომიურად მისი საწარმო გამდიდრდეს. ამ დროს მას ხომ არ აქვს ვალდებულება მხოლოდ იმისა და სახელმწიფოს ხომ არ აქვს ვალდებულება მხოლოდ იმისა, რომ რაც საშიშია ამის შესახებ გახადოს თქვენნაირი უფლებადამცველი ორგანიზაციებისათვის ცნობილი? რაც შეეხება კომერციულ დეტალებს და ნიუანსებს რაც შეისწავლა ამ პირმა, ეს რომ გახდეს ასევე ცნობილი თქვენთვის, ესეც არის ასევე 37-ე მუხლიდან გამომდინარე? ან 37-ე მუხლში ნაგულისხმევი? და ზოგადად უნდა ექვემდებარებოდეს თუ არა ღიაობას“?

ნ.გუჯარაიძე:“არის შემთხვევები, როდესაც საჭიროა ასეთი ინფორმაციის ღიაობა. ზუსტად გარემოს შესახებ კანონში შესული განმარტებები ამას გულისხმობს. ზოგჯერ გარემოს დაცვის შესახებ ინფორმაცია მოიცავს კონკრეტული გეგმების, პროგრამების, აგრეთვე ფინანსური ხარჯების და გათვლების შესახებ ინფორმაციის საჯაროობის საჭიროებას“.

მ.ტურავა:“ეს თქვენთვისაც უნდა იყოს ცნობილი“?

ნ.გუჯარაიძე:"რა თქმა უნდა, ვგულისხმობ საჯარო ინფორმაციას".

მ.ტურავა:"მე ვამბობ კერძო სუბიექტის მიერ გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია სახელმწიფომ თქვენც უნდა მოგაწოდოთ? იმ შემთხვევაშიც თუკი არავითარი საფრთხის შემცველი მონაცემები არ იკვეთება"?

ნ.გუჯარაიძე:"დიახ. საფრთხეზე მინდა ვისაუბრო, ადამიანის გარემოში ჩარევა ნებისმიერ შემთხვევაში იწვევა გარემოს ცვლილებებს. არ არის აუცილებელი ვისაუბროთ რადიაციულ დაბინძურებაზე. კლიმატის ცვლილებას უწყობს თუნდაც ხელს ადამიანის ზემოქმედება ბუნებაზე და შესაბამისად კლიმატის ცვლილება უკვა გვიბრუნდება".

მ.კოპალეიშვილი:"მაგალითად, წიაღით სარგებლობის დროს მოჭრა ნახევარი მთა, ხომ"?

ნ.გუჯარაიძე:"დიახ და ეს არის ძალიან დიდი ზემოქმედება. ეს არის მარაგების შესახებ ინფორმაციაში წარმოდგენილი ტექნიკური საშუალება მოპოვების. ტექნიკურად ასე მოხდება მოპოვება. ანუ გვერდზე ადამიანი მთის იქეთ, რომ ცხოვრობს იმან უნდა იცოდეს, რომ პერსპექტივაში ეს მთა მოიჭრება".

მ.ტურავა:"უნდა იცოდეს, მე ამას ეჭვქვეშ კი არ ვაყენებ, მაგრამ მაინტერესებს რატომ უნდა იცოდეს თუკი რაიმე საფრთხის შემცველი არ არის? ამ შესწავლებისა და გამოკვლევების შედეგად თუ დადგინდა, რომ ამით არავითარი ცვლილებები გარესამყაროში არ მოხდება, მაშინაც უნდა იცოდეს მთის იქეთ მცხოვრებმა ეს ინფორმაცია"?

ნ.გუჯარაიძე:"საფრთხის განმარტება ცოტა სხვანაირია. საფრთხე ერთი ადამიანისთვის შეიძლება არსებობდეს, მეორესთვის შეიძლება არ არსებობდეს. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება თუნდაც მტვერის დონის აწევა, ასტმით დაავადებული ადამიანისთვის შეიძლება სასიკვდილო იყო, ყველა დანარჩენისთვის არაფრის მანიშნებელი არ იყოს. ამიტომ არის გარემოს დაცვის სისტემა შექმნილი ზოგადად, რომ ეს ზემოქმედებები უნდა იქნას შეფასებული, განხილული. ამიტომ არსებობს ასეთი ინფორმაციის საჯაროოს პროცედურა. მარტო საჯარო უწყება ამ ვალდებულებას თავის თავზე ვერ იღებს".

ლ.ფაფიაშვილი:"ის რაზეც თქვენ საუბრობთ, ეს რამდენად არის ამ სადავო ნორმატიულ აქტში? ეს გარემოს დაცვის კანონმდებლობით ხომ არ არის დარეგულირებული"?

ნ.გუჯარაიძე:"წიაღის შესახებ კანონი რა თქმა უნდა არის გარემოს დაცვის კანონმდებლობის ნაწილი. იქ თავმყორილია რესურსის მართვასთან დაკავშირებული ინფორმაცია".

ლ.ფაფიაშვილი:"გასაგებია, რომ სპეციალური ნორმატიული აქტია სპეციალურ ობიექტთან მიმართებით. მაგრამ, სტანდარტები რომლებიც დადგენილია ზოგად ნორმატიულ აქტში გარემოს დაცვის შესახებ, ისინი ვრცელდება თუ არა ავტომატურად წიაღის მოპოვების რეგულირებასთან მიმართებით? ანუ, ინფორმაციის საჯაროობა, როგორი წესით უნდა მოხდეს ამის აღრიცხვიანობა და ა.შ. ის ზოგადი სტანდარტები ვრცელდება ამ წიაღთან

მიმართებითაც? თქვენ აკეთებთ აპელირებას, რომ მათ შორის ნეგატიური ეფექტი რაც შეიძლება გამოვიწვიოთ წიაღის მოპოვებით, ტექნოლოგიურ პროცესებზე აპელირებით, ეს უნდა იყოს ცნობილი და საჯარო. მაგრამ, ამ ინფორმაციის საჯაროობა სად არის მოცემული? იმ ნორმატიულ აქტში თუ ამ ნორმატიულ ატქში“?

ნ.გუჯარაიძე:“ზარემოს დაცვის შესახებ კანონი ამბობს, რომ ეს არის ინფორმაცია გარემოს შესახებ“.

ლ.ფაფიაშვილი:“კი ბატონო, მაგრამ თქვენ რაზეც აკეთებდით აპელირებას და ნორმებიც მოიყვანეთ, იქ საუბარია მათ შორის წიაღის მოცულობასთან მიმართებით. რა ტიპის არის, რა რაოდენობით უნდა დამუშავდეს და ა.შ. იმ ნორმატიულ აქტსა და ამ ნორმატიულ აქტს შორის ბმა როგორია? თუ ეს ნორმატიული აქტი მხოლოდ და მხოლოდ იმას არეგულირებს რა მოცულობაზე უნდა იყოს ნებართვა გაცემული, როგორი ტიპის დამუშავება უნდა იქნას გათვალისწინებული მათ შორის ლიცენზიის პირობებით და ა.შ. მაშინ გადაფარვა სად არის“?

ნ.გუჯარაიძე:“გადაფარვა ზუსტად არის იმაში თუ რა რაოდენობის რესურსი უნდა იყოს მოპოვებული და რა ტიპის. მაგალითად, ოქროს მოპოვებას სულ სხვა ზემოქმედება აქვს, სპილინძის მოპოვებას სულ სხვა ზემოქმედება აქვს და საბადო ერთად არის. ამიტომ ზემოქმედება ორივე რესურსის მოპოვებას აქვს აბოლუტურად განსხვავებული. შეიძლება ერთ ადგილზე ხდებოდეს მაღაროს მშენებლობა და ზუსტად ამ დროს ხდება განსაზღვრა მაღარო აშენდება თუ ღია კარიერული წესით ხდება. ამიტომ, ზემოქმედება აბსოლუტურად განსხვავებულია და შესაბამისად ეს ზემოქმედებაც აღწერილია. ზუსტად აი ამას წყვეტს ბალანსის დამტკიცებისას საბჭო, რამდენად შეიძლება აი ასეთი შემოთავაზებული წესით და რაოდენობით ამ რესურსის მოპოვება. ამაზეა ამ საბჭოზე მსჯელობა და გადაწყვეტილებაც შესაბამისად ამის შესახებ არის. თუ რა რაოდენობის რესურსი, რა წესით, სად შეიძლება იყოს მოპოვებული. არ გამოვრიცხავთ, რომ იქ შეიძლება იყოს კონკრეტული მონაცემი, რომელიც შეიძლება იყოს კომერციული ღირებულების მატარებელი და ლიცენზიანტს სურდეს ამის დაფარვა. მაგრამ, ის კონკრეტული მონაცემი უნდა იყოს გამოცალკევებული მთელი ამ გარემოს დაცვითი ინფორმაციის მასისგან, რომელიც მიყოლებულა აი ამ მუხლის გამო და არის სრულიად გასაიდუმლოებული“.

მ.კოპალეიშვილი:“ქ-ნო ნინო უკვე გამოიკვეთა თქვენი მოთხოვნის კონტურები. ანუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ ისეთი ინფორმაცია რომელიც სახელმწიფო მართვის შესახებ ინფორმაციას შეიძლება მოიცავდეს, ანუ სახელმწიფომ რა ღონისძიებები და რა გადაწყვეტები დაადგინა შემდეგ 29-ე მუხლით გათვალისიწინებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად მარაგების კომისიის სხდომაზე, უნდა იყოს ღია“?

ნ.გუჯარაიძე:“დიახ“.

მ.კოპალეიშვილი: "რა მიდგომები შეიძება დაადგინოს, როდესაც ინფორმაციას წარმოადგენს კერძო პირი. იტყვის, რომ დაამუშავა კონკრეტული კვადრატული მეტრი ამ ტექნიკით, ამ დროს 29-ე მუხლი ამბობს, რომ სამთო-ტექნიკური პირობები და სხვა თვისებები და აპრამეტრების შესახებ ინფორმაცია გასაიდუმლოებულია თურმე და ის კიდევ ამბობს, რომ ან მოუწონებს ან არ მოუწონებს. მაგრამ, რადგანაც მისი თანხა არის გადახდილი, არ მოწონების შემთხვევაში და არ გაზიარების შემთხვევაშიც ეს ინფორმაცია იხურება ასე ჩანს ამ ნორმიდან. ფაქტობრივად გადის ხარჯის ნაწილზე. რა მოლოდინი შეიძლება იყოს სახელმწიფოს აი ამ მარაგების კომისიისაგან? თუნდაც რაიმე სიახლე და განსხვავებული შეიძლება დაადგინოს ვიდრე ამ ინფორმაციაში სთავაზობს მას ლიცენზიანტი? თუ მიუხედავად იმისა, რომ ის რასაც აქ სთავაზობს ამ ჩამონათვალში, აი ამ ჩამონათვალიდან უნდა მოხდეს მაინც გამოხშირვა გარკვეული ინფორმაციის? თანხობრივი მომენტი, ის რომ სახელმწიფომ მას მიანიჭა რაღაც უფლებამოსილება, რომ მისი თანხით ემუშავა, ეს იმავდროულად გულისხმობს თუ არა იმას, რომ მისი თნხით შესრულებული ინფორმაცია აპრიორი დახურული უნდა იყოს 29-ე მუხლის ფარგლებში"?

ნ.გუჯარაიძე:"ნებისმიერი ინფორმაცია ნებართვის მფლობელები, ლიცენზიის მფლობელების, ნებისმიერი ინფორმაციის მაძიებლის და წარმდგენის არის მისი ხარჯებით შესრულებული. ზოგს დიდი თანხა უჯდება, ზოგს ნაკლები. ასე გამოდის, რომ სამინისტროში რა ინფორმაციაც შედის ყველაფერი ვიღაცის საკუთრებაა. მაგალითად, ტყის კადასტრის შედგენისთვის აერო ფოტო გადაღებების გაკეთება უწევდ, რაც კოლოსალურ თანხებთან არის დაკავშირებული და საველე სამუშაოები არის უამრავი განსახორციელებელი. ამიტომ, რატომ არის წიაღთან ასე სპეციფიურად ასეთი დახურვა ინფორმაციის არ ვიცით. თუმცა ჩვენ ამაში ძალიან დიდი საფრთხეებს ვხედავთ და ზუსტად ამ საკითხის განხილვა".

მ.კოპალეიშვილი: "ბოდიში გაგაწყვეტინოთ უნდა, მოპასუხე მხარესთან მაქვს ასეთი კითხვა, თქვენ არ გამოგიკვეთიათ საჯარო ინტერესი. რა საჯარო ინეტერესია 29-ე მუხლით დადგენილი რეგულაციის? არც საჯარო ინტერესი გამოგიკვეთავთ და არც ის არ გითქვამთ, რომ კონკრეტულ კონსტიტუციით გათვალისწინებულ ნორმებში ჩარევა ხდება თუ არა საერთოდ? და ასევე არ გამოგიკვეთავთ ეს ჩარევა არის თუ არა პროპორციული? თუ არის პროპორციული რატომ არის? პირველ რიგში მოპასუხე მხარეს ეს ევალება ჩამოაყალიბოს. მიმართება განმწესრიგებელი სხდომის ფორმატში დადგენილია უკვე. ე.ი. სასამართლოს ეჭვი აქვს, რომ არსებობს მიმარტება და ჩარევის სავარაუდო შემთხვევა. თქვენ უნდა დაგესაბუთებინათ ახლა ახსნა-განმარტების ეტაპზე, ეს ჩარევა მართლაც არის თუ არა და თუ არის რა ლეგიტიმურ მიზნებს ემსახურება? და რა პროპორციულობის ტესტი შეგიძლიათ, რომ აქ გვითხრათ? მოინიშნეთ და მოგვიანებით მიპასუხეთ".

ნ.გუჯარაიძე: "მარაგებთან დაკავშირებით მოგახსენებთ. დებულებაში არის გაწერილი კომისიის შემადგენლობაც. ეს არიან კონკრეტული დარგის სპეციალისტები, ცალკე გარემოს

დაცვის კუთხით, მიყენებული ზიანის იდენტიფიცირებისთვის, ცალკე გეოლოგები, წიაღის სპეციალისტები. ეს არ არის ფორმალურად, მინისტრებისგან ან მოადგილეებისგან შემქნილი უწყება, რომელიც მიღებულ დოკუმენტს ბეჭედს ასვამს. აქ ხდება დეტალური განხილვა წარდგენილი დოკუმენტების და შემდგომში უკვე გადაწყვეტილების მიღება. ეს არ არის, რომ იქედან ამოჭრილი ინფორმაცია ავტომატურად გადადის სადმე. კომისია მსჯელობს ამის შესახებ და დგება შესაბამისი ოქმი გადაწყვეტილების თაობაზე. ამიტომ, ვთვლით რომ ოქმი და მიღებული გადაწყვეტილება ნებისმიერ შემთხვევაში უნდა იყოს საჯარო“.

მ.კოპალეიშვილი: ‘ჩემი კითხვა შეეხება 29-ე მუხლში შეიძლება თუ არა გამოიხშიროს ისეთი ინფორმაცია, რომელიც თვალხილულად ჩამონათვალში შეიძლება არ ზის, მაგრამ იმის უკან იკითხება და შემდეგ უკვე დაფარვა ხდება. და რომელიც თქვენ მიგაჩნიათ, რომ აუცილებლად ღია უნდა იყოს გარემომცველი გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის კონტექსტში. საზოგადოება გარემომცველი გარემოს შესახებ ფლობდეს ინფრომაციას, აი ამ კონტექსტში აუცილებლად ღია რომ უნდა იყოს რა ინფორმაცია იკვეთება 29-ე მუხლში? ჩამონათვალში შეიძლება არ იყოს, მაგრამ შესაძლოა მის უკან ფიქსირდებოდეს“.

ნ.გუჯარაიძე: ‘დიახ, ეს არის მოსაპოვებელი რესურსის შესახებ ინფორმაცია. ეს არის ჯამური ოდენობა, ანუ რა ოდენობის რესურსის მოპოვება მოხდება. სად მოხდება, რა ტექნოლოგიების გამოყენებით“.

მ.კოპალეშვილი: ‘საერთაშორისო დოკუმენტებით, საერთაშორისო მიდგომებით და ორჰუსის კონვენციის მიდგომიდან გამომდინარე მიგაჩნიათ, რომ ეს ის ინფორმაციაა, რომელიც საჯარო და ღია უნდა იყოს“?

ნ.გუჯარაიძე:“დიახ. გარდა ამისა რატომ ვფიქრობთ, რომ წარდგენილი დოკუმენტებიც უნდა იყოს განხილული და საჯარო, მიუხედავად იმისა რომ ის თანხებით არის შეძენილი. ეს არის ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც იღებს საჯარო უწყება გადაწყვეტილებას“.

მ.კოპალეიშვილი:“აპრიორი გულისხმობს თუ არა იმას, რომ დახურული უნდა იყოს კონკრეტული პირის მიერ მოპოვებული ინფორმაცია, იმის გამო რომ მან ამაში თანხა გადაიხადა“.

ნ.გუჯარაიძე:“არ უნდა იყოს და გარდა ამისა საკითხი დგება წარდგენილი და განხილული დოკუმენტების სანდოობასთან დაკავშირებით. ლიცენზიანტი ყოველთვის დაინტერესებულია მაქსიმალურად დიდი რაოდენობის რესურსის მოპოვებისკენ და ნაკლებად აღელვებს გარემოს დაცვითი ღონისძიებები. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია საჯარო იყოს საბჭომ რის საფუძველზე, როგორ გააკეთა, ბალანსი როგორ გააკეთა, როგორ უზრუნველყო რაციონალური სარგებლობა და ა.შ. ეს უნდა იყოს საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი. იმიტომ, რომ არის ძალიან დიდი რისკი კორუფციული გარიგებეის და ზუსტად გასულ წესლ იყო შემთხვევა, როდესაც აი ამ კომისიის წევრი ქრთამის აღებისთვის

დაიჭირე. ეს ინფორმაცია საჯარო გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ ლიცენზიანტმა თვითონ დაასმინა ქრთამის ამღები. იმის გამო, რომ ეს პროცესი არის მთლიანად დახურული, ჩვენ არანაირი მექანიზმი არ გვრჩება“.

მ.კოპალეიშვილი:“29-ე მუხლით გათვალისწინებულ რეგულაციის ფარგლებში, როდესაც ვთქვათ ის მოიცავს ისეთ ინფორმაციასაც, რომელიც ყველა შემთხვევაში შეიძება იყოს საჯარო ინტერესის სფერო და ემსახურება თუ არა კონსტიტუციურ პრინციპს, რაც 41-ე და 37-ე მუხლშია განთავსებული“?

ნ.გუჯარაიძე:“მარტივი ლოგიკით რომ ვიხელმძღვანელოთ, მე მოვამზადე ინფორმაცია, მე დავხარჯე ამაში თანხები ჩემი სურვილით, იმ შემთხვევაში როგორც კი ეს ინფორმაცია შედის საჯარო უწყებაში ის ავტომატურად ხდება საჯარო ინფორმაცია. თუკიმე არ ვთქვი, რომ ეს არის ჩემი კომერციული ინფორმაცია და უწყებამ არ დამეთანხმა ამის შესახებ, რომ ნამდვილად კომერციული საიდუმლოებაა ეს“.

მ.ტურავა:“29-ე მუხლის სტრუქტურას და შინაარსს რომ ვუყურებ, ზუსტად კომერციის გარშემო ხომ არ ტრიალებს? წიაღის მარაგი, რესურსები და ა.შ.? მართალია ჩვენ მიმარტება დავინახეთ 29-ე მუხლის კონსტიტუციის 37-ე მუხლთან, კითხვის ნიშნის ქვეშ კი არ ვსვამ ამ საკითხს, მაგრამ აქ რაც წერია კომერციალიზაციასთან ხომ არ არის დაკავშირებული? ეს კომერციული საკითხები ხომ არ არის დაფარული და მისი გადაცემა იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის ხომ არ არის აკრძალული? მაგალითად ზესტაფონის შემთხვევა, რომ ავიღოთ, კონსტიტუციის 37-ე მუხლიდან გამომდინარე ყველას აქვს უფლება ვინც გაივლის, გამოივლის და ცხოვრობს იცოდეს ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. არ შეიძლება თუნდაც კომერციული მიზნებისათვის ეს ნივთიერებები ისუნთქონ ადამიანებმა და ეს ინფორმაცია არ გაუმჟღავნო. ეს არის ზუსტად ზესტაფონის სიტუაცია გარემოს მდგომარეობის შესხებ ინფორმაცია. იგივე ზესტაფონში, თუ სხვა წითელი შროშას მადნეული და ა.შ. ეს უფრო კომერციაში ხომ არ გადადის? ამიტომ ხომ არ გაბედა კანონმდებელმა და გადადგა ეს ნაბიჯი? თორემ კანონმდებელმაც ხომ იცოდა, რომ 37-ე მუხლი არსებობდა. თუმცა, თქვენ ამბობთ რომ ეს არ არის მარტო ამასთან დაკავშირებული“.

<u>ნ.გუჯარაიძე:</u>“როდესაც ვსაუბრობთ ბალანსზე ლიცენზიანტი ამოწმებს, აღწერს გარემოს შესახებ არსებულ მდგომარეობას. აღწერს თავის მდგომარეობას თუ რამდენის მოპოვება სურს. შეისწავლა და წარმოადგენს რა რესურსი არსებობს და წარმოადგენს უკვე მოსალოდნელ ეფექტს, რომ მის მიერ მოპოვებული რესურსის შედეგად გარემოს დაემართება ესა და ეს. აი ამაზეა მსჯელობა. შემდეგ უკვე მარაგების კომისია მსჯელობს რამდენად ღირს ამდენი რესურსის მოპოვეის ფასად გარემოსთვის ასეთი ზიანის მიყენება“.

მ.ტურავა:“თუ ჩათვლიან, რომ ამით ზიანი დგება მაშინ უარყოფითად გადაწყვეტენ. მაგრამ, თუ ჩათვალა რომ ამით არავითარი ზიანი არ დგება ეკოლოგიური მაშინ თანხმობას აძლევს ხომ“?

ნ.გუჯარაიძე:"დიახ. თანხმობას აძლევს რაზე, რომ ამ რაოდენობის რესურსზე, ამ ტიპით, ამ ტექნოლოგიებით ლიცენზიის მოპოვების შესახებ".

მ.ტურავა:"ამის შემდეგ ეს შეიტანება სახელმწიფო საინფორმაციო ფონდში და შესაბამისად უკვე იწყებს კომერციულ საქმიანობას კერძო, ფიზიკური, იურიდიული პირი. ის რა ინფორმაციაც შეიტანეს და შეიტანეს ალბათ მხოლოდ მაშინ როდესაც საფრთხე არ დაინახეს, ესეც უნდა იყოს 37-ე მუხლიდან გამომდინარე ყველასთვის ხელმისაწვდომი"?

ნ.გუჯარაიძე:"ეს არის საქმიანობა, რომელზეც სახელმწიფომ მისცა ნებართვა ლიცენზიანტს. საფრთხე არ დაემუქრა ასეთი შემთხვევა არ არსებობს. საფრთხე ყოველთვის ემუქრება, უბრალოდ ხდება დაბალანსება. ვთქვათ ეკონომიკური სარგებელი იმდენია, რომ ამას მოვითმენ. ან პირიქით სახელმწიფო გაწევს კონკრეტულ ღონისძიებებს და რაღაცნაირად დააბალანსებს ამას. ის შემთხვევა, როდესაც საფრთხე არ ემუქრება წიაღის მოპოვების ეს შემთხვევა ბუნებაში არ არსებობს. ამიტომ არის ზუსტად განსაზღვრული, რომ საკუთარი სარგებლობისთის მოპოვება მაგალიად ეზოში ჭის ამოთხრა არ ექვემდებარება ლიცენზირებას, იმიტომ რომ იქ ზემოქმედება არ არის. ლიცენზია სწორედ ამას გულისხმობს, რომ ზემოქმედება ყოველთვის არის, ხიფათი ყოველთვის არის".

მ.ტურავა:"ჩვენ მხოლოდ იმის უფლება ხომ არ გვაქვს, რომ ვიცოდეთ არის თუ არის საფრთხე? რა ეკონომიკურ სარგებელს მოვიტანთ, რა რაოდენობის წიაღისეულს მოვიპოვებ ამ ჩემი ეკონომიკური საქმიანობის შედეგად, ესეც შედის იმ ინფორმაციის მოცულობაში, რომელიც ყველასთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი"?

ნ.გუჯარაიძე:"ვიდევ ერთხელ გავიმეორე, რომ საფრთხე არის ან არ არის ასეთი შემთხვევა არ არსებობს. საფრთხე ყოველთვის არის, უბრალოდ გააჩნია საფრთხის დონეს. ამიტომ, ეს ინფორმაცია ყოველთვის საფრთხის შესახებ ინფრომაციაა. გარდა ამისა, ეს არ მოიცავს ვრცლად ზემოქმედების შესახებ ინფორმაციას. კონკრეტულმა მოსახლემ უნდა იცოდეს მის გარშემო გარემოს რა საფრთხე დაემუქრება ხვალ. ხვალ მოვა ექსკავატორი და მისი ეზოს წინ ამოთხრის წიაღს. ამის შესახებ მას უნდა ჰქონდეს მზაობა, უნდა იყოს ინფორმირებული და ეს ინფორმაცია შეუძლებელია, რომ ვიღაცის ინფორმაციას წარმოადგენდეს".

ლ.ფაფიაშვილი:"ბატონმა გიორგიმ დასკვნითი სიტყვისთვის გარკვეულ საკითხებზე გთხოვათ ყურადღების გამახვილება, ამავდროულად იქნებ ჩემი კითხვაც მოინიშნოთ, 29-ე მუხლის მიზნებისათვის თქვენ თვითონ დიფერენცირება გააკეთეთ. იქნებ დააზუსტოთ დასკვნითი სიტყვისთვის და გამოკვეთოთ პრიორიტეტულად რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი, მათ შორის გარემოზე ზემოქმედების კუთხიდან გამომდინარე, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს ხელმისაწვდომი 37-ე მუხლის მე-5 პუნქტიდან გამომდინარე კერძო პირებისათვის?

ამ ეტაპზე მოსარჩელე მხარესთან კითხვები აღარ გვაქვს. გადავდივართ მოპასუხე მხარესთან კითხვებით. თქვენს მიერ იყო გარკვეული კითხვები დასმული, იქნებ ჯერ ამ კითხვებზე გვიპასუხოთ და თუ კიდევ იქნება რაიმე საკითხი გასარკვევი დამატებით დავსვამთ კიდევ კითხვებს“.

მ.კოპალეიშვილი:“დამატებით დავსვამ თუ შეიძლება კიდევ კითხვას, თქვენ თ არ ვცდები ბრძანეთ, რომ საჯარო ინტერესის დაკმაყოფილება არის სახეზე იქედან გამომდინარე, რომ კონკრეტულად სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანო კონკრეტულად სამინისტრო ამ საინფორმაციო ფონდის საშუალებით იღებს ინფორმაციას და ეს საჯარო ინტერესია, სწორად გავიგე“?

გ.ჩიფჩიური:“დიახ“.

მ.კოპალეიშვილი:“37-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიზნებისათვის, იგივე 41-ე მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის, რაც ემსახურება ინფორმაციის თავისუფლების ინტერესებს და საჯარო დაწესებულების ღიაობას საზოგადოების თვალში. თქვენ ფიქრობთ, რომ ინფორმაციის თავისუფლება გულისხმობს იმას, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ხომ იცის რაც მთავარია ინფორმაცია და საზოგადოებას ეცდინება თუ არა ეს ინფორმაცია ეს ნაკლებად საინტერესოა? ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ ინფორმაციის თავისუფლება და საჯარო ინტერესის დაკმაყოფილება იმა გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანო თუ ფლობს ინფორმაციას? სად არის ის საჯარო ინტერესი თუ შეიძლება რომ გამოკვეთოთ“?

ქ.კუპრავა:“ახსნა-განმარტებაში არ იყო მკვეთრად ეს აზრი გატარებული და მინდა კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვა, რომ სადავო ნორმები შესაფასებელია საქართველოს კონსტიტუციის ორ მუხლთან მიმართებით. რეალურად ორივე ნორმისგან მოსარჩელე მოითხოვს, რომ მან მიიღოს გარემოს შესახებ ინფორმაცია. ამ კონტექსტში მინდა სასამართლოს ყურადღება მივმართო იქეთ, რომ 37-ე მუხლის მე-5 პუნქტიც ასევე იცავს გარემოს შესახებ ინფორმაციას და ეს მუხლი ჩვენთვის, როგორც მოპასუხეებისთვის მიუხედავად იმისა, რომ არსებითი განხილვის სხდომა უფრო სპეციალურ ნორმად გვევლინება, ამასთან გვაქვს სასამართლოს პრატიკა, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო ამბობს, რომ შესაძლებელია საქართველოს კონსტიტუციის ძირითად უფლებებში რამოდენიმე მუხლი მეტ-ნაკლებად ფარავდეს ერთმანეთს. ანუ კვეთა იყოს. მაგრამ, უფლებათა ხელოვნური გაფართოება შესაძლებელია ისევ უფლების დარღვევის საფუძვლად მოგვევლინოს. მიგვაჩნია, რომ გარემოს შესახებ ინფორმაცია ამ შემთხვევაში განხილული უნა იყოს 37-ე მუხლის მე-5 პუნქტთან მიმართებით. ვინაიდან, კონკრეტულად უკვე ეს მუხლი გარემოს ინფორმაციას ეხება და არა ზოგადად ინფორმაციის მიღებას. რაც შეეხება 37-ე მუხლის მე-5 პუნქტს, კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტი (ვციტირებ გადაწყვეტილებიდან) ეს წარმოადგენს ინფორმაციის მიღების უფლების სპეციალურ შემთხვევას. იგი წარმოშობს სახელმწიფოს ვალდებულებას, რომ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მიაწოდოს გარემოს მდგომარეობის შესახებ მის ხელთ

არსებული ინფორმაცია. რეალურად 37-ე მუხლის მე-5 პუნქტში მოიაზრება ის, რომ სახელმწიფოს გააჩნია როგორც ნეგატიური ასევე პოზიტიური ვალდებულება პირველ რიგში, რომ აწარმოოს ასეთი ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. ფაქტობრივ გარემოებას დავასახელებ, რომ მოსარჩელემ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსგან მოითხოვა ინფორმაცია სააგენტოს სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო უწყებათა შორის კომისიის შესაბამისი ოქმი. თავას მოსარჩელე აღნიშნავს სარჩელში, რომ მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ვფიქრობ ესეც საორიენტაციო უნდა იყოს სასამართლოსთვის. მაშინ ეს უნდა გასწორდე, რადგან მოსარცელის მიერვე არის მითითებული ფაქტობრივი გარემოებები სარჩელში. გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება (ასევე ვციტირებ ერთ-ერთი გადაწყვეტილებიდან) განსაკუთრებით მნიშვნელოვანის გარემოს დაცვის სფეროში საზოგადოების მონაწილეობის თვალსაზრისით. შესაბამისად, გარემოს მდგომარეობის შესახებ შესაგროვებელი ინფორმაცია უნდა აკმაყოფილებდეს იმ შინაარსობრივ მინიმუმს, რაც აუცილებელია გარემოს დაცვის სფეროში საზოგადოების მონაწილეობის რეალიზებისათვის. შესაბამისად, კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის ფარგლებში სახელმწიფო ვალდებულია შეაგროვოს ინფორმაცია, რომელიც ეხება გარემოს მდგომარეობას და იმ ფაქტორებს, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ უკვე მასზე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ 37-ე მუხლი მოცემული ციტირებებიდან გამომდინარე არ უნდა იყოს ძალიან ფართოდ გაგებული. ის აუცილებლად კონკრეტული შინაარსის მატარებელია. ყველა ინფორმაცია შეუზღუდავად არ უნდა მოიაზრებოდეს. ჯანმრთელობა, წიაღი, მოსალოდნელი კატასტროფები ეს არ არის ის ყველა ინფორმაცია, არამედ ეს არის იმ ინფორმაციის მინიმუმი, რომელიც ზეგავლენას მოახდენდა თავად მოქალაქეზე. ანუ რელევანტური უნდა იყოს ადამიანის, როგორც გარემოს რელევანტური შემადგენელი სუბიექტის ცხოვრებისათვი. სადავო ნორმაში კონკრეტულად მოცემულია და რა ინფორმაციაზეა საუბარი და ვფიქრობ, რომ ეს ინფორმაცია რომელიც აქ არის მოცემული არ არღვევს 37-ე მუხლის მე-5 პუნქტს. ვინაიდან ეს არის ინფორმაცია, რომელიც ეხება პირობებს, რესურსებს, რაოდენობას და არა გარემოს მდგომარეობას“.

მკოპალეიშვილი:“ქ-ნო ქრისტინე მინდა გითხრათ, რომ თქვენ საკუთარ თავთან მოხვედით წინააღმდეგობაში და რატომ, დასაწყისში როდესაც თქვენ მსჯელობა დაიწყეთ 41-ე მუხლი საერთოდ გამორიცხეთ მსჯელობიდან და თქვით, რომ სასამართლომ არასწორად მიიღო საქმე წარმოებაში 41-ე მუხლთან მიმართებაში. თ თქვენ 37-ე მუხლიც გინდათ, რომ გამორიცხოთ მაშინ სად არის საჯარო ინფორმაციის მოპოვების უფლება? კონსტიტუციის რომელ ნორმაშია ეს გათვალისწინებული? რის საფუძველზე შეიძლება ინფორმაციის თავისუფლების ინტერესიდან გამომდინარე მოითხოვოს კონკრეტულმა პირმა ინფორმაცია? საერთოდ რომ არ არსებობდეს 37-ე მუხლის მე-5 პუნქტი და არც 41-ე მუხლი, აქვს თუ არა დაინტერესებულ პირს უფლება თანამედროვე, დემოკრატიული, სამართლებრივი სხელმწიფოს პრინციპიდან რომ გამოვიდეთ მხოლოდ მოიპოვოს ადმინისტრაციულ

ორგანოში არსებული საჯარო ინფორმაცია? არის თუ არა სადავო მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია და ის ინფორმაცია, რომელიც მოსარჩელე მხარემ დააკონკრეტა რომ ეს საკითხები უნდა იყოს ღია, მოსაპოვებელი რესურსების მარაგის შესახებ, ასევე ამ რესურსების ჯამური ოდენობის შესახებ, ტექნიკური საშუალებების გამოყენების შესახებ და ა.შ. ეს ინფორმაცია, რომელიც 29-ე მუხლის ფარგლებში არის მოცული. კონკრტულმა ლიცენზიანტმა ჩაატარა კვლევა და განსაზღვრა რა ოდენობის მარაგია. კონკრეტულმა ლიცენზიანტმა ასევე განსაზღვრა რა ტიპის რესურსია იქ და ხარისხობრივად რას შეესაბამება. ასევე გამოიყენა კონკრეტული ტექნიკური შესაძლებლობები და პარამეტრები დასამუშავებლად, რომელზეც მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ესეც ძალიან მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რადგანაც რა ტექნიკური შესაძლებლობებით მუშავდება წიაღი გავლენას ახდენს და ზემოქმედებს გარემომცველ გარემოზე და ბუნებაზე, შესაბამისად ზემოქმედებს საზოგადოებაზე. როდესაც მესაკუთრის თანხმობის გარეშე არ გაციემა ინფორმაცია, რა ლეგიტიმური ინტერესი ამოძრავებდა სახელმწიფოს, როდესაც მოითხოვა ასეთ ინფორმაციაზე ინფორმაციის მესაკუთრის თანხმობა?

მე ასევე მინდა ბატონ გიორგის დავუსვა კითხვა, მან აღნიშნა, რომე ს კომერციულ ინტერესებს შეესაბამება. შეიძლება თუ არა კომერციული ინტერესის მატარებელი იყოს, როდესაც სახელმწიფო წიაღზეა საუბარი? ფაქტობრივად სახელმწიფოს არ ჰქონდა საკუთარი სახსრები და დელეგირება გაუკეთა კონკრეტულ ფიზიკურ პირს შენ მოიპოვე და შენ დაამუშავეო. სახელმწიფო მის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, როდესაც რაღაც გარკვეული უფლებამოსილება გადასცა ფიზიკურ პირს, იმიტომ რომ ეს მისი გასაკეთებელი იყო სხვა შემთხვევაში. დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში შეიძლება თუ არა სრულად გასაიდუმლოვდეს ინფორმაცია? რასაც 29-ე მუხლი ამბობს, რომ დაუშვებელია სახელმწიფო საინფორმაციო ფონდებში შეტანილი ინფორმაციის გაცემა სხვა იურიდიული და ფიზიკურ პირებზე ინფორმაციის მესაკუთრის თანხმობის გარეშე, ამ დროს ეს შინაარსი კარგად ვიცით, რომ გულისხმობს დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში შექმნილ ინფორმაციას. რაც სხვა შემთვევაში რამდენი მარაგი აქვს, როგორ აქვს, რა ხარისხობრივი მაჩვენებლი აქვს, ტექნიკურად რა შეიძლება გამოყენებული იქნას, რა შეიძლება არა, ამაზე გამოჩნდა კიდეც მარაგების კომისიის წესში, რომ ამას არკვევს. ეს არის მისი შესასრულებელი ფუნქცია. ამ გადმოსახედიდან და ამ ჭრილში, შეიძლება თუ არა ეს ინფორმაცია იყოს დახურული“?

ქ.კუპრავა:“37-ე მუხლთან მიმართებით განვაგრძობ არგუმენტაციის წარმოდგენას, რაც შეეხება 41-ე მუხლს ჩემი კოლეგა დაასრულებს შემდეგ. აუცილებლად ყურადღება უნდა მივაქციოთ ნამდვილად იმ ინფორმაციის ჩამონათვალს, რაც კონკრეტულ მუხლში გვაქვს მოცემული. ეს ინფორმაცია ცალსახად გაწერილია რა სახის ინფორმაცი არის. მინდა სასამართლოს ყურადღება მივაპყრო „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლზე, რომელიც მოსარჩელემ ასევე ახსენა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია მისი შინაარსი.

მითითებულია ლიცენზია არ ესაჭიროება და ჩამოთვლილია რეგიონალური, გეოლოგიური, სამეცნიერო, კვლევითი სხვა სამუშაოების შესრულებას, რომელიც გამიზნულია წიაღის საერთო შესწავლის, მიწისძვრის პროგნოზირების და ა.შ. ამით იმის ხაზგასმა მინდა, საერთო შესწავლა ხომ ნამდვილად საკმარისი იქნება სწორედ იმისათვის, რომ 37-ე მუხლიდან გამომდინარე საქართველოში მცხოვრებ სუბიექტს ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ მან ზუსტად იმ რისკებზე რაზეც საუბრობდნენ მიიღოს ინფორმაცია, რაც მისთვის ასე მნიშვნელოვანია. სწორედ ასეთი ადამიანების მიმართ ლიცენზია არ არის საჭირო. ლიცენზიის დაწესება, ლიცენზიის მოპოვება ეს უკვე სხვა ინფორმაციის მოპოვებას ეხება, რომელიც კონკრეტულად გაწერილი არის იმისთვის რომ მივიღო არსებული წიაღი. ამასთან კიდევ ერთხელ ყურადღებას გავამახვილებ, რომ არ არსებობს ცალკე შესწავლის ან მოპოვების ლიცენზია. ერთად გაიცემა ეს ლიცენზია, რაც ასევე მნიშვნელოვანია. ფაქტიურად ის ადამიანი, რომელიც იწყებს შესწავლას შეისწავლის მდგომარეობას და შემდეგ უკვე მარაგების დამტკიცების შემდეგ მოპოვებაც ხდება. ეს ასევე მნიშვნელოვანია იმ კუთხით თუნდაც, რომ ადამიანი, რომელსაც ლიცენზია აქვს, აქვს უკვე იმის მოლოდინი, რომ როდესაც ის შეისწავლის კონკრეტულ ადგილზე წიაღის არსებობას და დამტკიცდება ეს რაოდენობა, მოიპოვებს ამ წიაღს და მის მიერ გაწეული ხარჯები არ დაიკარგება".

მ.კოპალეიშვილი:"ქ-ნო ქრისტინე განხილვის საგანი ის კი არ არის ლიცენზიის მოპოვება და რა ტიპის ლიცენზია მოიპოვა. განხილვის საგანი არის საინფორმაციო ფონდში რა ინფორმაციაც შედის ეს ინფორმაცია უნდა იყოს ღია თუ არა? ეს ინფორმაცია მოიცავს თუ არა ისეთ ინფორმაციას, რომელიც იმავდროულად შეიძლება იყოს ღია? ეს ინფორმაცია პარალელურ რეჟიმში მოიცავს იმ ინფორმაციას, რასაც თქვენ ბრძანებთ, რომ თავისი კომერციული ინტერესების გასათვლელად სჭირდება. 29-ე მუხლი ამბობს, ინფორმაცია წიაღის გეოლოგიური აგებულების, წიაღისეულის მარაგებისა და რესურსების, საბადოს დამუშავების სამთო-ტექნიკური პირობების და სხვა თვისებების შესახებ. მაგალითად თქვენ ხართ ლიცენზიანტი და ამ საკითხებს ახორციელებთ. მაგალითად სამთო-ტექნიკური პირობების შესასწავლად გამოიყენეთ რაღაც კონკრეტული ტექნიკური დაშვებები. იმავდროულად დაიქირავეთ ექსპერტი, რომელმაც გირჩიათ, რომ ასეთი ტექნიკური დაშვებები უნდა განახორციელოთ. აი ეს ტექნიკური მიდგომები რამდენად შეიძლება იყოს უსაფრთხო გარემოს ზემოქმედების შემთხვევაში? მისი გამოყენების შემთხვევაში რამდენად ქმნით უსაფრთხოების გარანტიებს? ეს შეიძლება თუ არა იყოს საჯარო ინტერესის სფერო? იგივე 37-ე მუხლის მე-4 პუნქტიდან გამომდინარე, რომელიც ამბობს რომ ბუნებრივი რესურსების რაციონალურ სარგებლობას, ქვეყნის მდგრად განვითარებას საზოგადოების ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების შესაბამისად ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, კანონმდებელს რომელმაც შექმნა კონსტიტუცია იმის მოლოდინი, რომ ჰქონოდა ადმინისტრაციული ორგანოები ყოველთვის მუშაობენ უშეცდომოთ, მაშინ ამ გარანტიებს აქ არ ჩადებდა. როგორ უნდა ამოწმოს საზოგადოებამ

ნამდვილად უსაფრთხო პირობები იყო იქ განხორციელებული თუ არა? ნამდვილად ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა მოახდინა თუ არა ადმინისტრაციულმა ორგანომ, თუ არ ექნება მას კონტროლის ისეთი მექანიზმი, როგორიც არის საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა ადმინისტრაციული ორგანოსაგან? როგორ უნდა მოახდინოს დაინტერესებულმა პირმა და საზოგადოებამ ადმინისტრაციულ ორგანოებზე კონტროლი, თუ არა საჯარო ინფორმციის ღიაობის კუთხით“?

ქ.კუპრავა:“პირველ რიგში დავიწყებ იმით, რომ წიაღის შესახებ კანონში კონტროლის სხვა მექანიზმებიც არის შემოთავაზებული. რაც სახელმწიფოსგან იგივე ლიცენზიის მფლობელის მიმართ პერიოდულ კონტროლს ითვალისწინებს, რაც ასევე კანონქვემდებარე აქტებით არის დარეგულირებული. სახელმწიფო ძალიან დიდი როლს თამაშობს გარემოს დაცვის კუთხით. მეორე, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცების პროცედურა. ანუ 27-ე მუხლში რაც გვაქვს გაწერილი, ვინ ამტკიცებს და კონკრეტულად რას ამტკიცებენ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ეს არის საბადოს განლაგების პირობები, შესწავლის შედეგები, ანუ ყველაფერი ის არის ჩამოთვლილი მეორე ნაწილში, რაც ლიცენზიანტმა გააკეთა. ეს ზოგად ინფორმაციას არ ეხება. ასევე კიდევ ხაზი მინდა გავუსვა აუცილებლად ხდება პერიოდულ ანგარიშებში მინისტრის მიერ ამის გაჟღერება და საჯარო გავრცელება მოსალოდნელ უბედურებებზე და გარემოს დაბინძურებებზე, ეს აუცილებლად ამ საჯარო მოხსენებაშიც არის ჩადებული. ამით რა მინდა ვთქვა, რომ 37-ე მუხლთან მიმართებით ცალსახად უნდა დავინახოთ, რომ ის ინფორმაცია რაც ამ შემთხვევაში კომისიის მიერ მტკიცდება ეს უკვე კონკრეტულად ლიცენზიანტის საქმიანობასთან არის მიმართული და იქვე აქვს სახელმწიფოს ჩადებული კონტროლის მექანიზმი“.

მ.კოპალეიშვილი:“დაინტერესებულ პირს, ამ შემთხვევაში საზოგადოებას საიდან აქვს იმის შესაძლებლობა გაარკვიოს კონტროლის მექანიზმი ჩადებულია თუ არა თუ მთელი გადაწყვეტილება დაფარულია? როგორ შეამოწმოს საზოგადოებამ, რომ ეს კონტროლის მექანიზმი ნამდვილად ჩადო სახელმწიფომ, ამ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო ინტერესებს? თუკი თავად არ მაქვს შესაძლებლობა გავეცნო მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. სად არის ეს ბერკეტები, რომელიც მაძლევს ამის შესაძლებლობას, რომ ვაკონტროლო ხელისუფლება“?

ქ.კუპრავა:“აქ აუცილებლად უნდა გავიდეთ იმაზე, რომ ინფორმაცია რომელსაც უწყებათაშორისი კომისი ამტკიცებს ამ შემთვევაში არ შეიძლება კონტროლისთვის იყოს კონკრეტულად გავლენა უნარიანი. ვინაიდან ეს სხვა ტიპის ინფორმაციაა, აი ამის გამიჯვნა მინდა. ინფორმაციის შინაარსს აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა თუ რა სახის ინფორმაცია არის 29-ე მუხლით დარეგულირებული. ამ შემთვევაში წყდება მარაგები, პირობები, რაოდენობა ამ ტიპის ინფორმაციაზე მიდი მსჯელობა და ამას ამტკიცებს კომისია. რაც შეეხება რამდენად გააჩნია ამას ბუნებაზე ზემოქმედება, ამ მხრივ უკვე სახელმწიფო ახორციელებს კონტროლს“.

მ.კოპალეიშვილი:"როდესაც კონკრეტულ ლიცენზიანტს იმავდროულად აქვს კომერციული ინტერესი, ასეთი ინტერესი რა თქმა უნდა ექნება. მას სურს მოიპოვოს კონკრეტული წიაღისეული და რეალიზაცია გააკეთოს კომერციული მიზნებისათვის, ანუ მიიღოს მოგება. როდესაც ამ კომერციული ინტერესის დააკმაყოფილებლად ის სახელმწიფოს წარუდგენს ინფორმაციას, რა გზებს და საშუალებებს გამოიყენებს? აი ეს გზები და საშუალებები, რომელიც მან უნდა გამოიყენოს წიაღის მოპოვებით და ბუნებაზე ზემოქმედების მიზნით, რამდენად ქმნის უსაფრთხოების გარანტიებს? ეს როგორ უნდა აკონტროლოს საზოგადოებამ? ის რასაც თქვენ ამბობთ გასაგებია, მაგრამ აქ არის საუბარი საზოგადოების მხრიდან სახელმწიფო ინსტიტუტების კონტროლზე. როგორ მოახდინოს საზოგადოებამ სახელმწიფო ინსტიტუტების კონტროლი, რომ მან ნამდვილად სწორად განსაზღვრა ყველა ეს მექანიზმი? რადგან საზოგადოებამ იგრძნოს თავი უსაფრთხოდ. აი ეს არის ის მთავარი საკითხი, რომელზეც თქვენ უნდა გვიპასუხოთ, რომ ის რაც 29-ე მუხლშია ამ ყველაფერს არ შეეხება. თუ არ შეეხება მაშინრ ატომ დახურა კანონმდებელმა"?

ქ.კუპრავა:"კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე".

მ.კოპალეიშვილი:"სხვის კომერციულ ინტერესებზე სახელმწიფო იღებს საბოლოოდ გადაწყვეტილებებს? როდესაც იკრიბება მარაგების კომისია და მინისტრის გადაწყვეტილება გამოდის, ეს არის სხვისი კომერციული ინტერესების დაცვის მიზნით მიღებული? მთელი ეს პროცედურები და ადმინისტრაციული წარმოება სხვისი კომერციული ინტერესის დაცვას ემსახურება"?

ქ.კუპრავა:"ეს პროცედურა ხომ თავიდან ბოლომდე კონტროლირებადია".

მ.კოპალეიშვილი:"ახსნა-განმარტებისას ხომ აღნიშნეთ, ეს იმის საჯარო ინტერესია, რომ სახელმწიფო ფლობს ამ ინფორმაციას. ახლა არის საუბარი, სახელმწიფო რა ინფორმაციასაც ფლობს ამ ინფორმაციიდან უნდა გამოიხშიროს თუ არა ისეთ ინფორმაცია, რომელიც მართლაც არ არის ვიღაცის კომერციული საიდუმლოება, წმინდა გაგებით კომერციული საიდუმლოება. და რა არის კომერციული საიდუმლოება? რომელიც პირის კონკურენტ უნარიანობაზე მოახდენს გავლენას, თუკი ის გამჟღავნდება. მოახდენს თუ არა პირის კონკურენტ უნარიანობის დაცემაზე გავლენას ინფორმაცია თუ გამჟღავნდება, რომ 500 კვადრატულზეა წიაღისეული და არა 2 კვადრატულ მეტრზე, რომელზეც მას ლიცენზია აქვს. ეს მისი საკუთრებაა ამ კონკრეტული ლიცენზინტის, თ რამდენ კვადრატულ მეტრზეა წიაღისეული ქვეყანაში? ის წიაღისეული, რომელიც სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს"?

ქ.კუპრავა:"ამ შემთხვევაში პროცედურა დასაწყისიდან დასასრულამდე სახელმწიფოს რეგულირების ქვეშ არის მოქცეული. რა თქმა უნდა ლიცენზიის მოპოვება, სარგებლობა ერთდროულად რომ გაიცემოდეს და არანარი კონტროლის მექანიზმი იგივე უწყებათაშორისი კომისიის მიერ ასეთი მექანიზმების მიდგომებით, თუ მარაგებით დამტკიცებით, რომ არ არსებობდეს მაშნ ნამდვილად შეიძლებოდა გვემსჯელა იმაზე, რომ

სახელმწიფო არაფერს არ აკეთებს კონტროლის მხრივ. ასევე შესაძლებელია ყველა ადმინისტრაციულ ორგანოში და ყველა სახელმწიფო ორგანოში იმის დაშვებაც, რომ დავუშვათ რაღაც კომპეტენციას გადააჭარბეს და არასწორად იყოს გადაწყვეტილება მიღებული. მაგრამ, აქ საორიენტაციო ის არის, რომ მაქსიმალურად სახელმწიფო ჩართულია ამ პროცესში და სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი არის იგივე გარემოსთან მიმართებით ეს ინფორმაცია".

ლ.ფაფიაშვილი: "სხვა რაღაც გკითხათ ქალბატონმა მაიამ, რამდენად ჯეროვნად ახორციელებს სახელმწიფო თავის მოვალეობას? ამის კონტროლის მექანიზმი რამდენად არსებობს"?

ქ.კუპრავა:"ამის კონტროლის მექანიზმი ის არის, რომ პროცედურები გაწერილია. არსებობს სპეციალური კონტროლის მუხლები წიაღის კანონში, კანონქვემდებარე აქტებიც არის ამის შესახებ და პერიოდულად აუცილებლად ხორციელდება კონტროლი. სხვა კონტროლის მექანიზმი გარდა ამისა, ასეთი ცალკე არ არის".

მ.კოპალეიშვილი:"ინფორმაციის თავისუფლება კონტროლის მექანიზმში გულისხმობს სწორედ საზოგადოების მხრიდან საჯარო დაწესებულებებიდან ინფორმაციის მიღებას, იმისათვის რომ აკონტროლოს მის მიერ არჩეული ხელისუფლება. ეს არის კონსტიტუციური პრინციპი. ამდენად ის, რომ მხოლოდ რეგულაციები რომ არის გაწერილი ეს თურმე საკმარისია, ეს არ არის ასე. მიუხედავად იმისა რა არის ქაღალდზე დაწერილი, მთავარი არის რა ხორციელდება რეალურად. როგორ უნდა ვაკონტროლო, რომ ქაღალდზე რაც არის დაწერილი ის ნამდვილად სრულდება"?

*ქ.კუპრავა:"*დავაზუსტებ ამ კითხვაზე პასუხს და მოგვიანებით მოგახსენებთ".

გ.კვერენჩხილაძე:"იქნებ დასკვნითი სიტყვისთვის ჩამოყალიბდეთ, სადავო ნორმა რაც არის, ინფორმაციის ნაწილი ეს არის პირველ აბზაცში მითითებული ინფორმაცია თუ არა? და ეს ინფორმაცია ყველა შემთხვევაში კომერციული ან სხვა ტიპის საიდუმლოებაა? თუ შეიძლება არ იყოს ყველა შემთხვევაში ეს ინფორმაცია საიდუმლოების შემცველი"?

გ.ჩიფჩიური:"ამ შემთვევაში 29-ე მუხლის პირველ ნაწილში ჩამოყალიბებული ინფორმაცია დიახ არის ის ინფორმაცია, რომელის განსაზღვრულია ამ მუხლის ბოლოს წინადადებაში. ჩვენ ზოგადად ვაპილირებდით ლეგიტიმურ საჯარო მიზანზე, რომელიც დავასახელეთ, რომ ეს არის სახელმწიფოსთვის გადაცემული კერძო ინფორმაცია და არა მაგალითად საჯარო ინფორმაცია, რომელიც მოპოვებულია სახელმწიფოს მხრიდან".

ლ.ფაფიაშვილი:"გიორგი ახსნა-განმარტებისას რაზეც ისაუბრეთ, თქვენი ლოგიკიდან გამომდინარე ყველაფერი რაც კერძო პირის მიერ არის მოპოვებული ის ავტომატურად ხდება კომერციული საიდუმლოება. ანუ კერძო პირმა რის შესახებაც არ უნდა მოიპოვოს ინფორმაცია, როგორი კვლევაც არ უნდა ჩაატაროს მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო საკითხის შესახებ, ძვირადღირებული თუ უფასოდ განხორციელებული ეს წარმოადგენდა

მის კერძო საკუთრებას, რაც კომერციის ინტერესებიდან გამომდინარე აპრიორი უნდა იყოს დაცული? თქვენ ამბობდით რომ სასყიდლიანი ინფორმაციის გასაჯაროება მათ შორის წინააღმდეგობაში მოვა თუნდაც საკუთრების უფლებასთან, წიაღის შესახებ ინფორმაცია გასაიდუმლოებული უნდა იყოს“?

გ.ჩიფჩიური:“ამ შემთვევაში დაფარული უნდა იყოს მხოლოდ ის ნაწილი და ამ მუხლის წაკითხვისას ვლინდება ეს რომელი სახეობები არის, რომელიც დაკავშირებულია მატერიალური სარგებლის მოტანასთან“.

ლ.ფაფიაშვილი:“იქნებ დასკვნითი სიტყვისთვის ჩამოაყალობოთ პოზიცია 29-ე მუხლში ლეგიტიმური მიზანი ერთი არის თუ ამის გარდა სხვაც არის? 29-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია, რა ტიპის ინფორმაციაა დეტალურად? იმიტომ, რომ ზოგადი კრიტერიუმებია იქ გაწერილი, რომელიც ჩაშლას საჭიროებს. ამ ინფორმაციიდან რა ნაწილი უნდა იყოს გასაიდუმლოებული, რომელიც აპრიორი ჯდება კომერციულ საიდუმლოებაში ან საიდუმლოების სხვა სქემებში? ან რომელი ნაწილი უნდა იყოს თქვენი აზრით ან რომელი ნაწილი არის ისედაც ხელმისაწვდომი? მეორე, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონი და მეორე მხრივ „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მათ შორის მიმართება როგორია? თუ ჩვენ ვსაუბრობთ, რომ 37-ე მუხლი გვაძლევს შესაძლებლობას მოვითხოვოთ ინფორმაცია უვნებელ გარემოში ცხოვრების კონტექსში, ანუ ვიცოდე რა მემუქრება და პერსპექტივაში რა შეიძლება რისკების მატარებელი იყოს და შეიძლება ჩემი საკუთრების ფასი დავარდეს და ა.შ. რომელი ნორმატიული აქტიდან გამომდინარე შეიძლება და უნდა იყოს ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი ჩვენემთვის? და საინფორმაციო ბანკი, დეტალურად რა ინფორმაცია უნდა იყოს შიგნით მოცემული და რით განსხვავდება ის სახელმწიფო ფონდებისგან? სახელმწიფო ფონდში რაც შედის ის ინფორმაცია გაწერილია კანონით, მაგრამ არის თუ არა დუბლირება მათ შორის და რატომ არის აპელირება გაკეთებული, რომ საინფორმაციო ბანკებში მოცემული ინფორმაცია არის დახურული სახელმწიფო ფონდში მოცემულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, მსგავსი ჩანაწერი არ არის“.

გ.ჩიფჩიური:“ჩვენ გვაქვს მომზადებული პასუხი აღნიშნულ კითხვებზე. „წიაღის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრული დეულებები ზოგადად ადგენს რა მოიაზრება წიაღისეულის ფონდში და შემდეგ ამავე კანონის 23-ე მუხლი აგდენს ამ ფონდში არსებული წიაღისეულის აღრიცხვის წესს. კანონმდებელს მოცემულ შემთხვევაში არ მოუხდენია ტერმინების აღრევა და ინსტიტუციურად „ერთიანი სახელმწიფო ფონდი“ და „საინფორმაციო ფონდი“ სხვადასხვა ფუნქციონირების მატარებელი ინსტიტუტებია. „ერთიანი სახელმწიფო ფონდის“ საქმიანობა მიმართული იქნება წიაღის შესახებ კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრული წიაღისეულის ფონდთან მიმართებით. ხოლო ე.წ. „საინფორმაციო ფონდი“ წიაღის შესახებ 29-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის შეგროვებასა და დაცვაზე იქნება ორიენტირებული. ჯერჯერობით აღნიშნულ ფონდებთან დაკაშირებით

საკანონმდებლო რეგულაციები არ არსებობს და დღესდღეობით მთავრობის მიერ ამ ფონდების შექმნის კონკრეტული წესის გაწერამდე აპელირებული ინფორმაციის თავმოყრა ხდება გარემოს ეროვნულ სააგენტოში. მოსარჩელის მხრიდან ნორმის ისტორიული განმარტებისას ნახსენები იყო, რომ აღნიშნულ ინფორმაციას საქართველოს ოკუპაციის პერიოდში სახელმწიფო ახორციელებდა და დღესდღეობით ეს უფლებამოსილება კერძო სექტორზე არის დელეგირრებული. აქედან გამომდინარე ამ ინფორმაციის მიმართ თანაბრად არსებობს ორგვარი, ერთი მხრივ საჯარო და მეორე მხრივ კერძო ინტერესი. როგორც აღვნიშნეთ საჯარო ინტერესი დაკმაყოფილებულია ამ ინფორმაციის შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ მიწოდებით. ხოლო კერძო ინტერესი ინფორმაციის მომპოვებლის საკუთრების უფლების დაცვით და მის მიერ სასყიდლით მოპოვებული ინფორმაციის გაუფასურები თავიდან აცილებით. რაც შეეხება, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის კანონიერების და კეთილსინდისიერების შეფასებას საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მექანიზმის საშუალებით, აღნიშნულ შემთხვევაში დაბალანსებულია საჯარო და კერძო ინტერესები იმის საფუძველზე, რომ საზოგადოებას წიაღის დამუშავებასთან დაკავშირებით შეუძლია მიიღოს საჯარო ინფორმაცია წიაღის საერთო რეგიონალური, გეოლოგიური და გეოფიზიკური აგეგმვის, სამეცნიერო, კვლევითი და სხვა სამუშაოების შესრულების შესახებ. აგრეთვე იმ ინფორმაციაზე, რომელიც გამიზნულია წიაღის საერთო შესწავლის, მიწისძვრის პროგნოზირებისა და ვულკანური პროცესის კვლევის, გარემოს მდგომარეობის მონიტორინგის შექმნისა და გაძღოლის, მიწისქვეშა წყლების რეჟიმის კონტროლისათვის წიაღის შესახებ კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე შეუძლებელია ფონდში, ჯერჯერობით გარემოს ეროვნულ სააგენტოსი დაცული ყველა ინფორმაცია გავიაზროთ გაუცემელ და არასაჯარო ინფორმაციად. ახლახან ჩამოთვლილი ინფორმაცია არის საჯარო, არ შეიცავს საკუთრების უფლების ელემენტებს და მისი გამოთხოვა შეუძლიათ ფიზიკურ სდა იურიდიულ პირებს. ლიცენზიანტი წიაღის შესწავლის დროს ახდენს იმაზე მეტი ინფორმაციის მოპოვებას ვიდრე ეს სადავო ნორმაში არის მითითებული. აპრიორი ლიცენზიანტის მიერ მოპოვებულ ყველა ინფორმაციაზე არ ვრცელდება განსაკუთრებული დაცვის რეჟიმი, რაც მითითებულია 29-ე მუხლში. 29-ე მუხლში ჩაწერილი მექანიზმები მიმართულია მხოლოდ იმ ინფორმაციის დაცვაზე, რომელიც ჩაწერილია ამ მუხლის პირველ წინადადებაში და შეიცავს ლიცენზიანტის კომერციულ ინტერესს, რომლის გაუფასურება ან გამჟღავნება უარყოფითად აისახება ლიცენზიანტის უფლებრივ მდგომარეობაზე. გასაჩივრეული ნორმის ლეგიტიმურ საჯარო მიზანს წარმოადგენს შექმნას კომერციულად ღირებული ინფორმაციის მესაკუთრისთვის საკუთრების უფლების დაცვის გონივრული მექანიზმი. ნორმით განსაზღვრული მექანიზმები გამოსადეგია დასახული მიზნის მისაღწევად და წარმოადგენს დამატებითი ბარიერების შექმნის გარეშე მიზნის მიღწევის ყველაზე მარტივ, მსუბუქ და ერთადერთ თანაზომიერ საშუალებას. დაცულია ურთიერთმიმართება მიზნის მიღწევის დადგენილ მექანიზმსა და დაცული სიკეთისთვის სამართლებრივი უსაფრთხოების

გარანტიების შექმნას შორის. როგორც მოსარჩელის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის გამცემ ორგანოსთან დავაზუსტეთ, მოსარჩელეს გადაეცა მოთხოვნილი ინფორმაციის ის ნაწილი, რომელიც არ ექცეოდა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის და წიაღის შესახებ 29-ე მუხლით დაცულ სფეროში და მტკიცება იმის შესახებ, რომ არანაირი ინფორმაცია არ მიუღია ჩვენთვის მოწოდებული შეტყობინების საფუძველზე არასწორია. საბოოოდ კიდევ ერთხელ ხაზგასასმელია, რომ წიაღის შესახებ კანონის 29-ე მუხლით დაცული ინფორმაცია ექცევა კანონიერი ინტერესების დაცვის სფეროში. ამასთან განამტკიცებს ე.წ. ორჰუსის კონვენციის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, კერძოდ ამ რეგულაციის თანახმად გარემოს დაცვითი ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნა შეიძლება უარყოფილ იქნას თუ მისი გაცხადება ნეგატიურ ზემოქმედებას მოახდენს სამრეწველო ან კომერციული ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე, როდესაც კანონიერი, ეკონომიკური ინტერესების დაცვის მიზნით ასეთი კონფიდენციალურობა დაცულია კანონით. ასევე ე.წ. ორჰუსის კონვენციის მე-6 მუხლი ადგენს იმ საკმაოდ ფართო ჩამონათვალს, რომლის საფუძველზეც საზოგადოებას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს წიაღის დაცვის შესახებ, წიაღის დამუშავებასთან სხვადასხვა ინფორმაციის მიღებაში და ეს ჩამონათვალი ძალიან დიდია“.

მ.კოპალეიშვილი:“ბატონო გიორგი თქვენ აღნიშნეთ, რომ ორჰუსის კონვენცია უშვებს თუ კონფიდენციალურია ინფორმაცია ე.ი. ის უნდა დარჩეს კონფიდენციალური. პრობლემა არის იმაში, რომ ის რაც არის კონფიდენციალურად განცხადებული 29-ე მუხლით არის თუ არა ნამდვილად ის, რომ შენარჩუნდეს მისი კონფიდენციალურობა და ეს წარმოადგენს თუ არა საჯარო ინტერესს. 29-ე მუხლში არსებული ყველა ინფორმაცია იმავდროულად არის კი თავისი ბუნებით კონფიდენციალურობის მატარებელი? ან უნდა დარჩეს კონფიდენციალურად? ინტერესთან შეჯახება ხდება, საჯარო ინტერესი და კომერციული საიდუმლოების შენახვის ინტერესი, რომელიც ასევე საჯარო ინტერესია სახელმწიფოს, რომ ვიღაცის კომერციული საიდუმლოება შეინახოს დადგენილი წესით“.

გ.კვერენჩხილაძე:“ორჰუსის კონვენციაში თუ სწორად მახსოვს გარემოს დაცვითი ინფორმაციაა განმარტებული. ეს ინფორმაცია, რაზედაც მოსარჩელე აპელირებს გარემოს დაცვითი ინფორმაცია არის, არ არის? სრულად არის, ნაწილობრივ არის? თუ შეიძლება ამაზეც, რომ გაამახვილოთ ყურადღება“.

გ.ჩიფჩიური:“დავიწყებ 29-ე მუხლში არსებული ინფორმაციის შეფასებით, დიახ ეს ინფორმაცია არის სრულად დაცული. იმ მხრივ, რომ ეს ინფორმაცია ქმნის კომერციულ ინტერესებს. მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას რომ წიაღთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია არის მოქცეული 29-ე მუხლში. ეს არის მხოლოდ კონკრეტული სახის ინფორმაცია და მხოლოდ ამ კონკრეტული სახის ინფორმაციაზე ვრცელდება ეს განსაკუთებული რეჟიმი. ეს რა თქმა უდნა გამორიცხავს იმას, რომ წიაღის შესახებ საზოგადოება არ არის ინფორმირებული. რაც ჩამოვთვალე მე-6 მუხლის მე-3 პუნქტში საკმაოდ ვრცელი ჩამონათვალია, რომელიც საჭიროა ამ საჯარო და კერძო ინტერესების დასაბალანსებლად“.

ლ.ფაფიაშვილი:"თქვენ თქვით, რომ წიაღთან დაკავშირებული ინფორმაცია ღიაა გარკვეულწილად. შესაბამისად, დღეს რომ მოვითხოვოთ ინფორმაცია იმის თაობაზე საქართველოს რომელ ტერიტორიაზე რა ტიპის წიაღისეული არის, როგორია მათი მოცულობა, დამუშავების მექანიზმები, ტექნოლოგიები, რამდენი არის მოპოვებული და რამდენი არის დაკონსერვებულ მდგომარეობაში, ამის შესახებ ინფორმაცია ღია იქნება"?

გ.ჩიფჩიური:"არ იქნება ამის შესახე ღია ინფორმაცია. ღია იქნება ის ინფორმაცია, რომელიც არის განსაზღვრული მე-6 მუხლის მე-3 პუნქტში და რომელიც არ შეიცავს კომერციულ ინტერესებს".

ლ.ფაფიაშვილი:"რა ინფორმაცია რჩება"?

გ.ჩიფჩიური:"ეს არის რეგიონალური, გეოლოგიური, გეოფიზიკური და ა.შ.".

ლ.ფაფიაშვილი:"რა განსხვავებაა ამათ შორის? რაც მე ვიკითხე და რასაც თქვენ თვლით"?

გ.ჩიფჩიური:"ეს რეგიონალური, გეოლოგიური და ა.შ. ინფორმაცია არის ზოგადი და არ არის დაკავშირებული კონკრეტულად კომერციულ საქმიანობასთან".

ლ.ფაფიაშვილი:"მე არ მიკითხვას კომერციულ საქმიანობაზე. მე დავსვი კითხვა, დღეს რომ მოვითხოვო არის თუ არა ღია ინფორმაცია იმის შესახებ, მაგალითად აჭარაში არის თუ არა წიაღისეული? რა ტიპის წიაღისეულია? როგორია მოცულობა? სად არის მისი ლოკაცია? ლიცენზია გაცემულია უკვე ათვისებაზე თუ დაკონსერვებულია? ინფორმაცია მცდარია თუ მართალია ამას არ აქვს მნიშვნელობა".

გ.ჩიფჩიური:"როგორც ფიზიკური პირისთვის მოცულობის შესახებ ინფორმაცია არ გახდება თქვენთვის ცნობილი. ლოკაციის შესახებ ინფორმაცია იქნება ცნობილი. ეს საჯარო ინფორმაციაა, რომელიც არის ზოგადი და უკავშირდება ამ საბადოს შესახებ არაკომერციულ ინფორმაციას".

ლ.ფაფიაშვილი:"ეს ინფორმაცია ხომ ზრდის ფასს, ლიცენზიის ფასსაც ზრდის და მეორე მხრივ კერძო პირს აძლევს იმის გათვლის შესაძლებლობას, რამდენად რენტაბელური იქნება ფული თუ ჩაიდება ამ სექტორში, გარდა იმისა რომ მონიტორინგის საშუალებას იძლევა".

მ.ტურავა:"29-ე მუხლის მე-4 პუნქტი რომ არ იყოს მაშინ ხელმისაწვდომი იქნებოდა ასეთი ინფორმაცია"?

ლ.ფაფიაშვილი:"რის თქმასაც ცდილობს ახლა ბატონი მერაბი არის ის, რომ ზოგიერთ სახელმწიფოში ეს ობიექტები მიეკუთვნება მათ შორის სტრატეგიული დაცვის ობიექტებს. აქედან გამომდინარე ამ ინფორმაციის გასაიდუმლოება შეიძლება განხორციელდეს ზუსტად სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე და არა კომერციული ინტერესის დაცვიდან გამომდინარე. ამიტომ ვცდილობთ იმის გარკვევას, კანონმდებელმა რა

ლეგიტიმური მიზანი დაინახა იმის მიღმა რაზეც თქვენ აკეთებთ აპელირებას? იმიტომ, რომ მიზანი რომელზეც თქვენ უთითებთ ბევრ გვერდით ეფექტს იწვევს“.

გ.ჩიფჩიური:“29-ე მუხლში არის დაბალანსება საჯარო და კერძო ინტერესების. საჯარო ინტერესი რა თქმა უნდა წარმოადგენს აგრეთვე იმას, რაც თქვენ აღნიშნეთ. აქ არის მოცემული მხოლოდ კონკრეტული ინფორმაცია და ეს ინფორმაცია არის სასყიდლის საფუძველზე მოპოვებული და ეს ინფორმაცია არის მხოლოდ კომერციული ღირებულებების მქონე. აქედან გამომდინარე ეს უნდა გავმიჯნოთ სხვა ინფორმაციისგან, რომელიც შესაძლებელია მოქალაქემ მოიპოვოს ზოგადად წიაღის დამუშავებასთან დაკავშირებით. არის ინფორმაცია, რომელიც არის საჯარო და რომელიც მოსარჩელეებმაც მიიღეს, როდესაც ეს მოითხოვეს. ასევე არის ინფორმაცია, რომელიც არის კონკრეტული ინფორმაცია, საკუთარი ღირებულებით“.

მ.კოპალეიშვილი:“უკაცრავად მეორეჯერ ამბობს მოპასუხე მხარე, რომ მიიღო მოსარცელემ ნაწილობრივ ინფორმაცია. თუმცა მოსარჩელე ეტყობა თავისი გარეგნული გამოხატული ნიშნებით არ ეთანხმება, რაზეა საუბარი, რომ თითქოს თქვენ მიიღეთ ინფორმაცია, რომ ნაწილობრივ დაგიკმაყოფილდათ მოთხოვნა, როდესაც მიმართეთ ადმინისტრაციულ ორგანოს“?

ნ.გუჯარაიძე:“ორი შემთხვევა იყო, არ ვიცი მოპასუხე რომელზე საუბრობს ამიტომ ორივე შემთხვევას აღვწერ. ამ კონკრეტულ საქმესთან მიმართებით, როდესაც იყო საუბარი მარაგების კომისიასთან ჩვენ გადმოგვეცა დღის წესრიგი და გადმოგვეცა მიღებული გადაწყვეტილების ნაწილი. გადმპ0გვეცა მინისტრის ბრძანება, რომელშიც წერია:“დამტკიცდეს მარაგი დანართში წარმოდგენილი ოქმიდან ამონაწერის თანახმად“. დანართში წარმოდგენილი ოქმი კი არ გადმოგვეცა. მინისტრის ბრძანების რეკვიზიტები გადმოგვეცა. მეორე შემთხვევა იყო, რომელზეც სასამართლო დავა გქვონდა ორ წელიწად ნახევრის განმავლობაში, როდესაც ვითხოვდით ლიცენზიის შესრულების ანგარიშს. ანუ კანონის მოთხოვნების შესრულების ანგარიშს. ამაზე რამდენჯერმე დაბრუნდა სასამართლოში საქმე და საბოლოოდ სააპელაციო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ გამოცალკევებული უნდა იქნას გარემოს დაცვითი ინფორმაცია. ოღონდ გადაწყვეტილება თავად არ მიუღია, ხელახლა დაუბრუნდა სამინისტროს განსახილველად საკითხი. ამ შემთხვევაში სამი წლის დავის შემდეგ, სამინსიტრომ მოიწვია ლიცენზიანტი და ლიცენზიანტმა გადმოგვცა ინფორმაციის ნაწილი“.

ლ.ფაფიაშვილი:“ეს სასამართლოს გადაწყვეტილება საქმის მასალებში არის“?

ნ.გუჯარაიძე:“საქმის მასალებში არ არის ეს. სასამართლომ ჩათვალა, რომ სრულად არ იყო გამოკვლეული საკითხი და დააბრუნა“.

ლ.ფაფიაშვილი:"ე.ი. სასამართლომ ჩაწერა რა ინფორმაცია უნდა იყოს თქვენთვის ხელმისაწვდომი"?

ნ.გუჯარაიძე:"არა".

ლ.ფაფიაშვილი:"იქნებ მოგვიანებით ეს გადაწყვეტილება სხდომის მდივანს მიაწოდოთ საქმის მასალებში ჩასადებად".

გ.კვერენჩხილაძე:"სასამართლომ რაიმე ჩაწერა არგუმენტაცია, ან მოტივაცია"?

ნ.გუჯარაიძე:"იქ იყო საუბარი იმაზე, რომ სამინისტრომ სრულად არ შეისწავლა საკითხი. შემდეგ სამინისტრომ განიხილა ხელახლა საკითხი და ლიცენზიანტი დათანხმდა გარკვეული ტიპის ინფორმაციის გადმოცემას".

მ.კოპალეიშვილი:"გიორგი ჩემი კითხვის მიზანიც ეს იყო, რომ ჩვენ რეალურად დაგვენახა სურათი. ის, რომ ერთ შემთხვევაში მოსარჩელე მხარემ მიიღო გამოცალკევებული ინფორმაცია, რომელიც რეალურად მას მაინც არაფერს არ აძლევს მისი ნათქვამიდან გამომდინარე და ამბობს რომ ეს არ იყო ის რაც მოითხოვეს. ეს ორ კერძო პირს შორის მიმდინარე ურთიერთობა ხომ არ არის, დაინტერესებული პირი სამინისტროს ანუ საჯარო დაწესებულებას თხოვს საჯარო ინფორმაციას. ჩვენი მიზანი არის ის, რომ გავარკვიოთ იმ საინფორმაციო ფონდში, რომ მოთავსდა ეს ინფორმაცია რომელიც ლიცენზიანტმა წარმოადგინა ეს უნდა გასცეს თუ არა სახელმწიფომ? რა დოზით უნდა გასცეს? და გასცეს უნდა თუ არა ის საკითხები, რასაც მოსარჩელე ამბობს"?

გ.ჩიფჩიური:"პირველ რიგში ეს ინფორმაცია უნდა გასცეს ისევ და ისევ ამ ინფორმაციის მესაკუთრის თანხმობის საფუძველზე".

ქ.კუპრავა:"დავამატებ, ამ შემთხვევაში ინფორმაციის მესაკუთრე, როგორც ლიცენზიანტი იმდენად იღებს მნიშვნელობას იქედან გამომდინარე, რომ მას ერთის მხრივ სახელმწიფო გადასცემს ლიცენზიას და ლიცენზიის მოპოვება გარკვეულ პირობებთან არის დაკავშირებული. მეორე მხრივ კი ლიცენზიანტსაც გააჩნია თავისი უფლებები, რომლითაც აუცილებლად უნდა ისარგებლოს. აქ აუცილებლად ლიცენზიანტის ინტერესები უნდა წამოვიდეს წინა პლანზე. თუ ის ინფორმაცია, რომელიც კონკრეტულად სადავო ნორმაში არის მითითებული გასაჯაროვდება და თუ ამით უკვე ლიცენზიანტის ინტერესები შეილახება, რეალურად ლიცენზიის მოპოვების და სარგებლობის პროცედურა აუცილებლად დაირღვევა. იმ ეტაპზე, როდესაც ინფორმაცია ოიპოვა თ ეს გასაჯაროვდა უკვე მოპოვებას აზრი დაეკარგება. როდესაც სახელმწიფო ლიცენზის გასცემს აუცილებლად ორმხრივი ინტერესები იკვეთება, როგორც სახელმწიფოს ასევე ლიცენზიანტისაც".

მ.კოპალეიშვილი:“ანუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გარემოება, რომ გარმოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მოიპოვოს ყველამ, ასეთ შემთხვევაში შეზღუდულია კონკრეტული პირის კომერციული ინტერესი“?

ქ.კუპრავა:“კიდევ ერთხელ უნდა გავიმეორო, რომ ამ შემთხვევაში არ უნდა განვიხილოთ ფართოდ ის ინფორმაცია, რომელიც გარემოს დაცვის შესახებ ინფორმაციაში მოიაზრება. საქართველოს კონსტიტუციის მიზნებისათვის დარეგულირებულია სხვა მუხლით. ეს კონკრეტული სადავო ნორმა უკვე სხვა ინფორმაციას ეხება, ძალიან კონკრეტულ ინფორმაციას ეხება. დავიტოვებ უფლებას, რომ აღნიშნული ინფორმაცია წერილობითაც გამოვითხოვო შესაბამისი ორგანოებისგან, რომ მათ შორის მოსარჩელეებს ინფორმაციის გამოთხოვისას მიეწოდათ ისეთი ინფორმაცია, რომელიც წამოადგენდა მაგალითად მდინარეების დაბინძურებას. რაც ცალსახად იმაზე მოწმობს, რომ ამ შემთხვევაში ასეთი სახის ინფორმაციები საჯარო რჩება კვლავ“.

მ.კოპალეიშვილი:“დაბინძურება ვისი მხრიდან ლიცენზიანტის მხრიდან მოხდა“?

ქ.კუპრავა:“თუ ხდებოდა დაბინძურება ამას ეხებოდა ინფორმაცია“.

მ.კოპალეიშვილი:“წიაღთან ეს რა კავშირშია“?

ქ.კუპრავა:“ამ პროცესების მიმდინარეობა ხომ არ იწვევდა იქვე მდებარე იგივე მდინარის დაბინძურებას“.

მ.კოპალეიშვილი:“შთაბეჭდილება მრჩება, რომ სხვა დავაზე საუბრობთ თქვენ. ჩვენ ამ ფაქტობრივი გარემოებების ფარგლებში ვართ ახლა. არ ვიცით სხვაგან რა როგორ იყო. ამიტომ 29-ე მუხლიდან გამომდინარე უნდა გვითხრათ, რაც თქვენ ახლა ბრძანეთ ტექნიკური საშუალებები, რომელიც გამოყენებული იქნა წიაღის დასამუშავებლად ამან გამოიწვია თუ არა გარემომცველი გარემოს დაზიანება, აი ამის შესახებ ინფორმაცია გვაინტერესებს. თქვენი ანალიზიდან შეიძლება ითქვას 29-ე მუხლში აღნიშნული ტექნიკური საშუალებები გამოყენებით და სამთო ტექნიკური პირობების დამუშავება და სხვა პარამეტრები, შესაძლოა ამის შესახებ ინფორმაცია ღია იყოს“?

ქ.კუპრავა:“დაბინძურება არ მოიაზრება 29-ე მუხლში. ეს ზოგადი ანალიზისთვის მოვიყვანე ეს შემთხვევა“.

მ.კოპალეიშვილი:“დაბინძურება არის შედეგი, მაგრამ ტექნიკური პარამეტრების გამოყენება და ტექნიკური შესაძლობლებები შეიძლება თუ არა იწვევდეს დაბინძურებას აი ამაზეა საუბარი, ინფორმაციაზეა და არა ფაქტობრივ გარემოებაზე მაინცდამაინც საუბარი. მოსარჩელე მხარესაც მივმართავ ხომ ასეა“?

ნ.გუჯარაიძე:“დიახ“.

მ.კოპალეიშვილი: "ფაქტს ყველა ხედავს, ფაქტობრივ გარემოებაზე კი არ არის საუბარი, რომ მართლა უკვე დადგენილი და აღიარებული ფაქტია. არის საუბარი ინფორმაციულიად ის ტექნიკური საშუალებები, რომელიც იქნა გამოყენებული ამ წიაღის დასამუშავებლად შესაძლოა თუ არა იწვევდეს რაიმე არასწორ და ცუდ ზემოქმედებას გარემომცველ გარემოზე. მათ შორის მდინარეზე, სხვა ტერიტორიაზე, მცენარეებზე, ტყეზე, მოსახლეობაზე და ა.შ.".

ქ.კუპრავა:"სადავო ნორმა კონკრეტულად არ საუბრობს ამ შედეგებზე. აქ მოაზრებულია ინფორმაცია, რომელიც კონკრეტულ მონაცემებს ეხება, კონკრეტულ მეთოდებს ეხება წიაღის მოპოვების. რაც შეეხება იმ ინფორმაციას ზოგადად შედეგობრივად რამდენად შეიძლება ეს საზიანო იყოს, 29-ე მუხლის ფარგლებში ამის გათვალისწინება არ ხდება".

მ.კოპალეიშვილი:"მოსარჩელე მხარე ფაქტობრივ შედეგამდე არც კი მიდის. პრევენციული ღონისძიებების მიზნით აინტერესებთ ინფორმაცია მათ შორის".

ქ.კუპრავა: "წიაღის საერთო მდგომარეობაში უფრო მოიაზრება ეს ინფორმაცია, რამდენად შეიძლება ზიანი მიაყენოს ჯანმრთელობას. ეს საერთო მდგომარეობა არ საჭიროებს ლიცენზიის მოპოვებას. რადგან ლიცენზიანტი აქ არ გვყავს, ეს არის ის ინფორმაცია რომელიც საჯარო ინფორმაციას მიეკუთვნება. მე-6 მუხლით სპეციალურად დარეგულირებულია ის ინფორმაციები, რომელზეც ლიცენზიანტი არ გვყავს და რომლის მოპოვება ნებისმიერ პირსაც შეუძლია თავადაც".

ლ.ფაფიაშვილი:"მადლობა ქრისტინე. ამ ეტაპზე მოსამართლეებს მოპასუხე მხარესთან კითხვები აღარ გვაქვს. ახლა მხარეებს შეგიძლიათ კითხვები დაუსვათ ერთმანეთს. პირველ რიგში მოსარჩელე მხარეს ეძლევა საშუალება კითხვები დაუსვას მოპასუხე მხარეს, ასეთის არსებობსი შემთხვევაში".

ნ.გუჯარაიძე:"მე-6 მუხლთან დაკავშირებით თქვენ ახსენეთ, რომ არის გარკვეული ტიპის წიაღით სარგებლობა, რომელიც არ საჭიროებს ლიცენზიას. თქვენი აზრით ეს საქმიანობები დაკავშირებულია რეალურად წიაღის მოპოვებასთან? აქვს მას გარემოზე ზეგავლენა"?

ქ.კუპრავა:"ზოგადად განმარტებულია წიაღით სარგებლობა რას მოიცავს და რომელ კომპონენტებს. თვითონ ლიცენზიას იმიტომ არ საჭიროებს ეს კონკრეტული ინფორმაციის მოპოვება, რომ ეს უფრო არის ზოგადი ინფორმაცია. ეს არის ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია საერთო შესწავლისთვის. თუ წიაღზე არ დავკონკრეტდებით, ეს შეიძლება იყოს მიწისძვრების პროგნოზები და ა.შ. ეს ის ინფორმაციებია, რომელიც შესაძლოა მოქცეული იყოს იგივე ერთიან სახელმწიფო ფონდში. მოგეხსენებათ, რომ 23-ე მუხლი უფრო მეტი ინფორმაციის შემცველია და მე-3 მუხლიდან გამომდინარე განმარტებულია თუ რა მოიაზრება ფონდში. ეს ინფორმაცია არის სწორედ ის ინფორმაცია, რომელიც იმ საარსებო მინიმუმს აწესებს და იმ ინფორმაციული მინიმუმის დაკმაყოფილების საშუალებას აძლევს ყველას, რომლებიც მათთვის საწიროა როგორც გარემოს დაცვის ინფორმაციის მისაღებად.

ამისთვის არც ლიცენზია არის საჭირო, არც ნებართვის მოპოვება და ეს ასევე არ არის დაცული, როგორც 29-ე მუხლით დაცული სხვა ინფორმაციები. შესაბამისად, შესაძლებელია ამ ინფორმაციის მიღება“.

გ.ჩიფჩიური:“აქვე მითითებულია, რომ ეს გამიზნულია წიაღის საერთო შესწავლისთის“.

ნ.გუჯარაიძე:“ისევ ამ მუხლთან მიმართებაში გკითხავთ, მაგალითად რეგიონული, გეოლოგიური, გეოფიზიკური აგეგმვა, რეალურად წიაღის გარემოდან ამოღებას გულისხმობს“?

*ქ.კუპრავა:“*წიაღის გარემოდან ამოღება ეს უკვე სხვა ეტაპია, ამოღებისთვის აუცილებლად ლიცენზიაა საჭირო“.

ნ.გუჯარაიძე:“ამ ტიპის საქმიანობას გარემოზე ზეგავლენა აქვს“?

*ქ.კუპრავა:“*შესაძლებელია ჰქონდეს, სწორედ ამიტომ კანონმდებელი უფლებამოსილებას ანიჭებს ასეთ ადამიანებს, რომ მოიპოვოს ასეთი ინფორმაცია. მტკიცებით ფორმაში ვერ ვიტყვით, თუმცა შესაძლებელია ნამდვილად ჰქონდეს ზეგავლენა“.

*ნ.გუჯარაიძე:“*იყო საუბრი იმაზე, რომ ის ინფორმაცია რომელიც ჩამოთვლილია 29-ე მუხლში, ეს არ შეიცავს ინფორმაციას იმ შედეგებზე, რომელიც შეიძლება წიაღით სარგებლობას მოყვეს. თუკი პირიქით შევხედავთ, ანუ როდესაც საუბარია დოკუმენტზე, რომელიც შეიცავს ინფორმაციას გარემოსთვის მიყენებულ ზიანზე, გარემოს მდგომარეობაზე წიაღით სარგებლობის შედეგად. ამ დოკუმენტში მოქცეული ინფორმაცია, რომელიც ეხება წიაღის აგებულებას, სტრუქტურას, მარაგების რაოდენობას და ა.შ. ამ შემთხვევაში რა ხდება? ეს დოკუმენტის საჯაროა? არ არის საჯარო“?

*ქ.კუპრავა:“ვ*ახსენეთ კდეც დღეს, რამოდენიმე წელიწადში ერთხელ მოხსენება კეთდება, სადაც ზუსტად ასეთი სახის ინფორმაცია არის ხოლმე გაჟღერებული. რამდენად ზიანის მომტანია და ა.შ. ეს უფრო ზოგადი ინფორმაციაა მატარებელია, რომელიც ამ კონკრეტულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება იყოს გაკეთებული“.

*ნ.გუჯარაიძ*ე:“გარემოს შესახებ ეროვნულ მოხსენებაში საუბარია ყველა კონკრეტული ლიცენზიის სარგებლობის შედეგად გარემოსთის მიყენებულ ზიანზე და საფრთხეზე“?

ქ.კუპრავა:“მაშინ იქეთ მივდივართ, რომ სახელმწიფოს უნდა ავუკრძალოთ ლიცენზიის გაცემა. გავდივართ უკვე იმ ნაწილზე, სახელმწიფოს მიერ ლიცენზიის გაცემა აღარ უნდა იყოს. სახელმწიფო როდესაც ლიცენზიას გასცემს იქ ყველა პირობა არის გათვალისწინებული. ძალიან ბევრი პირობაა იმისთვის, რომ ლიცენზიანტმა ლიცენზია მიიღოს და დააკმაყოფილოს აღნიშნული პირობები. შესაბამისად, სახელმწიფო პირველ რიგში არის ის ვინც ითვალისწინებს გარემოს და მის დაბუნძურებას. თუ სახელმწიფო

გადაწყვეტს, რომ გარემო ძალიან დაბინძურდა მაგალითად თუ 3 ათასია ლიცენზისი რიცხვი რა თქმა უნდა შეამცირებს, ეს სახელმწიფოს კომპეტენციაა“.

ნ.გუჯარაიძე:“ამაზე არ ვსაუბრობ, ვთქვათ საჩხერის კირქვის საბადო, სადაც აღარ იცხოვრება. აი ამ კონკრეტულ ლიცენზიასთან მიმართებაში საჩხერის მოსახლეობა იცხოვროს ამ დოკუმენტში ინფორმაციას? გარემოზე ზემოქმედების, მათთვის ჯანმრთელობისთვის საფრთხის მიყენებაზე და ა.შ.? რამდენად დაკმაყოფილებულია მათი კონსტიტუციით გარანტირებული უფლება ცხოვრობდნენ უსაფრთხო გარემოში.“

ქ.კუპრავა:“მოხსენება ძალიან ზოგად ხასიათს ატარებს“.

ნ.გუჯარაიძე:“რაიმე ტიპის დოკუმენტი არსებობს სადაც შეიძლება პირმა ეს მოიპოვოს“?

*ქ.კუპრავა:“*ინფორმაცია, რომელიც ზოგადი არის იგივე წიაღის შესახებ, დაბინძურების შესახებ მე აუცილებლად დავაზუსტებ თუ რომელ საქმესთან დაკავშირებით გაიცა ასეთი ინფორმაცია. როგორც ინფორმაცია მივიღე შესაბამისი სტრუქტურებიდან ამ შემთხვევაში რელევანტური იქნება ამ ინფორმაციას იღებს თუ არა კონკრეტულად მომთხოვნი პირი. ასეთი ინფორმაცია ვფიქრობ რომ საჯაროა. რამდენად ყოფილა ასეთი მოთხოვა ამას აუცილებლად დავაზუსტებ“.

მ.ტურავა:“თქვენ დისკუსიიდან აი ეს დასკვან შეიძლება გამოვიტანოთ, რომ კონკრეტულ შემთხვევაში იგივე საჩხერის ქარხნის შემთხვევაში, რომელიც გარკვეული წიაღისეულის მოპოვებასთან არის დაკავსირებული, თუ სოფლის მოსახლეობას აქვს ან ეჭვი ან დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ ამ ქარხნის გამონაბოლქვი და ა.შ. ამ სოფლის მოსახლეობის ჯანმრთელობას უქმნის გარკვეულ საფრთხეს. აქვთ თუ არა ამ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა? მაშინ როდესაც იგივე ქარხანაში იგივე წიაღისეულის რა მარაგია, რა სურსია, რამდენი შეუძლია ქარხანას მოიპოვოს და ა.შ. ამ სახის ინფორმაციის გაცემა 29-ე მუხლის ტექსტიდან გამომდინარე არის თუ არა შეზღუდული? უნდა იყოს თუ არა შეზღუდული“?

*ქ.კუპრავა:“*სადავო ნორმიდან არ იკვეთება, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემა შეზღუდულია, დაბინძურება გარემოს, ატმოსფეროს და ა.შ. ინფორმაციის სახით მოგაწოდებთ, რომ სამინისტროს თავადაც ჰყავს გეოლოგები და არ არის მხოლოდ ლიცენზიანტის მიერ მოპოვებულ ინფორმაციაზე დამოკიდებული. გეოლოგების მხრიდანაც ხდება ასეთი ინფორმაციის მოპოვება და გამოკვლევა. შესაბამისად, ინფორმაციას სახელმწიფო თავადაც აგროვებს სწორედ, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე რამდენად გავლენს ახდენს. ასეთი სახის ინფორმაციის მიღება შეუძლია მოქალაქეს, ეს 29-ე მუხლით არ არის შეზღუდული“.

*ნ.გუჯარაიძე:“*მოთხოვნის გარეშე ამუშავებს მსგავს ინფორმაციას სახელმწიფო“?

ქ.კუპრავა:“მოთხოვნის გარეშეც აქვთ მათ ვალდებულება, მათ აქვთ ანგარიშვალდებულება სხვადასხვა ორგანოების მიმართ. ეს ხომ არ არის მხოლოდ და მხოლოდ მათი სურვილი, ეს არის ანგარიშვალდებულება, რომელიც უნდა განახორციელონ“.

ნ.გუჯარაიძე:“ასეთი სამსახურის შესახებ ჩემთვის ცნობილი არ არის, რომელიც გეოლოგიურ სამუშაოებს თავისი ინიციატივით ატარებს“.

ქ.კუპრავა:“ატარებენ, სამინისტროს ჰყავს თავისი გეოლოგები, რომლებიც ლიცენზიანტების გარეშე ატარებენ ასეთ სამუშაოებს“.

ნ.გუჯარაიძე:“ხომ ვერ დააზუსტებდით რომელი დეპარტამენტია ეს და რა მიზნისთვის აწარმოებენ ამ კვლევებს“?

ქ.კუპრავა:“შეგვიძლია მოგვიანებით დავაზუსტოთ“.

*მ.ტურავა:“ქ-*ნო ქრისტეინე, თქვენ როდესაც კითხვებზე პასუხობთ ეს კითხვები არის თქვენი ვარაუდი კანონის ტექსტზე დაყრდნობით? თუ რაიმე სხვას ეყრდნობა თქვენი პასუხები“?

ქ.კუპრავა:“სამინისტროსთან გვქონდა კომუნიკაცია და მზად არისნ ისინი თუკი კონკრეტულად მათ მიმართაც იქნება კითხვები უპასუხონ წერილობით“.

მ.ტურავა:“თქვენი პასუხები თქვენი ლოგიკური აზროვნების შედეგია კანონიდან გამომდინარე თუ უწყების პოზიციასთან არის შეჯერებული“?

ქ.კუპრავა:“უწყებიდან მოწოდებული ინფორმაციაა“.

ნ.გუჯარაიძე:“29-ე მუხლთან დაკავშირებით გკითხავთ, კონკრეტულად რა სახის დოკუმენტების გასაიდუმლოება ხდება ამ შემთვევაში? შედის თუ არა ამ დოკუმენტებში ლიცენზიის პირობების შესრულების ანგარიში“?

ქ.კუპრავა:“29-ე მუხლი ვფიქრობ, რომ გარკვევით აღწერს რას ეხება აღნიშნული ინფორმაცია და რომლის შემთხვევაში არ ხდება ამ ინფორმაციის გაცემა“.

*ნ.გუჯარაიძე:“*ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ, რომ ნებისმიერ დოკუმეტსი შეიძლება იყოს ასეთი ინფორმია და ამის მიხედვით ხდება გასაიდუმლოება“?

ქ.კუპრავა:“ყველა დოკუმენტში, სადაც ასეთი სახის ინფორმაცია იქნება, რომელიც ლიცენზიანტის მოპოვებულია წარმოადგენს მის საკუთრებას და არ გაიცემა. შესაძლებელია გაიცეს ნაწილობრივ ამ ინფორმაციის გარეშე“.

*ნ.გუჯარაიძე:“*ეს არის პერსონალური, კომერციული, სახელმწიფო საიდუმლოება, პროფესიული საიდუმლოება ამ ფორმიდან რომელს მიეკუთვნება ეს ინფორმაცია“?

ქ.კუპრავა:“ამაზეც ახსნა-განმარტებაში დავაფიქსირეთ ჩვენი პოზიცია და აღარ განვმეორდები“.

ი.მახათაძე:“ფონდებთან დაკავშირებით მაინტესებს, 29-ე მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფო საინფორმაციო ფონდი შედის ერთიან საინფორმაციო ფონდში? თუ რაღაც ცალკე ფონდია ეს კიდევ“/

გ.ჩიფჩიური:“არ შედის“.

ი.მახათაძე:“იმ შემთხვევაში თუ მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ ერთიანი სახელმწიფო ფონდის მართვის წესი უნდა დაამტკიცოს საქართველოს მთავრობამ და თქვენი პასუხიდან გამომდინარე ცალკე ყოფილა ეს სახელმწიფო საინფორმაციო ფონდი, რატომ აღარ არის ასეთი დათქმა ამ ფონდთან დაკავშირებით, როგორ უნდა აწარმოოს ინფორმაციების აღრიცხვა და ა.შ.“?

ქ.კუპრავა:“ბევრჯერ აღვნიშნე, რომ რეგულაცია არ არსებობს. მაგრამ, პრაქტიკაში ამას ახორციელებს გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული წესებიდან გამომდინარე ხელმძღვანელობენ და გარკვეული სახის ინფორმაციაზე მოთხოვნა ხდება, გაცემა ხდება და შესაბამისად ამ ინფორმაციის აღრიცხვა ხდება. ასევე ამ მხრივ იგეგმება ცვლილებები, რომ კონკრეტულად იყოს გაწერილი ეს წესი, გაცემის სისტემა და ა.შ.“.

ი.მახათაძე:“თქვენ ამბობთ, რომ ადმინისტრაციულ ორგანოში არის დაცული და ადმინისტრაციული ორგანო და სახელმწიფოს საინფორმაციო ფონდი ერთი და იგივეა“?

ქ.კუპრავა:“არ არის ერთი და იგივე. აქ ტოლობის ნიშანი არ დაისმევა. ერთიანი სახელმწიფო ფონდი ეს სხვა ფონდია, საინფორმაციო ფონდი სხვა ფონდია. ვფიქრობთ, რომ ბუნდოვანებას არ უნდა ქმნიდეს ამ შემთხვევაში კანონი“.

ნ.გუჯარაიძე:“ჩვენ მეტი კითხვა აღარ გვაქვს“.

მ.კოპალეიშვილი:“ამ კითხვების ფონზე მეც გამიჩნდა დამაზუსტებელი კითხვა მოპასუხე მხარის მიმართ. იგივე კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიზნებიდან გამომდინარე და 41-ე მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, რომ საჯარო დაწესებულებიდან მოპოვებული იქნას ინფორმაცია და ყველას აქვს უფლება სრულად მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ, რა გზით უნდა იქნას მიღწეული დაინტერესებული პირის მხრიდან? რა შეიძლება იყოს ასეთი ინფორმაცია მაშინ, რომელიც იმავდროულად არ იქნება კერძო ლიცენზიანტის საკუთრების ქვეშ მყოფი? რომელიც დააკმაყოფილებდა ამ ინტერესს რასაც ჰქვია ინფორმაციის თავისუფლების ინტერესი 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის და 41-ე მუხლის ფარგლებში“?

გ.ჩიფჩიური:“37-ე მუხლის მე-5 პუნქტი არ გულისხმობს მხოლოდ სახელმწიფოს ნეგატიურ ვალდებულებებს. ეს გულისხმობს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებს, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფოს მხრიდან არის მოპოვებული ინფორმაცია გარემოს

მდგომარეობის შესახებ. ეს არის ყველა დანარჩენი ინფორმაცია, რომელიც არ არის ფასის შემცველი, რომელიც არ არის ფიზიკური პირების მიერ გაკრვეული საფასურის საფუძველზე მოპოვებული ინფორმაცია“.

მ.კოპალეიშვილი:“ანუ თქვენ გულისხმობთ, რომ არ არის მოპოვებული ფინანსური დანახარჯის საფუძველზე“?

გ.ჩიფჩიური:“დიახ. სახელმწიფოს ამ კუთხით აქვს პოზიტიური ვალდებულებები“.

მ.კოპალეიშვილი:“რა შეიძლება იყოს ასეთი, როდესაც საუბარია ლიცენზიის ფარგლებში კონკრეტული უფლების განხორციელებაზე? ლიცენზიების და ნებართვების კანონმდებლობიდან თუ გამოვალთ ლიცენზიას იღებს პირი კონკრეტული მიზნით, ამ შემთხვევაში წიაღის მოსაპოვებლად. რა შეიძლება იყოს რაც ამ ლიცენზიის ფარგლებში არ მოხვდება და იმის მიღმა შეიძლება იმ კონკრეტულ ობიექტთან მიმართებით აკმაყოფილებდეს საჯარო ინტერესს? თუ ლიცენზიას რომ აიღებს კონკრეტული პირი გასულია ის საჯარო ინტერესის ფარგლებიდან“?

გ.ჩიფჩიური:“არა საჯარო ინტერესის ფარგლებიდან გასული არ არის. აქ არის ბალანსი საჯარო და კერძო ინტერესებს შორის.“.

ლ.ფაფიაშვილი:“გიორგი, ეს კითხვა ბევრჯერ დაისვა. როგორც ვხვდები თქვენ ამ წუთას პასუხი არ გაქვთ, მოინიშნეთ და მოგვიანებით დაგვიზუსტეთ. ძირითადი კითხვა, რომლის გარშემოც ვტრიალებთ არის ის, წიაღთან დაკავშირებული ინფორმაციის რა ნაწილი, მათ შორის კერძო ლიცენზიანტის მიერ მოპოვებული, შეიძლება იყოს ღია საჯარო მიზნებიდან გამომდინარე? რა ნაწილი ინფორმაციის ნებისმიერ შემთხვევაში იქნება დახურული? თუ თქვენი პრინციპული პოზიცია არის ის, რომ ნებისმიერი ტიპის ინფორმაცია (მნიშვნელოვანია თუ არ არის მნიშვნელოვანი), თუ ის მოპოვებული არის კერძო პირის მიერ, იმისდა მიუხედავად კომერციულ საიდუმლოებას შეიცავს თუ არა, აუცილებლად უნდა იყოს დახურული 29-ე მუხლიდან გამომდინარე? თქვენთან ასევე მექნება თხოვნა, დღეს არაერთხელ იყო გაჟღერებული, რომ არ არსებობს რეგულაცია, მაგრამ ამისდა მიუხედავად მსგავსი ინფორმაციის აღრიცხვას ახორციელებს შესაბამისი სამინისტრო. დასკვნითი სიტყვისთვის იქნებ დააზუსტოთ, რა ტიპის ინფორმაციის აღრიცხვა ხორციელდება, რა წესის მიხედვით ხორციელდება, რამდენი ხნის განმავლობაში ინახება, ვის აქვს წვდომა? თავისთავად ის რეგულაცია გაწერილი რომ არ არსებობს გასაგებია, მაგრამ თუკი თქვენ თვითონ აღნიშნავთ რომ ამის განხორციელება ადმინისტრაციული პრაქტიკიდან გამომდინარე ხორციელდება, მაშინ უნდა მოგვაწოდოთ ინფორმაცია ამ ადმინისტრაციული პრაქტიკის შესახებ“.

მ.ტურავა:“29-ე მუხლში გვაქვს მრავლობით რიცხვში ასეთი სიტყვები, „სახელმწიფო საინფორმაციო ფონდები“, რას ნიშნავს ეს ფონდები? ბევრია ასეთი ფონდები? სად არის

შექმნილი ეს ფონდები? თუ კანონმდებელმა ზოგადად ახსენა ფონდები, რადგან კანონის მიღების დროს ზუსტად არ იცოდა რა ფონდები უნდა შექმნილიყო, სად შეიქმნებოდა და როგორ შეიქმნებოდა. დავუშვათ დღეს მთავრობამ შეიძლება შექმნას ასეთი ფონდები, იუსტიციამ შექმნას, შსს-მ შექმნას და შეიქმნას რადგან მრავლობითში წერია ბევრი ისეთი ფონდი, რომელიც ერთმანეთთან შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს. კონკრეტულად რა იგულისხმება სახელმწიფო ფონდებში? მათში შენახულ ინფორმაციაში და ა.შ.? თქვენ შეიძლება ამ კონკრეტულ მომენტში არ გქონდეთ ამ კითხვაზე პასუხი, მაგრამ მოგვიანებით დაგვიზუსტოთ იქნებ“.

გ.კვერენჩხილაძე:“რეალურად 20 წელიწადზე მეტია ეს საინფორმაციო ფონდები არსებობს კანონის დონეზე. 20 წელია არ არის რაიმე რეგულაცია? რა არის ეს ფონდი? 20 წელი თუ გაქვს და არ გჭირდება, ლოგიკა არის ის რომ უნდა შეიტანო ცვლილება მასში. შეაქვთ ამ კანონში პერიოდულად ცვლილება, მაგრამ ეს ნორმა ხელუხლებელია. ე.ი. მისი საჭიროება დგას, ან არ დგას ამაში გაგვარკვიეთ“.

ლ.ფაფიაშვილი:“ბატონი მერაბის კითხვას გამოვეხმაურები, „ფონდები“ რომ წერია ეს არის ტექნიკური ხარვეზი და ერთი იგულისხმება თუ რამოდენიმეც შეიძლება იყოს“?

ქ.კუპრავა:“თუ სასამართლო უფლებას მომცემს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წერილობით მივმართავ იმ ორგანოს, რომელიც ასახავს ამ ინფორმაციას“.

ლ.ფაფიაშვილი:“რა თქმა უნდა თქვენ გაქვთ ამის შესაძლებლობა. მოპასუხე მხარეს აქვს მოსარჩელე მხარესთან კითხვები“?

ქ.კუპრავა:“არა“.

ლ.ფაფიაშვილი:“ამ ეტაპზე №752 ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელის განხილვის სხდომაზე ცხადდება შესვენება. სხდომის გაგრძელების თარიღი გეცნობებათ მოგვიანებით.

სხდომა გაგრძელდა 2017 წლის 20 აპრილს.

ლ.ფაფიაშვილი:"მოგესალმებით. გახსნილად ვაცხადებ 752-ე ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განხილვის სხდომას. სხდომაზე გამოცხადებული იყო შესვენება მოწმეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით. რამდენადაც ვიცით პარლამენტს აქვს შუამდგომლობა აღნიშნულთან დაკავშირებით".

ქ.კუპრავა:"მოგესალმებით. საქართველოს პარლამენტმა პროცესის შემდგომ მიმართა გარემოს დაცვის ეროვნულ სააგენტოს. აღნიშნულ დაწესებულებაში დაცულია ის საინფორმაციო ფონდები, ისინი აკეთებენ სწორედ ადმინისტრირებას ასეთი საკითხების. იქედან გამომდინარე, რომ აღნიშნული საკითხი წიაღის მოპოვების შესახებ ინფორმაცია საკმაოდ სპეციფიურია, ვშუამდგომლობ სასამართლოს წინაშე, რომ დაიკითხონ მოწმეების სტატუსით გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები, რომლებიც დღეს არიან გამოცხადებული პროცესზე. რაც შეეხება წერილობით ოფიციალურ მოთხოვნას, რომელიც პარლამენტმა გაუგზავნა გარემოს დაცვის ეროვნულ სააგენტოს ამას სხდომის მდივანს გადავცემთ და დავურთავთ საქმეს".

ლ.ფაფიაშვილი:"ქრისტინე, იქნებ თანამდებობრივი სტატუსებიც აცნობოთ სასამართლოს, რომ მიიღოს გადაწყვეტილება შუამდგომლობასთან დაკავშირებით".

ქ.კუპრავა:"გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე ქ-ნი მაია ზავრაშვილი და იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ქ-ნი შორენა იოსებიძე".

ლ.ფაფიაშვილი:"მოსარჩელე მხარეს ხომ არ სურს აზრის დაფიქსირება აღნიშნულ შუამდგომლობასთან დაკავშირებით"?

ნ.გუჯარაიძე:"არა, პირიქით ვფიქრობ, რომ უფრო ნათელს მოჰფენს მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია აღნიშნულ საქმეს".

ლ.ფაფიაშვილი:"დაკმაყოფილებულია შუამდგომლობა. ვთხოვ მოწვეულ მოწმეებს გამობრძანდეთ, თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ პირველი რომელი გამობრძანდებით და მოგვიანებით რომელი შეავსებთ საჭიროების შემთხვევაში მოწოდებულ ინფორმაციას".

შ.იოსებიძე:"მოგესალმებით, მე ვარ შორენა იოსებიძე. გარემოს ეროვნული სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსი".

ლ.ფაფიაშვილი:"ქ-ნო შორენა თქვენ ხელს აწერთ გაფრთხილების დოკუმენტს, რომ გეკისრებათ პასუხისმგებლობა შეგნებულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებისთვის, ან ინფორმაციის მიწოდებაზე უარის თქმისთვის.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია მოპასუხე მხარის მიერ თქვენ გადმოგეგზავნათ საქმის მასალები და მეტ-ნაკლებად უნდა იცოდეთ იმ ძირითადი საკითხის პრობლემატიკა, რომელსაც იხილავს დღეს საკონსტიტუციო სასამართლო. ამ ეტაპზე გთხოვთ სასამართლოს მიაწოდოთ ის ინფორმაცია, რომელსაც თქვენ თვლით მნიშვნელოვნად სადავო საკითხის გადასაწყვეტად. მოგვიანებით სასამართლოც და მხარეებიც დასვამენ დამაზუსტებელ შეკითხვებს".

შ.იოსებიძე:"გასაგებია. როგორც ჩვენთვის წარმოდგენილი საქმის მასალებიდან არის ცნობილი დღეის მდგომარეობით სადავოდ არის გამხდარი „წიაღის შესახებ" კანონის 29-ე მუხლის ის ჩანაწერი, რომელიც ზღუდავს წიაღის შესახებ ერთიან სახელმწიფო ფონდში დაცული ინფორმაციის გასხვისებას, გასაჯაროებას მესაკუთრის თანხმობის გარეშე. როგორც ვიცით, სასამართლოს ძირითადი კითხვები ეხებოდა იმ საკითხს თუ რას მოიცავს წიაღის შესახებ ინფორმაციის ფონდი, ვინ არის ამ ფონდის ფორმირებაზე ადმინისტრაციული ორგანო, რა წესით დგინდება ფონდის მართვის წესი და ა.შ. თავად წიაღის შესახებ კანონი აკეთებს მითითებას, რომ წიაღის შესახებ ერთიანი სახელმწიფო ფონდის მართვის წესი უნდა დადგინდეს საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით. ეს ჩანაწერი წიაღის შესახებ კანონში არის 2013 წლიდან. მანამდე აღნშნული ნორმის შინაარსი გულისხმობდა პრეზიდენტის ბრძანებულებით საკითხის მოწესრიგებას. თუმცა, ამ კანონის არსებობის განმავლობაში მსგავს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს, რომელიც ამ საკითხების ორგანიზაციულ მოწესრიგებას უზრუნველყოფდა არ უარსებია. არის შექმნილი დღეის მდგომარეობით. შესაბამისად, კონკრეტული პროცედურა რაიმე ნორმატიულ აქტში როგორ უნდა მოხდეს წიაღის შესახე ფონდის მართვა გაწერილი არ გვაქვს. თუმცა, გვაქვს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომლებიც აწესრიგებს კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანოების უფლებამოსილებას, კომპეტენციის ფარგლებში ქმედებების განხორციელების საკითხებს და ა.შ. ჩვენს შემთხვევაში ეს არის გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულება. არსებობს ასევე სასარგებლო წიაღისეულის მარაგების კომისიის შექმნის და კომისიის საქმიანობის წესი, რომელიც ასევე მთავრობის დადგენილებით არის დამტკიცებული. სააგენტო ხელმძღვანელობს ამ ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების შესაბამისად მისი კომპეტენციის ფარგლები გადაწყვეტილების მიღების დროს. ეს არის მოკლე ინფორმაცია, შემიძლია ახლა თქვენს შეკითხვებს ვუპასუხო".

ლ.ფაფიაშვილი:"გასაგებია. პირველ რიგში მომხსენებელ მოსამართლეს მივცემთ საშუალებას კითხვები დაუსვას მოწმეს".

გ.კვერენჩხილაძე:"მოგესალმებით ქ-ნო შორენა. ჩვენ წინა სხდომაზე გარკვეულ საკითხებზე ვისაუბრეთ, შესაბამისად საჭირო გახდა გარკვეული ინფორმაციის თქვენგან მიღება. სადავო ნორმის ირგვლიუვ, რომ ვისაუბროთ, აქ საუბარია სახელმწიფოს საინფორმაციო ფონდებში შეტანილ ინფორმაციასთან დაკავშირებით. იქნებ გვითხრათ რა არის ეს სახელმწიფო საინფორმაციო ფონდები? ლოგიკიდან გამომდინარე, რომ მრავლობით რიცხვშია იგი

მოხსენიებული ერთზე მეტი უნდა იყოს და რა დანიშნულება აქვს ამ ფონდებს? რა სახით არსებობს? რა ფორმით არსებობს ეს ფონდები? ამ ფონდებში შეტანილი ინფორმაცია, საუბარია სადავო ნორმაში, რა სახის ინფორმაციაზეა საუბარი? არის თუ არა რაიმე წესი ამის მარეგულირებელი, რა ტიპის ინფორმაცია შეიტანება, რა ვადით ინახება, როგორ ხდება მათი დამუშავება, გაცემა? ეს ორგანო თავად თუ აკეთებს იმის გამიჯვნას რა ტიპის ინფორმაცია გასცეს თუ არ გასცეს? რა რეგულაციებია ამასთან დაკავშირებით და რა სახის ინფორმაციაზეა საუბარი? არის თუ არა ეს გარემოდ მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია? ამ ინფორმაციის გარდა, რაც სადავო ნორმაშია მითითებული, სხვა ტიპის ინფორმაცია ინახება თუ არა და სადავო ნორმაში მითითებული ინფორმაცია წამროადგენს თუ არა კომერციული ხასიათის ინფორმაციას“?

შ.ოსებიძე:“თავად დეფინიცია თუ რას მოიცავს წიაღის შესახებ ინფორმაციის სახელმწიფო ფონდი არც ერთ ნორმატიულ აქტში არ გვაქვს. თუმცა, მე შემიძლია გესაუბროთ გარემოს ეროვნულ სააგენტოში დაცულ გეოლოგიურ ფონდებში არსებული ინფორმაციის შესახებ. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ დღეის მდგომარეობით გარემოს ეროვნული სააგენტო არის პრაქტიკულად ერთადერთი ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც ფლობს ამ ტიპის ინფორმაციას, გამონაკლისი არის მხოლოდ ნავთობის და გაზის, როგორც სასარგებლო წიაღისეულის შესახებ ინფორმაცია, რომლის მართვის საკითხები გადის გარემოს ეროვნული სააგენტოს კომპეტენციიდან და წარმოადგნეს ენერგეტიკის რეგულირების სფეროს. ამის გარდა, ყველა ტიპის ინფორმაცია გეოლოგიური პრაქტიკულად თავს იყრის სააგენტოში. ეს ინფორმაცია მოიცავს გეოლოგიურ ანგარიშებს. მოგეხსენებათ, გასული საუკუნის 80-იან წლებამდე ეს სფერო საერთოდ არ იყო ლიცენზირებადი. პრაქტიკულად ყველა ტიპის სამუშაოებს, მათ შორის გეოლოგიურ კვლევებს, წიაღის გეოლოგიური აგებულების შესახებ ინფორმაციის მოძიებას ახდენდა უშუალოდ სახელმწიფო თავისი ადმინისტრაციული ორგანოების მეშვეობით. იმ პერიოდისათვის ეს იყო გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტი, მანამდე კიდევ არსებობდა კიდევ სხვა სახელმწიფო დაწესებულების სტატუსით. ამ პერიოდში შექმნილ გეოლოგიურ ანგარიშებს, რომლების შეეხება საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა სახის სასარგებლო წიაღისეულს, აქ მოიაზრება, როგორც მყარი სასარგებლო წიაღისეული, ასევე შეიძლება იყოს ანგარიშები მინერალური წყლების საბადოების შესახებ და ა.შ. ეს გეოლოგიური საინფორმაციო ფონდები ასევე მოიცავს მოგვიანებით უკვე კონკრეტული სუბიექტების მიერ, კონკრეტული სარგებლობის ლიცენზიის ფარგლებში მინიჭებული უფლებამოსილების ჩატარებული კვლევების ანგარიშებს.

რაც შეეხება თვითონ მარაგების ანგარიშს, ეს არის სტრუქტურულად საკმაოდ ვრცელი დოკუმენტი. მოიცავს, როგორც კონკრეტული ადგილის შესახებ გეოგრაფიულ აღწერილობას, ეს დახასიათება არ არის მხოლოდ ვიზუალური დახასიათების შედეგი, აქ უნდა იყოს მოცემული ინფორმაცია რა ტიპის ქანებია, როგორი წარმოშობისაა და ა.შ. ეს ინფორმაცია

არის საკმაოდ დეტალური და დაინტერესებულ პირს აძლევს შესაძლებლობას მიიღოს კონკრეტული ცოდნა კონკრეტული რესურსის სახეობის შესახებ. იმის მიხედვით რა ტიპის წიაღისეულზეა საუბარი, საშენი მასალები იქნება ეს თუ მადნეული რესურსები გეოლოგიური ანგარიშის შინაარიც, სირთულეც და სტრუქტურაც შეიძლება იყოს განსხვავებული. მაგალითისთვის, რომ ვთქვათ ბაზალტების წიაღისეულის საბადოს ანგარიში თავისი შინაარსით შეიძლება იყოს მარტივი. მაქსიმალური ინფორმაცია რაც შეიძლება იყოს ამ ანგარიშში მითითებული ეს შეეხება იმას, თუ რა სიღრმეზე ვრცელდება წიაღისეული რესურსების ქანები, რა ფართობზე, რა მოცულობის რესურსის მოპოვება არის შესაძლებელი. ასევე აქ შეიძლება იყოს მითითებული ინფორმაცია კონკრეტულად რა მახასიათებლები აქვს ამ საშენ მასალას. ეკონომიკის რომელს სფეროში შეიძლება იყოს გამოყენებული სხვადასხვა მიზეზების გამო. ქვის სიმკვრივის და ა.შ. შეიძლება კონკრეტული რესურსი რაღაც საქმიანობისთვის იყოს უფრო ოპტიმალურად გამოსაყენებელი და რაღაც ტიპის საქმიანობისთვის ნაკლებად მისაღები და გამოსაყენებელი. ასეთი შინაარსის ინფორმაციას მარაგების ანგარიში მოიცავს. მადნეული რესურსების შემთხვევაში აქ იგულისხმება შავი და ფერადი ლითონები, კეთილშობილი ლითონები ასევე იშვიათი მეტალებით და სხვა სახის წიაღისეული, ასეთ შემთხვევაში გეოლოგიური ანგარიში სასარგებლო წიაღისეულის მარაგების შესახებ თავისი შინაარსით შეიძლება იყოს გაცილებით რთული. იმიტომ, რომ ასეთი ტიპის რესურსი ძირითადად ვულკანური წარმოშობის ქანებში ფორმირდება. მიწის ზედაპირიდან მისი მდებაორება არის გაცილებით ღრმა, ვიდრე საშენი მასალების შემთხვევაში შეიძლება იყოს. ამ რესურსის შესახებ კვლევებისთვის გასაწევი სამუშაოების შინაარსი არის ასევე საკმაოდ რთული, განსხვავებით რაც უკვე ვახსენე საშენი მასალების ტიპის სასარგებლო წიაღისეულის შემთხვევაში. ასეთი კვლევის ჩატარება დაკავშირებული არის საკმაოდ მაღალ ფინანსურ ხარჯებთან. მაგალითისთვის თვალსაჩინო, რომ იყოს შესაძლებელია კონკრეტული კვლევის ჩატარების ფარგლებში საჭირო გახდეს ათასეული მეტრის სიგრძის ჭაბურღილების გაყვანა. მათ შორის, 400, 500 და 1000 მეტრის სიღრმით დედამიწის ქერქის ქვეშ და ა.შ. იმისთვის, რომ კონკრეტულმა სუბიექტმა მიიღოს ინფორმაცია შესწავლის ობიექტზე არის თუ არა კონკრეტული რესურსი, რომლის მოპოვებაც მას უნდა. ამას ახორციელებს კონკრეტული სუბიექტი შესწავლის ეტაპზე. სასამართლოსთვის განვმარტავთ, რომ დღეის მდგომარეობით ლიცენზიები გაიცემა შესწავლა/მოპოვების მიზნით. ეს მოიცავს ორ ეტაპს. პირველ ეტაპზე ლიცენზიანტი ახდენს სასარგებლო წიაღისეულის შესწავლას, შესწავლისთვის კანონმდებლობა განსაზღვრავს მაქსიმალურ ვადებს. ამ ვადის განმავლობაში მის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, კამერალური დამუშავების შედეგებზე დაყრდნობით, ყველა ტიპის სამუშაოს დასრულების შემდეგ ლიცენზიანტი ამზადებს მარაგების ანგარიშს, რომელიც წარედგინება შესაბამის კომპეტენტურ ორგანოს. ეს არის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან არსებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგების უწყებათაშორისი კომისია და შემდეგ ხდება ამ

ანგარიშის განხილვა და მარაგების დამტკიცება ან მარაგების დამტკიცებაზე უარის თქმა. რის შემდეგაც რესურსი ადის სახელმწიფო ბალანსზე. კიდევ ინფორმაცია, რომელსაც მოიცავს გარემოს ეროვნულ სააგენტოში დაცული გეოლოგიური ფონდები არის ისევ ლიცენზიანტის სუბიექტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ყოველწლიური ანგარიშგების შესახებ. ეს არის ლიცენზიების და ნებართვების კანონით განსაზღვრული ვალდებულების ფარგლებში ლიცენზიანტი სუბიექტების მიერ წარმოდგენილი ყოველწლიური ანგარიშგება, სადაც ისინი მიუთითებენ გასული კალენდარული წლის პერიოდში მათ მიერ გაწეული სამუშაოების შესახებ ინფორმაციას. აქ იგულისხმება, როგორც მოპოვებული რესურსის შესახებ ინფორმაციის მოწოდება, ამ რესურსის მოპოვების ფარგლებში მათი მხრიდან განხორციელებული გადასახდელების ოდენობა და სხვა შინაარსის სამუშაოები, რომელიც მათი მხრიდან წიაღით სარგებლობის ლიცენზიის ფარგლებში იქნა განხორციელებული. სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის წიაღისეული რესურსებთან დაკავშირებული, მაგრამ ინახება ჩვენს გეოლოგიურ ფონდებში გულისხმობს დამატებით მაგალითად ყოველწლიურ გეოლგიურ ბიულეტენებს. გარემოს ეროვნულ სააგენტოს გარდა მინერალური რესურსების მიმართულებისა, საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისითაც გააჩნია კომპეტენცია და ფუნქციები. სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები ატარებენ ყოველწლიურ გეოლოგიურ მონიტორინგს მეწყერსაშიში ზონების გამოვლენისთვის, პრევენციული ღონისძიების დაგეგმვისთვის და ა.შ. ამ მიზნით ტარდება საკმაოდ მოცულობითი სამუშაოები, დგება შესაბმისი საინფორმაციო მასალა. ბეჭდური სახითაც გამოიცემა და ესეც ჩვენი გეოლოგიური ფონდების შემადგენელი ნაწილია.

რაც შეეხება შეკითხვას ხდება თუ არა გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში ინფორმაციის გაცემა რა თქმა უნდა ხდება გარკვეული შეზღუდვების გათვალისწინებით. აქ ვგულისხმობთ სწორედ იმ შეზღუდვებს რასაც ადგენს „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლი, მაგალითად თუ არის მოთხოვნილი კონკრეტული ანგარიაში, განსახილველი დავის ფარგლებში იყო სასამართლო გადაწყვეტილების მაგალითი მოყვანილი, რომ დაინტერესებულმა პირმა მოითხოვა მარაგების კომისიის სხდომის ამსახველი მასალები და ადმინისტრაციულმა ორგანომ მიაწოდა ის შეზღუდული ფორმით. ანუ, მისთვის საინტერესო ინფორმაცია ვერ მიიღო. ამ შემთხვევაშიც მოთხოვნის ფარგლებში ადმინისტრაციულმა ორგანომ იმსჯელა და საჯარო გახადა მხოლოდ ის მონაცემები, რის გასაჯაროებაც მას შეზღუდული არ ჰქონია წიაღის შესახებ საქართველოს კანონით“.

გ.კვერენჩხილაძ:“ჩემი ერთ-ერთი შეკითხვა იყო, ეს ინფორმაცია არის თუ არა კონფიდენციალური ინფორმაცია? და რა კუთხით გაასაჯაროვა ნაწილი და ნაწილის გაცემაზე უარი რას დაეყრდნო? ეს ინფორმაცია რაც არის შენახული სახელმწიფო საინფორმაციო ფონდებში, როგორც მე გავიგე თქვენი გამოსვლიდან, სახელმწიფო საინფორმაციო ფონდები,

რომელიც კანონში უკვე დიდი ხანია წერია და მას ცვლილება არ შეხებია. სახელმწიფო საინფორმაციო ფონდები რა არის და სად არის ამაზე პასუხი არ გაქვთ თქვენ“?

შ.იოსებიძე:“მრავლობით რიცხვში რატომ არის გამოყენებული და სხვა ფონდებიც შეიძლება თუ არა არსებობდეს გარემოს ეროვნული სააგენტოს გარეთ, ამაზე ცალსახა პასუხი არ მაქვს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ არსებობს სასარგებლო წიაღისეულის რესურსები ნავთობის და გაზის სახით, რომელიც ჩვენი კანონმდებლობის სფეროდან გადის და იმ ადმინისტრაციულ ორგანოებშიც შეიძლება არსებობდეს ამ შინაარსის ფონდები, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კანონმდებელმა სწორედ ეს მოიაზრა“.

გ.კვერენჩხილაძე:“ნასაგებია, რაც შეეხება მეორე ნაწილს, ეს ინფორმაცია რაც არის ამ ფონდში შენახული, ეს ინფორმაცია კომერციული საიდუმლოების შემცველია? თუ რას დაეყრდნო სწორედ ამ მომენტში სახელმწიფო ორგანო, როდესაც ნაწილი გაასაჯაროვა და ნაწილი არა“?

შ.იოსებიძე:“კომერციულ საიდუმლოებას რა წარმოადგენს ამას განმარტავს შესაბამისი კანონმდებლობა. შესაბამისად, ჩვენ ცალსახად ვერ ვიტყვით, რომ ეს შეიძლება თავიდან ბოლომდე იყოს კონკრეტული პირის კომერციული საიდუმლო. თუმცა, მე როგორც უკვე აღვნიშნე ამ ტიპის ინფორმაციია მოპოვება კონკრეტული სუბიექტებისათვის არის დაკავშირებული საკმაოდ მნიშვნელოვან ხარჯებთან. ეს ხარჯები შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში უტოლდებოდეს რამოდენიმე მილიონ ლარს ან დოლარ.ს შესაბამისად, ის რომ მას კომერციული ინტერესი ჰქონდეს ადმინისტრაციულ ორგანოში დაცული ინფორმაციის მიმართ, ეს ნათელი და ცალსახაა“.

გ.კვერენჩხილაძე:“იქნებ მე დავხარჯე რამოდენიმე მილიონი, მაგრამ არანაირი პრობლემა არ მაქვს ამის გასაჯაროებაზე? თავად სახელმწიფო ორგანო წყვეტს ინფორმაცია კონფიდენციალურია თუ არა? გაიცეს, არ გაიცეს“?

შ.იოსებიძე:“არა, თავად სახელმწიფო ორგანო არ წყვეტს. თუ იქნება იმ კონკრეტული პირის თანხმობა, ვის საკუთრების უფლებასაც იცავს ამ შემთხვევაში წიაღის შესახებ სადავოს გამხდარი ნორმა, ადმინისტრაციული ორგანო რა თქმა უნდა არ შეზღუდავს ინფორმაციის გაცემას. ამ შემთხვევაში ინფორმაციის ღიაობა არის სპეციალურ რეჟიმში მოქცეული და ეს სპეციალური რეჟიმი გულისხმობს ინფორმაციაზე საკუთრების უფლების მქონე პირის წინასწარ თანხმობას. რომლის არსებობის შემთხვევაში რა თქმა უნდა არ შეიზღუდება რა თქმა უნდა არანაირად მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა“.

გ.კვერენჩხილაძე:“ზოგადად თქვენ როგორ ფიქრობთ, მიუხედავად იმისა მესაკუთრეა თუ კომერციული საიდუმლოებაა, თუ სხვა შემთხვევა სახელმწიოფ ორგანომ, ან სახელმწიფომ შეაფასოს უნდა თუ არა ინფორმაციის გაცემის შემთხვევები? და ყოველ კონკრეტულ შემთვევაში გადაწყვიტოს გასცეს თუ არა ეს ინფორმაცია? ამ მოთხოვნილი ინფორმაციის

მნიშვნელობიდა, საზოგადოებრივი ინტერესიდან და სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით“.

შ.იოსებიძე: “სიმართლე, რომ გითხრათ ერთადერთი შემთხვევა როდესაც ამ ტიპის ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა გახდა სადავო, დღეის მდგომარეობით საკონსტიტუციო სასამართლომდეა მოტანილი და ვდაობთ ამ საკითხზე. ეს იყო ერთი კონკრეტული შემთხვევა. სხვა შემთხვევა, რომელიც შეიძლებოდა სადავო გამხდარიყო გარემოს ეროვნული სააგენტოს პრაქტიკაში არ გვქონია“.

მ.ტურავა:“ამ კონკრეტულ შემთხვევაში რა იყო“?

შ.იოსებიძე:“ამ კონკრეტულ შემთხვევაში ორი მოთხოვნა ჰქონდა დღევანდელი სარჩელის ავტორს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ წარდგენილი. ორი დამოუკიდებელი განცხადების ფარგლებში იყო. ერთ შემთხვევაში მან მოითხოვა სასარგებლო წიაღისეულის მარაგების კომისიის სხდომის ამსახველი მასალები, ოქმი. მეორე შემთხვევაში მოითხოვა კონკრეტული ლიცენზიანტი სუბიექტის მიერ წარმოდგენილი ყოველწლიური ანგარიში. პირველ შემთხვევაში, როგორც მახსოვს მას მიეწოდა ამოკრებილი ინფორმაცია მარაგების კომისიის სხდომის ოქმიდან. რეზიუმეც არ იყო მიწოდებული რა შინაარსის გადაწყვეტილება მიიღო კომისიამ. მე გეტყვით რა შინაარსის შეიძლება იყოს მარაგების კომისიის სხდომის ქომი. მარაგების კომისიის სხდომა მუშაობს პრინციპით, როდესაც კონკრეტული ანგარიშის ავტორი აკეთებს ერთგვარ პრეზენტაციას იმისას თუ რა კვლევები ჩაატარა. ხშირ შემთხვევაში ეს ინფორმაცია არის ხოლმე საკმაოდ მოცულობითი. ლიცენზიანტმა შეიძლება რაღაც ტიპის კვლევები დაუკეთოს ან სამეცნიერო ორგანოს, ან კონკრეტულ ექსპერტს. სინჯერბი გეოლოგიური, რომელსაც ამოიღებს 1000 მეტრის ბურღილიდან და ა.შ. თუმცა ანგარიშს კომისიის წინაშე წარმოაგდენს სუბიექტი, ან მის მიერ უფლებამოსილი პირი. კომისიისთვის მასალების წარდგენა გულისხმობს პრეზენტაციას, სადაც ხდება მოკლე მიმოხილვა იმ ანგარიშისა და კეთდბა ძირითად საკითხებზე აქცენტი, რაც არის წარმოდგენილი წერილობით ანგარიშში“.

მ.ტურავა:“ძირითადად სად ხდებოდა ეს მოქმედებები? რომელ რეგიონში“?

ნ.გუჯარაიძე:“მარაგები შეეხებოდა კასპის ცემენტს. იყო კირქვა, იყო მტკნარი წყლის რესურსები და ა.შ. ოთხი სხვადასხვა ლიცენზია იყო აბსოლუტურად დამოიკიდებელი“.

შ.იოსებიძე:“მარაგების ანგარიში წინსწრებით კომისიის სხდომის განხილვამდე რა თქმა უნდა მიეწოდება კომისიის წევრებს და ისინი გაცნობილი არიან მის შინაარსს. შესაბამისად, მოკლე რეზიუმე ასე ვთქვათ ანგარიშის ავტორის პრეზენტაციის სახიტ წარმოდგენილი არის საკმარისი იმისთვის, რომ კიდევ უფრო მათთვის ნათელი გახდეს რას მოიცავს ეს ანგარიში“.

მ.ტურავა:“თქვენი უარი ძირითადად ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ 29-ე მუხლში არის ჩანაწერი სახელმწიფო საინფორმაციო ფონდებში შეტანილ ინფორმაციაზე? რომ მისი გაცემა

დაუშვებელია. ეს იყო ნორმა,რომელმაც თქვენ შეგზღუდათ, რომ ამ შემთხვევაში მოსარჩელისთვის ეს ინფორმაცია გაგეცათ“?

შ.იოსებიძე:“დიახ“.

მ.ტურავა:“თქვენს მიერ დანახული კავშირი 29-ე მუხლის ბოლო წინადადების დაკავშირება კონსტიტუციის 37-ე მუხლთან როგორია? თქვენ ხართ იმ უწყების წარმომადგენელი, რომელიც გარემოს დაცვის საკითხებში არის მეტად კომპეტენტური. კონსტიტუციაში წერია, რომ მე როგორც მოქალქეს უფლება მაქვს, რომ გარემოს მდგომარეობის შესახებ მქონდეს ინფორმაცია. ეს დაკავშირებული იმასთან ჰქონდეს პირს ინფორმაცია ჯანმრთელია თუ არა გარემო, რომელშიც ცხოვრობს და ა.შ. ამ კონსტიტუციური ნორმიდან გამომდინარე, რომელიც პიროვნებას აძლევს უფლებას ინფორმაცია ჰქონდეს გარემოს მდგომარეობის შესახებ და შემდეგ თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება, აი ამ კონსტიტუციური ნორმის კავშირი 29-ე მუხლთან, როგორ ხედავთ თქვენ? თუ 29-ე მუხლის ბოლო წინადადება რადგან არსებობს კანონში, ამიტომ არ მიეცით და არ აძლევთ უფლებას, რადგან თქვენ კანონს უნდა დაემორჩილოთ რა თქმა უნდა. ჩვენ გვაინტერებს არა ის კანონში რა წერია და თქვენ როგორ ასრულებთ მას, არამედ ის რაც კანონში წერია 37-ე მუხლის მე-5 პუნქტთან არის თუ არა კავშირში? არის თუ არა ეს ის ინფორმაცია, რომელსაც ჰქვია ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ? თუ ეს სხვა ინფორმაციაა, რომელსაც ამ გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციასთან, კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიზნებიდან გამომდინარე არ აქვს კავშირი“?

შ.იოსებიძე:“გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია რას შეიძლება მოიცავდეს, ეს გასაჩივრებულ აქტში არაერთხელ არის მითითებული. ორჰუსის კონვენციაც განმარტავს და ჩამოთვლის, იგი გულისხმობს წერილობითი, აუდიო-ვიზუალური, ელექტრონული, ან ნებისმიერი სხვა მატერიალური ფორმით მოწოდებული ყველა ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა გარემოს შემადგენელი ისეთი ელემენტების შემადგენლობა, როგორიც არის ჰაერი და ატმოსფერო, წყალი, ნიადაგი, მიწა, ლანდშაფტი და ბუნებრივი ობიექტები, ბიოლოგიური მრავალფეროვნება და მისი კომპონენტები, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები და ამ ელემენტების ურთიერთქმედება. თუ მარაგების ანგარიშის შინაარსს გავეცნობით აქ ნამდვილად ვერ დავინახავთ იმ ინფორმაციას, რომელიც ამ ჩამოთვლილ ობიექტებში შეიძლება გაიგივდეს. ზოგადად, გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია რა თქმა უნდა ფართო ცნებაა. იგივე წიაღისეული რესურსები და საბადოებიც გარემოს შემადგენელი ელემენტებია. ამ ძალიან ფართო განმარტების პირობებში შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ესეც მოიაზრება. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ზოგადად საქართველოს კონსტიტუციის და ორჰუსის კონვენციის მიზანიც არის ის, რომ ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოთ სწორად ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნისთვის, ამ მიზნით ინფორმაციის მიღების უზრუნველყოფისთვის,

მაშინ ვფიქრობ რომ სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიში არ უნდა განვიხილოთ დოკუმენტად, სადაც აღწერილია გარემოს მდგომარეობა“.

ლ.ფაფიაშვილი:“ქ-ნო შორენა 29-ე მუხლში გვიწერია საბადოს დამუშავების სამთო-ტექნიკური პირობები. ინფორმაცია ამ პირობების შესახებ რამდენად შეიძლება ეხებოდეს იმას, რაზეც თქვენ ახლა საუბრობთ? ანუ, ჯანმრთელობის უსაფრთხოებას, გარემოს მდგომარეობას, შეიძლება თუ არა ტექნიკური პირობები რაიმე ტიპის გავლენას ახდენდეს გარემოზე“?

შ.იოსებიძე:“საბადოს დამუშავების პირობები რა თქმა უნდა შეიძლება ახდენდეს გავლენას. აქ იგულისხმება თვითონ მოპოვების პროცესის ტექნოლოგიური ციკლი. რა დროს, სად შეიძლება გამოყენებული იქნას მძიმე ტექნიკაც, ბყრღვა-ფეთქებადი სამუშაოებიც, აქ იქნება ასევე გათვალისწინებული რა სიღრმეზე შეიძლება ჩავიდეს ლიცენზიანტი და რა სიღრმიდან ამოიღოს რესურსი და ა.ს. ეს მოპოვების პროცესი თავისი ტექნოლოგიური ციკლით და იმ ინფრასტრუქტურის გამოყენებით რასაც გადაწყვეტს ლიცენზიანტი და დაიწყებს მოპოვებას, ეს პროცესი და ამის შესახებ ინფორმაცია რა თქმა უნდა შეიძლება მოიცავდეს“.

ლ.ფაფიაშვილი:“ორჰუსის კონვენციის მიზნებში ჯდება ეს ინფორმაცია“?

შ.იოსებიძე:“დამუშავების პროექტში აღწერილი ინფორმაცია შეიძლება განიმარტოს, როგორც ორჰუსის კონვენციის მიზნებისთვის“.

გ.კვერენჩხილაძე:“თქვენ როდესაც ჩაიკითხეთ გარემო დაცვითი ინფორმაციის განმარტება ორჰუსის კონვენციიდან გამომდინარე, ეს არის კონვენციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი, იქ არის სამი ქვეპუნქტი. თქვენ მხოლოდ პირველი ქვეპუნქტი წაიკითხეთ, შემდეგ მოდის ფაქტორები, როგორიცაა ნივთიერებები, მოქმედებები, ღონისძიებები. აგრეთვე ადმინისტრაციული ღონისძიებები, რომლებიც გავლენას ახდენს ან სავარაუდოა მოხდინოს, და ა.შ. შემდეგ არის ქვეპუნქტი, რომელიც ადამიანის ჯანრთელობას, პირად ცხოვრებას, კულტურულ ობიექტებს და შენობა-ნაგებობებს უკავშირდება. მე მაინტერესებს, აი ამ კონვენციისმიერი განმარტებიდან. გარემოს დაცვითი ინფორმაციია განმარტებიდან, გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია ეს არის კონვეცნიის დასახლება, რომელ ნაწილ, რომელ პუნქტს მიაკუთვნებთ წიაღის შესახებ კანონის 29-ე მუხლით განსაზღვრულ ინფორმაციას წიაღისა და წიაღისეულის შესახებ? ეს ინფორმაცია, რაც 29-ე მუხლშია წიაღის და წიაღისეულის შესახებ, ორჰუსის კონვენციით განმარტებულ გარემოს დაცვითი ინფორმაციის რომელიმე პუნქტში ჯდება თუ არა“?

შ.იოსებიძე:“საბადოს დამუშავების სამთო-ტექნიკური პირობების შესახებ ინფორმაცია ნამდვილად შეიძლება გავიგოთ, როგორც ორჰუსის კონვენციის მიერ განსაზღვრული განმარტებითი გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია. იმიტომ, რომ ეს ინფორმაცია ნამდვილად შეიძლება მოიცავდეს ისეთი შინაარსის საკითხებს, რომელმაც შეიძლება

ადამიანის სიცოცხლეზე და ჯანმრთელობაზე იქონიოს გავლენა. მოსარჩელის მხრიდან იქნა გაჟღერებული თუ ცემენტის, თიხის მოპოვების დამუშავების საკითხებია, იქ დამუშავების პროცესში ჰაერში მტვერის გაფრქვევის საკითხები როგორია. დამუშავების პროექტი არის დოკუმენტი, რომელიც ამ ტექნოლოგიურ ციკლს აღწერს მთლიანად, აფასებს შესაძლო რისკებს, გეგმავს პრევენციის ღონისძიებებს და ა.შ. ამიტომ, ამ შინაარსის დოკუმენტი ნამდვილად უნდა გავიგოთ და გნვმარტოთ, როგორც ორჰუსის კონვენციის მიზნებისთვის იმ ინფორმაციის შემცველი, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს გავლენა“.

გ.კვერენჩხილაძე:“ზოგადად, წიაღის შესახებ ინფორმაცია, თუნდაც თქვენს მიერ წაკითხული გარემოს შემადგენელი ისეთი ელემენტის მდგომარეობა, როგორიც არის ჰაერი, ატმოსფერო, წყალი, ნიადაგი, მიწა, ლანდშაფტი, ბუნებრივი ობიექტები, თქვენს მიერ და ჩემს მიერ ჩამოთვლილ კონვენციისეულ განმარტებაში წიაღი მიწის, ნიადაგის, წყლის, ან რომელიმე კომპონენტში ვერ ჯდება? ჩვენი წიაღის კანონით ეს ინფორმაცია კონვენციის მიღმა ინფორმაციაა“?

შ.იოსებიძე:“წიაღს თავად კანონი განმარტავს. ნორმის განმარტება რამდენად შეიძლება ჩვენი კომპეტენცია იყოს ეს არ ვიცი. ზოგადად, წიაღისეული რესურსები რა თქმა უნდა არის გარემოს შემადგენელი კომპონენტი. გარემოში არსებობს მიწის ქვეშ, ნიადაგის ქვეშ. თუმცა, წიაღისეული ამ ჩამონათვალში არ არის“.

გ.კვერენჩხილაძე:“კომერციულ საიდუმლოებასთან დაკავშირებით რას გვეტყვით? ეს ინფორმაცია კომერციულ საიდუმლოებაა თუ არა? თუ არის როგორ ხდება გასაიდუმლოება, ან განსაიდუმლოება“?

შ.იოსებიძე:“კომერციული საიდუმლოების სტატუსის მინიჭებაზე ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში არც ერთი ანგარიშის მიმართ გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული არასდროს. არც წარმოება არ ჩაუტარებია გარემოს ეროვნულ სააგენტოს. ამ კომპეტენციების სხვა ადმინისტრაციული ორგანოების ფუნქციებში არსებობის პერიოდში არ ვიცით რა გადაწყვეტილებები იყო მიღებული. თუმცა, ჩვენ ამას როგორც კომერციულ საიდუმლოებას არ განვმარტავთ. ინფორმაციის ღიაობას ვზღუდავთ მხოლოდ მესაკუთრის წინასწარი თანხმობის სავალდებულოობის თვალსაზრისით“.

მ.კოპალეიშვილი:“ქ-ნო შორენა თუ შეგიძლიათ გვითხრათ, კონკრეტულად სადავო ჩანაწერში რა ლეგიტიმური მიზანი შეიძლება ჰქონდეს ჩადებული სახელმწიფოს ჩადებული? რა ლეგიტიმური მიზნის განხორციელებას შეიძლება ემსახურებოდეს ეს ჩანაწერი“?

შ.იოსებიძე:“ჩვენი აზრით ამ ჩანაწერის ლეგიტიმური მიზანი შეიძლება იყოს ის, რომ ამ ტიპის ინფორმაციის შექმნა, მოძიება და იმ ფორმის მიცემა, რა ფორმითაც საბოლოოდ არსებობს ინფორმაცია არის დაკავშირებული სუბიექტის მხრიდან საკმაოდ დიდი ფინანსური ხარჯების გაწევასთან. შესაბამისად, არ ვიცი რამდენად მისაღებია ამ ტიპის

განმარტება, მაგრამ ეს შეიძლება მოვიაზროთ, როგორც იგივე კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრების უფლების დაცვა. თუ სახელმწიფო თვითონ ვერ ახორციელებს კონკრეტული ინფორმაციის შექმნას, იმიტომ რომ არ აქვს რესურსი ჩაატაროს კვლევა და ამ უფლების დელეგირებას რა თქმა უნდა ლიცენზიის ფარგლებში ახდენს კონკრეტულ მოსარგებლე სუბიექტზე, მაშინ სახელმწიფო უნდა იყოს ერთგვარი გარანტი ან რაღაც ფორმით დაუჭიროს მხარი ამ ტიპის სამუშაოებს. საკმაოდ ღირებულია ეს ინფორმაცია თავისი შინაარსით, გვაწვდის ინფორმაციას თუ რა რესურსი გვაქვს. რა ეკონომიური ღირებულება გააჩნია ამას გადამუშავების შემთხვევაში რა სარგებელს მოუტანს და ა.შ.“.

მ.კოპალეიშვილი:“შევხედოთ სხვა რაკურსიდან, თქვენ თქვენი მსჯელობა გაგყავთ იქამდე, რომ ფინანსური ხარჯი გასწია ამა თუ იმ დაინტერესებულმა პირმა და რადგანაც ფინანსური ხარჯი გასწია, ეს არის მისი საკუთრების უფლება და ამიტომ უნდა იყოს დაცული. მაგრამ, მაშინ რა გამოდის რომ სახელმწიფო მუდმივად მის საკუთრებაში არსებულ წიაღისეულზე და წიაღი სახელმწიფო საკუთრებაა, ვერასდროს ვერ იქნება წიაღის შესახებ ინფორმაცია ღია, იმიტომ რომ ყოველთვის ვიღაც კერძო პირი დაამუშავებს ამ ინფორმაციას და ყოველთვის დახურული უნდა იყოს. იმიტომ, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ქონებაზე, ამ შემთხვევაში წიაღისეულზე, იმის გამო რომ კერძო პირი ახდენს მასზე მოპოვებითი და კვლევითი სამუშაოების ჩატარებას, მთლიანად იხურება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ინფორმაციის გაცემა. არის ეს ასე? გარდა იმისა, რომ წიაღის შესახე კანონი არსებობს და წიაღისეული სახელმწიფო საკუთრებაა, ტყეც სახელმწიფო საკუთრებაა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სხვა რესურსებთან მიმართებით, როგორიც არის ტყის ფონდი მაგალითად, რომლის დამუშავებასაც უზარმაზარი თანხები სჭირდება, იქ ასეთი შეზღუდვა ინფორმაციის გაცემასთან არ არის. რამ განაპირობა ის, რომ მაინცდამაინც წიაღის შესახებ კანონმდებლობაში არის მსგავსი შეზღუდვა ინფორმაციის გაცემასტან დაკავშირებით და სხვა დანარჩენ ასეთ მნიშვნელოვან რესურსებთან არა. სად არის ის თანმიმდევრული ლეგიტიმური ინტერესი სახელმწიფოს მხრიდან“?

ლ.ფაფიაშვილი:“შესაძლებელია ეს თქვენი კომპეტენცია არ არის და ვერ გვიპასუხოთ, ამიტომ მოპასუხე მხარესაც ვთხოვ მოინიშნოს ქ-ნი მაიას მიერ დასმული კითხვა და მოგვიანებით გვიპასუხოს.

თქვენ გვიპასუხეთ რა ლეგიტიმური მიზანი შეიძლება არსებობდეს ორგვარი მიდგომის, რაზეც ქალბატონმა მაიამ ისაუბრა? პრაქტიკიდან გამომდინარე არსებობს თუ არა ტყის ფონდსა და ა.შ. წიაღისეულს შორის სხვაობა“?

შ.იოსებიძე:“ტყის ფონდი სხვა კანონმდებლობით რეგულირდება, ამიტომ ქ-ნი მაია შეძლებს მოგვიანებით უფრო კომპეტენტური პასუხები გაგცეთ ამ საკითხებთან მიმართებით. რაც შეეხება ლეგიტიმურ მიზანს, ვფიქრობთ რომ ეს შეიძლება იყოს საკუთრების უფლების დაცვა. სამწუხაროდ დღეს ეს რეალობა გვაქვს, რომ ამ ნორმის განმარტების პირობებში

ნამდვილად ინფორმაცია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული რესურსის შესახებ რაღაც პერიოდით შეიძლება იყოს დახურული და კონკრეტული სუბიექტების კეთილი ნების გარეშე სახელმწიფომ ვერ უზრუნველყოს მისი გაცემა. ეს არ არის ის საკითხი, რომელზეც არ ფიქრობს სახელმწიფო და არ ხედავს რაღაცეების შეცვლის აუცილებლობას. ჩვენ ვმუშაობთ კონცეპტუალურ ცვლილებებზე და კონცეფციებზე, რომელშიც ეს საკითხები მოიაზრება. ამ ნაწილთან მიმართებაში არის ასეთი ხედვა და დამოკიდებულება, რომ ამ ტიპის ინფორმაციაზე ასეთი უპირობო საკუთრების უფლება კონკრეტული სუბუიექტის შეიზღუდოს კონკრეტული ვადით. მაგალითად, თუ ის დაიცავს მარაგების ანგარიშს და აქედან გავა სამი ან ხუთი წელი და ის კატეგორიულად არ განაცხადებს თანხმობას ამ ინფორმაციის ღიაობაზე და იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფოს ჰქონდეს ინტერესი ამ ინფორმაციის გასაჯაროების, ლიცენზიის ხელახალი გაყიდვის და ა.შ. სახელმწიფოს ჰქონდეს ბერკეტი გარკვეული კომპენსაციის პირობებითმოახდინოს ამ ინფორმაციის გამოყენება“.

მ.კოპალეიშვილი:“მოსარჩელე მხარემ აღნიშნა, რომ მარაგების კომისიის ოქმი და გადაწყვეტილებები იმ თვალსაზრისით რაც ეხება გრემოზე ზემოქმედების საკითხს, აი ამ თვალსაზრისით სურს რომ გადაეცეს. მოსარჩელე არ ამბობს, რომ სრულად გადაეცეს. ის ამბობს გარემოზე ზემოქმედების მიზნებიდან გამომდინარე მონიტორინგის თვალსაზრისით, გადაეცეს ასეთი ინფორმაცია. არის თუ არა შესაძლებელი კომისიის გადაწყვეტილებებიდან და ოქმებიდან, ასეთი ინფორმაციის გამოხშირვა? რომელიც არ დაარღვევს დაინტერესებული პირის უფლებებს, რომელმაც ჩაატარა ამაზე გარკვეული სამუშაოები და მისი ფინანსური ხარჯის შესახებ ინფორმაციას არ ითხოვს მოსარჩელე. მოსარჩელეს სურს გადაეცეს გარკვეული მასალა, რომელიც მას მისცემს განსაზღვროს აი ეს საკითხი, ან ამდაგვარი დამუშავება წიაღისეულის შეიძლება რომ ახდენდეს გავლენას და ზემოქმედებდეს გარემოზე“.

შ.იოსებიძე:“ამ შემთხვევაში ცოტა უნდა გავცდეთ წიაღის კონკრეტული ნორმის რეგულირების ფარგლებს. გარემოზე ზემოქმედების შესახებ ინფორმაციის მოპოვება არა ამ სამართლებრივ რეჟიმში, არამედ სულ სხვა კანონმდებლობის ფარგლებში შეიძლება იქნას მოპოვებული. პირიქით, ეს ინფორმაცია ღიაა და ზოგადად გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშების განხილვა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით ხდება იმ ადმინისტრაციულ ორგანოში, ჩვენს შემთხვევაში გარემოს და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში, შესაბამისად ამ ფარგლებში განხილული ნებისმიერი დოკუმენტი ხელმისაწვდომია პროაქტიულადაც კი დამატებითი გამოთხოვის გარეშე“.

მ.კოპალეიშვილი:“წიაღისეულის დამუშავებაზე მაინტერესებს, რა ტიპის კვლევა იქნა გამოყენებული? შეესაბამებოდა თუ არა ეს გარემომცველი გარემოს დაცვის ინტერესებს? მოახდინა თუ არა ამ ტიპის კვლევამ და ამ ტიპის სამუშაოების ჩატარებამ ზემოქმედება გარემომცველ გარემოზე? აი ამ ინფორმაციის მოპოვებას ცდილობს მოსარჩელე მხარე. ჩემი

კითხვაც ამას შეეხება, რადგანაც კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 [უნქტი ამბობს, რომ ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ, აი ეს ჩანაწერი შეიძლება თუ არა მოიცავდეს თავის თავში ასეთ ინფორმაციასაც, რომ გარემომცველ გარემოზე რომ მოხდა ჩარევა თუნდაც სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით, აი ამან რა ზემოქმედება მოახდინა? და თუ მოახდინა გარემოზე ზემოქმედება ამის შესახებ ინფორმაცია იყოს ღია და საჯარო. მიუხედავად იმისა, რომელი პირი ატარებს და ვისი სახსრებით ხდება ამის ჩატარება".

შ.იოსებიძე:"ზოგადად ვფიქრობ რთული იქნება ამ კითხვაზე პასუხის გაცემა იმის გათვალისწინებით, რომ ჩატარებული კვლევის შინაარსის ყველა კომპონენტი დამოკიდებულია იმაზე რა ტიპის წიაღისეულის შესწავლა ხდება".

ლ.ფაფიაშვილი:"უკაცრავად ქ-ნო შორენა ჩაგეჭრებით, ქალბატონმა მაიამ რაც დასვა კითხვა ეს ეხებოდა მათ შორის სამთო-ტექნიკურ პირობებს. თქვენ აღნიშნეთ, როგორ ხორციელდება დამუშავება და ეს შეიძლება გავლენას ახდენდეს გარემოზე. გარემოზე ამ ტექნოლოგიური პროცესების გავლენის შესახებ ინფორმაცია შეიძლება რაიმე სხვა გზითად იქნას მოპოვებული"?

შ.იოსებიძე:"რაიმე სხვა გზით შეიძლება იქნას მოპოვებული მაგალითად თუ საქმე ეხება მადნეულის საბადოს შესახებ ინფორმაციას. კირქვა, რომელიც უნდა გადამუშავდეს ცემენტად და საბოლოო პროდუქტი უნდა იქნას მიღებული, ეს პროცესი რეგულირდება არა მხოლოდ წიაღის შესახებ აკნონმდებლობით, არამედ გარემოზე ზემოქმედების შესახებ კანონმდებლობით. საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. ამ დოკუმენტაციას ის ქმნის არა უკვე წიაღის შესახებ კანონით გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში, არამედ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში".

ლ.ფაფიაშვილი"უფრო მარტივად გკითხავთ, იმ შემთხვევაში როდესაც გაცემულია ლიცენზია კვლევაზე და მოპოვებაზე, ლიცენზიის მოქმედების პერიოდში მოწმდება გარემოზე ზემოქმედების ეფექტი"?

შ.იოსებიძე:"მოწმდება ოღონდ არა გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ".

ლ.ფაფიაშვილი:"მოსარჩელის ერთ-ერთი პრობლემა ეს არის, რომ მას არ აქვს იმის შესაძლებლობა რომ მოიპოვოს მიმდინარე პროცესები რა ტიპის ზემოქმედებას ახდენს გარემოზე. იმიტომ, რომ გარემოზე ზემოქმედება არის კონსტიტუციის 37-ე მუხლის რეგულირების სფერო და არა საკუთრებითი ურთიერთობა, რომელიც დავუშვათ წიაღის შესახებ კანონიდან გამომდინარე უკავშირდება საბადოს მოცულობას, დამშავების ფარგლებს და ა.შ.".

შ.იოსებიძე:"გარემოზე ზემოქმედების პროცესი რა თქმა უნდა მოწმდება. თუმცა, სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლს ახორციელებს არა გარემოს საცვის

ეროვნული სააგენტო, არამედ სხვა სუბიექტი. ეს არის გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში არსებული სახელმწიფო, საქვეუწყებო დაწესებულება გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი. შესაბამისად, ეს ინფორმაცია და შემოწმების პერიოდში გამოვლენილი შესაძლო დარღვევების შესახებ ინფორმაცია არის ხელმისაწვდომი იქ".

მ.კოპალეიშვილი:"ქ-ნო შორენა, ისევ ვუბრუნდები მარაგების კომისიის სხდომას. თავად ეს კომისია როგორი ორგანოა? და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები რა ტიპის გადაწყვეტილებებია"?

შ.იოსებიძე:"თავისი შინაარსით ეს არის უწყებათაშორისი კომისი, რომელიც არსებობს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან. უშუალოდ კომისიის მიერ მირებული გადაწყვეტილება არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს. თუმცა, მისი ადმინისტრაციული აქტით განმტკიცება ხდება გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მიერ ბრძანების გამოცემით. ბრძანების შინაარსი გულისხმობს ხოლმე, რომ დამტკიცდეს მარაგების კომისიით ამა და ამ ოქმით მიღებული გადაწყვეტილება".

მ.კოპალეიშვილი:"ქვეყნდება სადმე ეს ინფორმაცია? ეს გადაწყვეტილება, რომელიც შეიცავს რაღაც მონაცემებს, რასაც მინისტრი ამტკიცებს ქვეყნდება სადმე"?

შ.იოსებიძე:"როგორც უკვე აღვნიშნეთ ამ ინფორამაციის შექმნა ხდება კონკრეტული ლიცენზიის ფარგლებში. ქვეყნდება ინფორმაცია, რომელიც მოიცავს რა ოდენობის მარაგი იქნა დამტკიცებული ამ ანგარიშის ფარგლებში".

მ.კოპალეიშვილი:"თავად ამ გადაწყვეტილებაში რა ინფორმაცია შედის? რა ინფორმაცია შედის ისეთი, რომელსაც თქვენ არ აქვეყნებთ? ან მოთხოხნის შემთხვევაშიც არ გადასცემთ 29-ე მუხლის საფუძველზე დაინტერესებულ პირს? არის ასეთი რაიმე, რაც მინისტრის მიერ დამტკიცებულ გადაწყვეტილებაში შედის, რომელსაც თქვენ არ გასცემთ და საჯარო არ არის"?

შ.იოსებიძე:"ორი სხდომა იმართება ერთი ანგარიშის განხილვის ფარგლებში. ერთი არის სამუშაო სხდომა, სადაც ხდება თავდაპირველი პრეზენტაცია მარაგების ანგარიშის კომისიის წევრების მიერ, შესაბამისი შენიშვნების გამოთქმა. თუ ეს შენიშვნები არის ისეთი შიაარსის, რომელიც აუცილებლად უნდა გასწორდეს მარაგების ანგარიშში და ამაზე ოპონირებას არ აკეთებს ლიცენზიის მფლობელი და იზირებს კომისიის წევრის შენიშვნას ხდება გასწორება. სემდეგ უკვე მეორე კომისიის სხდომაზე ხდება შემაჯამებელი რეზიუმეს გაკეთება".

მ.კოპალეიშვილი:"გასაგებია ქ-ნო შორენა სულ სხვაა ჩემი კითხვა. რა ინფორმაცია შედის გადაწყვეტილებაში? უფრო კარგად რომ დაგანახოთ რა მაინტერესებს, მე ვცდილობ იმის გარკვევას, რომ მინისტრის აქტი როგორც ასეთი არის ღია დოკუმენტი. რადგანაც მინისტრის აქტი ღია დოკუმენტია და მინისტრის აქტით მტკიცდება და ეს გადაწყვეტილება მინისტრის

აქტის შემადგენელი ნაწილია, რა ინფორმაცია შედის ამ გადაწყვეტილებაში, რომელსაც თქვენ არ გასცემთ მოთხოვნის შემთვევაში? ანუ, თქვენ გამოდის რომ გასცემთ მინისტრის აქტს გამოხშირული ფორმით? ანუ, არა ყველაფერს, არამედ რომ დაამტიცა ეს გადაწყვეტილება ამას გასცემთ, მაგრამ ამ გადაწყვეტილებაში რა ინფორმაცია შედის ისეთი, რომელიც 29-ე მუხლიდან გამომდინარე შეზღუდვას ექვემდებარება"?

შ.იოსებიძე:"კომისიის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, რაც იდეაში მტკიცდება და რისთვისაც მშაობს კომისია არის რომელ საბადოზე, რომელი სახეობის და რა ოდენობის რესურსი დამტკიცდა".

მ.კოპალეიშვილი:"ამ გადაწყვეტილებაში სხვა ინფორმაცია არის? მაგალითად, რა ტიპის კვლევები ჩატარდა? ამ ტიპის კვლევებიდან რამ გაამართლა? რამ არ გაამართლა? არის ისეთი ინფორმაცია, რომ კომისია მსჯელობდეს ასევე იმაზე, რომ ამ ზემოქმედების შედეგად რაც ამ კონკრეტულმა პირმა გააკეთა, არ უნდა გამოყენებინა მას და კომისიამ მიიჩნია ეს არასათანადო მეთოდი იქნა გამოყენებული ამ კვლევების ჩატარების დროს და ა.შ. ეს მეთოდები არის თუნდაც წინასწარ ვინმესთან შეთანხმებული, რა უნდა გამოიყენოს ამა თუ იმ კონკრეტულმა დაინტერესებულმა პირმა წიაღის დასამუშავებლად"?

შ.იოსებიძე:"დამუშავების პირობებზე რა თქმა უნდა არის ხოლმე საუბარი ამ პროცესში. მყარ წიაღისულთან მიმართებაში ძირითადად ორი ფორმით შეიძლება დამუშავდეს საბადო. ერთი არის ღია კარიერული წესით და მეორე მიწისქვეშა სამთო გამონამუშევრებით. რა თქმა უნდა ზოგადი თეზისები, ან ზოგადი წინასწარი დამოკიდებულებები რა ფორმით დაამუშავებს კონკრეტული ლიცენზიანტი კონკრეტულ საბადოს რა თქმა უნდა ჟღერდება. თუმცა, დეტალური დამუშავების პროექტი, სადაც ნაბიჯ-ნაბიჯ იქნება გაწერილი განსახორციელებელი ქმედებების შინაარსი ამას მარაგების ანგარიში არ მოიცავს და შესაბამისად ასეთ დეტალებზეც არ მსჯელობს კომისია. შეიძლება იყოს მხოლოდ მოკლე, წინასწარი განწყობა და განზრახვა ჩამოყალიბებული".

მ.კოპალეიშვილი:"თავად ამ გადაწყვეტილებაში რა ინფორმაცია შედის"?

შ.იოსებიძე:"კომიის სხდომა რა შინაარსის იქნება და რა საკითხებზე შეიძლება მიეცეს პოლემიკის მიმართულება სხვადასხვანაირია, ასე სტანდარტულათ არ არის გაწერილი".

მ.კოპალეიშვილი:"მაშინ კიდევ უფრო დავავიწროვებ კითხვას, იცნობთ თქვენ მოსარჩელის მოთხოვნას და ალბათ სხდომის ოქმსაც გაეცანით წინა პროცესის, ამ ყველაფრის გაანალიზებით ის ინფორმაცია რასაც ითხოვს მოსარჩელე მხარე, არის თუ არა ამ გადაწყვეტილებებში და ოქმებში"?

შ.იოსებიძე:"რომ გამოხშირო ინფორმაცია რამაც შეიძლება დაარღვიოს საკუთრების უფლება ლიცენზიანტის, ან რამაც შეიძლება იქონიოს გავლენა ამას სჭირდება ძალიან სპეციფიური ცოდნა. მაგალითისთვის ეს შეიძლება გაფრქვეული კონცენტრანტის შესახე ინფორმაცია

ზოგიერთი სპეციალისტისთვის გახდეს საკმარისი, რომ გამოიტანოს დასკვნა იქ რა რესურსი შეიძლება დამუშავდეს და კონკრეტული სპეციალისტისთვის არ იყოს ეს ინფორმაცია გასაგები. შესაბამის ცოდნას საჭიროებს და დასკვნების გამოტანა შეიძლება იყოს შესაძლებელი არა პირდაპირ, არამედ რაღაც კონკრეტულ მონაცემებზე დაყრდნობით. რის შეფასებაც ალბათ ყველა კონრკეტულ შემთხვევაში უნდა მოხდეს. ასე ზოგად ჭრილში ძალიან რთული იქნება იმაზე საუბრი შეიძლება თუ არა იყოს ის ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება დაარღვიოს საკუთრების უფლება“.

მ.კოპალეიშვილი:“ანუ, თქვენ არც იცით არღვევს თუ არა საკუთრების უფლებას, მაგრამ მაინც დახურულია? საკუთრების უფლება თქვენ გაგყავთ გაწეულ ხარჯზე“?

შ.იოსებიძე:“ჩვენ არ გაგვყავს, კანონმდებელს გაყავს“.

მ.კოპალეიშვილი:“თქვენც ასე განმარტავთ. კანონის ნორმა, როგორც განიმარტება პრაქტიკაში ის არის კანონი“.

შ.იოსებიძე:“ამ შემთხვევაში მოსაჩელეს მიეწოდა გარკვეული სახის ინფორმაცია. სრულად დახურვა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან არ მომხდარა“.

მ.კოპალეიშვილი:“რა მიეწოდა გადაწყვეტილებები და ოქმები“?

შ.იოსებიძე:“გადაწყვეტილებების და ოქმების ნაწილი“.

მ.ტურავა:“ნაწილი რატომ და ნაწილი რატომ არა“?

ლ.ფაფიაშვილი:“პრაქტიკულად იგივე პასუხებს გვცემს მოწმე კითხვებზე, ასე რომ მეტ ჩაძიებას აზრი აღარ აქვს“.

მ.ტურავა:“ანუ, ქ-ნო შორენა შეიძლება ასე დავასკვნათ, რომ 29-ე მუხლის ბოლო წინადადებიდან გამომდინარე, რადგან აქ წერია ინფორმაცია, თქვენ არანაირ დიფერენციაციას არ ხდენთ? თქვენ კონსტიტუციის 37-ე მუხლით, რომ პირდაპირ სარგებლობდეთ და ამბობდეთ, რომ გარემოს მდგომარეობის შესახებ არის გარკვეული ინფორმაცია, რომელსაც ჩვენ ვერ დავუმალავთ მოქალაქეებს, ასეთი დიფერენციაცია არ ხდება ინფორმაციია გაცემის მომენტში“?

შ.იოსებიძე:“გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას გარემოს ეროვნული სააგენტო პროაქტიულადაც აქვეყნებს. განსაკუთრებით ისეთს, რაც შეიძლება ადამიანის სიცოცხლისთვის და ჯანმრთელობითვის იყოს საფრთხის შემქმნელი და საინტერესო. არაფერს რომ არ ვაქვეყნებდეთ ასე ნამდვილად არ არის“.

მ.ტურავა:“ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც თქვენ გამოქვეყნებული არ გაქვთ, ეს ინფორმაცია არ გაიცემა ხომ“?

შ.იოსებიძე:"ერთ რამეს გავუსვამ ხაზს, გადაწყვეტილების გასაჯაროებაზე იყო საუბარი და რა შინაარსის გადაწყვეტილებას იღებს მარაგების კომისია. რეზიმე და საბოლოო დასკვნა მარაგების კომისიის გადაწყვეტილებისა და მისი შინაარსი არის ის, რომელ საბადოზე რა ოდენობის რესურსი და რომელი სახეობის არსებობს. ეს ინფორმაცია ლიცენზიის გამცემის მიერ აისახება ლიცენზიის გაცემის შესახებ ბრძანებაში, რომელიც არის ადმინისტრაციული აქტი. რა თქმა უნდა არის საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. მოცულობების შესახებ ინფორმაციაც კი არ არის გასაიდუმლოებული. უფრო მეტიც, ყოველი კონკრეტული ლიცენზიანტი ვალდებულია ადმინისტრაციულ ორგანოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ათვისების გეგმა, სადაც მოიაზრება მომდევნო წლების განმავლობაში მოსაპოვებელი წიაღისეულის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ესეც ადმინისტრაციული აქტით მტკიცდება და ამის ხელმისაწვდომობაც უზრუნველყოფილია".

მ.კოპალეიშვილი:"ქ-ნო შორენა აქ მოსარჩელე მხარის ინტერესში შედის, რომ წიაღის დამუშავების დროს რა მეთოდები, ტექნიკური პარამეტრები, შესაძლებლობები იქნა გამოყენებული და აი ამ ტექნიკურმა შესაძლებლობებმა რაც გამოყენებული იქნა ამა თუ იმ სუბიექტის მხრიდან, შეიძლება თუ არა მოახდინოს ზემოქმედება გარემომცველ გარემოზე? აი ამაზეა საუბარი და არა მარაგების ოდენობაზე. მარაგი არის ფაქტობრივი მონაცემი და სწორედ ამ მარაგის სწორად დამუშავება რამდენად მოხდა ან მოხდება და რა მეთოდებით მოხდება? აი ეს არის მოსარჩელის ინტერესი".

შ.იოსებიძე:"ეს ინფორმაცია საბადოს ტექნიკური დამუშავების შესახებ ნამდვილად შეიძლება იყოს იმ შინაარსის შემცველი, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს გავლენა ადამიანზე".

მ.კოპალეიშვილი:"შეიძლება ჰქონდეს გავლენა რა თქმა უნდა, მაგრამ უნდა იყოს თუ არა ეს გაცემული აქედან გამომდინარე"/

შ.იოსებიძე:"რა თქმა უნდა, უნდა იყოს გაცემული".

მ.კოპალეიშვილი:"ინფორმაციის თავისუფლების უფლებიდან გამომდინარე ეს ინფორმაცია უნდა იყოს თუ არა ღია? და არის თუ არა დღეს ღია"?

შ.იოსებიძე:"უნდა იყოს ნამდვილად ღია".

ლ.ფაფიაშვილი:" არის თუ არა დღეს ღია ეს ინფორმაცია თუნდაც სხვა კანონმდებლობიდან გამომდინარე"?

შ.იოსებიძე:"არის ნამდვილად ღია".

ლ.ფაფიაშვილი:"რომელი კანონი იძლევა ამ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლებას"?

შ.იოსებიძე:"გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ კანონი იძლევა ამ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესაძლებლობას. სასარგებლო წიაღისულის

გადამუშავების პროცესი საჭიროებს დამატებით ნებართვას და 2018 წლიდან შევა კანონი ძალაში, რომელიც კიდევ უფრო ამკაცრებს ამ საკითხებს. მაგალითისთვის გეტყვით, თუ აქამდე არ იყო სავალდებულო ღია კარიერული წესით დამუშავების პროცესში ამ ტიპის დოკუმენტაციის შექმნა წარმოდგენა და საჯარო ხელმისაწვდომობა არ იყოს უზრუნველყოფილი, უახლოეს თვეებში ამოქმედდება კანონი, რომლის ფარგლებშიც ეს ინფორმაციაც უკვე გახდება საჯარო. ახლაც ხელმისაწვდომია თუმცა მეტი საჯაროობა იქნება ამ მხრივ".

მ.კოპალეიშვილი:"დავაკონკრეტებ ქ-ნო შორენა, მოსარჩელე მხარეს დამატებების გაკეთება მოუწევს ახლა თქვენი პასუხიდან გამომდინარე. თუკი თქვენ ამბობთ, რომ ის ყველაფერი რასაც ითხოვს მოსარჩელე ისედაც ღია არის ოღონდ სხვაგან დევს ეს ყველაფერი, მაშინ მოსარჩელეს მოუწევს თავისი მოთხოვნის დაზუსტება. კიდევ ერთხელ დამაზუსტებელ კითხვას დავსვამ, რაც მოსარჩელე მხარემ მოითხოვნა თქვენგან, სარჩელშიც არის წარმოდგენილი და თქვენც აღნიშნეთ თქვენი გამოსვლისას რამდენჯერ მოგმართათ და მოითხოვა ეს ინფორმაცია, რა ინფორმაცია არ გაეცით თქვენ? მთუ ეს არ არის გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რა ინფორმაცია იყო რომელიც თქვენ არ გაეცით"?

შ.იოსებიძე:"მოთხოვნილი იყო კომისიის სხდომის ოქმი".

მ.კოპალეიშვილი:"თქვენ გინდათ თქვათ, რომ მთელი ოქმი იყო მოთხოვნილი? და რადგანაც არ გამოხშირეთ არც მთელი დოკუმენტის გაცემის წინაშე არ დადეგით ხომ"?

შ.იოსებიძე:"ამის გამოხშირვა უზრუნველყო შესაბამისი დარგის სპეციალისტებმა".

მ.კოპალეიშვილი:"თუკი მე არასწორ ინტერპრეტირებას ვუკეთებ თქვენს ნათქვამს შეგიძლიათ შემისწოროთ და შესაბამისი არგუმენტები წარმოადგინოთ, ანუ რა გამოდის თქვენი საუბრიდან სადავო ნორმა ამბობს, რომ ვინც დაამუშავა მისი საკუთრებაა და არ უნდა გაიცეს, თქვენ ერთი მხრივ ამბობთ, რომ ის რაც შიძლება იმ კერძო პირმა დაამუშავა წიაღი, მაგრამ გარემოზე ზემოქემდებაში არის კავშირში, ეს ისედაც ღიააო თქვენ ამბობთ. იმავდროულად, აღმოჩნდა რომ ეს ინფორმაცია თავს იყრის ამ ოქმში და ოქმის საფუძველზე კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში, ამის შემდეგ კი კიდევ უფრო მაღალი რანგის დოკუმენტში, მინისტრის მიერ დამტკიცებულ აქტში. მაგრამ, იმავდროულად არ გასცემთ. ერთი მხრივ ამბობთ, რომ ეს არის ნამდვილად ღია ინფორმაცია და მეორე მხრივ არ გამოხშირავთ და არ გასცემთ, ასე გავიგო"?

ლ.ფაფიაშვილი:"გადაწყვეტილება, რომელიც ეხება მარაგების ოდენობას და ლიცენზიანტის ვინაობას, ეს გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია"?

შ.იოსებიძე:"რა თქმა უნდა".

ლ.ფაფიაშვილი:"ანუ, ახლა მოსარჩელეს შეუძლია ან შეეძლო მიეღო ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა რაოდნობის მარაგზე, ვისზე გაიცა კონკრეტული ლიცენზია"?

შ.იოსებიძე:"დიახ".

მ.კოპალეიშვილი:"მარტო მარაგებზე კი არ არის საუბარი, ასევე არის ზემოქმედებაზე საუბარიც. მარაგი, რომ დაადგინდა რომ ამდენი კუბური მეტქია, იმ მარაგის დასადგენად რა მეთოდები იქნა გამოყენებული და ეს მეთოდები ახდენს თუ არა ზემოქმედებას გარემოზე? ან სამომავლოდ რა მეთოდებით უნდა გააგრძელოს მან ამ მარაგის მოპოვება და ეს შეიძლება თუ არა ახდენდეს ზემოქმედებას გარემოზე? აი ამაზეა საუბარი. ამის თაობაზე ინფორმაციის გასაჯაროებაზეა საუბარი. იმ პირობებში, როდესაც წიაღისეული სახელმწიფო საკუთრებაა, ეს ინფორმაცია უნდა იყოს თუ არა ღია"?

მ.ტურავა:"მე როგორც მახსოვს მოსარჩელეს მტავარი აქცენტი რაოდენობებზე და მარაგებზე ჰქონდა გადატანილი".

ლ.ფაფიაშვილი:"მოსარჩელე დააზუსტებს თავის მოთხოვნას მოგვიანებით.

ქ-ნო შორენა შეჯამების სახით გკითხავთ, კომერციულ ინტერესზე ხდებოდა აპელირება წინა სხდომის განმავლობაში და ეს უკავშირდებოდა მათ შორის იმასაც, რომ ამ მარაგების მოცულობის შესახებ, მათი ვარგისიანობის, ხარისხის შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად შესაბამისმა ლიცენზიანტმა გაწია გარკვეული ფინანსური დანახარჯი. აქედან გამომდინარე, მოგვიანებით თუ ინფორმაცია იქნება საჯარო იმის შესახებ თუ კონკრეტულ ტერიტორიაზე როგორი ვარგისიანობის, როგორი შემცველობის, რა რაოდენობის მარაგი შეიძლება არსებობდეს ამან შეიძლება ფინანსური ზიანი მიაყენოს მის ინტერეს. იმიტომ, რომ შეიძლება მოპოვება არ ჰქონდეს ჯერ დაწყებული, მაგრამ ვინაიდან ლიცენზია არის შესწავლა/მოპოვებაზე, მას შეიძლება სურდეს ამ ლიცენზიის სხვაზე გაყიდვა და თუ ეს ინფორმაცია იქნება სრულად გასაჯაროებული, ამან შეიძლება მისი ფინანსური მდგომარეობა დააზიანოს. დღეს თქვენ გვეუბნებით, რომ ინფორმაცია კონკრეტულ ობიექტში კონკრეტული მარაგის ტიპის შესახებ და მარაგის მოცულობის შესახებ, ეს ისედაც ხელმისაწვდომია, ისედაც ღიაა, ვინაიდან მტკიცდება დადგენილებით და დადგენილება არის ყველასთვის ხელმისაწვდომი. თუკი თქვენ ამბობთ, რომ ეს არის ხელმისაწვდომი მაშინ ლიცენზიანტის რომელი კომერციული ინტერესის გამო უნდა იყოს ეს ინფორმაცია დახურული? მეორე მოცემულობაა, რომ თქვენ ამბობთ, რომ სამთო-ტექნიკური პირობები და მოპოვების ხერხების შესახებ ინფორმაცია, ანუ რა გავლენას ახდენს ის რეალურად გარემოზე შეგვიძლია მათ შორის სხვა კანონიდან გამომდინარე ისედაც მოვიპოვოთ. პერსპექტივაში სწორად არის თუ არა ეს მეთოდი გამოყენებული ამაზე ვერ ვიმსჯელებთ, მაგრამ რეალურად გავლენა იქონია თუ არა დამუშავებამ, ან კვლევამ გარემოზე ამის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სხვა კანონით. მაშინ რა რჩება"?

შ.იოსებიძე:"დამუშავებამ, ან კვლევამ იქონია თუ არა უკვე გავლენა გარემოზე ეს პირდაპირ არ არის მითითებული. მაგრამ ,იქონიებს თუ არა გავლენას გარემოზე, შემდგომში დამუშავების პროცესში ეს ნამდვილად არის ხელმისაწვდომი".

ლ.ფაფიაშვილი:"თქვენ მეუბნებით, რომ პერსპექტივაში ამ მეთოდის გამოყენება ზიანს მიაყენებს თუ არა გარემოს ეს ხელმისაწვდომია. მაგრამ, უკვე კვლევის დროს, ჭაბურღილის გამოყენების დროს გარემოს მიადგა თუ არა ზიანი ეს არ არის ხელმისაწვდომი? მონიტორინგი არ ხორციელდება"?

შ.იოსებიძე:"კვლევების პროცესში ჩატარებული სამუშაოები თავისი შინაარსით გაცილებით მცირეა. შესაბამისად, გარემოზე შესაძლო გავლენის მასშტაბები იქნება გაცილებით მცირე კვლევითი სამუშაოების ჩატარების პერიოდში, ვიდრე ემდეგ უკვე დამუშავების პროცესში".

ლ.ფაფიაშვილი:"თქვენ ამბობთ, რომ კვლევისთვის საჭიროა მათ შორის ფეთქებადი სამუშაოები"?

შ.იოსებიძე:"არა, კვლევისთვის ნამდვილად არ არის საჭირო ფეთქებადი სამუშაოები. ეს უკვე მოპოვების პროცესში გამოყენებადი მეთოდებია".

ლ.ფაფიაშვილი:"კვლევამ შეიძლება თუ არა გარემოზე ზემოქმედება იქონიოს"?

შ.იოსებიძე:"რაღაც ფორმით ზემოქმედება შეიძლება იქონიოს. იგივე ჭაბურღილის გაყვანის პროცესში, ან წყალშემცველ ჰორიზონტზე გაიაროს ამ ჭაბურღილმა და ა.შ. ასე აბსტრაქტულრად, წინასწარ რა გავლენას შეიძლება ჰქონდეს კვლევის პროცესში ჩატარებულ სამუშაოებს ამის წინასწარ შეფასებას ვერ გავაკეთებთ. თუმცა, რა თქმა უნდა ასეტი გავლენებიც შეიძლება იყოს".

ლ.ფაფიაშვილი:"მაგალითად, ნავთობის ჭაბურღილის დადგმის შედეგად იყო შემთხვევები საქართველოს ისტორიაში, როდესაც ნავთობმა ამოხეთქა და ის ტერიტორია საცხოვრებლად და სახნავ-სათესი დანიშნულებისთვის უვარგისი გახდა. ამ შემთვევაში რა ბერკეტი არსებობს"?

შ.იოსებიძე:"ნავთობის და გაზის შემთვევაში ნაკლებას შემიძლია ინფორმაციის მოწოდება".

მ.ტურავა:"მე როგორც გავიგე თქვენი დისკუსიიდან, როდესაც საუბარია გარემოზე ზემოქმედების საკითხებზე, დასკვნა იდება და ალბათ ძირითადად პოზიტიური, რომ ეს სამუშაოები, რომელიც შესრულდებ აქ და აქ არ გამოიწვევს გარემოზე ისეთ ზემოქმედებას, რომ საფრთხეს შეუქმნის მოსახლეობას. როდესაც უკვე დასრულდა ეს სამუშაოები და თუ ისეთი მდგომარეობა შექმნა მაგალითად ქარხანამ ირგვლივ, რომ იქ მოსახლეობას საფრთხე ექმნებათ. ამის შესახებ, როგორც მე გავიგე ინფორმაცია არ მიეწოდებათ და არ არის ხელმისაწვდომი. მაგრამ, პექრსპექტივაში კი რომ რა შედეგი შეიძლება გამოიწვიოს.

მომავალზე და წარსულზე მე კარგად ვერ გავიგე თქვენ რა კუთხით გაამახვილეთ ყურადღება, რომ უკვე შესრულებულზე არ მიეწოდება მოსახლეობას ინფორმაცია“?

შ.იოსებიძე:“თქვენ რაზეც ისაუბრეთ ახლა, ეს შინაარსი რეალურად არის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში, რომელსაც კონკრეტული სუბიექტი საქმიანობსი ფარგლებში, რომ მიიღოს საქმიანობაზე ნებართვა წარუდგენს ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს. თუმცა, ეს არის პროცესი, რომელიც საერთოდ გადის წიაღით სარგებლობის რეგულირებს სფეროდან. რომ მოიპოვებს შესაბამის ლიცენზიას და რომ გადაწყვეტს მისი დამუშავების პროცესის დაწყებას, მხოლოდ ამის შემდეგ იქმნება ამ შინაარსის დოკუმენტი, ამის შემდეგ იხილება შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან. ის რიკსები, რომელიც თქვენ ჩამოთვალეთ საუბრისას, თუ არის წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში და სამინისტრო დაინახავს, რომ ამაზე რაიმე კონკრეტული შინაარსის შეკითხვები და პრევენციული ღონისძიებები უნდა დაიგეგმოს, უბრუნებს შენიშვნით და ა.შ.“.

მ.ტურავა:“ანუ ეს ინფორმაცია არ იმალება? ეს იფნორმაცია საჯაროა, ხელმისაწვდომია და გადაეცემა მომთხოვნ მხარეს“?

შ.იოსებიძე:“ამ ინფორმაციის გაცემა, გასაჯაროება ხდება რა თქმა უნდა. გარემოს ეროვნული სააგენტო არ წარმოადგენს კომპეტენტურ ორგანოს იმსჯელოს ამ საკითხებზე“.

მ.ტურავა:“ვინ ახდენს ამაზე მსჯელობას, რომელი ორგანო“?

შ.იოსებიძე:“გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს კომპეტენციაში შედის ამ საკითხის განხილვა. საკითხზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მინისტრის აქტით“.

მ.ტურავა:“ინფორმაციის მიღება ვიის კომპეტენციაა? გარემოზე ზემოქმედებამ, რომ გამოიწვია მაგალითად მიმდინარე სოფლებში ჰაერის დაბინძურება“.

შ.იოსებიძე:“გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში არის საჯარო დოკუმენტი. თავიდანვე, როგორც კი ამის წარდგენა ხდება სამინისტროში, ორ ეტაპიანია წინასწარი განხილვა და შემდეგ უკვე უფრო აქტიური განხილვის ფარგლებია. თავიდანვე, როგორც კი ეს დოკუმენტი შეიქმნება და წარედგინება ადმინისტრაციულ ორგანოს არის საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის. შემდგომაც სრულად, წარმოების პროცესი არის გამჭვირვალე და საჯარო. გარემოს ეროვნული სააგენტო არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ფუნქციონირებს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სისტემაში, თუმცა რა საკითხებზეც ახლა ვსაუბრობთ და მიეცა მიმართულება არ წარმოადგენს გარემოს ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას. ამიტომ, ვფიქრობ რომ ჩემი მხრიდან განმარტებები არ უნდა გაკეთდეს ამ საკითხზე“.

ლ.ფაფიაშვილი:"მადლობა ქ-ნო შორენა. ამ ეტაპზე მოსამართლეებს კითხვები აღარ აქვთ. მხარეებს გეძლევათ საშუალება კითხვა დაუსვათ მოწმეს. პირველ რიგში მოსარჩელე მხარეს ხომ არ სურს კითხვები დაუსვას მოწმეს"?

ნ.გუჯარაიძე:"თქვან ახსენეთ და არ დასრულეთ, საუბარი იყო იმაზ გააჩნია რა ტიპის წიაღისეულის მოპოვება ხდება, იმისდა მიხედვით ინფორმაცია შეიძლება იყოს ხლმისაწვდომიო. მოწმემ აღნიშნა, რომ მადნეულს როდესაც შეეხება ამ შემთხვევაში ინფორმაცია შეიძლება იყოს ხელმისაწვდომი, ხოლო თუ სხვა სახის წიაღზეა საუბარი, ამ დროს არ არის ხელმისაწვდომი. სწორად გავიგე"?

შ.იოსებიძე:"აქ ვიგულისხმე, მაგალითად სამშენებლო მასალბის დამუშვების პროცესისთვის არ არის გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. მოპოვებული რესურსის დამუშავება და გადამუშავება ლიცენზისი მფლობელს შეუძლია იმ ლიცენზიის ფარგლებში და ამისთვის დამატებითი ნებართვები კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის. განსხვავებით მადნეული რესურსების დამუშავების პროცესისგან, რომლის დამუშავების დროსაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია დამატებითი სანებართვო ციკლის გავლა".

ნ.გუჯარაიძე:"ანუ დამუშავებაზე იყო საუბარი და არა მოპოვებაზზე"?

შ.იოსებიძე."დიახ".

ნ.გუჯარაიძე:"თქვენ ახსენეთ, რომ მარაგების შესახებ ანგარიშის მომზადებას მრავალ მილიონი ლარი შეიძლება დაჭირდეს და ამიტომ იცავთ ამ ინფორმაციას. როდესაც საუბარია წიაღის პირობების შესრულების ანგარიშძე, ანუ კანონმდებლობის შესრულების შესახებ ინფორმაციის შექმნაზე. ამ შემთხვევაშიც ეს არის დაცვის მექანიზმი? ამ დოკუმენტს რატომ ციავს სააგენტო? ესეც მისი საკუთრებაა"?

შ.იოსებიძე:"ასე ცალსახად, რომ ამ დოკუმენტს იცავს სააგენტო ვერ ვიტყვით. თუმცა, ეს დოკუმენტი რას უნდა მოიცავდეს, ანუ ყოველწლიური ანგარიში ეს გაწერილია შესაბამისი ნორმატიული აქტით. ეს ანგარიში მოიცავს შემდეგ ინფორმაციას, მაგალითად, თუ შესწავლა/მოპოვების ლიცენზიის მფლობელი იყო მან ანგარიშში უნდა მიუთითოს გასული კალენდარული წლის განმავლობაში რამდენი მეტრი ჭაბურღილი გაბურღა, რამდენი სინჯი გააკეთა, ამ სინჯიდან ამოღებული მონაცემებით რა შედეგები მიიღო და ა.შ. ასეთი ლიცენზიანტის მიერ წარმოდგენილი ყოველწლიური ანგარიში შეიძლება შეიცავდეს იმ ინფრომაციას, რომელიც არის ამ შემთხვევაში დაცული საკუთრების უფლების ქვეშ. გარდა ამისა, თუ მაგალითად სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მფლობელის ანგარიშს ვნახავთ, ეს ანგარიშები საკმაოდ მოცულობითია თავისი შინაარსით. მოიცავს, როგორც ფიზიკურად შესრულებუსლი სამშაოების შესახებ ინფორმაციას და მოპოვებული რესურსის შესახებ ინფორმაციას, ასევე მის მიერ გადახდილი გადასახადების შესახებ ინფორმაციასაც. აქ იგულისხმება, ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელები, მოსაკრებლის

სახით და სხვა ტიპის გადასახდელები, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს მის საქმიანობას. ამ ინფორმაციას მოგეხსენებათ უკვე საგადასახადო კოდექსი იცავს და საგადასახადო საიდუმლოებად განმარტავს. შესაბამისად, ეს ციფრები რა ფინანსური ვალდებულებები შეასრულა მან ბიუჯეტის სასარგებლოდ არ უნდა გახდეს საჯარო. ეს ნაწილები, რაზეც ახლა ვსაუბრობთ შეიძლება იყოს დახურული და ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გაასაჯაროს. თუმცა, რაღაც სხვა ნაწილი იგივე მოპოვებული რესურსის ან ა.შ. ეს ინფორმაცია რა თქმა უნდა იქნება ხელმისაწვდომი".

ნ.გუჯარაიძე:"თქვენ ახსენეთ, რომ იმ შემთხვევაში თუკი არსებობს ამ ინფორმაციის მესაკუთრის თანხმობა ამ შემთხვევაში შეიძლება ამ ინფორმაციია გაცემა. აი ამ თანხმობას რა მომენტში აცხადებს? დოკუმენტის წარდგენის მომენტში აცხადებს თუ როდის"?

შ.იოსებიძე:"თანხმობის მიღების პროცესი, როგორც ასეთი აკნონმდებლობაში გაწერილი არ არის. შესაბამისად, შეგვიძლია ერთი და იგივე წარმატებით ამ თანხმობის მიღება გავხადოთ, როგორც თვითონ დაინტერესებული პირის მიერ მიღების საგანი. თუმცა, თანხმობის მიღების ორგანიზება შეიძლება ნებისმიერი სუბიექტის მიერ განხორციელდეს, როგორც დაინტერესებული მხარის მიერ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ".

ნ.გუჯარაიძე:"თქვენ ახსენეთ, რომ სამინისტრო მუშაობს ამ საკითხზე და შეიძლება ეს ინფორმაცია 4-5 წლის შემდეგ იყოს ხელმისაწვდომი. კონსტიტუციის 37-ე მუხლი ამბობს, რომ ასეთი ინფორმაცია დროულად უნდა იყოს ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირისთვის, დროულობა 4-5 წლის შემდეგ ამ ინფორმაციის გაცემით დაცული იქნება თქვენი აზრით"?

შ.იოსებიძე:"არ ვიცი, ამ კითხვაზე ნამდვილად ვერ გაგცემთ პასუხს".

ნ.გუჯარაიძე:"ამ ეტაპზე მე მეტი კითხვა აღარ მაქვს".

ლ.ფაფიაშვილი:"მადლობა. მოპასუხე მხარეს აქვს მოწმესთან კითხვები"?

ქ.კუპრავა:"არა".

ლ.ფაფიაშვილი:"მადლობა ქ-ნო შორენა მოწოდებული ინფორმაციისთვის. მეორე მოწმეს, ქალბატონ მაიას ვთხოვთ გამობრძანდეს.

თქვენ ხელს აწერთ გაფრთხილების დოკუმენტს, რომ გეკისრებათ პასუხისმგებლობა შეგნებულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებისთვის, ან ინფორმაციის მიწოდებაზე უარის თქმისთვის.

გთხოვთ, ყურადღება გაამახვილოთ მხოლოდ იმ საკითხებზე, რა ნაწილშიც შევსება გსურთ და დამატებითი არგუმენტაციის წარმოდგენა".

მ.ზავრაშვილი:"მოგესალმებით. მე გახლავართ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე მაია ზავრაშვილი. ჩემი საკურაციო სფერო არის გეოლოგიის დეპარტამენტი, ლიცენზირება. რაც მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის დაინტერესების საგანი გარკვეულ ნაწილში იყოს. თუმცა, არა მთლად ჩვენი სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში.

მე, ჩემი სუბიექტური შეხედულება გამიჩნდა ამ დავასთან დაკავშირებით. მე ვთვლი, რომ აქ ნორმის პრობლემა ნაკლებად არის. ჩემი აზრით აქ ნორმის ინტერპრეტაციასთან უფრო გვაქვს პრობლემა. ბევრი ტერმინი გაჟღერდა პროცესზე, იყო კომერციული საიდუმლოება, იყო ანგარიშის თაობაზე ინფორმაცია, იყო ორჰუსი და ა.შ. ჩემი აზრით რაღაცეებს უნდა მივცეთ კიდევ დამატებითი განმარტებები. აბსოლუტურად ვიზიარებ იმ პოზიციას, რომ ეს ინფორმაცია არის ღია. ეს არ არის დახურული ინფორმაცია. ჩვენ ვიიცთ რა არის ღია ინფორმაცია და რა არის დახურული ინფორმაცია. დახურულია ყველა ინფორმაცია, რომელიც მითითებულია შესაბამის საკანონმდებლო აქტში. წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას, პროფესიულ საიდუმლოებას, სახელმწიფო საიდუმლოებას და ა.შ. ჩვენ აქ მთლიანად ვმოქმედებთ ღიაობის პრინციპით. ეს ინფორმაცია მანამ სანამ არ გადაიქცევა კომერციულ საიდუმლოებად წარმოადგენს ღია ინფორმაციას. უბრალოდ, ამის მიწოდებისთვის, გასაჯაროებისთვის ჩვენ გვჭირდება კონკრეტული ინფორმაციის მესაკუთრის თანხმობა. ისევე როგორც, პარალელს გავავლებდი პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით როგორც გვაქვს. ანუ, ღიაა ეს ინფორმაცია, უბრალოდ იმისათვის რომ მე გავცე ეს ინფორმაცია მჭირდება თანხმობა".

ლ.ფაფიაშვილი:"თუ ეს ინფორმაცია ღიაა, ღიაობა გულისხმობს აპრიორი ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას დამატებითი ბარიერების გარეშე იმ შემთხვევაში თუკი ინფორმაციის მესაკუთრე ამ ინფორმაციის გაცემის წინააღმდეგია, მაშინ რჩება თუ არა რაიმე სხვა გზა, ან ბერკეტი მოსარჩელეს, რომ ეს ინფორმაცია მისთვის გახდეს ხელმისაწვდომი? თუ არ რჩება მაშინ რამდენად შეგვიძლია ვისაუბროთ იმაზე, რომ ასეთი უარის შემთხვევასი ეს ინფორმაცია მაინც საჯარო და ხელმისაწვდომია"?

მ.ზავრაშვილი:"ძალიან საინტერესოა რა ინფორმაციას მიიჩნევს კანონმდებელი დაცვის ღირსად. იმიტომ, რომ აქ რა ინფორმაციებიც გაჟღერდა ეს ცხადია არ წარმოადგენს არც კომერციულ საიდუმლოებას და მით უფრო ვიღაცის კომერციულ ინფორმაციას, რომელზეც საკუთრების უფლებაც აქვს. გარემოს შესახებ ინფორმაციაზე, რომ საკუთრების უფლება არავის არ აქვს, ეს ახალი არ არის. პირდაპირ მითითებულია საქართველოს კონსტიტუციაში, ისევე როგორც ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში. სადაც წერია პირდაპირ ინფორმაცია, რომლის გასაიდუმლოება არის დაუშვებელი და მათ შორის არის ინფორმაცია გარემოს შესახებ. მინდა ორჰუსის ერთ-ერთ პუნქტს მივაქციოთ ყურადღება იმიტომ, რომ ორჰუსის კონვენციაც ასევე დაცვის ღირსად მიიჩნევს კომერციულ საიდუმლოებას. ეს გახლავთ მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი, სადაც წერია რომ გარემოს დაცვითი ინფორმაციის

მიწოდების უარყოფა შესაძლებელია თუ არის საპირწონედ კომერციული ინფორმაცია. ეს არ არის სიახლე, ის რომ ასეთ ინფორმაციაზე ვიღაცას გააჩნია საკუთრების უფლება. იმიტომ, რომ მასზე შეიძლება მილიონები ჰქონდეს დახარჯული. თუმცა, რა ინფორმაციას მიიჩნევს კანონმდებელი დაცვის ღირსად? გეოლოგიური აგებულება, წიაღისეულის მარაგების რესურსების და საბადოს დამუშავების სამთო-ტექნიკური პირობები და პარამეტრები. ჩემი აზრით სწორი ინტერპრეტაცია უნდა მიეცეს სწორედ აი ამ ინფორმაციის ნუსხას. იმიტომ, რომ უარყოფითი მორფოდონამიკური შედეგები, გარემოზე უარყოფითი შედეგები ეს ცხადია ღია ინფორმაციაა. მარაგების ანგარიში იყო ნახსენები, მარაგების ანგარიში ერთ-ერთი ის დოკუმენტია, რომელიც შეიძლება შეიცავდეს ამ ტიპის ინფორმაცია. ამიტომ, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ინფორმაციის მიღებაზე დაინტერესებული ფიზიკური თუ იურიდიული პირის განცხადებაში მოყვანილ მოთხოვნას უნდა მიეცეს ამ მუხლთან შესაბამისობაში შეფასება. თუ კონკრეტულ შემთხვევაში ორგანიზაცია ითხოვს ინფორმაციას მადნეულის მოპოვების არეალში მწვანე საფარის შესახებ და ეს ინფორმაცია სახელმწიფოს გააჩნია. როგორ ფიქრობთ ჩვენ ამას დავხურავთ? ცხადია არ დაიხურება ეს ინფორმაცია. თუ ეს დაიხურა მაშინ ეს არია უკანონო აქტი. თუ ეს გასაჩივრდა და ვერ მოიგეთ პროცესი, ესეც სამწუხაროა.

რას ნიშნავს გეოლოგიური აგებულება? ეს არის ქანების ასაკი. აქ არაფერ შუაში არ არის მორფოდინამიკა, ან გეოდინამიკა, ეროზიული პროცესები, მიწისქვეშა წყლები და ა.შ. რაზეც უარყოფითი შედეგი შეიძლება დადგეს“.

ლ.ფაფიაშვილი:“ქ-ნო მაია, როდესაც ჩაშლით ამ საკითხებს თუ შეიძლება პარალელურად გვითხრათ პრაქტიკიდან გამომდინარე რა ისეთი ინფორმაციის მატარებელია გეოლოგიური აგებულება, რომ ეს უნდა იყოს გასაიდუმლოებული“?

მ.ზავრაშვილი:“გეტყვით, თუმცა არამგონია ძალიან გეოლოგიურ სიღრმეებში შევიდე, იმიტომ რომ იურისტი გახლავართ და სამსახურებრივად არის ეს საკითხები ცნობილი. გეოლოგიური აგებულება მოიცავს ინფორმაციას არა მხოლოდ ასაკის შესახებ, არამედ ინფორმაციას თუ რა ქანებით, რა სახით და ასაკით არის საბადო წარმოდგენილი. ანუ, ამის შესახებ შესაძლოა კონკურენტ კომპანიას გაუჩნდეს ინფორმაცია იმის თაობაზე თუ რა ტიპის მოგებას ნახულობს კონკრეტული საბადოს დამმუშავებელი აი ამ საბადოს ლიცენზიის ფარგლებში. რაც თავის მხრივ საგადასახადო საიდუმლოებას და კომერციულ საიდუმლოებას შესაძლოა წარმოადგენდეს.

რაც შეეხება კომერციულ საიდუმლოებას ამაზე მინდა გითხრათ და ჩვენ გვქონდა პრაქტიკაში, როდესაც ერთ-ერთმა ძალიან მსხვილმა ლიცენზიანტმა წარმოადგინა ჩვენთან ლიცენზია და მიიჩნია, რომ ჩვენ გაგვესაიდუმლოებინა ინფორმაცია მათ მიერ წლების განმავლობაში წარმოდგენილი ათვისების გეგმები, რა მარაგები არის დამტკიცებული, ანგარიშები და ყველა ინფორმაცია, რაც მათ ჰქონდათ ამ ლიცენზიის ფარგლებში

წარმოდგენილი. ასაბუთებდნენ რომ ეს იყო მათი კომერციული საიდუმლოება იმიტომ, რომ ეს იყო კომერციული ფასეულობის მქონე პროცესი და ასევე ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც ხელს უშლიდა ბაზარზე მათ კონკურენტ უნარიანობას. ცხადია, ჩვენ გაგვიჩნდა ძალიან ბევრი კითხვა იმიტომ, რომ არ ვთვლით რომ ეს ინფორმაცია რომელიც მათ მიერ იყო მოთხოვნილი წარმოადგენდა დახურულ ინფორმაციას. უფრო მეტიც, რა თქმა უნდა ამაზე კანონმდებელი გვავალდებულებს, რომ ჩავატაროთ წარმოება და ჩავრთოთ ყველა დაინტერესებული პირი, მოვისმინოთ მათი მოსაზრებები, თუმცა წარმოების ბოლო ეტაპამდე ვერ გავედით იმიტომ, რომ თავად ამავე კომპანიამ გაითხოვა ეს მოთხოვნა. ანუ, რას ითხოვდა კომპანია და დაახლოებით ჩვენ რას ვფიქრობთ, რომ ეს გამოსავალია. რომ წარმოიდგინოთ მთა, რომელიც მადნით არის დაფარული და ამ მთაზე აქვს რაღაც რაოდენობის რესურსის მოპოვების უფლება. სახელმწიფოს შეუძლია იმსჯელოს იმასთან დაკავშირებით ამ მთის მოხსნის შემთხვევაში რამდენი მადანი ამოვა. ეს ინფორმაცია არის ღია და უნდა იყოს ღია. მაგრამ, ამ მადანში სასარგებლო წიაღისეული რამდენი არის ეს კომერციული ფასეულობის შესაძლოა იყოს. მე არ ვამბობ, რომ ეს ასეა ან ასე უნდა იყოს, მე ვამბობ რომ ჰიპოთეტურად არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანიის მიერ წარმოდგენილ ანგარიშებში, სტატისტიკური დაკვირვების ფორმებში, მარაგების ანგარიშში შესაძლოა იყოს ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებული არის გეოლოგიურ აგებულებასთან, რომელიც დაკავშირებული არის საბადოს დამუშავების სამთო-ტექნიკურ პირობებთან“.

მ.ტურავა:“ანუ, ეს მოქალაქეებმა შეიძლება იმიტომ არ იცოდნენ, რომ ეს მათთვის რაიმე რისკებს და საფრთხეებს არ შეიცავს თუ რამდენია შიგნით მომგებიანი მადანი და რამდენია არამომგებიანი“?

მ.ზავრაშვილი:“მოქალაქის ინტერესი იმ ჭრილში უნდა განვიხილოთ მასზე ზემოქმედებს თუ არა. მის სიცოცხლეზე და ჯანმრთელობაზე სახიფათო პირობებში ხომ არ ცხოვრობს“.

მ.ტურავა:“ბოვითონ კონკრეტული კომერციული შედეგები რა ნივთიერება რა შედეგს მოიტანს და ა.შ. თქვენ ამბობთ, რომ ეს არ არის მოქალაქეებისთვის საინტერესო, იმიტომ რომ გარემოზე ისეთ ზემოქმედებას არ ახდენს, რომელიც მის ჯანმრთელობას რისკებს და საფრთხეებს უქმნის. ალბათ ამიტომ ხომ“?

მ.ზავრაშვილი:“მოქალაქისთვის რაც საინტერესო და საჭირო არის ის არის ღია. კონკრეტულ მარაგების ანგარიშში არის ერთი თავი, გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება. გარემოს დაცვითი ინფორმაცია, სადაც მითითებულია ინფორმაცია მცენარეული საფარის შესახებ, რეკულტივაციის შესახებ, გეოლოგიური გარემოს შესახებ, ეროზიული პროცესების შესახებ, მიწისქვეშა წყლების შესახებ, ატმოსფერული ჰაერის შესახებ, ფუჭი ქანების განთავსების შესახებ, ფაუნის შესახებ და ა.შ. ეს ინფორმაცია მოთხოვნის შემთხვევაში მე ვთვლი და კანონიდან გამომდინარეც მე ასე ვკითხულობ, რომ იძლევა იმის საშუალებას რომ ეს ინფორმაცია გაიხსნას. იმიტომ, რომ ეს ინფორმაცია ვერც ერთ შემთხვევაში ვერ იქნება 29-ე

მუხლით დაცული ინფორმაციის ანალოგიური და მითიმეტეს ვიღაცის კომერციული საიდუმლოება. იმიტომ, რომ ეს არის ინფორმაცია, რომელიც ლეგიტიმურად ყველამ უნდა იცოდეს კონსტიტუციიდან გამომდინარე, საერთაშორისო კონვენციებიდან გამომდინარე, რომელიც წევრებიც ჩვენ ვართ და ასევე ეროვნული საკანონმდებლო აქტებით და ა.შ., ვისაც ამის ინტერესი გააჩნია. ყველა ნორმატიული თუ საკანონმდებლო აქტი ამაზე მიუთითებს. ერთადერთი ინფორმაციია საკუთრების ჭრილში კანონმდებელი ისევე როგორც ორჰუსის კონვენცია, მითითებული პუქნტი, რომელიც მე დავასახელე იცავს კერძო საკუთრების უფლებას ისეთ პროდუქტზე, რომელიც ვიღაცის ფულით არის შექმნილი და რომლითაც შესაძლოა მისი საკუთრების უფლება იკვეთებოდეს“.

მ.ტურავა:“ანუ, აქედან გამომდინარე შეგვიძლია ჩვენ დავასკვნათ, რომ ეს არის თქვენი ინტერპრეტაცია 29-ე მუხლის? თუ ეს არის ჩვენთან, საქართველოში აღიარებული და მიღებული ინტერპრეტაცია, იგივე თქვენი უწყების მხრიდან და იგივე სახელმწიფოს მხრიდან ინფორმაციია გაცემასთან დაკავშირებით? თუ ეს არის ერთი გონიერი იურისტის პოზიცია, რომელმაც კარგად წაიკითხა საერთაშორისო კონვენციები, კონსტიტუცია, საქართველოს კანონმდებლობა და ერთიანობაში ასეთი დასკვნა გააკეთა? თქვენ რა თქმა უნდა იცნობთ კანონმდებლობას და იცნობთ კონკრეტულ სიტუაციას თქვენი თანამდებობრივი მდგომარეობიდან, თქვენი კომპეტენციიდან გამომდინარე, ეს არის ასე თუ ეს უნდა იყოს ასე“?

მ.ზავრაშვილი:“ეს არის ასე, უნდა იყოს ასე და თუ არ არის ასე, ძალიან სამწუხაროა და უნდა გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. თუ რომელიმე დავის ფარგლებში ცუდად გადაწყდა შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარემ სათანადოდ ვერ წარმოადგინა მისი არგუმენტაცია, ვერ დაიცვა მისი ინტერესები სასამართლოში, ეს არ შეიძლება იყოს ნორმის პრობლემა. მე ვთვლი, რომ აქ სადავო არის ნორმის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციასთან. ამ ნორმის ულან ლეგიტიმურ მიზნად უფლების დაცვის ნაწილში ვხედავ იმას, რომ დაცული იქნას კერძო საკუთრების უფლება რაღაც ტიპის ინფორმაციაზე, რომელიც არ არის იმის წონადი, რომ გადაწონოს გარემოს დაცვით ინფორმაცია. გარემოს დაცითი ინფორმაციია საჯაროობა უზრუნველყოფილია კანონმდებლობით მითითებული პუნქტებით“.

*ლ.ფაფიაშვილი:“*ქ-ნო მაია თქვენ აპელირებას აკეთებთ მათ შორის კომერციულ საიდუმლოებაზე. ამაზე არავინ დაობს. წინა სხდომაზეც მითითებული იყო, რომ ცალკეულ შემთვევებში გარკვეული დანახარჯებიდან გამომდინარე, პირს შეიძლება ჰქონდეს ლეგიტიმური კომერციული ინტერესი, რომ დაცული იყოს მისი კომერციული საიდუმლოება, თუმცა ორივე სხდომის განმავლობაში ძირითად საკითხს წარმოადგენდა მარტივი რამ: მოცემული რეგულირებიდან მკაფიოდ გაიმიჯნოს რა ინფორმაცია შეადგენს რეალურად კომერციულ საიდუმლოებას და რა ინფორმაცია არ არის კომერციული საიდუმლოება? ის, რომ გარემოზე ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია,

ამაზე არავინ დაობს. საუბარი არის მხოლოდ იმაზე, რომ 29-ე მუხლში მითითებული ინფორმაცია ობიექტურად რამდენად შეიძლება (ყველა მისი კომპონენტი, რომელიც ჩამოთვლილია) ჯდებოდეს მომპოვებლის ან ლიცენზიანტის კომერციულ საიდუმლოებაში? თქვენ ასევე ყურადღება გაამახვილეთ ბატონი მერაბის კითხვის პასუხად, რომ იმ შემთხვევაში თუკი პირმა სასამართლოში ვერ წარმოადგინა საკუთარი პოზიცია სრულყოფილად...., იქნებ დააზუსტოთ რას გულისხმობთ? თუ ეს ინფორმაცია არის ხელმისაწვდომი, მაშინ სასამართლო რა შუაშია? თუ იმისთვის, რომ ეს ინფორმაცია მოიპოვოს პირმა, აუცილებლად თვლით რომ უნდა ისარგებლოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი რეგულირებებით და ინფორმაცია გამოითხოვოს სასამართლოს მეშვეობით და არა პირდაპირ ადმინისტრაციული ორგანოდან“?

მ.ზავრაშვილი:“ზოლო კითხვით დავიწყებ თუ შეიძლება. საერთო სასამართლოები აღვნიშნე იმიტომ, რომ კონკრეტული საქმე იყო წსული სასამართლოში. დაინტერესებულ მხარეს უარი ეთქვა რაღაც ტიპის ინფორმაციაზე, თუმცა კიდევ ერთხელ აღვნიშნავ რომ არ ვიცი ამ საქმის დეტალები. არ განმიხორციელებია ამ პერიოდში წარმომადგენლობა. მე ვთვლი, რომ კონკრეტულ შემთხვევაში თუ რომელიმე თანამდებობის პირმა, ან საჯარო ინფორმაციია გაცემაზე პასუხისმგებელმა პირმა დაინტერესებულ პირს უთხრა, რომ მ,ას უხურავს ინფორმაცია იმის გამო, რომ ეს ინფორმაცია დაკავშირებულია 29-ე უხლით დაცულ ინფორმაციასთან და გარემოს შესახებ ინფორმაცია გაუიგივა გეოლოგიური აგებულების შესახებ იფნორმაციასთან, ან სამთო-ტექნიკური დამუშავების პირობებთან, ეს იმ თანამდებობის პირის პრობლემაა“.

ლ.ფაფიაშვილი:“მოპასუხე მხარესთან მექნება თხოვნა, მომავალში როდესაც დააყენებთ შუამდგომლობას მოწმის სახით, ან ექსპერტის სახით პირის მოწვევის შესახებ, უზრუნველყავით შესაბამისი პირებისთვის საქმის მასალების დეტალურად გაცნობა და გადაგზავნა. იმისათვის, რომ ისინი იყვნენ საქმის კურსში და წარმოადგინონ ზუსტად თავიანთი პოზიცია.

მოსარჩელეს მოგვიანებით ექნება შესაძლებლობა, რომ დასვას კითხვები და დააკონკრეტოს გარემოზე ზემოქმედებაზე ინფორმაციას ითხოვდა, თუ სხვა საკითხების შესახებ ინფორმაციას და რატომ არ მიეცა.

ქ-ნო მაია თქვენთან კი ასეთი კითხვა მექნება, ქალბატონმა მაიამ არაერთხელ დასვა კითხვა იმის თაობაზე, რომ მოსარჩელემ ითხოვა შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმის და შესაბამისი დოკუმენტების გადაცემა, მაგრამ მას გადაეცა დღის წესრიგი მხოლოდ და მხოლოდ და სხვა არაფერი. თქვენ თვლით, რომ ეს შესაბამისი უწყებათშორისი კომისიის დარღვევა იყო, ანუ მანკიერი ადმინისტრაციული პრაქტიკაა და მათ კანონი დაარღვიეს? თუ კანონი ავალდებულებდა მათ, რომ დღის წესრიგის მიღმა არაფერი არ გადაეცათ“?

მ.ზავრაშვილი:"შესაძლოა ის ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილი იყო წინა შემთვევაში დაინტერესებული პირის მხირდან, შეიცავდა იმავდროულად ინფორმაციას საბადოს გეოლოგიური აგებულების შესახებ. თუმცა, კონკრეტულ შემთხვევაში მინისტრის ბრძანებით მტკიცდება საბოლოო ოქმი კომისიისა, რომლებიც კოლეგიურად იღებენ გადაწყვეტილებას რაღაც საკითხზე. ეს მსჯელობა შეიძლება შეიცავდეს აი ამ გეოლოგიური აგებულების შესახებ ინფორმაციას, ან საბადოს რა ბურღებით, რა მუხტებით ააფეთქებენ და ა.შ. ამ ტიპის ინფორმაციასაც, რომელიც ამ შემთხვევაში არის ღია ინფორმაცია, თუმცა ვინმეს თანხმობის გარეშე არ გაიცემა იმიტომ, რომ ამისთვის კანონმდებელი ადგენს სპეციალურ რეჟიმს. მანამ სანამ არ იქნება თანხმობა არ გაიცემა. თუ ასეთი ტიპის თანხმობა მოგთხოვათ და არ იქნა წამროდგენილი, ან თვითონ არ უზრუნველყო ადმინისტრაციულმა ორგანომ შესაძლოა იყოს მანკიერი პრაქტიკის ნაწილიც. შესაძლოა ის ინფორმაცია ნამდვილად უკავშირდებოდა ჩამოთვლილ ინფორმაციას, ან შესაძლოა არასწორი ინტერპრეტაცია მიეცა თქვენს მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას კნკრეტული სუბიექტის მხრიდან. დეტალურად ვერ გეტყვით, თუმცა კიდევ ერთხელ განვმარტავ რომ ის ოქმი, რომელიც მტკიცდება მინისტრის ბრძანებით ემ მაქვს ეს დოკუმენტები და თუ სასამართლოსთვის საინტერესოა მოგაწვდით. ამ მინისტრის ბრძანებით მტკიცდება კომისიის განხილვის შედეგები. კომისია იხილავს ინფორმაციას სრულყოფილად ანგარიშთან დაკავშირებით, მათ შორის მსჯელობს იმ საკითხზე, რომელიც შეეხება საბადოს აგებულებას, მარაგებს, ქანებს და ა.შ. რა თქმა უნდა ასეთ შემთხვევაში უნდა დამუშავდეს ინფორმაცია, გაიცეს საჯარო ინფორმაცია. ხოლო რაზეც სპეციალური რეჟიმია დადგენილი, იმ დათქმის გათვალისწინებით მოთხოვნილ იქნას თანხმობა, ან ორგანომ უზრუნველყოს თანხმობა. იმ შემთხვევაში ზუსტად რა ტიპის მოთხოვნა იქნა გაკეთებული იქნებ დამიკონკრეტოს მოსარჩელემ".

ლ.ფაფიაშვილი:"ვთხოვ მოსარჩელე მხარეს დაუკონკრეტოს რა ინფორმაციას ითხოვდით".

ნ.გუჯარაიძე:"აქ საუბარი იყო კომისიაზე განხილული საკითხების შესახებ ინფორმაციაზე, კომისიის ოქმზე და მიღებულ გადაწყვეტილებაზე. ძალიან დიდიხანს გრძელდებოს ეს პროცესი. ჩვენ მოვითხოვეთ, რომ თუკი ამ დოკუმენტებში არის კომერციული ღირებულების ინფორმაცია მოხდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით მისი გამოცალკევება და დანარჩენი დოკუმენტის ჩვენთვის გადმოცემა. სამწუხაროდ ეს არ დაკმაყოფილდა. ასევე სამივე ინსტანციის სასამართლომ გაიზიარა სამინისტროს პოზიცია, რომ ეს ინფორმაცია არ უნდა ყოფილიყო ჩვენთვის გადმოცემული".

მ.ზავრაშვილი:"ჩვენ სხვა ინსტიტუცია ვართ, გარემოს ეროვნული სააგენტო. სამინისტრო ასრულებს იმავდროულად სამდივნოს ფუნქციას. ეს კომისია შექმნილია სამინისტროსთან. ჩბენთან არანაირი კავშირი არ აქვს, გარდა იმისა რომ ჩვენი რამოდენიმე თანამშრომელი არის ამ კომისიის წევრი. რა საფუძველი დაუდო იმ შემთხვევაში ვერ გეტყვთ, თუმცა განხილვის შედეგები შესაძოა იყო დაკავშირებული საბადოს შესახებ დეტალურ ინფორმაციასთან".

მ.კოპალეიშვილი:"ქ-ნო მაია დავიწყოთ თავად სადავო ნორმის სახელწოდებიდან. სახელწოდება არის საკუთრება წიაღის შესახებ ინფორმაციაზე. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ გასაჩივრებულ ნორმას ეყრდნობიან და ამის საფუძველზე არ ხდება მათთვის ინფორმაციია გადაცემა. თუ შეგიძლიათ, რომ გვითხრათ რა ფონდებია ეს სახელმიწფო საინფორმაციო ფონდები? რა ტიპის ინფორმაცია შედის ამ ფონდში? ის ინფორმაცია, რომელიც თქვენც აღნიშნავთ, რომ არის აპრიორი ღია რაც გარემომცველ გარემოზე ახდენს ზემოქმედებას, უნდა იყოს ღია და საზოგადოებას უნდა ჰქონდეს ამაზე ინფორმაცია და აქვს ლეგიტიმური მიზანი, რომ მოითხოვოს ეს ინფორმაცია. ამ ფონდებში შედის თუ არა ეს ინფორმაცია? თუ შედის ეს მართლაც არის მავნე პრაქტიკა თუ სადღაც ცალკე აღწერილობა არსებობს რა უნდა შედიოდეს ამ ფონდებში და ამ აღწერილობაში ხვდება ასევე ასეთი ინფორმაცია? რაც თქვენც აღნიშნავთ, რომ აპრიორი უნდა იყოს ღია, რაც საჯაროობას ემსახურება".

მ.ზავრაშვილი:"გეოლოგიურ ფონდებს ვეძახით ჩვენ ამ ტიპის ფონდებს, საინფორმაციო ფონდებად არის კანონმდებლის მიერ მოხსენიებული. ამ ფონდურ მასალებში მოვიაზრებთ ყველა ტიპის ინფორმაციას, რომელიც სახელმწიფოსთვის გახდა ცნობილი სხვადასხვა წყაროებიდან. ეს წყაროები არის პირველ რიგში უძველესი ისტორიული გაყვითლებული ფურცლები, რომელიც მოდის კომუნისტური პერიოდიდან. ძველი დაძიებული საბადოს შესახებ იფნორმაციები, ანგარიშები. მოგეხსენებათ, რომ გარემოს ეროვნული სააგენტო იმავდროულად წიაღის სახელმწიფო ბალანსს ვაწარმოებთ. არც ნიშნავს იმას, რომ ამ ფონდური მასალების შესაბამისად ყოველწლირად წარმოდგენილი ანგარიშების სტატისტიკური დაკვირვების ფონდებით ჩვენ გამოგვყავს ბალანსი, რაც ძალიან მნიშვნელოვანი საჯარო ფუნქცია გახლავთ. რაც შეეხება ამ ფონდურ მასალას, აქ არის ინფორმაცია, რომელიც არის სახელმწიფოს მიერ ძველი შესწავლის ანგარიშები. არის თუ ოდესმე იყო საბადო გალიცენზიებული ამის შესახებ ინფორმაცია, წარმოდგენილი დაკვირვების ფორმები,ანგარიშები თუ ვინმე სხვას ჰქონდა დაძიებული. ასევე შესაძლოა იყოს ვინმე მეცნიერ-ექსპერტების მიერ საბადოსთან დაკავშირებული დადებული კვლევები, რასაც ჩვენ ვიყენებთ გეოსაინფორმაციო პაკეტზე მუშაობის დროს. აი ამ მასალების ერთობლიობას ჩვენ ვუწოდებთ გეოლოგიურ ფონდებს, რომელიც არის უაღრესად მნიშვნელოვანი. რომლის დიჯიტალიზაციას ვაწარმოებთ, ეს მნიშვნლოვანია ჩვენთვის, რომ გავხდეთ უფრო მეტად გახსნილები, საჯაროები, პროაქტიულად მოვახდინოთ ამის გამოყენება. ჩვენ ძალიან ბევრი პრობლემაც გვაქვს, მე არ ვამბობ რომ პრობლემები არ გვაქვს".

ლ.ფაფიაშვილი:"თქვენ აპელირებას აკეთებთ საინფორმაციო ფონდში რა ინფორმაცია შედის. ხაზს უსვამთ იმას, რომ ეს ინფორმაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი. კანონი პირდაპირ გეუბნებათ, რომ მესაკუთრის გარეშე ეს ინფორმაცია დახურულია".

მ.კოპალეიშვილი:"შედის თუ არა ამ ინფორმაციაში ის, რასაც ითხოვს მოსარჩელე, ზემოქმედებასთან დაკავშირებული ინფორმაცია? მე თუკი სწორად მესმის მოსარჩელის პოზიცია ამასთან მიმართებით, მისი მთავარი მიზანი არის ქანიდან წიაღს რომ გამოყოფ და

რა მეთოდის გამოყოფ ქანიდან წიაღს, ეს მეთოდი რამდენად უსაფრთხოა გარემოს დაცვის მიზნებისათვის და საზოგადოების დაცვის მიზნებისათვის, ეს მეთოდი და ტექნიკური პარამეტრები უნდა იყოს ღია. ის, რომ კვლევის ჩატარებისას პირმა რა ფინანსური ხარჯი გასწია, რამდენი თანამშრომელი დაასაქმა, როგორი ექსპერტი მოიწვია და ა.შ. რაღაც დონეზე ეს შეიძლება იყოს ინტერესის საგანი, მაგრამ ეს მაინც სხვა თემაა. მას აინტერესებს გარემოზე ზემოქმედებას რაც ახდენს იმის შესახებ ინფორმაცია და მათ შორის გამოხშირვაც ქანიდან ამ წიაღისეულის შეიძლება ახდენდეს გარემოზე ზემოქმედებას იმისდა მიხედვით თუ რა მეთოდით ახდენ ამას. აფეთქების მეთოდით ახდენ, ქიმიური დამუშავების მეთოდით ახდენ, თუ რით ახდენ? აი ეს ინფორმაციები შედის თუ არა ფონდებში, თქვენ რასაც გეოლოგიურ ფონდებს უწოდებთ და რასაც 29-ე მუხლი ხურავს და ამბობს, რომ თუ გეოლოგიურ ფონდში შედის ე.ი. არ გაიცემა იმ კონკრეტული პირის თანხმობის გარეშე, რომელმაც კვლევა აწარმოა. კვლევას კი აწარმოებს იმ მიზნებისათვის, რომ შემდეგ მეთოდი გამოიყენოს, შედის თუ არა ასეთი? სად არის, სადაც ითხოვს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო თუნდაც ასეთი პარამეტრების შესახებ ინფორმაციას, ან ასეთი მეთოდების შესახებ ინფორმაციას? და არის თუ არა ეს სახელმწიფოს ინტერესში, რომ სამინისტრომ გაარკვიოს და განსაზღვროს რა მეთოდებსაც ეს გვთავაზობს როგორია ეს მეთოდი? ეს ინფორმაციები მუშავდება თუ არა სადღაც რაღაც ეტაპზე? შედის თუ არა შემდეგ ამ საინფორმაციო ფონდებში, რასაც თქვენ გეოლოგიურ ფონდებს უწოდებთ? თუ შედის სწორად შედის და თუ არ შედის მაშინ რა საფუძველზე ეუბნებიან მოსარჩელეს უარს? თუკი არც უარს არ ეუბნებიან, არასწორი პრაქტიკაა და ვიღაცას არასწორად აქვს ეს ჩანაწერი გაგებული, მაშინ სახელმწიფოს აქვს თუ არა ვალდებულება და ამ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს, ინფორმაციის თავისუფლების მიზნებიდან გამომდინარე, რომ შესაძლოა მოსარჩელე მხარე რასაც უთითებს იმას ზუსტად ვერ აყალიბებდეს, მაგრამ ადიმინისტრაციულ ორგანოს აქვს თუ არა ვალდებულება, რომ დააზუსტებინოს მოთხოვნა? ინფორმაციის თავისუფლების მიზნებიდან გამომდინარე გასცეს ღია საჯარო ინფორმაცია, რასაც თქვენ ამბობთ, რომ ნამდვილად ღია არის“?

მ.ზავრაშვილი:“რა თქმა უნდა ფონდური ბაზები იმავდროულად მოიცავს ამ ტიპის ინფორმაციას. იმიტომ, რომ ანგარიში შეიძლება მოიცავდეს ამას. იმის გამო, რომ ყოველწლიური სტატისტიკური დაკვირვება შეიძლება მოიცავდეს ამას. იმის გამო, რომ მარაგების შესახებ თავის დროზე დამტკიცებული ანგარიში შესაძლოა მოიცავდეს ამას. უარყოფითი შედეგი ცხადია ცხადი უნდა იყოს. მთავარი არის, რომ სუბიექტმა იცოდეს ინფორმაცია ამ საბადოზე. უნდა იცოდეს რაღაც მოქმედებით გარემოზე რა უარყოფითი შედეგი დადგება. აი ეს უარყოფითი შედეგი მისთვის უნდა იყოს ცხადი, ნათელი წინსწრებით. თუ ეს ინფორმაცია არსბეობს სადღაც უნდა გაიხსნას. თუმცა, რატომ მოხდება ამ უარყოფითი ზეგავლენის დათმობა, რა ტექნიკური პარამეტრები არის ამის გამომწვევი ეს შეიძლება იყოს დახურული“.

მ.კოპალეიშვილი:"ინფორმაციის თავისუფლება გულისხმობს მხოლოდ შედეგის შესახებ ინფორმაციის მიღებას? ინფორმაციის თავისუფლების უფლება გულისხმობს კონტროლს სახელმწიფო ხელისუფლებაზე არა? თუ სახელმწიფო ხელისუფლებაზე კონტროლს გულისხმობს, კონტროლს აქვს პრევენციული მიზანიც. პრევენციული მიზნიდან გამომდინარე უნდა ჰქონდეს თუ არა ინფორმაციის თავისუფლების მომთხოვნ პირს, ამ შემთხვევაში მოსარჩელე მხარეს შესაძლებლობა წინასწარ იცოდეს და ფლობდეს ინფორმაციას გარემომცველი გარემოს შესახებ. 37-ე მუხლი მხოლოდ შედეგზე ორიენტირებული მუხლია"?

მ.ზავრაშვილი:"გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია არ შეიძლება ასე ვიწროდ იქნას გაგებული. იმიტომ ვახსენე დიფიტალიზაცია, პროაქტიულად გამოქვეყნება და ა.შ. რომ ბევრი რაღაც არის კიდევ საჭირო, მათ შორის საკანონმდებლო ჩანაწერების დახვეწა იმისთვის, რომ მივაღწიოთ რაღაც მიზნამდე. რა თქმა უნდა ეს ჩანაწერიც არ არის სრულყოფილი, ერთი წაკითხვითაც კი უამრავი ხარვეზის შემცველი შესაძლოა იყოს. თუმცა, ამ შემთხვევაში ვთვლი, რომ კანონმდებელი გულისხმობდა შედეგის ღიაობას. ყველა სამთო მოპოვებითი საქმიანობა დაკავშირებულაი უარყოფით გეოდინამიკურ პროცესთან. ეს უარყოფითი შედეგები უნდა შეფასდეს ლიცენზირების პროცესში და შემდეგომშიც. თუ სამთო წესების დაცვით მუშაობს კომპანია, საქმიანობა რა თქმა უნდა გარემოზე უარყოფითი შედეგის მომტანი იქნება. ეს ყოველთვის ასეა ბუნებრივ რესურსებზე უფლების გადაცემით ვაძლევ კონკრეტულ პირს უარყოფითი საქმიანობის უფლებას, თუმცა უნდა იყოს ბალანსი დაცული. თუ ეს საქმიანობა მასშტაბურად უარყოფითი შედეგის მომცემია, ამისათვის შემოგვყავს გარემოზე ზემოქმედების შეფასება, რომელიც ცალკე ინსტიტუტია, რომელიც მთლიანად ღია პროცესია".

მ.კოპალეიშვილი:"მასშტაბებს ხომ გააჩნია? ბალანსი ყევლა შემთხვევაში უნდა იყოს დაცული ხომ"?

მ.ზავრაშვილი:"დიახ, რა თქმა უნდა. ამიტომ ვამბობ, რომ გააჩნია მასშტაბებს. ქვიშა-ხრეშიც საბადოა და ოქროს საბადოც. ყველგან უნდა იყოს ტექნიკური დამშავების პროექტი, ბალანსი. წინსწრებით უნდა მოხდეს შეფასება. ჩვენ დეტალურ საინჟინრო კვლევებს ვერ ვაწარმოებთ, თუმცა ვიზუალური გეოდინამიკური შეფასება ხდება, რაც შეგვიძლია ლიცენზირებამდე გავაკეთოთ მაგას ვაკეთებთ. თუ ეს დაკავშირებულია უარყოფით შედეგებთან საერთოდ ლიცენზიას არ გავცემთ".

მ.კოპალეიშვილი:"ეს გასაგებია, მაგრამ 37-ე მუხლის მე-5 პუნქტი იმას კი არ ეყრდნობა, რომ ადმინისტრაციული ორგანო კეთილსინდისიერად მოქმედებს და ამიტომ შეიძლება მშვიდად იგრძნო თავი. წესით ევალება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომ იმოქმედოს კეთილსინდისიერათ. აქ არის საუბარი, როგორ უნდა აკონტროლოს საზოგადოებამ მის მიერ არსებული ხელისუფლება? ამას ემსახურება ინფორმაციის თავისუფლება. აქედან

გამომდინარე, მოსარჩელე მხარე ამბობს, რომ მე წინასწარ უნდა ვფლობდე ამ ინფორმაციას, რას აკეთებს, რაზე გასცა, რა პარამენტრების დაშვებაზე გასცა სახელმწიფომ თავისი ნებართვა? აი ამას ამბობს მოსარჩელე, ეს ახდენს თუ არა ზემოქმედებას გარემომცველ გარემოზე? ქალბატონმა ლალიმ, რომ იკითხა ნავთობთან დაკავშირებით, იქ მართლა ნავთობს კი არ ეხებოდა, განზოგადება რომ გავაკეთოთ შედეგი, რომ დაიზანდა ყველაფერი და რომ ვიცი ეს რას მაძლევს? წინასწარ რომ მეცოდინებოდა როგორ უნდა მომხდარიყო, შეიძლება ის შედეგი აცილებული ყოფილიყო თავიდან. ინფორმაციის თავისუფლების ამ ფარგლების კონტროლზეა საუბარი. ეს თუ შედის, როგორც თქვენ აღნიშნეთ გეოლოგიურ ფონდებში, აქედან გამომდინარე და იმავდროულად თუ აღნიშნავთ, რომ ეს არის ღია ინფორმაცია, ევალება თუ არა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელსაც მიმართავენ ამ მოთხოვნით, რომ ინფორმაციის თავისუფლების მიზნებისთვის გამოხშიროს შესაბამისი ინფორმაცია? აპრიორი ეს ნორმა არის თუ არა ის ნორმა, რომ მართლა ყველაფერი დახუროს? თუკი იმავდროულად ორი ინტერესი ეჯახება ერთმანეთს, ერთი ვიღაცის კომერციული საიდუმლოების ინტერესი, მეორე მხრივ ინფორმაციის თავისუფლების ინტერესი და აი ამ ბალანსიდან გამომდინარე აჭარბებს თუ არა ასეთ ინფორმაციასთან მიმართებით ინფორმაციის თავისუფლების ინტერესი? რომ გაიცეს ეს ღია საჯარო ინფორმაცია, რომელიც შეიძლება მოხვდა ამ ფონდებში“?

მ.ზავრაშვილი:“რა თქმა უნდა ეს ნორმა ავალდებულებს დამმუშავებელს, საჯარო ინფორმაციის გამცემს თუ კონკრეტული ინფორმაციის მფლობელს, რომ მან ამ მუხლთან შესაბამისობაში დაამუშავოს. ისე კი არა, რომ განაზოგადოს და ვინაიდან რაღაცაზე ინფორმაციის საკუთრების უფლება კონკრეტულ კომპანიას აქვს, ამის გამო მთელი ანგარიში დახუროს. რა თქმა უნდა დამუშავების ვალდებულება არსებობს. ჩემი აზრით მე ამ მუხლს უფრო ვიწრო გაგებით გავიგებდი, სამთო-ტექნიკური პარამეტრები არ შეიძლება ისე ფართო გაგებით იყოს გაგებული, რომ მთლიანად დაიხუროს ანგარიში, ან მთლიანად დაიხუროს საბადოს შესახებ იფორმაცია. ის, რომ სალიცენზიო პირობები საჯაროა, დამუშავების პროექტი შეიძლება იყოს საჯარო, თუ რაღაც ამ ტიპის ინფორმაციას არ შეიცავს. უამრავი სხვა ტიპის საჯარო ინფორმაცია არსებობს, რომლის მიწოდებაც თავისუფლად არის შესაძლებელი ამ ნორმის გარეშეც. თუმცა, კიდევ ერთხელ ვამბობ თუ კონკრეტულ შემთხვევაში ასეთი ტიპის იფნორმაცია იქნება მოთხოვნილი ინფორმაციის გამცემმა ამ ნორმასთან შესაბამისობაში უნდა დაამუშავოს დოკუმენტი და იფნორმაცია გასცეს ამ ნორმის გათვალისწინებით“.

მ.კოპალეიშვილი:“მოპასუხე მხარეს მინა ვკითხო, რადგანაც თქვენს მიერ მოწვეული მოწმე ამბობს, რომ ინფორმაცია რომელიც არის ღია უნდა იყოს ღია და ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება გარემომცველ გარემოს ეს უნდა იყოს ღია და ამ ფონდებში თავმოყრილი. იქნებ მოგვაინებით მიპასუხოთ, რა გამოდის რომ თავად ნორმა მართლაცა არასწორად ზღუდავს

ასეთ ინფორმაციას? თუ ეს არის პრაქტიკის პრობლემა და პრაქტიკაში ნორმა წესით ამას არ ითვალისწინებს და პრაქტიკაში მოხდა მისი არასწორი განმარტება“?

მ.ზავრაშვილი:“თუ შეიძლება მეც გავაკეთებ ამაზე კომენტარს. ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის იმავდროულად ლიცენზიანტეის უფლებების დაცვა. ჩვენ ვართ დარგის მარეგულირებელი ორგანო, ჩვენ მათ ვუწევთ რეგულირების ფუნქციას. სისტემა ასეა სამწუხაროდ მოწყობილი. ჩვენ არ გვაქვს დეპოზიტები, ჩვენ გვაქვს ლიცენზიის ორი ტიპი. შესწავლა/მოპოვების და მოპოვება პირდაპირ. შესწავლის შემთვევაში ლიცენზიანტი ჯერ იმაში იხდის ფულს, რომ შეისწავლოს და შემდეგ უკვე უამრავ კვლევას ატარებს და უამრავ ფულს ხარჯავს იმისთვის, რომ ეს ანგარიში მოამზადოს. ეს გარკვეულწილად ბიზნესიც არის. ლიცენზიას მოქმედების ვადა რომ გასდის ანგარიშის მფლობელი ყიდის შემდეგ ამ ანგარიშს და ეს რაღაც კუთხით ბრუნვას უწყობს ხელს. ამ სფეროშიც, ამ ვიწრო მიმართულებითაც არის რაღაც ტიპის ბიზნეს აქტივობები. ჩემი აზრით ასეთი ტიპის კომერციულ ინტერესებსაც უნდა ვცეთ პატივი. თუმცა, ის რომ ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი. თუ ისე იკითხება ეს ნორმა, რომ გეოლოგური აგებულება და საბადოს დამუშავების ტექნიკური პირობები ისეთი ფართოა, რომ შეიძლება მოიცვას მთელი ანგარიში, მაშინ ნორმის პრობლემა ყოფილა. თუმცა, მე ვერ ვკითხულობ ამ ნორმას ასე. მე ვთვლი, რომ ამას თავისი დეფინიცია აქვს. გეოლოგიურ აგებულებას თავისი განმარტება აქვს. სამწუხაროდ არა საკანონმდებლო, არამედ სამეცნიერო მონოგრაფიებში უნდა ვეძებოთ, რომ განვმარტოთ რა არია გეოლოგიური აგებულება საბადოს. უნდა ვნახოთ ძველი ნაშრომები და მეცნიერულ განმარტებებს მივყვეთ“.

გ.კვერენჩხილაძე:“აქ არ არის გარემოს დაცვითი ინფორმაცია, რაც 29-ე მუხლის პირველ წინადადებაში წერია“?

მ.ზავრაშვილი:“გარემოს დაცვით ინფორმაციასაც მოიცავს. მაგრამ, გარემოს დაცვითი ინფორმაცია უფრო მეტად დაკავშირებულია ასეთ შემთხვევევში შედეგებთან, რომელიც უნდა იყოს ღია და ხელმისაწვდომი“.

მ.კოპალეიშვილი:“ქ-ნო მაია კომერციული საიდუმლოება ასევე დაცვის ღირსი ინტერესია და უნდა იყოს დაცული. საჭიროების შემთხვევაში გახსნის სხვა პროცედურა არსებობს. მაგრამ კითხვა ასეთია, ეს ინფორმაცია რასაც მოსარჩელე ითხოვს, არის კომერციული საიდუმლოება? გარემოს ზემოქმედებაზე სხვადასხვა პარამეტრების, ან მეთოდების გამოყენების შესახებ ინფორმაცია არის თუ არა კომერციული საიდუმლოება? კონსტიტუციის 41-ე მუხლი ამბობს, რომ კომერციული საიდუმლოება უნდა იყოს დაცული, მაგრამ აი ამ ინფორმაციას აქვს თუ არა კომერციული ინფორმაციის ღირებულება? უნდა იყოს თუ არა კომერციული საიდუმლოების ღირებულების ტოლფასი ღირებულება? და უნდა იყოს თუ არა ეს მართლაც კომერციული საიდუმლოება? ჯდება თუ არა მართლაც კომერციული საიდუმლოების განმარტების ცნებაში. ოქმი არ გადასცა მოსარჩელე მხარეს

ადმინისტრაციულმა ორგანომ, სასამართლოც ასევე დაეყრდნო და უკან დააბრუნა ადმინისტრაციიულის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტით და ხელმეორედ გამოკვლევა დაავალა. ვიღაცის კეთილ ნებაზე რომ არ იყოს დამოკიდებული, სახელმწიფოს აქვს თუ არა ვალდებულება, რომ თავისი ინიციატივით მეთოდები გაასაჯაროვოს? ან მოთხოვნის შემთხვევაში გაასაჯაროვოს“?

მ.ზავრაშვილი:“კომერციული საიდუმლოება შეიძლება იყოს შეიძლება არ იყოს, შეფასების საგანია. კომერციულ საიდუმლოებას თავისი მთელი წარმოების წესი აქვს, იქ არის საუბარი იმაზე რომ კომერციული ფასეულობა უნდა ჰქონდეს იმ ინფორმაციას. კომერციული საიდუმლოება მე ცოტა სხვანაირად მესმის. შესაძლოა გაუჭირდს კომპანიას იმის დამტკიცება, რომ სამთო-ტექნიკური პირობები დაკავშირებულია ისეთი ტიპის ინფორმაციასთან, რომელიც ბაზარზე მის კონკურენტუნარიანობას ხელს უშლის. ჩემი აზრით აქ განმარტებების პრობლემაც არის. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი კომერციული საიდუმლოების განმარტებას სხვანაირად გვთავაზობს და აქ საუბარი არის საკუთრებაზე, რაღაც ტიპის ინფორმაციაზე და შემდეგ ამ ინფორმაციის არ გახსნაზე. თუ არ ვცდები პერსონალურ მონაცემებზეც იგივე რეჟიმი არის. ღია ინფორმაციაა, ოღონდ პირად საიდუმლოებად გადაიქცეს მას შემდეგ, რაც მე სუბიექტი ვიტყვი, რომ არ გასცე დახურე. ანუ, თანხმობას არ გავცემ“.

მ.კოპალეიშვილი:“არა, იქ პერსონალური ინფორმაცია ხდება ავტომატურად დახურული, გარდა გამონაკლისებისა. კომერციულთან შემთვევაში პირიქით ხდება, სახელმწიფოს უნდა შესთავაზოს სუბიექტმა, რომ ეს არის ჩემი კომერციული საიდუმლოება და სახელმწიფო მსჯელობს ამაზე მართლა უნდა იყოს თუ არა. აი ასეთ შემთხვევაში კონკრეტული სუბიექტის ინიციატივაზე კი აღარ გადის სახელმწიფო, რომ ეს ინფორმაცია კომერციული გამიხადე და შემდეგ იმსჯელოს. პირიქით, სახელმწიფო ამბობს რომ აპრიორი დახურულია ეს ინფორმაცია. თუკი ეს კომერციული საიდუმლოებაა და სახელმწიფო ამას აპრიორი თავიდანვე ხურავს და არა შესაბამისი პროცედურის საფუძველზე, მაშინ მოპასუხე მხარემაც უნდა გაგვცეს ამაზე პასუხი ეს არის ნორმის პრობლემა? პრაქტიკის პრობლემა? არასწორი ინტერპრეტაცია თუ რა“?

მ.ზავრაშვილი:“კომერციული ინფორმაცია იხურება სუბიექტის მოთხოვნით ინფორმაცის წარმოდგენისას და შემდეგ რაღაც ვადები არის მითითებული. შესაძლოა დაინტერესებულმა მხარემ რაღაც ტიპის ინფორმაცია მოითხოვოს 10 წლის შემდეგ. ამ შემთხვევაში მე ვეკითხები ინფორმაციის ავტორს, მაგრამ თუ ის მეუბნება რომ არა ეს ჩემი საკუთრებაა და არ გასცეთ, ვერაფერს ვერ გავაკეთებთ. ამ შემთვევასი შეიძლება საკანონმდებლო ხარვეზთან გვქონდეს საქმე“.

მ.კოპალეიშვილი:“ვერ გამოხშირავთ“?

მ.ზავრაშვილი:“გამოხშირვით რა თქმა უნდა დავამუშავებ და გავცემ რაც ღია არის“.

მ.კოპალეიშვილი:"გარემომცველ გარემოზე ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია არ არის ღია? ამ გარემომცველ გარემოზე ზემოქმედებას მე შეიძლება ვახდენდე სხვადასხვა მეთოდებით, ტექნიკური გამოყენებით, ტექნიკური პარამეტრებით. ეს ინფორმაცია არ არის ღია"?

მ.ზავრაშვილი:"მგალითად იჭრება 10 ხე, რომ მოიხსნას რაღაც ქანი. ანგარიშში წერია რომ მე 10 ხე უნდა მოვჭრა. თუ ასეთი ტიპის ინფომრაიცა არსებობს, რა თქმა უნდა ეს უნდა იყოს ღია. მაგრამ, ეს 10 ხე რა მეთოდოლოგიით იჭრება, ეს იქნება ხერხის გამოყენებით თუ სხვა ტექნიკური პარამეტრებით, ეს არც დაინტერესებული მხარისათვის არის საინტერესო".

მ.კოპალეიშვილი:"რატომ, ინდივიდუალური მიდგომა არ შეიძლება იყოს? ხეს მე ნაჯახით მოვჭრი ერთიანად, თუ დავაზიანებ ხის მერქანს, მათ შორის საჭირო არის თუ არა მთელი ხეების მოჭრა და შეიძლება სულაც არ იყო ამის საჭიროება? ყოველ ჯერზე ხომ ინდივიდუალური მიდგომა უნდა იყოს"?

მ.ზავრაშვილი:"თუ ჭრის უფლება გვაქვს მინიჭებული სუბიექტისთვის, იგულისხმება რომ მან ჭრის წესების დაცვით უნდა ჩაატაროს მოქმედებები. უამრავი ნორმატიული აქტია ამაზ, რაც უნდა დაიცვას. თუ ვერ იცავს ეს უკვე კანონაღსრულების პრობლემა არის".

მ.კოპალეიშვილი:"ქ-ნო მაია წინა სხდომაზე ტყესთან დაკავშირებით ბრძანა მოსარჩელე მხარემ, რომ იქ ასეთი შეზღუდვები არ არის".

მ.ზავრაშვილი:"სახელმწიფოს ექსკლუზიური ვალდებულებაა, რომ აღრიცხოს და ტყით მოწყობა ჩაატაროს და მას აქვს თავისი ვალიდობა 10 წლიანი. ტყეთ მოწყობის ექსკლუზიური უფლებამოსილება 179-ე დადგენილებით საქართველოს მთავრობით გახლავთ სახელმწიფოს ექსკლუზიური ვალდებულება, დღეს მე რომ მომინდეს ტყის მოწყობის ჩატარება ინვენტარიზაციას ვერ ჩავატარებს. დაფინანსების წყაროებიც კი არის მითითებული, რა დაფინანსებით უნდა ჩაატროს სახელმწიფომ ტყეთ მოწყობა. შეუძლებელია მერქნული რესურსი და სხვა წიაღისეული გავაიგივოთ ერთმანეთთან. ორივე ბუნებრივი რესურსია, მაგრამ სულ სხვადასხვა ტიპის. რაღაც პარალელის გავლება შეიძლება. თუ ადრე რომელიმე ლიცენზიანტს ჰქონდა მართვის გეგმა შედგენილი, წარმოდგენილი და დამტკიცებული, იყო ასეთი შემთხვევაც, ჰქონდა ლიცენზია გაიცემოდა პროგნოზულ მარაგზე, შემდეგ ლიცენზიის მფლობელი მართვის გეგმას ამტკიცებდა, მოჰქონდა და მინისტრის ბრძანებით მტკიცდებოდა. თუმცა, 5 წლიანები და მაქსიმუმ 10 წლიანები იყო, გააჩნია ლიცენზიის ვადას. საჯარო ადმინისტრაციული წესი არის დადგენილი სპეციალურად მართვის გეგმის დასამტკიცებლად. მინისტრის ბრძანებით მტკიცდება ცალკე. აბსოლუტურად სხვა რეჟიმია საკანონმდებლო დადგენილი და სულ სხვა ტიპის გადაწყვეტილებები მიიღება ტყეთ მოწყობასთან დაკავშირებით, ტყის ინვენტარიზაციასთან დაკავშირებით. ტყის ინვენტარიზაცია, მერქნული რესურსის აღრიცხვა, ტყეთ მოწყობა არის სულ სხვა პროცესი და სულ სხვა პროცესი არის მარაგების საბადო ანგარიში".

ლ.ფაფიაშვილი:"ქ-ნო მაია 29-ე მუხლში წერია სხვა თვისებების და პარამეტრების შესახებ, რა შეიძლება აქ მოვიაზროთ"?

მ.ზავრაშვილი:"სხვა თვისებები და პარამეტრები ალბათ თემატურად, რომელიც კავშირში არის პირველ პუნქტში გაშლილ ინფორმაციასთან".

ლ.ფაფიაშვილი:"ტექნიკურ პარამეტრებს ებმება. ანუ, ტექნიკური პირობები, სხვა თვისებები და პარამეტრები. არ არის სავალდებულო ახლავე ზუსტი ინფორმაციის მოწოდება".

მ.ზავრაშვილი:"ვერ გეტყვით, ესეც ინტერპრეტაციის საგანია. ასეთ ჩანაწერს რომ აკეთებს კანონმდებელი, ბუნებრივია რაღაც დისკრეციას უტოვებს ვიღაც თანამდებობის პირს, რომ ეს განმარტოს. თუმცა, როგორც განმარტავს განვრცობითი მეთოდით თუ პირდაპირ გამოვა იმავე ნორმის ლეგიტიმური მიზნიდან, თუ ნორმატიული შინაარსიდან და იტუვის, რომ ვინაიდან კანონმდებელმა გეოლოგიური აგებულება და ტექნიკური დამუშავების პირობები დახურა, ლოგიკურია რომ ისეთი ინფორმაცია უნდა დაიხუროს, რომელიც ამასთან არის დაკავშირებული. მე რომ ვიყო გადაწყვეტილების მიმღები, ალბათ ასე განვმარტავდი, თუმცა ბუნებრივია ღია ჩანაწერი არის და მე ზუსტ პასუხს ამაზე ვერ გეტყვით".

ლ.ფაფიაშვილი:"მაშინ შევაჯამოთ ის ინფორმაცია რაც მოგვაწოდეთ. გამოდის, რომ ის ინფორმაცია, რაც 29-ე მუხლში არის მოცემული, ეს არის აპრიორი კომერციული ინტერესის მატარებელი ლიცენზიანტისთვის. შესაბამისად, ეს ინფორმაცია (ლიცენზიანტის თანხმობის გარეშე) უნდა იყოს დახურული და მისი კომერციული ინტერესი არის საკმარისი ლეგიტიმური მიზანი. დანარჩენი ინფორმაცია ამ კონკრეტული საბადოებიდან გამომდინარე რა ზემოქმედება შეიძლება განახორციელოს კონკრეტული პირის ჯანმრთელობაზე, გარემომცველ გარემოზე, რაზე ქ-ნი მაია მიუთითებს და ა.შ. ეს ყველაფერი რეგულირდება სხვა საკანონმდებლო აქტებით და ის აპრიორი ისედაც ღიაა. მაგრამ, მათ შორის ტექნიკური პარამეტრები, პირობების გამოყენება, სამთო მომპოვებელი, დამმუშავებელი და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ის შეიძლება მცირეოდენ ზემოქმედებას მაინც ახდენდეს გარემოზე, ზუსტად იქედან გამომდინარე, რომ მე შეიძლება ახალ ტექნოლოგიურ პარამეტრებს ვიყენებდე ამის გამო ამ ინფორმაციის დახურვის კონკრეტული ინტერესი მაქვს, მართალი ვარ"?

მ.ზავრაშვილი:"დიახ ასეა".

ლ.ფაფიაშვილი:"მადლობა ქ-ნო მაია მოწოდებული ინფორმაციისთვის. მხარეებს თუ გაქვთ კითხვები შეგიძლიათ მოწმეს დაუსვათ".

ნ.გუჯარაიძე:"მე არ მაქვს კითხვა".

ლ.ფაფიაშვილი:"მოპასუხე მხარეს თუ აქვს კითხვა"?

*ქ.კუპრავა:"*ქ-ნო მაია წინა გამომსვლელმაც ახსენა და თქვენც ახსენეთ, რომ გარემოს ზემოქმედების შესახებ კანონი არსებობს, რომელიც გარკვეულწილად კონტროლის მექანიზმს სთავაზობს სახელმწიფოს და მოსახლეობას. ასევე საჯარო ანგარიში ახსენეთ. რა სიხშირით კეთდება ეს ანგარიში? ლიცენზიანტები როგორი ვალდებულებებით არიან დატვირთული სახელმწიფოს მხრიდან? და რა დოზის ინფორმაცია შეიძლება იყოს ამ საჯარო ინფორმაციაში ზემოქმედებასთან მიმართებაში"?

მ.ზავრაშვილი:"ეს არ არის ლიცენზიანტის სალიცენზიო პირობა. ამას არეგულირებს ცალკე კანონმდებლობა. დაკავშირებულია საქმიანობასთან და ქმედებასთან, რომელიც გარემოს აყენებს ზიანს და საქმიანობის მასშტაბებთან. კონკრეტული საქმიანობა შეიძლება ეკოლოგიურ ექსპერტიზას ექვემდებარებოდეს. იმ შემთხვევაში თუ რაღაც კრიტერიუმებია ჩამოწერილი და იმას აკმაყოფილებს. ასეთ შემთხვევაში სულ სხვა პროცედურა უნდა გაიაროს. ეს ლიცენზირებასთან არავიტარ კავშირში არ არის. მაგალითად, შეიძლება გავცე ლიცენზია პოლიმეტალებზე, მაგრამ იქ რაღაც სანაყაროზე ცალკე ნებართვა აიღოს ლიცენზიის მფლობელმა. იმიტომ, რომ სანაყაროს სჭირდება გარემოზე ზემოქმედების შეფასება. ოღონდ ამას გარემოს ეროვნული სააგენო ერთიწ არმოების ფარგლებში არ ატარებს. ლიცენზიის გაცემა ცალკე ადმინისტრაციული წარმოებაა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების განსაზღვრა ცალკე ადმინისტრაციული წარმოებაა. წარმოების სხვადასხვა სახეებს ვიყენებთ აქაც. იქით საჯარო ხდება და ჩვენ უფრო მარტივი ადმინისტრაციული წარმოებისკენ მივდივართ. თუმცა, მაქსიმალურად ვცდილობთ დაინტერესებული მხარეების ჩართულობას და საბოლოო აქტების გასაჯაროებას".

ქ.კუპრავა:"ანუ, რეალურად ის კონტროლის მექანიზმი, რაც აუცილებელია ყველა მოქალაქისთვის არსებობს და რეალურად ხორციელდება"?

*მ.ზავრაშვილი:"*ჩვენ ფუნქციურად ვართ გახლეჩილები. ჩვენ გავცემთ ლიცენზიას, ვადგენთ სალიცენზიო პირობებ, მაგრამ ლიცენზიის პირობებზე მონიტორინგს ახორციელებს ზედამხედველობის დეპარტამენტი. ეს არის საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც უყურებს გაცემულ ლიცენზიას, ათვისების გეგმას, ლიცენზიასთან დაკავშირებულ გეოსაინფორმაციოა პაკეტს, დამუშავების სქემას, კონტურს და ა.შ. გადის ველზე და ნახულობს სამთო დამშავების წესები ხომ არ დაარღვია, ხომ არ გასცდა კონტურს, ხომ არ ამოიღო უფრო მეტი რესურსი ვიდრე ლიცენზიით ჰქონდა მიკუთვნებული და ა.შ. ამას ძალიან ხშირად აკეთებს ზედამხედველობის დეპარტამენტი, თუმცა შეიძლება სრულყოფილი არ მოეჩვენოს ვიღაცას".

ქ.კუპრავა:"თქვენ ახსენეთ, რომ სადავო ნორმაში რა ურთიერთობაც გვაქვს მოწესრიგებული, ეს არის ინფორმაცია, რომელიც უკვე შექმნილია. ანუ, შედეგობრივად გვაქვს უკვე ინფორმაცია. დავუშვათ თუ პრეტენზია გააჩნია რიგით მოქალაქეს შემქნილ პროცესში ბუნებასთან, ზიანთან მიმართებით, ამ დროს ვინ ერთვება? ამ დროს ვინ არის მაკონტროლებელი? რომ ავიღოთ პერიოდი ლიცენზიის გაცემიდან ინფორმაციია მირებამდე,

სანამ მივალთ კომისიასთან და კომისია დაამტკიცებს. დავუშვათ ისეთ ტექნიკას ვიყენებ, რომელიც მეტად აზიანებს ვიდრე ეს გათვალა მანამდე ადმინისტრაციულმა ორგანომ. ამ პერიოდში ვინ ერთვება, როგორც მაკონტროლებელი“?

მ.ზავრაშვილი:“მე როგორც გავიგე თქვენი კითხვა, მეკითხებით რომ თუ ლიცენზიანტი გასცდა თავის სალიცენზიო უფლებებს, დაამუშავა ისეთი მეთოდებით, რომელიც თავის დროზე შეთანხმებული არ იყო და ლიცენზიაში არ ჰქონდა ამ დროს რა ხდება? ზედამხედველობა უდგენს ოქმს. უამრავი ნორმატიული აქტი არსებობს, უამრავი ტექნიკური მოთხოვნა არსებობს, რაც უნდა დაიცვას მათ შორის საბადოს დამუშავებისას. ტექნიკური პარამეტრები და ტექნიკური პირობები, ნორმატიული აქტებით არის ეს განსაზღვრული და აქტივობის შესაბამისობას ამ მოთხოვნების ადგენს ზედამხედველობა“.

გ.კვერენჩხილაძე:“თვითონ ლიცენზიაში არ უწერია ეს ყველაფერი“?

მ.ზავრაშვილი:“ლიცენზიაში რეფერირებას ვაკეთებთ იმ აქტების, რომელიც უნდა დაიცვას და რავალდებულებები აქვთ დეტალურად ვუწერთ. სავალდებულ სალიცენზიო პირობები არის ასევე ნორმატიული აქტით დადგენილი. წიაღის შესახებ კანონში და სხვა ნორმატიულ აქტებში ასევე წერია რა უნდა შეასრულოს ლიცენზიის მფლობელმა“.

მ.ტურავა:“მარტო შედეგია საჯარო თუ ასევე პროცესიც ექვემდებარება საჯაროობის პრინციპს“?

მ.ზავრაშვილი:“ღია არის პირველივე დღიდან. მოგახსენებ როგორია პროცესი. მაგალითად მე რომ მინდოდეს 2 კუბი საშენი მასალის მოპოვება ამისთვისაც მჭირდება ლიცენზია თუ ეს კომერციული მიზნით ხორციელდება. მივდივარ გარემოს ეროვნულ სააგენტოში და მიმაქვს კოორდინატი. მეორე დღესვე, რომ მომთხოვოს ვინმე დაინტერესებულმა პირმა ამ კოორდინატში, ან ამ განმცხადებელს რაიმე განაცხადი თუ აქვს შემოტანილი მე ეს უნდა გავხსნა. ეს ინფორმაცია მოთხოვნის შემთხვევაში არის ღია. წინსწრებით ღიაობას არ ექვემდებარება. უკეთესი იქნებოდა, რომ პროაქტიულად ყოფილიყო ღია და ყველას ჰქონდეს ბაზაზე წვდომა და ა.შ. აქამდე ბევრი გვაკლია სამწუხაროდ ჯერჯერობით. თუმცა, მოთხოვნის შემთხვევაში ეს ინფორმაცია არის ღია. თქვენ რომ მომთხოვოთ გაცემული ლიცენზიების შესახებ რეესტრი მომაწოდეთო, რა თქმა უნდა ღიაა. ამას საიტზეც ვდებთ, მაცნეზეც ვაქვეყნებთ. წინსწრებით ეს პროაქტიულად საჯარო არ არის, თუმცა მოთხოვნის შემთხვევაში დაინტერესებულ მხარეს ყველა ტიპის ინფორმაციას მივაწვდით. მათ შორის სალიცენზიო პირობებს, ათვისების გეგმას, მოსაპოვებელი რესურსის ოდენობას, ლიცენზიის მოქმედების ვადებს, პირობებს და ა.შ. იმავდროულად წარმოების პროცესის დასრულებამდეც. მანამ სანამ ლიცენზია გაიცემა ელექტრონული აუქციონი ცხადდება. ჩვენ პირდაპირი წესით არ გავცემთ ლიცენზიებს. არასამთავროების პოზიცია არის, რომ კლასიკური გაგებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ჩავატაროთ. რაღაც კუთხით შეიძლება მეც ვისურვო ეს და ჩვენი დაცულობისთვისაც ასე იყოს უკეთესი. ჩვენ

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში შეიძლება საიტზე პროექტს არ ვკიდებთ და ზეპირ მოსმენას არ ვნიშნავთ, თუმცა სხვა ტიპის დაინტერესებულ უწყებებთან ჩართულობის თვალსაზრისით და სხვა კომპონენტების თვალსაზრისით ყველა პროცედურას წარმოებისას განუხრელად ვიცავთ“.

ქ.კუპრავა:“მე კითხვები აღარ მაქვს“.

ნ.გუჯარაიძე:“მე გამიჩნდა კითხვა და დავუსვამ თუ შეიძლება ქალბატონ მაიას. მე ვფიქრობ ცოტა არასწორი სურათი დაიხატა თვითონ სისტემასთან დაკავშირებით. აქ მაგალითად, გარემოს ზემოქმედების ნებართვაც კი იყო ხსენებული, საჯარო განხილვები და ა.შ. ეს არიოს აბსოლუტურად სხვა სფერო, აბსოლუტურად სხვა თემა. არანაირ კავშირში არ არის ლიცენზიით სარგებლობასთან და წიაღის მოპოვებასთან. ეს არის უკვე მოპოვებული წიაღისეულის გადამუშავება. ამიტომ ამ პროცესს არანაირი კავშირი არ აქვს წიაღთან აი ამ კონკრეტულ კონტექსთან მიმართებაში. პრობლემა არის ის, რომ 2007 წლიდან შემოვიდა ლიცენზიებისა და ნებართვების კანონში ცვლილება, რომლითაც წიაღის მოპოვება აღარ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. გადაწყვეტილებას ადმინისტრაციული ორგანო ლიცენზიის გაყიდვის შესახებ იღებს ყოველგვარი წინასწარი შეფასების გარეშე. შეიძება ვიღაც თანამშრომელი გავიდეს, რაღაც დაათვალიეროს და ა.შ. ანუ, ძალიან ზედაპირული შეიძლება იყოს ეს და ეს წარმოების ნაწილი არ არის. ყოველგვარი გარემოზე წინასწარი ზემოქმედების შეფასების გარეშე იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის გამოტანის შესახებ. როდესაც საუბარი იყო, რომ ეს პროცესი მაინც არის საჯარო, ჩვენ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება ვერ ვიგებთ. ეს არის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ აი ამ კონკრეტულ ტერიტორიას მე გამოვიტან სალიცენზიოთ. ეს გადაწყვეტილება არის ძალიან მნიშვნელოვანი გარემოს დაცვითი გადაწყვეტილება, რომელიც განვითარებულ მსოფლიოში მიიღება საზოგადოების მონაწილეობით. ჩვენ უკვე პოსტფაქტუმ აი ამ გადაწყვეტილებას ვიგებთ“.

ლ.ფაფიაშვილი:“ქ-ნი ნინო, ჩვენ როგორც ამ სფეროში ჩაუხედავ ადამიანებს უფრო მარტივი ენით თუ გვეტყვით, რატომ არის თქვენთვის პრობლემა რომ ინფორმაცია იდება წინსწრებით, რომ იგეგმება რაღაც კონკრეტულ ტერიტორიებზე მოპოვებითი სამუშაოების თაობაზე ლიცენზიების გაცემა“?

*ნ.გუჯარაიაძე:“*ზეტყვით, ეს არის უკვე მიღებული გადაწყვეტილება. მსგავსი გადაწყვეტილებები, უკვე ჩვენი კანონმდებლობით აღარ, სამწუხაროდ ლიცენზიებისა და ნებართვების კანონმა ეს გადაწყვეტილებები მოგვისპო, მიიღებოდა საჯარო ადმინისტრაციული წარმოებით. წინსწრებით ხდება შესწავლა ამა თუ იმ ტერიტორიის, რამდენად არის ეს საერთოდ სალიცენზიო. შემდეგ უკვე კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული მფლობელი იღებს და მას უწესდება კონკრეტული პირობები“.

ლ.ფაფიაშვილი:“ იქნებ დააზუსტოთ. თქვენთვის პრობლემა არის ის, რომ ვინაიდან წინასწარ არ იცით რა ტერიტორიაზე გაიცემა ნებართვა, ამიტომ წინსწრებით ვერ ახორციელებთ გარემოს დაცვითი ეფექტების შეფასებას. ეს არის პრობლემა“?

ნ.გუჯარაიძე:“ესეც არის რა თქმა უნდა. აქ ითქვა, რომ ეს პროცესი საჯარო და ღიაა. არ არის საჯარო და ღია. ჩვენ ვიგებთ უკვე მიღებულ გადაწყვეტილებას ამ ტერიტორიის გასხვისების შესახებ. აუქციონზე არანაირი ზემოქმედების საშუალება არ გვაქვს, ვიღაც მყიდველები არიანნ, რომელიც მეტ ფასს შესთავაზებს. ის იღებს ლიცენზიას და უკვე გაიცემა კონკრეტული ლიცენზია“.

მ.ზავრაშვილი:“თუ შეიძება რეპლიკის სახით გეტყვით, რომ მართლა გაქვთ მაგის უფლება. პრეცედენტებიც უამრავი გვქონია. არსებობს სუსპენზიის ეფექტიც. თქვენ თუ სადაოდ გახდით მაგ გამოცხადების გადაწყვეტილებას, იმავე დღეს ჩერდება მოცემული აქტის მოქმედება. ჩვენ ძალიან ბევრ ორგანოსთან, მუნიციპალიტთან ვათანხმებთ, გუბერნიასთან“.

ნ.გუჯარაიძე:“Პოსტფაქტუმ გვაქვს, გვაქვს გასაჩვრების უფლება, მაგრამ არა მონაწილეობის უფლება“.

მ.კოპალეიშვილი:“მოსარჩელე მხარე არ უარყოს იმას რასაც თქვენ აკეთებთ, მაგრამ ამბობს, რომ ეს არ არის ის რასაც ისინი ითხოვენ. პოსტფაქტუმ გადაეცემათ და თქვენც აღნიშნავთ, რომ დამდგარი შედეგი ღიაა. აქ არის საუბარი მანამდელ ინფორმაციაზე. კითხვაც ამას შეეხებოდა, რომ სანამ ამ შედეგამდე მივიდა თუნდაც სამინისტრო რა პრინციპით მივიდა. თუმცა, ეს ხომ არ არის ჩენი განხილვის საგანი“.

მ.ზავრაშვილი:“დიახ განხილვის საგანიც არ არის და ყველა რესურსი არის ინდივიდუალური. შესაძლოა ტექნოგენურ საბადოზე სხვა ტიპის გეოლოგიური ანგარიშები გვჭირდებოდეს“.

ნ.გუჯარაიძე:“დავაზუსტებ, გარემოს ზემოქმედების შეფასება არ ხდება ამაზე უნდა შევთანხმდეთ. როდესაც არის შესწავლა/მოპოვების ლიცენზიაზე საუბარი და როდესაც ხდება შემდეგ უკევ მარაგების დამტკიცება, აი ამ კომისიაზე რა ხდება რელუარად: ლიცენზიით მიღებული იქნა გადაწყვეტილება დიდ მოცულობით ტერიტორიაზე, მაგალითად სვანეთში, რომელიც ახლა პრობლემურია ძალიან 39 ათასი ჰექტარი, მთელი სვანეთი ფაქტიურად გაცემულია ლიცენზიის ფარგლებში, რომელიც გულისხმობს თვითნაბადი ოქროს მოპოვებას. როდესაც ეს კომპანია აკეთებს შესწავლით სამუშაოებს, შემდეგ ადგენს მარაგებისთვის სპეციალურ ანგარიშს, წარადგენს კომისიაზე და კომისია ამის საფუძველზე წარადგენს მოპოვების უფლებას. მაგალითად, ამ კომპანიის შემთხვევაში „ოპტიკალ სისტემთან“ მიმართებაში პრობლემა გახდა თავად შესწავლის პროცესი. მოსახლეობამ გადაკეტა ეს ტერიტორია, ტექნიკასთან ხელმისაწვდომობის უფლება არ მისცეს და ა.შ. იმიტომ, რომ მოხდა ძალიან დიდი მასის მოხსნა, ისინი გეგმავენ გარეცხვის მეთოდით

თვითნაბადი ოქროს ამოღებას. მაგრამ, იმის გამო რომ არც ადგილობრივმა მოსახლეობამ, არც ჩვენ არ ვიცოდით და არც ცხელ ხაზზე არ იცოდნენ ამასთან დაკავშირებით, რომ იქ ლიცენზია იყო გაცემული, ამიტომ ამ მოსახლეობას გაუჩნდა არაადეკვატური შიშები ამ ყველაფერთან დაკავშირებით. იმის გამო, რომ ასეთი ინფორმაცია არ არსებობს, ჩნდება არასწორი წარმოდგენები. ადამიანებს ეგონათ, რომ იქ ციანიდს გამოიყენებდნენ და ა.შ. პრობლემა გახლდათ შესწავლის პროცესში დიდი მასივების მოხსნა და ეროზიული პროცესების წარმოქმნა. იმასთან მიმართებაში ვამბობ ამას, რომ ეს პროცესი არის გადაწყვეტილების მიღების პროცესი, როდესაც ხდება შეფასება რომ ამ კონკრეტული მარაგის დამტკიცება შესაძლებელია? იქნება გარემო და მოსახლეობა დაცული? აი ამ კონკრეტული მარაგის ოდენობა რომ დავამტკიცო და გავცე ლიცენზია".

ლ.ფაფიაშვილი:"ქ-ნო მაია, ამ კომისიის მიერ გარემოზე ზემოქმედების შეფასება არ ხორციელდება მანამ სანამ კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას გაიცეს თუ არ გაიცეს ლიცენზია"?

მ.ზავრაშვილი:"იცით როგორ არის, კომისია არ ღებულობს არანაირ გადაწყვეტილებას ლიცენზიის გაცემაზე".

მ.კოპალეიშვილი:"რეკომენდაციას ხომ გაძლევთ თქვენ? ფაქტობრივად ხომ იმიტომ იქმნება, რომ საბოლოოდ ეს დოკუმენტები განიხილოს"?

მ.ზავრაშვილი:"განვმარტავ მარაგების კომისიის არსს. ჩვენ გავცემთ შესწავლა/მოპოვების ლიცენზიას. აქ არაფერ შუაში არ არის მარაგების კომისია. ეს ლიცენზიანტი, რომ შეისწავლის საბადოს, დაიანგარიშებს, გეოლოგიურ კვლევებს ჩაატარებს, ექნება ასეთი მარაგების ანგარიში მიდის კომისიაზე და ამტკიცებს. ამტკიცებს ამას კომისია, მხოლოდ ამის შემდეგ ითვლის ფასთან სხვაობას დათვლილი მარაგების მიხედვით და ეძლევა გეოლოგიური მინაკუთვნი. ანუ, ამ ტერიტორიაზე ეძლევა მას უკვე მოპოვების უფლება. ლიცენზიაში ცვლილება შეგვაქვს ამის საფუძველზე".

მ.კოპალეიშვილი:"ეს იძლევა იმის საფუძველს, რომ მარაგების კომისია არაფერ შუაში არ არის"?

მ.ზავრაშვილი:"მარაგების კომისია მარაგების კუთხით უყურებს, არსებობს თუ არა ანგარიშში მითითებული არითმეტიკული გათვლები. შეესაბამება თუ არა X და Y კოორდინატებში მოცემულ სიმძლავრეს, ქანების აგებულებას და ა.შ.".

ნ.გუჯარაიძე:"დებულებაში ცოტა სხვა რამე წერია ამ კომისიის".

მ.ზავრაშვილი:"რა წერია"?

ნ.გუჯარაიძე:"სამწუხაროდ ინსტრუქცია იმდენად არასრულყოფილია, რომ წარმოსადგენი დოკუმენტებიდან გვიწევს მსჯელობა იმაზე კომისია რაზე მსჯელობს. აქ არის მთელი

ჩამონათვალი, რომელშიც საუბარია, რომ უნდა იყოს შესწავლილი საბადოს გეოგრაფიული და გეოტექნიკური მდებარეობა, სამთო-გეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური, ჰიდრო-გეოლოგიური და ეკოლოგიური პირობები. ამაზე მსჯელობს კომისია“.

მ.ზავრაშვილი:“იმისთვის, რომ კონკრეტული მარაგი დაამტკიცოს და არა იმიტომ, რომ ლიცენზია გასცეს“.

ნ.გუჯარაიძე:“დიახ, ეს მეც არ მითქვამს. მარაგის დამტკიცების გარეშე ლიცენზიით ვერ ისარგებლებს“.

მ.კოპალეიშვილი:“ი ეს მინდოდა მეკითხა, მარაგს თუ კომისია არ დაამტკიცებს, ისე ხომ სამინისტრო ლიცენზიას არ გასცემს? და პირიქით, სამინისტროსთვის ხომ აპრიორი მარაგის დამტკიცება უკვე ნიშნავს, რომ ლიცენაზია ყველა შემთხვევაში უნდა გასცეს? თუ არის ისეთი შემთხვევა, რომ მარაგი დამკიცდა და მინისტრმა არ გასცა შემდეგ ლიცენზია“?

მ.ზავრაშვილი:“ავტომატურად მოიაზრება დამტკიცების შემდეგ ლიცენზია“.

მ.კოპალეიშვილი:“ე.ი. ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს ამ კომისიას. სამინისტროს გასაკეთებელს აკეთებს ეს კომისია. თუკი კომისია მარტო ამ გეოგრაფიულ მონაცემებს და პარამეტრებს ადგენს, მაშინ კიდევ უფრო მეტად რჩება კითხვა იმაზე, ის ინფორმაცია რასაც ითხოვს მოსარჩელე გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით თუკი ამას საერთოდ არ ეხება კომისია, რა პარამეტრები გამოიყენება? შედის ამ საინფორმაციო ფონდებში ეს ინფორმაცია? თუკი კომისია მხოლოდ ტექნიკურ და გეოგრაფიულ პარამეტრებზე მსჯელობს“.

მ.ზავრაშვილი:“მე ასე არ მითქვამს. საუბრის დასაწყისშივე ჩამოვთვალე საკითხები მარტო გარემოს დაცვით ჭრილში რაზეც მსჯელობს კომისია. ეს არის უამრავი საკითხი. ეროზიით დაწყებული ჩიტების ჭიკჭიკით დასრულებული. ფლორა, ფაუნა ყველაფერი არის კომისიის მსჯელობის საგანი. ეს საკითხები არის ღია. ეს არ არის დახურული ინფორმაცია“.

მ.კოპალეიშვილი:“-ქნო მაია ისეტ საკითხებს ვეხებით, რომელიც განხილვის საგანი არ არის. იმაზე დავკონკრეტდეთ რაც განხილვის საგანია. შეიძლება ძალიან მომხიბვლელია იმის წარმოსაჩენად რომ რაღაცეები ღია არის და არ იხურება ყველაფერი, მაგრამ კითხვები რაშიც მდგომარეობს იმ ჭრილში დავრჩეთ“.

მ.ზავრაშვილი:“გასაგებია. მე დავასრულე“.

ლ.ფაფიაშვილი:“მადლობა ქ-ნო მაია წარმოდგენილი ინფორმაციისთვის.

სასამართლომ წინა სხდომაზე მხარეებს კითხვები დაუსვა. ხომ არ გაქვთ მოსამართლეებს დარჩენილი კითხვა რომელიმე მხარესთან“?

მ.კოპალეიშვილი:"აქ წამოიჭრა საკითხები და მე გთხოვეთ კიდევაც მოსარჩელე მხარეს, რომ დაგეზუსტებინათ მართლაც როგორც არის. მოწმეებმა, რომლებიც მოწვეულნი არიან სხდომაზე აღნშნეს, რომ ეს ინფორმაცია ისედაც ღია არის და შეიძლება რომელიმე თანამშრომლის მიერ პრაქტიკაში არსბეული პრობლემა იყოს. როგორ ხდება ეს მართლაც რეალურად"?

ნ.გუჯარაიძე:"ჩვენი გამოცდილება არის აბსოლუტურად საპირისპირო".

მ.კოპალეიშვილი:"ისიც მინდა, რომ შეაფასოთ რამდენად სწორად ვაკეტბ მე რეზიუმირებას იმისა, რაც თქვეს მოწმეებმა".

ნ.გუჯარაიძე:"ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო მათი გამოსვლების მოსმენა. იმიტომ, რომ ზუსტად იმას საუბრობდნენ რასაც ჩვენ ვფიქრობთ, მაგრამ სამწუხაროდ პრაქტიკა არის ძალიან განსხვავებული და პრაქტიკა გამომდინარეობს კანონის ჩანაწერიდა. როდესაც საუბარია წიაღის აგებულებაზე, რესურსზე, მარაგზე და ა.შ. არ არსებობს წიაღზე ინფორმაცია, რომელიც ამ ინფორმაციას არ შეიცავს. ზუსტად ამიტომ სარგებლობენ ამ ჩანაწერით და ნებისმიერი დოკუმენტი , რომელიც ამ ფონდში არის დაცული ამ დანაწესის საფუძველზე ჩვენ არ გადმოგვეცემა და ჩვენი გამოცდილება ზუსტად ასეთია. გვქონდა ჩვენ ასევ ეგამოცდილება, როდესაც აი ამდენი სასამართლო დავის და წლების განხილვის შემდეგ კონკრეტული ლიცენზიის შესრულების ანგარიშის ნაწილი გადმოგვეცა, მაგრამ გადმოგვეცა ისეთი ნაწილი, რომელიც არაფრის მომცემი არ არის. გაუგებარია რა კონტექსტით არის გამოხშირული დანარჩენი ინფორმაცია და ფაქტიურად ასე გამოხშირული ინფორმაცია კარგავს თავის ღირებულებას, რისთვისაც ჩვენ ეს დოკუმენტი გვჭირდებოდა".

მ.კოპალეიშვილი:"საერთოდ შეიძლება, რომ რასაც თქვენ ითხოვთ ის იყოს დაცული? შეიძლება საერთოდ არ აქვს ასეთი ინფორმაცია შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს აღრიცხული. მაგალითად, როგორ უნდა დაამუშაოვოს ქანი, ან როგორ უნდა გამოყოს ქანიდან სასარგებლო ოქრო მაგალითად".

ნ.გუჯარაიძე:"შეიძლება ასე იყოს, მაგრამ ძალიან სამწუხარო იქნებოდა. იქედან გამომდინარე, რომ ამ უწყებათაშორისი კომისიის ფუნქციაა თავისი დებულებიდან გამომდინარე მიიღოს გადაწყვეტილება იმის შესახებ როგორი უნდა იყოს რაციონალური ბუნებათსარგებლობა. აი ეს ბალანსის დაცვა ზუსტად აი ამ ეტაპზე ხდება. რამდენად შეიძლება აი ამ ოდენობის მარაგის მოპოვება ამ სამთო-ტექნიკურ პირობებში ამ სამთო-ტექნიკური ტექნოლოგიის გამოყენებით".

მ.კოპალეიშვილი:"აქდან გამომდინარე მაქვს ორივე მხარესთან ეს კითხვა, იმის გამო რომ აი ამ ნორმასთან მიმართებით ამდენი კითხვა დაისვა და საბოლოოდ ყველა გამომსვლელი სხვადასხვანაირად კითხულობს, შეიძლება ვიფიქროთ თუ არა, რომ ნორმას აქვს

ბუნდოვანების პრობლემა იმგვარად, რომ ნორმა იძლევა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციების შესაძლებლობას“?

ნ.გუჯარაიძე:“მარტო ბუნდოვანი კი არ არის, არ ვიცით რას უნდა ველოდოთ აი ამ ჩანაწერიდან. ეს უფრო სწორი იქნება. რომ არ იყოს მძიმის შემდეგ წინადადება, ეს არის გარემოს შესახებ ინფორმაცია. ამას ამბობს ორჰუსის კონვენცია, ამას ამბობს გარემოს შესახებ კანონი. უცებ გრძელდება წინადადება, რომ ეს ინფორმაცია არის ლიცენზიანტის საკუთრება. წიაღი არის გარემოს შემადგენელი ელემენტი, სხვა დანარჩენ ელემენტებთან შედარებით ყველაზე დიდი. წიაღის შესახებ ინფორმაცია არის მისი აგებულება, სტრუქტურა, რაოდენობა, დამუშავების შესაძლებლობები და ა.შ. ეს არის ინფორმაცია გარემოს შესახებ, სხვა ინფორმაცია წიაღის შესხებ არ არსებობს ბუნებაში. არავინ არ ქმნის ამ ინფორმაციას და ვერც შექმნის. იმიტომ, რომ არ შეიძლება არსებობდეს ამ სახის ინფორმაცია“.

მ.ტურავა:“ანუ, წიაღის შესახებ ინფრომაცია მის რაოდენობაზე, მის კომერციულ ღირებულებაზე, ამ მომენტებზეა დამოკიდებული, თუ ასევე გარემოზე და ადამიანებზე, მათ ჯანმრთელობაზე და სიცოცხლეზე არის დამოკიდებული“?

ნ.გუჯარაიძე:“ორივე რა თქმა უნდა“.

მ.ტურავა:“საკუთრება წიაღის შესახებ ინფორმაციაზე, რადგან ჰქვია ამ მუხლს შესაბამისად ამ ბოლო წინადადებითაც დაუშვებელია წიაღის შესახებ, როგორც საკუთრებაზე ინფორმაციის გაცემა მესაკუთრის ნების და თანხმობის გარეშე, ის რომ რა მავნე ზეგავლენას ახდენს, ან შეიძლება მოახდინოს ამ საქმის წაროებამ, თუ სამუშაოთა წარმოებამ ეს ამ ნორმაში არც მოიაზრება, იმიტომ რომ ეს არ არის ვინმეს საკუთრება? შეიძლება ამ ნორმის სათაურიდან გამომდინარე და ამ ნორმის არსობრივი განმარტებიდან ვთქვათ, რომ აქ ამ ნორმაში კანონმდებელს უნდოდა მხოლოდ ის ერთი ჯგუფი ინფორმაციისა ყოფილიყო დახურული და არა ის მეორე ჯგუფი, რომელიც თქვენ გაინტერესებთ“?

ნ.გუჯარაიძე:“შეიძლება ასეთი მიზანი იყო, მაგრამ იმ ინფორმაციის დახურვა დაუშვებელია ერთის მხრივ. მაგრამ, მეორეს მხრივ ამ ინფორმაციია გარეშე ადამიანის ჯანმრთელობაზე გარემოზე ზემოქმედების შედეგად საუბარი წარმოუდგენელია“.

გ.კვერენჩხილაძე:“თქვენ სპრობლემას რომ დავუბრუნდეთ, აქ ჩამოთვლილ საკთხებზე გეოლოგიური აგებულება, მარაგები, დამუშავება, ტექნიკური პირობები, თვისებები, პარამეტრები, თქვენთვის ეს ხომ შეიძება იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც გარემოს დაცვის, გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას არ შეიცავდეს“?

ნ.გუჯარაიძე:“არა, ეს არის პრიორი ინფორმაცია, რომელიც გარემოს შესახებ ინფორმაციას შეიცავს. ტექნიკური პირობები, ტექნიკური დამუშავების ტექნოლოგია განაპირობებს გარემოზე ზემოქმედებას. ოქრო არის თვითნაბადი თუ არის რაიმე სხვა მადანთან ერთად წარმოდგენილი, ამას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. იმიტომ, რომ იმ ოქროს გარეცხავს

თვითნაბადს და ისე ამოიღებს, ხოლო მეორე ოქროს სჭირდება ციანიდით გამოტუტვა, რაც ჩვენ გვაქვს ბოლნისში და შესაბამისი კატასტროფული შედეგებით“.

მ.ტურავა:“თქვენ სრულად ინფორმაციის გახსნას მოითხოვთ, რაც დაკავშირებულია და გამომდინარეობს ამ წიაღის მოპოვებასთან? იმდენად რამდენადაც თქვენ ამბობთ, რომ ეს არავითარი დასკვნის გაკეთების საშუალებას არ მოგცემთ და იქნება თქვენთვის არ მომცემი, რა შედეგიც თქვენ გინდათ“?

ნ.გუჯარაიძე:“დიახ. გარდა ამისა მინდა აღვნიშნო, აქ არ ხდება გარემოზე ზემოქმედების შეფასება წიაღის შემოწმებისას, როგორც ვთქვით, მაგრამ თუნდაც არსებობდს ასეთი შეფასება ხშირად ასეთი დოკუმენტები არასრულია. მაგალითად, ელექტროგადამცემი ხაზი გადის, რომელზეც გვაქვს დავა იმის გამო, რომ სამინისტრო ამბობს იქ ზემოქმედება არ არის, ჩვენ ვამბობთ, რომ არის ზემოქმედება. ის ტექნოლოგიური პარამეტრები კონკრეტული საქმიანობის ზუსტი აღწერა და დეტალების იძლევა წარმოდგენას იმაზე ზემოქმედება არის თუ არ არის. ეს არის ჩვენი უფლება გავასაჩვროთ ასეთი არასწორი გადაწყვეტილება, დავეთანხმოთ, ან არ დავეთანხმოთ“.

ლ.ფაფიაშვილი:“თუკი თქვენთვის პრობლემა არის მხოლოდ და მხოლოდ მეთოდიკა, რომლითაც უნდა დამუშავდეს, თქვენ ახსენეთ მათ შორის ციანიდი და გარეცხვის მეთოდი. ამ შემთვევაში რამდენად არის საჭირო და რამდენად აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად, რომ შემადგენლობა ზუსტად იცოდეთ? შემადგენლობა გარკვეულწილად კომერციული საიდუმლოების მატარებელი შეიძლება იყოს. თუ ეს ინფორმაცია სრულად იქნება ხელმისაწვდომი ყველა დეტალი, ამ შემთხვევაში ის კომერციულ ღირებულებას პრაქტიკულად ან დაკარგავს, ან შეუმცირდება, ან პირიქით შეიძლება არაკეთილსინდისიერად გაიზარდოს“.

ნ.გუჯარაიძე:“არ ვიცი რამდენად ასეა. მაგალითად, დღეს იმისთვის რომ გახვიდე ლონდონის საფონდო ბირჟაზე ასეთი ანგარიში უნდა იყოს ღია. მაგალითად, რამოდენიმე დღეს მოქმედი ოქროს მოპოვების სფეროში კომპანიის ანგარიშები არის განთავსებული საფონდო ბირჟაზე. ეს გაიდლაინი იმისთვის იყო შემუშავებული, რომ 70-იან, 80-იან წლებში იყო რამოდენიმე ძალიან დიდი აფერა, რომელმაც ქვეყნების ეკონომიკა დაანგრია და ზუსტად ასეთი თავდაცვის მექანიზმი იქნა შემუშავებული. ამიტომ, კეთილსინდისიერი კომპანიები ამ ინფორმაციას ქვეყნებენ და ალბათ თუკი მათ კომერციულ ინტერესებზე ეს ზეგავლენას ახდენს, ასეთი წესები არ იარსებებდა. ნამდვილად არ ვიცი ეს როგორ არის, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ასეთი ანგარიშები ქვეყნდება“.

მ.ტურავა:“ანუ, მე როგორც გავიგე კომერციული ნაწილიც არ უნდა იხურებოდეს“?

ნ.გუჯარაიძე:“იქაც არსებობს რაღაც ნაწილი, შეიძლება იყოს ეს ფინანსური დანახარჯები, რომელიც ამ კვლევების ჩატარებისთვის არის გაწეული. ლონდონის საფონდო ბირჟის

დოკუმენტებშიც არის გარკვეული ძალიან მცირე მონაკვეთი, თუმცა ფინანსებთან დაკავშირებული საკითხები არის ხოლმე საიდუმლო. რაც შეეხება წიაღის შემადგენლობას სრულად იქ არის აბსოლუტურ დეტალებში, რაც უფრო დეტალურია კვლევა უფრო მეტად არის წარმოდგენილი“.

მ.ტურავა:“მაშინ კონსტიტუციის 41-ე და 37-ე მუხლების მიმართება, რომ განვიხილოთ, მე თუ სწორად ვგებულობ, რომ მართალია 41-ე მუხლში არის გარკვეული შეზღუდვები საჯაროობასთან დაკავშირებით და მათ შორის იქ სიტყვა კომერციულიც არის ნახმარი, მაგრამ 37-ე მუხლი არის ისეთი სპეციალური ნორმა კონსტიტუციაში, რომ კომერციულ მომენტსაც 41-ე მუხლში ნახსენებს 37-ე მუხლი გადაფარავს? იმდენად პრიორიტეტულია გარემოს მდგომარეობის შესახე ინფორმაციის საჯაროობა, რომ ამან შეიძლება 41-ე მუხლით დაცული სიკეთეც კი გადაფაროს“?

ნ.გუჯარაიძე:“ერთის მხრივ მე ვამბობ და საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ეს ინფორმაცია ნაკლებად არის კომერციული ღირებულების და პირიქით კომპანიები თავად აქვეყნებენ თავისი ინიციატივით ასეთ ინფორმაცია. მეორეს მხრივ, ვინაიდან გარემოს შესახებ ინფორმაციის ფლობა პირდაპირ კავშირშია ადამიანის უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლებასთან, ჩვენ ვთვლით რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი უფლება, რომლის შესრულებისთვის შესაძლოა გარეკვეული უფლებები იყოს შეზღუდული და ასეც ხდება“.

ლ.ფაფიაშვილი:“მადლობა ქ-ნო ნინო. მოპასუხე მხარესთან იყო დასმული რამოდენიმე კითხვა, ახლავე უპასუხებთ თუ დასკვნით სიტყვაში გვიპასუხებთ“?

ქ.კუპრავა:“დასკვნით სიტყვაში გიპასუხებთ“.

ლ.ფაფიაშვილი:“მხარეებს კითხვები ხომ არ გაქვთ ერთმანეთთან“?

ნ.გუჯარაიძე:“არა არ მაქვს“.

ქ.კუპრავა:“არც ჩვენ არ გვაქვს“.

ლ.ფაფიაშვილი:“გადავდივართ დასკვნითი სიტყვების ეტაპზე. პირველ რიგში მოსარჩელე მხარეს გისმენთ“.

ნ.გუჯარაიძე:“მოკლედ შევაჯამებ, წინა სხდომაზე იყო მოსაზრება რამდენად არის 29-ე მუხლში მოყვანილი საინფორმაციო ფონდები ის, რაც არის 23-ე მუხლში. ფაქტიურად დღეს მნიშვნელოვანწილად დასაბუთდა, რომ ზუსტად ასე არის. ეს არის მარაგების შესახებ ინფორმაცია, ეს არის ლიცენზიის შესრულების ანგარიშები.

ეს ორი დოკუმენტი არის საბაზისო დოკუმენტები, რომელიც ქვეყანაში წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას ფლობენ. სხვა დოკუმენტები არ არსებობს. აქ

ნახსენები იყო გეოლოგიური ანგარიში, რომელიც ხაზგასმით ახსენა მხარემ, რომ გარემოს ეროვნული სააგენტო ასეთ დოკუმენტს ქმნის. ნამდვილად ქმნის და ნამდვილად ღირებული დოკუმენტია. გარკვეული გეოდინამიკური პროცესების შესახებ ინფორმაციას ამზადებს სააგენტო, თუმცა ამ ინფორმაციას კავშირი არ აქვს ლიცენზიებთან და ლიცენზიების გარემოზე ზემოქმედებასთან. ეს არის აბსოლუტურად განყენებული პროცესი და არ შეიძლება, რომ იმ ინფორმაციის ფლობამ დაგვისაბუთოს, რომ ეს ინფორმაცია არ უნდა იყოს საჯარო. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ აი ეს ჩანაწერი, რომელიც 29-ე მუხლშია, არის პირდაპირ გრაემოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტის წიაღის შესახებ ინფორმაცია. სხვა ინფორმაცია წიაღის შესახებ არ შეიძლება არსებობდეს და ეს ჩანაწერი პრიდაპირ არის გარემოს დაცვითი ინფორმაცია. შეიძლება ცოტა დილეტანტურად გამომივიდეს, მაგრამ ჩვენ არ ვთვლით რომ საკუთრების მომენტი შეიძლება იყოს იმის განმაპირობებელი, რომ ეს ინფორმაცია არ გადაეცეს სხვას. ნებისმიერი სხვა ლიცენზიანტის მიერ წარდგენილი დოკუმენტები დაკავშირებულია ხარჯებთან. ვინ განსაზღვრავს რამდენია ბევრი და ნაკლები ხარჯი და რა შემთხვევაში უნდა დავიცვათ საკუთრების უფლება. ან გაცემა ასეთი ინფორმაციის რამდენად უგულვებეყოფ მის საკუთრების უფლებას. დიახ იყოს მისი საკუთრების უფლება დაცული, მაგრამ საჯარო უწყებაში წარდგენილი დოკუმენტი, რომელიც აპრიორი არის კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებისთვის შექმნილი დოკუმეტნი და რომელიც ასევე გარემოს დაცვის შესახებ კანონის თანახმად პიდაპირ არის გარემოს დაცვით ინფორმაცია, რომელიც უნდა იყოს საზოგადოებისთის ხელმისაწვდომი, რატომ შეიძება არ გახდეს ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის. აბსოლუტურად არ ნიშნავს, რომ საკუთრების უფლება რამენაირად ზღუდავს ამ დოკუმენტის საჯაროობას.

კომერციულ ნაწილზეც გეტყვით, არსებობს არაერთი საერთაშორისო შეთანხმება, ინიციატივა, რომელიც აი ასეთი დოკუმენტაციის სულ უფრო და უფრო გახსნას გულისხმობს. იმიტომ, რომ იყო არაერთ ქვეყანაში ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემები, პერუში მაგალითად სამოქალაქო ომებში გადაიზარდა ასეთი პროცესები. იმის გამო, რომ ადამიანებს არ ჰქონდათ ინფორმაცია მიღებული გადაწყვეტილებების შეხებ, არ იცოდნენ მათ რა საფრთხე ექმნებოდათ. ეს მსჯელობა მივიდა საერთაშორისო დონეზე. 2002 წელს დიდი ბრიტანეთის ინიციატივით, ტონი ვლერმა გააჟღერა ინიციატივა, რომ უნდა იყოს სამთო-მოპოვებითი მრეწველობის გამჭვირვალობის გლობალური ინიციატივა. რომელზეც დღეს უკვე 51 ქვეყანა არის მიერთებული. საქართველოსაც აქვს განაცხადი გაკეთებული, როდესაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი შენდებოდა, პირდაპირი მოთხოვნა იყო BP-ის რომ ქვეყანა გაწევრიანებულიყო ასეთ ინიციატივაში. იმიტომ, რომ პირველ რიგში ზუსტად ლიცენზიანტები ზიანდებიან ასეთი ინფორმაციის დახურვით. ამ ინფორმაციის დახურვის შედეგან ლიცენზიანტს აქვს პრობლემა მოსახლეობასთან, ლიცენზიანტს აქვს პრობლემა სამოქალაქო საზოგადოებასთან და საბოლოო ჯამში სასამართლოსთან. პირველ რიგში თვითონ კომპანიები ზარალდებიან. სამოქალაქო საზოგადოება კომპანიებთან იყვნენ

შეკრულნი იმისთის, რომ სახელმწიფოებს მიეღოთ ასეთი გადაწყვეტილება. დღეს ბრიტანეთი, ნორვეგია, გერმანია და უამრავი ქვეყანაა, რომლებიც არიან ამ ინიციატივის წევრები. არათუ მარაგების შესახე ინფორმაცია არის ღია, აქ საუბარია კონტროლის მექანიზმზზე. ერთის მხრივ კომპანია აქვეყნებს ინფორმაციას თუ რა მოიპოვა, რა რაოდენობით გადასახადები გადაიხადა ადგილობრივ ბიუჯეტში, სახელმწიფოს რა რაოდენობით გადაუხადა. მეორეს მხრივ, სახელმწიფო აქვეყნებს ამ ინფორმაციას. სამოქალაქო საზოგადოებას აქვს ამ ინფორმაციია შედარების საშუალება. ფაქტიურად ამით სახელმწიფოც და კომპანიაც თავის კეთილსინდისიერებას ამტკიცებს. სამწუხაროდ 2005 წელს იყო ეს განაცხადი შესული საქართველოს მხრიდან და შემდგომში ქვეყანამ აღარ გადადგა ნაბიჯები ამასთან დაკავშირებით. იმის თქმა მინდა, რომ ეს არ არის მარტო ჩვენი ქვეყნის პრობლემა, ჯერჯერობით ასეთი დახურულობის გამო ჩვენ საბედნიეროდ ისეთი სიმწვავით არ გვიდგას ეს პრობლემა. თუმცა, ბოლო წლების განმავლობაში არაერთი პრობლემა იყო ბოლნისში, ტყიბულში და ა.შ. სადაც ისეთ დაპირისპირებაში გადაიზარდა ეს სიტუაცია, რომ მე ვთვლი, რომ ეს კომპანია ვეღარ მოიპოვებს იქ მადანს. ამიტომ, რაც უფრო დიდხანს იქნება ასეთი ინფორმაცია დახურული, მით უფრო კონფლიქტური სიტუაცია შეიქმნება. ხოლო მეორე მხრივ არის კორუფციის ძალიან დიდი რისკი. აბსოლუტურად არანაირ მექანიზმს არ გვიტოვებს ინფორმაციის დახურულობა საზოგადოებრივი ზედამხევდელობის და ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მოსახლეობაზე, საერთოდ საუბარიც კი ზედმეტია. როდესაც გაიცემა ლიცენზია, მაგალითად ჭიათურაში, ჭიათურაში გარაჟს ვერ აიშენებთ ნებართვა თუ არ გაქვთ ლიცენზიის მფლობელისგან. დიდი კონტური არის შემოსაზღვრული და ნებისმიერი მშენებლობა, ნებისმიერი ცვლილება, რომელიც უნდა განხორციელდეს ამ ტერიტორიაზე უნდა იყოს ლიცენზიანტის თანხმობის საფუძელზე. როგორც წესი საზოგადოება უფრო დაჩაგრულ მდგომარეობაშია. როდესაც არის საუაბარი ბალანსის დაცვაზე, მოპოვებასა და დაცვას შორის, მოქალაქეები ყოველთვის ცუდ მდგომარეობაში ვართ, ჩვენზე გადმოდის გარემოზე ზემოქმედება, ჩვენს ჯანმრთელობაზე აისახება. 2007 წელს არის ეს ცვლილება შეტანილი, როდესაც ლიცენზიით სარგებლობისთის ადამიანს შეიძლება ქონებაც კი ჩამოერთვას. ამიტომ, ეს ბალანსი ჯერჯერობით მინუსის მხარეს არის საზოგადოებისთვის და მოქალაქეებისთვის. ლიცენზიანტისთვის არის გარანტია მიცემული, რომელიც მათ რეალურად დღეს აღარ სჭირდებათ. ეს ერთ-ერთი მუხლი არის არასაჭირო გარანტიის დახურულობის გარანტი, მეტი არაფრის. სულ ეს არის რის თქმაც მინდოდა“.

*ლ.ფაფიაშვილი:“*ბ*ადლობა ქ-ნო ნინო. მოპასუხე მხარეს ვთხოვ წარმოადგინოს დასკვნითი სიტყვა“.

ქ.კუპრავა:“კითვა, რომელიც ტყესთან დაკაშირებით მქონდა მონიშვნული, იქედან გამომდინარე რომ ეს საკითხი ძალიან სპეციფიკურია, ლეგიტიმური მიზნის შედარებას ამ შემთხვევაში ვერ მოვახდენთ. საჭიროებს უფრო მეტ შესწავლას, რატომ ვრცელდება

განსაკუთრებული რეჟიმი. გარკვეულწილად მოწმემ ისაუბარა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

რაც შეეხება სადავო ნორმსი ლეგიტიმურ მიზანს, მისი მიზანი არის რომ მოხდეს დაცვა წიაღის გეოლოგიური აგებულებისა, მარაგის რესურსების, დამუშავების პირობების და თვისებების შესახებ ინფორმაციის დაცვა. გამომდინარე იქედან, რომ ეს ინფორმაცია არის არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელსაც თავის მხრივ იცავს საქართველოს კონსტიტუცია. კიდევ ერთხელ ხაზს გავუსვამ, რომ ეს ინფორმაცია, რომელსაც მოიპოვებენ ლიცენზიანტები აუცილებლად დაკავშირებულია დიდ ფინანსურ სახსრებთან. ეს არის ინფორმაცია და მოწმემაც დაადასტურა, რომ სახელმწიფო თავისი ხარჯებით ვერ ახორციელებს. ფაქტობრივად ამ ინფორმაციის მოპოვების გადანდობა ხდება ლიცენზიანტებზე. სადავო ნორმასთან მიმართებით სახელმწიფო ვალდებულია, რომ დაიცვას ბალანსი, გარემოს შესახებ ინფორმაციია მიწოდებასა და ლიცენზიანტებს შორის, რომელთა მიმართაც გააჩნია ვალდებულებები სახელმწიფოს. რაც შეეხება, გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას, აღნიშნული ინფორმაცია საკმაოდ ამომწურავად და კარგად არის განსაზღვრული ორჰუსის შესახებ კონვენციაში. ახსნა-განმარტების ნაწილში ჩვენ დაკონკრეტებული გვქონდა ის მუხლი, რომელზც დღეს მოწმემაც ისაუბრა. ეს არის კონვენციის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნტი, რომელიც გარკვეულ გამონაკლისს აწესებს კონკრეტული ინფორმაცის გაცემის შეზღუდვასთან დაკავშირებით. ასეთი შეზღუდვა დაკავშირებულია კომერციულ ინტერესთან. რა თქმა უნდა აღნიშნული ინფორმაცია, რომელსაც მოიპოვებს ლიცენზიანტი კომერციული ინტერესის მატარებელია. ამ ინფორმაციია გასაჯაროება კომერციულ ღირებულას გამოაცლის ლიცენზინტს. მოწმემ ისაუბრა ძალიან კარგად და დავეთანხმები, კონკრეტულად მიმოიხილა თუ რა სახის ინფორმაცია არის 29-ე მუხლით რეგულირებული. ხაზი გაუსვა იმას, რომ აქ არ არის ისეთი სახის ინფორმაცია, რომელიც გარემოს ზემოქმედების მხრივ დაეხმარებოდა მოსარჩელეს, რომ თავისი ინტერესები დაეკმაყოფილებინა. რაც შეეხება მეთოდიკას მოპოვების ეს შეიძება საინტერესო იყოს, რომ კონკრეტულ შედეგებზე გავდიეს შემდეგ დაინტერესებული პირი. თუმცა, აქვე მინდა ვთქვა, რომ ყველა ინფორმაცია, რომელიც დაცულია სახელმწიფო საინფორმაციო ფონდებში და კითხვაც იყო დასმული ფონდები რატომ იყო მრავლობით რიცხვში, მოწმეს დავეთანხმები, რომ ფონდები შეიძლება რამდოენიმე არსებობდეს და მხოლოდ სააგენტოსთან მიმაღთებით არა. ასევე მოვიხმობ მოწმის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ეს ინფორმაცია რომელიც ფონდებში არის დაცული უფრო ვრცელი და მრავლის მომცემია, ვიდრე მხოლოდ და მხოლდოდ სადავო ნორმაშ დარეგულირებული ურთიერთობა. ქალბატონი მაიას შეკითვას დავუბრუნდები, ხომ არ არის აქ ნორმის პრობლემა? ცალსახად მინდა გავიზიარო მოწმის მოსაზრება და ჩვენც წინა სხდომაზე ვამტკიცებდით, რომ ეს ინფორმაცია საჯაროა, რომელიც ბუნებაზე ზემოქმედებას იწვევს. მხოლოდ და მხოლოდ ის ინფორმაცია არის დახუურლი და მასზე სპეციალური რეჟიმი

ვრცელდება, რომელიც სადავო ნორმაში გვაქვს. თუ კონკრეტულ შემთხვევაში კომისიის კონკრეტული აქტები არ გაიცა, რომელიც არ შეიცავდა 29-ე მუხლით რეგულირებულ საკითხებს, ის ნამდვილად შესაძლებელია იყოს უკვე პრაქტიკის პრობლემა. მაგრამ, მიმაჩნია რომ ამ კუთხით სადავო ნორმა საკმაოდ განსაზღვრული და განჭვრეტადია. მისი ყველანაირი განმარტებიდან გამომდინარე, ეს იქნება ტელეოლოგიური, ეს იქნება ლოგიკური თუ ა.შ. ცალსახად განსაზღვრულია თუ რომელი ინფორმაცია არის მესაკუთრის საკუთრება. ის წარმოადგენს არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს, ის მოპოვებულია მისი ხარჯებით და ასეთი სახის ინფორმაციაზე ვრცელდება განსაკუთრებული დაცვის რეჟიმი. ასევე კიდევ ერთ რეპლიკას მოვიყვან, რომ ლიცენზიის გაცემისას რა თქმა უნდა ვრცელდება კონკრეტული რეჟიმი, სახელმწიოფს დიდი ვალდებულებები აკისრია, მაგრამ ზიანის მოტანას რაც შეეხება კონკრეტული ლიცენზიის შესწავლის მომენტში შეიძლება რაღაც ზიანი იყოს გამოწვეული, მაგრამ ამას სახელმწიფო აფასებს. სახელმწიფოს დიიდ როლი აკისრია, რომ მან მოახდინოს კეთილსინდისიერათ შემოწმება ბუნების ზიანთან მიმართებით“.

მ.კოპალეიშვილი:“ქ-ნო ქრისტინე მე ახლა კიდევ ვნახე ორჰუსის კონვენცია, რომელზეც აქამდე აპელირება იყო. იგივე ორჰუსის კონვენცია ამბობს, რომ ეს კანონით უნდა იყოს განსაზღვრული. კანონით თუ უნდა იყოს განსაზღვრული, ეს გულისხმობს თუ არა იმას, რომ კონკრეტულად ეს ინფორმაცია რასაც ითხოვს მოსარჩელე მხარე, თუკი ეს ვინმეს კომერციული საიდუმლოება შეიძლება იყოს და ექვემდებარება დახურვას, უნდა იყოს თუ არა ეს პირდაპირი მითითებით კანონში ჩაწერილი, რომ ეს ინფორმაცია არის დახურული ინფორმაცია, იმის გამო, რომ ვიღაცის კომერციული საიდუმლოებაა? ის სტანდარტი, რაც ჩადებული არის აი ამ მუხლში, რომელზეც თქვენ აპელირებთ და გამომსვლელებიც აპელირებდნენ არის კი ის სტანდარტი, რასაც რეალურად თქვენ ამბობთ? ორჰუსის კონვეცნიის სტანდარტი არის, რომ თ კომერციული საიდუმლოებაა ეს კანონით უნდა იყოს პირდაპირ განსაზღვრული. იქვე გახსნა ფრჩხილები რა არავითარ შემთხვევაში არ შეიძება იყოს საიდუმლო და ის რასაც თქვენ ამბობთ და რასაც დაობს მოსარჩელე, არის კანონით პირდაპირ აღნიშნული, რომ ეს ნამდვილად კომერციული საიდუმლოებაა ვინმეს? ორჰუსის კონვენციის არსი და მიზანი ეს იყო, რომ ვინმეს ინტერპრეტაციას დაქვემდებარებოდა ამა თუ იმ საკითხის გასაიდუმლოების სფერო? ასევე მაინტერესებს კიდევ ერთი საკითხი და თუ პასუხი არ გექნებათ შეგძლიათ მოგვიანებით წერილობით გამოგვიგზავნოთ, ის სტანდარტი რაც ორჰუსის კონვენციაშია ჩადებული, მათ შორის კომერციულ საიდუმლოებასთან მიმართებით, რომ კანონით უნდა იყოს პირდაპირ აღნიშნული, რომ ეს შეიძლება იყოს ვინმეს კომერციული საიდუმლოება. წიაღის შესახებ კანონი პირდაპირ ამას არ ამბობს, აქედან გამომდინარე წიაღის შესახებ კანონის სტანდარტი და ორჰუსის კონვენციის სტანდარტი ერთი და იგივეა და თავსებადია ერთმანეთთან? თუ თქვენ თვლით, რომ ის ინფორმაცია, რომელსაც მოსარჩელე სარჩელის საფუძველზე ითხოვს კომერციული საიდუმლოებაა“?

ქ.კუპრავა:"კიდევ ერთხელ წავიკითხავ და ანალიზს გავაკეთებ მე-4 მუხლი რას ამბობს, განამტკიცებს გარემოს დაცვის ინფორმაციია მიწოდების მოთხოვნის უარყოფას. 29ე-მუხლშიც საუბარი გვაქვს ინფორმაციაზე და საუბარი გვაქვს შემდგომ რეჟიმზე. ორჰუსის კონვენციის შესაბამისი მუხლი გვეუბნება, რომ გარკვეულ შემთხვევებში როდესაც სახეზე გვაქვს კანონიერი, ეკონომიკური ინტერესი, ამ შემთვევაში შესაძლებელია ინფორმაციია მიწოდების მოთხოვნის უარყოფა. სადავო ნორმაც გვეუბნება, რომ ეს ინფორმაცია რომელიც დაცული გვაქვს სადავო ნორმაში, წარმოადგენს აღნიშნული პირის საკუთრებას. თუ პირის საკუთრებას წარმოადგენს და შესაბამისად დღეს მოხდა განმარტება რატომ შეიძლება ლიცენზიანტის ეკონომიკურ და კომერციულ ინტერესს მოიცავდეს ჩამოთვლილი კომპონენტები, ბოლო ნაწილის თანახმად და ორჰუსის კონვენციაც გვაძლევს ამის შესაძლებლობას, ასეთი მოთხოვნა შევზღუდოთ. ანუ, ასეთი ინფორმაცია მხოლოდ და მხოლოდ მესაკუთრის თანხმობის შემთვევაში გაიცეს. ამ მხრივ იყო ჩვენს მიერ წარმოდგენილი სადავო ნორმასა და ორჰუსის კონვენციას შორის კავშირი".

მ.კოპალეიშვილი:"თქვენ იმავდროულად აპრიორი მიიჩნევთ, რომ ეს კომერციული საიდუმლოებაა".

ქ.კუპრავა:"ასე აპრიორი არ მივიჩნევთ".

მ.კოპალეიშვილი:"ორჰუსის კონვენცია ამას ამბობს, რომ კომერციული საიდუმლოება უნდა გასაიდუმლოვდეს".

მ.ტურავა:"29-ე მუხლში ზოგადი ჩანაწერია ქ-ნო ქრისტინე ინფორმაციია დახურულობაზე. მაგრამ, არ ჩანს კონკრეტულად რომ ეს უნდა იყოს კომერციული საიდუმლოება თუ სხვაგვარი ინფორმაცია. ჩვენი ინტერესის სფერო არის ის მომენტი, რომ კანონის ასეთი ზოგადი ჩანაწერი საკმარისია? თუ საჭიროა უფრო კონკრეტული სამართლებრივი რეგულაცია? როგორც მოსარჩელე ამბობს, ამ სფეროში საკითხები ისე არის, გარემოზე ზემოქმედება და გარემოს მდგომარეობა, რომ თითქმის აქ არაფერი საიდუმლო არ უნდა იყოს საზოგადოებისთვის, მაგრამ მე ერთ წინადადებასაც დავაკვირდი, რომ თუ რაღაც კომერციული ინტერესი შეიძლება არსებობდეს, ამას სჭირდება კონკრეტიზაცია და წინასწარ განსაზღვრა რა არის ეს კომერციული, რაც არ უნდა გაიცეს".

ქ.კუპრავა:"ცალსახად ნამდვილად არ ვამბობთ იმას, რომ ეს არის კომერციული საიდუმლოება. ჩვენც ეს ნორმა ისე გვესმის, რომ ეს არის ინფორმაცია რომელიც ექცევა განსაკუთრებული დაცვის რეჟიმში. კომერციულ ინტერესს იმიტომ ვახსენებთ, რომ კომერციული ინტერესი გადის უფრო არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე, ინფორმაცია, საკუთრება, რომელიც ძალიან დიდი მნშვნელობის მატარებელია ის ინფორმაცია ლიცენზიანტისთვის. ლიცენზიანტს დააკერგებოდა ამ საქმის მიმართ ინტერესი თუ ასეთი სახის ინფორმაცია საჯარო გახდებოდა. სულ ეს იყო მოკლედ რის შეჯამებაც მსურდა".

ლ.ფაფიაშვილი:“მადლობა. ორივე მხარეს მოგმართავთ, თუ თვლით რომ თქვენ დაგრჩათ რაიმე არგუმენტები, რის წარმოდგენაც გსურდათ, თქვენ შეგიძლიათ სხდომის დასრულების შემდეგ, გადაწყვეტილების გამოტანამდე სასამართლოს დამატებითი ინფორმაციის სახით ელექტრონულად მიაწოდოთ ეს ინფორმაცია.

752-ე ნორმით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განხილვის სხდომა დასრულებულია. გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი მხარეებს გეცნობებათ დამატებით.